

დავით თინიკაშვილი, ზურაბ ჯაში

მსოფლიო რელიგიები

+კონფუციანობა, დალიზმი,
ზოროასტრიზმი, სინტოიზმი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2012

დავით თინიკაშვილი, ზურაბ ჯაში

მსოფლიო რელიგიები

+კონფუციანობა, დაოიზმი, ზოროასტრიზმი, სინტოიზმი

დამკაბადონებელი: სოფიო კეველიშვილი

მეორე გამოცემა

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-114-6

წიგნი დაიწერა მშვიდობის, დემოკრატიისა და
განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში.



პირველად გამოიცა 2011 წელს გამომცემლობა „წიგნის
სახელოსნოს“ მიერ, გურამ გოგიაშვილის სტილისტური
რედაქტირებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი	1
1. 1. სიტყვა „რელიგიის“ განსაზღვრება.....	1
1. 2. რელიგიის მახასიათებლები.....	2
1. 3. ფსევდორელიგიური სისტემები.....	3
2. წარმართობა	5
2. 1. რელიგიურობის კვალი პირველყოფილ საზოგადოებაში.....	6
2. 2. პრიმიტიული რელიგიები	7
2. 3. გადასვლა პოლითეიზმსა და მონოთეიზმზე.....	10
იუდაიზმი	11
1. აბრაამისტული რელიგიების შესახებ	11
2. ებრაელი ერისა და იუდაიზმის წარმოშობა.....	12
2. 2. აბრაამიდან მსაჯულთა ხანამდე.....	13
2. 3. მსაჯულთა ხანა	15
2. 4. ებრაელთა გაერთიანებული სამეფო	16
2. 5. ებრაელთა სამეფოს ორ ნაწილად დაყოფა და მათი დაცემა.....	21
2. 6. წინასწარმეტყველთა ხანა	23
2. 7. მეორე ტაძრის ხანა.....	25
2. 8. პარტიები, სექტები და მოძრაობები ადრეულ იუდაიზმში	30
2. 9. რაბინისტული იუდაიზმის წარმოშობა	32
3. წერილობითი წყაროები.....	34
3. 1. თანახი (ებრაული ბიბლია)	34
3. 2. ზეპირი თორა: თალმუდი	35
3. 3. მიდრაშები	37
4. რელიგიური პრაქტიკა	38
4. 1. წესები საკვების შესახებ	38
4. 2. ლოცვა	39
4. 3. სინაგოგა	40
4. 4. შაბათი.....	42
4. 5. დღესასწაულები და მარხვები	45

5. დოგმატური მოძღვრება.....	47
5. 1. იუდაიზმის მრწამსი	47
5. 2. უფლის სახელი	49
5. 3. სიკვდილის შემდეგ	51
5. 4. მესიისადმი ებრაელების დამოკიდებულება	52
5. 5. იუდაური მისტიკა: კაბალა	58
6. მიმდინარეობები იუდაიზმში	59
6.1. აშკენაზური და სეფარადული იუდაიზმი	59
6. 2. თანამედროვე იუდაიზმის ფორმირება	61
6. 3. ულტრაორთოდოქსია (ხასიდიზმი)	62
6. 4. ორთოდოქსია	63
6. 5. კონსერვატული იუდაიზმი.....	64
6. 6. რეფორმისტული (ლიბერალური) იუდაიზმი.....	65
6. 7. რეკონსტრუქციონისტული იუდაიზმი.....	65
7. ანტისემიტიზმი.....	66
8. ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნა	71
9. იუდაიზმი საქართველოში.....	75
ქრისტიანობა.....	78
1. ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება.....	78
1. 1. შესავალი	78
1. 2. იესო ნაზარეველი	80
1.3. ქრისტიანობა რომის იმპერიაში	82
1.4. „დიდი განხეთქილება“	89
2. წერილობითი წყაროები	95
2. 1. ძველი აღთქმა	95
2. 2. ახალი აღთქმა	96
2. 3. აპოკრიფული წიგნები	98
2. 4. წმ. გადმოცემა	99
3. რელიგიური პრაქტიკა	100
3. 1. ნათლობის საიდუმლო	101
3. 2. მირონცხების საიდუმლო	102
3. 3. ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლო	102
3. 4. სინანულის (აღსარების) საიდუმლო	103
3. 5. ქორწინების საიდუმლო.....	105
3. 6. მღვდლობის საიდუმლო.....	105
3. 7. ზეთისცხების საიდუმლო	106
3. 8. ლოცვის წესი	106

3. 9. ტაძარი (საყდარი).....	110
3. 10. პილიგრიმოზა (მომლოცველობა).....	111
3. 11. მარხვები და დღესასწაულები	112
3. 12. ბერმონაზვნობა	114
3. 13. სათნოებათა შესახებ	117
4. დოგმატური მოძღვრება.....	121
4. 1. სამყაროს შექმნა.....	122
4. 2. წმ. სამება	123
4. 3. ქრისტეს ღმერთკაცობრივი ბუნება.....	124
4. 4. კაცობრიობის გამოსხნა	126
4. 5. ხატების თაყვანისცემა	129
4. 6. ანგელოზები	131
4. 7. ბოროტების წარმოშობა	133
4. 8. ესქატოლოგიური სწავლება	135
4. 9. დამოკიდებულება სხვა რელიგიებისადმი.....	139
5. მიმდინარეობები ქრისტიანობაში	151
5. 1. აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია.....	152
5. 2. არაქალკედონური ეკლესიები	156
5. 3. რომის კათოლიკური ეკლესია	158
5. 4. ადრეული პროტესტანტული ეკლესიები	163
6. ქრისტიანობა საქართველოში	169
იسلامი	181
1. ისლამის წარმოშობა და გავრცელება	181
1. 2. ისლამი როგორც აბრაამიტული რელიგია	181
1. 3. ისლამადელი არაბეთი	183
1. 4. მუჰამედი	184
1. 5. ქადაგება მექაში	187
1. 6. ისლამის ეპოქის დასაწყისი	189
2. ისლამის წერილობითი წყაროები	193
2. 1. ყურანი.....	193
2. 2. სუნა	196
2. 3. შარიათი და ფიკჰი.....	201
3. რელიგიური პრაქტიკა	202
3. 1. ისლამის ხუთი საყრდენი	202
3. 2. ჯიჰადი	207
3. 3. სხვა ადათ-წესები	209

4. დოგმატური მოძღვრება.....	209
4. 1. ისლამის ხუთი ჭეშმარიტება	209
4. 2. წინასწარგანსაზღვრულობის (ბედისწერის) რწმენა	217
5. მიმდინარეობები ისლამში	217
5. 1. სუნიზმი და შიიზმი	217
5. 2. ვაჰაბიზმი	219
6. ისლამური მისტიციზმი: სუფიზმი	221
7. ისლამი საქართველოში.....	224
ბუდიზმი	229
1. ბუდიზმის წარმოშობა და გავრცელება	229
1.1. შესავალი	229
1. 2. ინდოეთი ბუდიზმის გაჩენამდე.....	230
1. 3. ბუდას პიროვნება	231
1. 4. ბუდიზმი ინდოეთის საზღვრებს მიღმა	235
2. ბუდიზმის წერილობითი წყაროები	237
2. 1. ტრიპიტაკა	237
2. 2. სუტრების კალათა.....	238
2. 3. სხვა წყაროები.....	239
3. რელიგიური პრაქტიკა	240
3. 1. ბუდისტი ბერების ცხოვრების წესი	240
3. 2. თაყვანისცემის პრაქტიკა	243
3. 3. მედიტაცია.....	244
3. 4. ბუდისტური დღესასწაულები.....	246
4. დოქტრინა	247
4. 1. სანსარა და კარმა	247
4. 2. ოთხი ჭეშმარიტება.....	250
4.3. დჰარმა, ნაცვლად შემოქმედი ღმერთისა	253
4. 4. ბუდიზმის კოსმოლოგია.....	254
5. მიმდინარეობები ბუდიზმში	255
5. 1. ჰინაიანა.....	255
5. 2. მაჰაიანა.....	256
5. 3. ვაჯრაიანა	257
5. 4. ლამაიზმი	258
5. 5. ძენ-ბუდიზმი	260
6. ბუდიზმი თანამედროვე სამყაროში	262
7. ბუდიზმი და საქართველო	265

ინდუიზმი	267
1. ინდუიზმის წარმოშობა	267
2. წერილობითი წყაროები.....	268
2. 1. შრუტი	269
2. 2. სმრიტი	270
3. დოქტრინა	270
4. რელიგიური პრაქტიკა	272
5. მიმდინარეობები ინდუიზმში	274
5. 1. შივაიზმი	274
5. 2. ვიშნუიზმი.....	275
5. 3. სხვა მიმდინარეობები.....	276
6. კრიშნაიზმი საქართველოში.....	276
სხვა რელიგიები.....	278
1. კონფუციანობა	278
2. დაოიზმი	279
3. ზოროასტრიზმი.....	281
4. სინტოიზმი.....	282
ბიბლიოგრაფია	287
დამატებითი საკითხავი	294
ავტორთა შესახებ	298

შესავალი

1. 1. სიტყვა „რელიგიის“ განსაზღვრება

სიტყვა „რელიგია“ მომდინარეობს წინაქრისტიანული ხანიდან, მაგრამ ადრეული პერიოდიდანვე იქცა ქრისტიანული ენის ნაწილად. სიტყვიდან religere („მოწიწებით პატივისცემა“) „რელიგია“ ნიშნავს მოკრძალებითა და სიფრთხილით მოეკიდო წმინდას (numinose), ზებუნებრივი ძალის მქონე არსებას, ყოველივე ამქვეყნიურისგან (profane) განსხვავებით.

სხვა მნიშვნელობით, religio არის ადამიანების შიშნარევი დამოკიდებულება წმინდა არსებისადმი. ეს არის კეთილმორწმუნის შიში, რათა რაიმეთი არ შეურაცხყოს ღვთაებრივი არსება(ნი). აქედან გამომდინარე ზედსართავმა სახელმა „რელიგიური“ – „მორჩილის, ღვთისმოშიშის“ მნიშვნელობა მიიღო.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით შეითვისა ქრისტიანულმა სამყარომაც სიტყვა „რელიგია“. შუასაუკუნეების დასავლურ (ლათინურ) ქრისტიანობაში religio აღნიშნავს მონასტრულ ცხოვრებას: სილარიბეს, მორჩილებას, ქორწინების გარეშე ცხოვრებას და გამუდმებულ ლოცვას. religiousus (რელიგიური) აღმატებითი მნიშვნელობით ნიშნავდა ბერს, მონაზონს.

ქრისტიანულ სამყაროში ასევე გავრცელებულია ამ სიტყვის ნეტარი ავგუსტინესეული (+430 წ.) განმარტებაც, რომელიც სხვა ლათინი მწერლის, ლაქტანციუსის განმარტების მსგავსად, იგი „შეერთებას“ ნიშნავს, თუმცა უმატებდა, რომ სიტყვა „რელიგია“ ღმერთთან (დაკარგული) „კავშირის აღდგენას“ ნიშნავს.

ჩინეთში რელიგიას უწოდებენ „ჩიაო“-ს, რაც ნიშნავს „მოძღვრებას“. ინდოეთში სიტყვა „დჰარმა“ გამოხატავს ლათინურ „რელიგიას“ და ნიშნავს „წესრიგს“ არაბულში კი „დინ“ აღნიშნავს ამ სიტყვას (რელიგიას) და ითარგმნება, როგორც „ღვთაებრივი განგება“.

ტრადიციულად რელიგიას განსაზღვრავენ როგორც რწმენას ზებუნებრივის მიმართ. თუმცა არსებობს მეორე მიდგომა, რომლის მიხედვითაც რელიგია ეს არის შეხედულებებისა და ქმედე-

ბების ნებისმიერი სისტემა, დამახასიათებელი ადამიანის ამა თუ იმ ჯგუფისათვის, რომელიც ადამიანისთვის ერთგვარ ორიენტირ-სა თუ თავყვანისცემისა და მსახურების ობიექტს შეიძლება წარ-მოადგენდეს. აქედან გამომდის, რომ რელიგია ეს არის ნებისმიერი იდეალის თავყვანისცემა. მაგრამ თუ ადამიანისთვის იდეალს წარ-მოადგენს მაგალითად ფული და მატერიალური კეთილდღეობა, მაშინ ძნელია ამგვარ დამოკიდებულებას რელიგია დაარქვა.

ესე იგი გამომდის, რომ რელიგია არის რწმენა ზებუნებრივის მიმართ. მაგრამ ყველა ამგვარ რწმენასაც არ შეიძლება ეწოდოს რელიგია, რადგან რელიგია უნდა ეფუძნებოდეს სულიერი ცხოვ-რების უმაღლეს ჭეშმარიტებას, სამართლიანობასა და ჰუმანურო-ბას. მაგალითად, სატანიზმი და ოკულტიზმი მართალია შეიცავენ რელიგიის ზოგიერთ ელემენტს ზებუნებრივის მიმართ რწმენის ჩათვლით, მაგრამ სინამდვილეში ისინი რელიგიის დამახინჯებისა და დეგრადაციის პროდუქტებს წარმოადგენენ.

1. 2. რელიგიის მახასიათებლები

ღვთის არსებობის ფაქტს შეიძლება სხვადასხვა გამოხა-ტულება ჰქონდეს ადამიანთა აზროვნებაში თავისი შინაარსით, ფორმით და სიცხადის ხარისხით. რელიგია შეიძლება იყოს მონო-თეისტური (ერთი ღმერთის რწმენა), პოლითეისტური (მრავალი ღმერთის რწმენა) და დუალისტური (ორი თანაბარი ძალის სული-ერი საწყისის აღიარება: კეთილისა და ბოროტისა).

რელიგიას აქვს რამდენიმე მახასიათებელი, რომლის გარე-შეც იგი ვერ იარსებებს, როგორც რელიგია. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ ფილოსოფიურ და მორალურ მსოფლმხედველობად რჩე-ბა.

ზოგადად ათეიზმის¹ საპირისპიროდ, პირველი პრინციპი რე-ლიგიისა გულისხმობს სულიერი, სრულყოფილი, გონიერი და პი-როვნული, საწყისის აღიარებას, რომელიც ყოველივე არსებულის

1. ათეიზმი (ბერძ. თეოს – ღმერთი, ა – უარყოფითი ნაწილაკი) მოძღვრება რომელიც უარყოფს ნებისმიერი ზებუნებრივი ძა-ლის არსებობას (ღმერთები, ანგელოზები, სულები).

შემოქმედი და პირველმიზეზია და რომელიც აქტიურად ურთიერთობს ამ სამყაროსთან.

რელიგიის მეორე პრინციპის მიხედვით, ადამიანს აქვს უნარი ღმერთთან ურთიერთობისა. ცხოველებისგან განსხვავებით ადამიანი მოაზროვნე არსებაა და თან ისეთი, რომელიც აცნობიერებს როგორც ფიზიკური სიკვდილის, ისე მარადიული არსებობის ფაქტს. მსგავსი კატეგორიების წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ დედამიწის სხვა ცოცხალ არსებებს.

ნებისმიერი რელიგიის დამახასიათებელი ნიშანია ასევე კულტის არსებობა, ანუ რელიგიის გარეგანი გამოხატულება: საღვთისმსახურო ფორმების, სხვადასხვა რიტუალური მოქმედებებისა და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა.

1. 3. ფსევდორელიგიური სისტემები

ა) დეიზმი

ეს რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულება წარმოიშვა XVII ს-ის ინგლისში. დეიზმი (ლათ. „დეუს“, ღმერთი) აღიარებს ღმერთის არსებობას, მაგრამ მას განიხილავს, როგორც ამ სამყაროსა და მისი კანონების მხოლოდ შემოქმედს (შემქმნელს), სრულიად გამორიცხავს რა ამავე დროს ყოველგვარ გამოცხადებას, სასწაულებსა და ზოგადად ამ სამყაროზე ზრუნვას შემოქმედის მხრიდან. ღმერთი სამყაროს გარეთ მყოფობს ანუ ტრანსცენდენტურია² ანუ არ ურთიერთობს ადამიანთან.

ბ) პანთეიზმი

პანთეისტური (ბერძ. „პან“ ყველაფერი, „თეოს“ ღმერთი) რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლება ღმერთს აიგივებს ამ სამყაროსთან, ბუნებასთან, ადამიანთან. პანთეიზმში ღმერთი არ მოიაზრება პიროვნულ არსებად, რომელსაც ამ სამყაროსგან დამო-

2. ტრანსცენდენტული – (ლათ. transcendere, საზღვრებიდან გასვლა) მიღმური, მიღმა მყოფი, მიუწვდომელი.

უკიდებლად არსებობის უნარი აქვს. იგი მთლიანად იმანენტურია³ სამყაროსი, კოსმოსისა, ბუნებისა, ადამიანისა. ადამიანიც ღვთის ნაწილად მოიაზრება, რომელიც (ადამიანი) დროებით აცნობიერებს საკუთარ თავს ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში დამოუკიდებელ არსებად, შემდეგ კი სამუდამოდ შეუერთდება (დაინთქმება, გაიბნევა) უზენაესი სულის უსაზღვრო ოკეანეში. პანთეიზმი ასევე უარყოფს ადამიანის ნების თავისუფლებას.

პანთეიზმი, ისევე როგორც დეიზმი, უარყოფს ადამიანის პიროვნულ ურთიერთობის შესაძლებლობას ღმერთთან. ასევე ამ მიზეზით ისინი არ განიხილებიან რელიგიებად.

გ) თეიზმი

თეიზმი (ბერძ. „თეოს“, ღმერთი), პანთეიზმისგან განსხვავებით, აღიარებს პიროვნული ღმერთის არსებობას, ხოლო დეიზმისგან განსხვავებით, აღიარებს უფლის მხრიდან ამ სამყაროში ჩარევის (მასზე ზრუნვის) შესაძლებლობასა და აუცილებლობას. თეისტური სწავლების მიხედვით, ღმერთი არა მხოლოდ ტრანსცენდენტურია, არამედ ამ სამყაროს იმანენტურიც არის.

თეიზმის მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენს ასევე ადამიანში თავისუფალი ნების არსებობისა და მის მიერ ღმერთთან ურთიერთობის უნარის აღიარებაც. არსებობს სხვადასხვა თეისტური სისტემები. ვინაიდან თეიზმის ძირითადი დებულებები საერთოა რელიგიური მოძღვრების პრინციპებთან, ამიტომ თავად რელიგიებსაც თეისტური მსოფლმხედველობების რიგს განუკუთვნებენ.

თუმცა თეიზმი თავისთავად არ წარმოადგენს რელიგიას, რადგან იგი მხოლოდ სწავლებად, თეორიებისა და დებულებების ერთობლიობად რჩება.

დ) აგნოსტიციზმი

ფილოსოფიური სწავლებაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანს არა აქვს უნარი შეიმეცნოს ზებუნებრივი სამყარო. შესაბამისად, შეუძლებლად მიიჩნევა ადამიანის მხრიდან ღვთის შემეცნება. სწორედ აქედან მომდინარეობს ამ სწავლების სახელ-

3. იმანენტური – (ლათ. immanens შინაგანი მახასიათებელი, თვისება) შიგნით მყოფი.

წოდებაც (ბერძ. „გნოსის“ – შემეცნება, ა – უარყოფითი ნაწილაკი). ყოველგვარი შემეცნება, აგნოსტიკოსთა აზრით, მოიპოვება ადამიანის გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. ამ მიზეზით, შემეცნების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მისაწვდომია ამ გრძნობებისთვის ანუ მხოლოდ გრძნობითი სამყარო.

2. წარმართობა

სიტყვა წარმართობას უკავშირებენ ლათინურ ტერმინს *paganus*, რომელიც ნიშნავს „სოფლის მოსახლეს, რომელმაც ქრისტიანობა არ მიიღო“. ძველი აღთქმის ეპოქაში ებრაელები წარმართებს უწოდებდნენ ყველა დანარჩენ ერს. ამ სიტყვას ისინი უარყოფითი მნიშვნელობით იყენებდნენ როგორც ზოგადად ერების, ასევე მათი რელიგიური წარმოდგენების, მორალისა და კულტურის მისამართით. იუდეველები ასევე სიტყვა „გოიმსაც“ იყენებდნენ ყველა არაიუდეველი ადამიანის მისამართით. ტერმინი „წარმართობა“ იუდაური ლექსიკონიდან ქრისტიანულ დისკურსშიც გადმოვიდა, რომელშიც იგი მხოლოდ რელიგიური დანიშნულებით იხმარება.

რელიგიათმცოდნეები წარმართულ რელიგიებს აგრეთვე პოლითეისტურ რელიგიებსაც უწოდებენ, რადგან ამ რელიგიის მიმდევრები, როგორც წესი, სხვადასხვა ღვთაებას სცემენ თაყვანს (აქედან მათი სხვა სახელწოდებაც – კერპთაყვანისმცემლები).

მონოთეისტური რელიგიების პოზიციიდან წარმართობა განიხილება როგორც განუვითარებელი და პრიმიტიული ხალხებისთვის დამახასიათებელი მოვლენა. წარმართული ელემენტებს შეიძლება წავაწყდეთ ამა თუ იმ ხალხში გავრცელებული მონოთეისტური რელიგიის ფარგლებშიც – ადათებსა და წეს-ჩვეულებებში, ხალხურ გადმოცემებში, სახვით ხელოვნებაში და სხვა. ამ კუთხით წარმართობა კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

2. 1. რელიგიურობის კვალი პირველყოფილ

საზოგადოებაში

პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებამ მრავალი არქეოლოგიური მოწმობა დაგვიტოვა საკუთარი არსებობის შესახებ: ძვლები, თავის ქალები, ქვის იარაღები, დაკრძალვის სარიტუალო მორთულობები და ქვის კედლებზე შემორჩენილი ნახატები. მიუხედავად ჩვენი ცოდნის სიმწირისა ამ პერიოდის ადამიანის რელიგიურობის შესახებ, მაინც უნდა დავსვათ შემდეგი შეკითხვა: ნუთუ homo faber (მწარმოებელი ადამიანი), homo sapiens (გონიერი ადამიანი) და homo ludens (მოთამაშე ადამიანი) არ იყო აგრეთვე homo religiosus (რელიგიური ადამიანი)?

შემორჩენილი მატერიალური მონაცემები გარკვეული წარმოდგენების შექმნაში გვებმარება ამ მიმართულებით. მაგალითად, საფულისყურთა იარაღის აღქმა მითოლოგიასა და რელიგიურ ცხოვრებაში; ასევე ლეგენდები და რწმენა-წარმოდგენები სივრცის დაპყრობასთან დაკავშირებით; მითოლოგიური წარმოდგენები შუბებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია ცის კამარის განსაგმირად; ასევე ისრები, რომლებიც ღრუბლებშია გარჭობილი. თანამედროვე ველურ ტომებში მონადირეებს მიაჩნიათ, რომ ცხოველი ადამიანს ჰვავს, მაგრამ გამოირჩევა უჩვეულო სიძლიერით. მათ სჯერათ, რომ ადამიანს შეუძლია ცხოველად გადაქცევა. ამიტომ ცხოველის მოკვლა აღესრულება მკაცრად დადგენილი რიტუალის მიხედვით, ამასთან განსაკუთრებული ღირებულება აქვს ცოცხალი არსების თავის ქალასა და ძვლებს.

პირველყოფილი ადამიანის რელიგიურობის მნიშვნელოვანი ელემენტს წარმოადგენს ასევე დაკრძალვის სიმბოლიკაც. ყველაზე ადრეული საფლავები თარიღდება ძვ. წ. 70,000-დან 50,000 წლებს შორის. მიწისთვის გარდაცვლილთა რიტუალურ მიზარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცოცხლად დარჩენილთათვის. ეს რიტუალი, გარკვეულწილად, სრულდებოდა იმ მიზნითაც, რომ გარდაცვლილი უკან დაბრუნებისგან ყოფილიყო დაცული. ამ ჩვეულებიდანაც ვლინდება საიქიო არსებობის რწმენა პირველყოფილ ადამიანებში. ასევე ძველ საფლავებში ნაპოვნი ნივთები ნათლად მიუთითებენ საიქიო ცხოვრების რწმენაზე, რადგან პირ-

ველყოფილი ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საფლავში ჩაყოლებული ნივთი გარდაცვლილს იმ ქვეყნადაც დასჭირდებოდა.

2. 2. პრიმიტიული რელიგიები

ა) ანიმიზმი

პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების კვლევით დაკავებული მეცნიერები მიუთითებენ ანიმიზმზე (ლათ. „ანიმა“, სული), როგორც ამ დროის ადამიანების სულიერი ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებაზე. თავისთავად ანიმიზმი არ წარმოადგენს რელიგიას. ის უფრო შეხედულებაა გარემომცველ სამყაროზე: ბუნების მოვლენათა და საგნების პირველადი ახსნა.

ყველაფერი რასაც ველური ადამიანი ხედავს (ციური მოვლენები, მხეცები, მცენარეები, ქვები და მოშრიალე ფოთლებიც კი) აღქმულია მის მიერ ისეთივე ცოცხალ და სულიერ არსებად, როგორიც თვითონ არის. ამრიგად, ყოველ მოვლენასა და ნივთს თავისი სული (Anima) აქვს. მაგრამ იმისათვის, რომ ველურმა ადამიანმა რომელიმე სულის თაყვანისცემა დაიწყოს, საჭიროა მოცემულმა ნივთმა ან მოვლენამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინოს მასზე. მაგალითად, როდესაც ამერიკის ველურმა ტომებმა პირველად ნახეს ევროპიდან მათ მიწაზე ჩასული ცხენიანი კაცი, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა, მათ ეს არსება (ცხენიც და კაციც, რომელიც ერთიან ქმნილებად ჩათვალეს) ქუხილის ღმერთად აღიქვეს.

ამრიგად, ბუნების ყველა მოვლენისა და ნივთის „განსულიერებით“ ველურის შეგნებაში მთელი სამყარო ბოროტი ან კეთილი სულებით არის დასახლებული. ისინი კი არა მხოლოდ გარკვეულ ცვლილებებს იწვევენ ბუნებაში, არამედ თვით ადამიანის ბედ-იღბალზეც დიდ ზეგავლენას ახდენენ.

ბ) ფეტისმიზმი

ეს ტერმინი მომდინარეობს ფრანგული სიტყვისგან *feticio*, რომელიც ნიშნავს ამულეტს, თილისმას, ხოლო ლათინური *factitius* – ნიშნავს ხელოვნური, გაკეთებული. როდესაც პორტუგალიელებმა პირველად გაიცნეს შავკანიანები, რომლებიც სხვადასხვა ნივ-

თებს ატარებდნენ და თაყვანს სცემდნენ მათ, სწორედ ამ სიტყვით მოიხსენიეს მათ ეს ნივთები. შავკანიანები მათ განსაკუთრებულ მაგიურ ძალას მიაწერდნენ.

ფეტიშიზმი არის ისეთი რელიგიური პრაქტიკა, რომლის დროსაც უსულო საგნებს ზებუნებრივი ძალა მიეწერება. ეს ნივთები იწოდება ფეტიშებად.

ამრიგად, ფეტიში შეიძლება იყოს ქვაც, ნიჟარაც, ცხოველის თავის ქალა, სარკის ნატეხი, ქანდაკებაც და სხვ. ფეტიში ველური ადამიანისთვის სულის განხორციელებაა. ამიტომ ფეტიშიზმი ანიმიზმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რადგან ფეტიშის თაყვანისცემით იგი რეალურად მასში მყოფ სულს ეთაყვანება (და ასევე, რასაკვირველია, თავად იმ ნივთს, სადაც მისი აზრით, სული ბუდობს).

„ერთხელ წყალმა ლუზა გამორიყა ველური ტომებით დასახლებულ აფრიკის სანაპიროზე. ასეთი ნივთი აქ არასოდეს ენახათ. ველურები ფრთხილად უახლოვდებიან მას, მაგრამ რამდენადაც ეს ნივთი უძრავად და მშვიდად განისვენებს მიწაზე, ისინი ინტერესს კარგავენ და შორდებიან მას. ერთ-ერთმა მათგანმა შეამჩნია, რომ ნივთი რკინის იყო. მან გადაწყვიტა ლუზისთვის ერთი ნაწილი ჩამოეტეხა, რადგან რკინის ნაჭერი სჭირდებოდა. მაგრამ ამ საქმით დაკავებული, იგი ხელს იზიანებს. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია ველურთა შეგნებისთვის: ამ უცნობ საგანში სული მკვიდრობს, რომელმაც შური იძია ზიანის მომყენებელზე. ამ ფაქტის შემდეგ ველურები ნივთში ჩასახლებული სულის რისხვის შენელებას სხვადასხვა მსხვერპლითა და საჩუქრებით ცდილობენ“.

Э. Тейлор. Первобытная культура. М, 1980, гл. 34

გ) ტოტემიზმი

გარდა ფეტიშიზმისა ველურ ტომების რელიგიური თაყვანისცემის ფორმებში გამოვლენილია ასევე ტოტემიზმიც. ეს ტერმინი (ტოტემი) წარმოქმნილია ერთ-ერთი ამერიკული ველური ტომის ენიდან და სიტყვასიტყვით ნიშნავს „გვარს, ნათესავს“. ეს არის

ადამიანების მითოლოგიზირებული დამოკიდებულება ცხოველების, მცენარეების და ბუნების მოვლენებისადმი. და მათ მიაწერენ მფარველობის, განკურნების ფუნქციას.“ ტოტემიზმის არსი მდგომარეობს შემდეგში: მთელი ტომი ან ცალკეული ოჯახი საკუთარ მფარველად ირჩევს რომელიმე ცხოველს ან მცენარეს, რის შემდეგაც იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოცემული ტომის/ოჯახის ცხოვრებაში.

შერჩეული ტოტემისადმი კუთვნილება კი გამოიხატება ტანისამოსით, ტატუირებით და, ზოგადად, სხვადასხვა სახის (მაგ., ეშვები) სამკაულებით მორთულობაში. ამა თუ იმ ცხოველის რქის, ტყავის და კუდის ტარების უფლება მხოლოდ იმ ტომს აქვს, რომელმაც იგი თავის მფარველ ტოტემად შეარჩია. რელიგიური ცერემონიალების დროს კი ამ ცხოველებისთვის დამახასიათებელ მოძრაობებსა და მათ მიერ გამოცემულ ხმებს იმეორებენ.

ფეტიშიზმის მსგავსად, ტოტემიზმიც ანიმიზმიდან აღმოცენდა და განვითარდა, რადგან ტოტემიზმში არა საკუთრივ ცხოველი ან მცენარე ითვლება მფარველად, არამედ მასში მყოფი სული.

დ) შამანიზმი

ზოგჯერ ანიმისტურ-ფეტიშისტურ-ტოტემისტურ და ასევე სხვა ძველი რელიგიურ წარმოდგენათა და წეს-ჩვეულებათა ერთობლიობას (ნარევს) საერთო სახელწოდებით – შამანიზმითაც მოიხსენიებენ. შამანიზმი აღიარებს განსაკუთრებული ადამიანების – შამანების არსებობას, რომლებსაც შეუძლიათ შუამდგომლობის გაწევა ადამიანებსა და სულებს შორის. შამანიზმის მიმდევართა რწმენით, შამანებს შეუძლიათ უკურნებელი დაავადებების განკურნება, მომავლის წინასწარმეტყველება, ბუნების ცვლილებების გამოწვევა და სხვა.

სულებთან ურთიერთობას ისინი ამყარებენ განსაკუთრებული რიტუალებით, რომლის დროსაც შამანი ექსტაზურ მდგომარეობაში შედის. რიტუალები აღესრულება სპეციალურ დოლებზე ან სხვა რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე რიტმული დარტყმების თანხლებით.

შამანიზმს დღემდე არ შეუწყვეტია თავისი არსებობა. იგი გავრცელებულია ციმბირში, ამაზონის ტყეებში, აშშ-ს ველური ტომებით დასახლებულ ადგილებში და სხვ.

2. 3. გადასვლა პოლითეიზმსა და მონოთეიზმზე

კაცობრიობის ისტორიის პირველ ეტაპზე, როგორც ზემოთ აღიწერა, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტს ბუნება წარმოადგენდა. მაგალითად, ტომები, რომლებიც მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებული, თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა მცენარესა და ზეციურ მნათობებს (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ხოლო ტომები, რომლებიც უფრო ნადირობით იყვნენ დაკავებული, სხვადასხვა გარეულ ცხოველს.

მაგრამ თანდათან ამ საგნების, მცენარეების, ცხოველებისა და მნათობების სულთა თაყვანისცემის სტადია დასასრულს უახლოვდება. მას კი ენაცვლება პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა). მასში უკვე ღმერთებად გადაიქცნენ ის სულები, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ თაყვანისცემის ობიექტნი სხვა უამრავ სულებს შორის. აგრეთვე ამ ღვთაებათა გავლენა უკვე აღარ იფარგლებოდა რომელიმე კონკრეტული ტომითა თუ ოჯახით.

ამ ეტაპის შემდეგ კი ადამიანთა ესა თუ ის საზოგადოება ამ მრავალი ღმერთიდან მხოლოდ ერთის გამორჩევას იწყებდა საკუთარ მფარველად და თაყვანს სცემდა მხოლოდ მას, ყველა დანარჩენ ღვთაებას კი უარყოფდა. სწორედ აქედან დაიწყო მონოთეიზმი.

იუდაიზმი

1. აბრაამისტული რელიგიების შესახებ

იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს აბრაამისტულ რელიგიებს უწოდებენ, რადგან მათი წარმომავლობა ძველი აღთქმის ერთ-ერთ პატრიარქს, აბრაამს უკავშირდება.

სამივე რელიგიის თეოლოგია⁴ აღიარებს ძველი აღთქმის წიგნებს, როგორც ღვთის შთაგონებით დაწერილ ტექსტებს, ოღონდ განსხვავებული ინტერპრეტაციებით. ქრისტიანულ ეკლესიაში მიღებული ძველი აღთქმა თითქმის მთლიანად შეესაბამება ებრაულ ბიბლიას, რომელსაც თანახი ეწოდება (ვრცლად იხ. ქვემოთ, იუდაიზმის წერილობით წყაროებში). ისლამი კი მხოლოდ მოსეს ხუთწიგნულს (თორას), დავითის ფსალმუნებსა და სახარებებს მიიჩნევს საღვთო წიგნებად. ისლამი იუდაიზმისა და ქრისტიანობის მიმდევრებს „წიგნის ხალხად“ (ანუ წმ. წერილების მქონე ხალხად) მოიხსენიებს და სწორედ ამ მიზეზით მათ წარმართებზე მაღლა მდგომად მოიაზრებს.

სამივე რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, შესაბამისად მათ მონოთეისტურ⁵ (პოლითეისტურის⁶ საპირისპიროდ) რელიგიებს უწოდებენ. აბრაამისტულ რელიგიებს გამოცხადებისეულ რელიგიებსაც უწოდებენ, რადგან მათი სწავლება საღვთო გამოცხადებაზეა დაფუძნებული – ღმერთი ადამიანს ეცხადება და თავის ნებას გადასცემს წმ. წერილის საშუალებით.

იესო ქრისტეს ისტორიულობისა და ღვთაებრიობის საკითხი სხვადასხვაგვარად განიმარტება ქრისტიანობაში, იუდაიზმსა და

4. თეოლოგია – იგივეა, რაც ღვთისმეტყველება (ბერძ. „თეოს“ – ღმერთი, „ლოგოს“ – მოძღვრება, სწავლება).

5. მონოთეიზმი – (ბერძ.) ამ სიტყვით მოიხსენიება ის რელიგიები, რომლებიც ერთი ღმერთის არსებობას აღიარებენ.

6. პოლითეიზმი – რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს; მრავალღმერთიანობა; წარმართობა.

ისლამში. იუდაიზმი და ისლამი არ აღიარებს ქრისტეს მესიად და ღვთის ძედ (ანუ ღვთაებრივი ბუნების მქონე არსებად). თუმცა ისლამი პატივს მიაგებს იესო ქრისტეს, როგორც ერთ-ერთ უდიდეს წინასწარმეტყველს, მაგრამ არა როგორც კაცობრიობის მხსნელს, როგორც ეს ქრისტიანობაშია მიღებული.

სამივე რელიგიას ბევრი აქვს საერთო როგორც წარმოშობის ადგილის, ასევე ძირითადი თეოლოგიური წარმოდგენების თვალსაზრისითაც.

XX ს-ის მეორე ნახევრიდან აბრაამიტულ რელიგიებს შორის (ისევე როგორც სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის) აქტიური საღვთისმეტყველო დიალოგი მიმდინარეობს.

2. ებრაელი ერისა და იუდაიზმის წარმოშობა

იუდაიზმი პირველ მონოთეისტურ რელიგიად ითვლება აბრაამიტულ რელიგიებს შორის. მას ზოგჯერ მოსეს რელიგიას, მოსეს რჯულსაც უწოდებენ – ებრაელთა სულიერი ლიდერის სახელის მიხედვით. სწორედ მას გადასცა უფალმა ათი მცნება სინას მთაზე, რომელიც შემდგომ იუდაიზმის საფუძველი გახდა.

იუდაიზმის ჩამოყალიბების ისტორიაში შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ეტაპი:

უძველესი პერიოდი – იაჰვეს კულტთან დაკავშირებული მონოთეიზმის ჩამოყალიბება აბრაამის გამორჩევითა და ისრაელთან უფლის მიერ აღთქმის დადებით. ეს პერიოდი დაახლოებით ძვ. წ. XV-XIV სს-დან იწყება.

შემდეგი ეტაპია – ე.წ. პალესტინური პერიოდი, რომელიც საკუთარ თავში ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის პერიოდსაც მოიცავს. ამ დროს იწყებს ჩამოყალიბებას იუდაური რელიგიური ტრადიცია. ამ ტრადიციის მატარებლები იყვნენ იუდაური ტაძრის მსახურები და წინასწარმეტყველები. ამ პერიოდში უქმდება ისრაელში ყველა სხვა წარმართული ღვთაების თაყვანისცემის ადგილი, რაც მათი მსახურების – ქურუმების⁷ ამოუღებელი მთავრდება. ამასთან ებრაელთა ცხოვრების წეს-ჩვეულებითი და სამართლებრივი დადგენილებები მკაცრად იქნა

7. ქურუმი – წარმართული საკულტო ნაგებობების მსახური.

განსაზღვრული. პალესტინური პერიოდი მთავრდება ბაბილონის იმპერიის აგრესიით იუდეის სამეფოს წინააღმდეგ. ძვ. წ. 586 წელს იერუსალიმის დაპყრობით, ტაძრის დანგრევით და ებრაელთა ტყვედ წაყვანით. სინაგოგები ამის შემდგომ წარმოიშვა, რომლებიც წარმოადგენდნენ როგორც სამლოცველო სახლებს, ასევე ებრაელთა ეთნიკური კულტურის ცენტრებსა და ზოგადად მათ შემაკავშირებელ დაწესებულებებს.

მესამე პერიოდს უწოდებენ „ტყვეობის შემდგომ“, უფრო ხშირად კი „მეორე ტაძრის ხანას“, რომელიც იწყება ძვ. წ. 538 წელს ბაბილონის ტყვეობიდან იუდეველთა გათავისუფლებით და იერუსალიმის ტაძრის აღდგენით. ეს ხანა მთავრდება რომაელთა მიერ პალესტინის დაპყრობითა და იერუსალიმის ტაძრის მეორედ დანგრევითა და პალესტინიდან ებრაელთა განდევნით მთავრდება ახ. წ. 70 წელს.

იუდაური რელიგიის ჩამოყალიბების ისტორია მთავრდება ე.წ. „დიასპორის პერიოდით“ ახ. წ. I-V სს-ებში. რომის იმპერიის სხვადასხვა მხარეში გაფანტული ებრაელები აფუძნებენ სინაგოგებს. ამ პერიოდში ყალიბდება რაბინთა ინსტიტუტი და სრულდება თალმუდის ჩამოყალიბებაც.

ქვემოთ გთავაზობთ ებრაელი ერის ისტორიის მოკლე თხრობას, რომელშიც მხოლოდ მთავარი მოვლენები იქნება ასახული. უფრო დეტალურად ებრაელი ერის ისტორიას შეგიძლიათ გაეცნოთ ბიბლიის პირველ წიგნებში.

2. 2. აბრაამიდან მსაჯულთა ხანამდე

ბიბლიური ტრადიციის თანახმად, ებრაელ ერს დასაბამი აბრაამმა დაუდო. ბიბლიის პირველ წიგნში, რომელსაც „დაბადება“ ეწოდება, მოთხრობილია როგორ გამოეცხადა ღმერთი აბრაამს და როგორ მოუწოდა მშობლიური ქალაქის „ურის“ (შუამდინარეთი) დატოვება, სადაც აბრაამი წარმართებს შორის ცხოვრობდა. აბრაამს ღმერთი მოუწოდებს ქანაანის მიწაზე გადასახლება (მოგვიანებით ქანაანის სამხრეთ ნაწილს იუდეას უწოდებენ, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილს ისრაელს).

აბრაამი თავისი ოჯახით მიემგზავრება ქანაანისკენ. იგი მთელი თავისი არსებით ღმერთზეა მინდობილი და მის ყველა მითითებას ასრულებს. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამგვარი მორჩილი (მიმდობი) ხასიათის გამო ირჩევს უფალი აბრაამს. უფალი ალთქმას⁸ დებს, რომ ქანაანის მიწას აბრაამის შთამომავლობა დაიმკვიდრებს.

აბრაამს ორი შვილი, ისაკი და ისმაელი ჰყავდა. როგორც ებრაული, ისე არაბული გადმოცემით, ისაკი ებრაელთა წინაპრად არის მიჩნეული, ხოლო ისმაელი არაბების წინაპრად. თვით ისაკსაც ორი შვილი ჰყავდა: ესავი და იაკობი. მათ შემდეგ ბიბლია მოგვითხრობს იაკობის 12 შვილზე, განსაკუთრებით კი იოსებზე, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად გაყიდეს. შედეგად იოსები ეგვიპტეში აღმოჩნდება, სადაც მნიშვნელოვანი პიროვნება – ეგვიპტის ფარაონის თანაშემწე ხდება. როდესაც ქანაანსა და მიმდებარე ქვეყნებში ძლიერი გვალვის გამო საყოველთაო შიმშილობა იწყება, ყველა ქვეყნიდან ცდილობენ ეგვიპტეში წასვლას ხორბლის შესაძენად. ხორბლის მარაგი კი იოსებმა ეგვიპტეში, ღვთის შთაგონებით, შიმშილობის დაწყებამდე მოაგროვა. შვილებთან ერთად მოხუცი იაკობის მიემართება ეგვიპტეში. თავიდან ძმები ვერ ცნობენ იოსებს, მაგრამ იოსები თავად გაუშლავნებს მათ თავს. იგი შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს ძმებს: „ნუღარ იწუხებთ და ნურც თავს გაიკიცხავთ, აქ რომ გამყიდეთ, თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად გამომგზავნა ღმერთმა“ (შესაქ. 45:5).

იოსების გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ტახტზე ახალი ფარაონი ადის, ებრაელთა მდგომარეობა რთულდება. ამ დროისთვის ებრაელები საკმაოდ მომრავლებულნი იყვნენ ეგვიპტეში. ახალმა ფარაონმა მათი მძიმე შრომით დათრგუნვა განიზრახა. მაგრამ რაც უფრო მეტად ჩაგრავდნენ და ავიწროვებდნენ, მით უფრო მეტად მრავლდებოდნენ ებრაელები. მაშინ ფარაონმა ყოველ ებრაულ ოჯახში გაჩენილი ვაჟის მოკვლა ბრძანა. ღვთის განგებით სწორედ ამ ვითარებაში გადაურჩა ახალდაბადებული მოსე სიკვდილს. ღმერთი სწორედ მოსეს ავალებს ებრაელების გამოყვანას ეგვიპტიდან. სასწაულებისა და სხვადასხვა დაბრკოლებების გადალახვით ებრაელები საბოლოოდ თავს აღწევენ ეგ-

8. ალთქმა – ანდერძი, პირობა, ხელშეკრულება.

ვიპტეს. შუა გზაზე, სინას მთასთან, ღმერთი (მოსეს მეშვეობით) ებრაელებს ორი ფიქლის ქვაზე დაწერილ ათ მცნებას აძლევს. მას ათავსებენ ერთგვარ სკივრში, რომელსაც „ალთქმის კიდობანი“ ეწოდა. სწორედ ეგვიპტიდან გამოსვლას უკავშირდება ებრაელთა მთავარი დღესასწაული – პასეჟი (იხ. ქვეთავი „დღესასწაულები“).

2. 3. მსაჯულთა ხანა

ქანაანის მიწაზე დამკვიდრების შემდგომ ებრაელი ერი თორმეტ დამოუკიდებელ ნაწილად დაიშალა, რომლებმაც დაკარგეს ეროვნული ერთობის შეგნება. ამასთან დავიწყებას მიეცა ჭეშმარიტ რელიგიად მიჩნეული მოსეს რჯულიც, რომელიც სხვადასხვა ცრურწმენებმა და კერპთაყვანისმცემლობამ ჩაანაცვლა.

„ებრაელი ერის ისტორიაში ძვ. წ. 1200-დან 1020 წლამდე პერიოდი ცნობილია „მსაჯულთა ეპოქის“ სახელით. ეს პერიოდი საულის გამეფებით დასრულდა. მსაჯული ამა თუ იმ ტომიდან გამოსულ ბელადს ეწოდებოდა, რომელიც მათ მეთაურობდა მტრებთან ბრძოლაში. მსაჯულთა პერიოდში ერთიანი ხელისუფლების (მმართველობის) არარსებობამ გამოიწვია სრული თავაშვებულობა და დაქსაქსულობა ებრაელთა შორის. როგორც მსაჯულთა წიგნი მოგვითხრობს, „ამ დროს მეფე არ ჰყავდა ისრაელს და ვისაც როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა“ (მსაჯ. 21:25). ამრიგად, ებრაელთა პირველი მეფის, საულის გამეფებამ, მართალია დროებით, მაგრამ ბოლო მოუღო ტომობრივ დაქსაქსულობას.“

*Очерк Истории Еврейского Народа. Ред. III. Еттингер,
Библиотека-Алия, 1979, გვ. 56*

მსაჯულები ძალაუფლებასა და მეთაურობის უფლებას სიკვდილამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა იგი არ იყო მემკვიდრეობითი (განსხვავებით ებრაელთა მღვდლობის წესისგან, რომლებიც აუცილებლად მოსეს ძმის, აარონის შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ). იმისათვის, რომ ადამიანი ებრაელთა მსაჯული გამხდარიყო,

რიყო, მას გარკვეული ღირსებებიც უნდა ჰქონოდა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მის წარმომავლობასა თუ სოციალურ სტატუსს (მაგალითად, მსაჯული იეფთაე მეძავის ნაშობი იყო და, როგორც ბიბლია ამბობს, „მის გარშემო უღირს ხალხს მოეყარა თავი და დათარეშობდა მათთან ერთად“ (მსაჯ. 11:3). თუმცა იგი უფლის ნებით ებრაელთა მსაჯულად იქნა დადგენილი). ებრაელებს სულ 12 მსაჯული ჰყავდათ, მათ შორის იყვნენ ქალი მსაჯულებიც, მაგალითად, დებორა.

2. 4. ებრაელთა გაერთიანებული სამეფო

ძვ. წ. XI ს-ის შუა ხანებში ებრაულ ტომთა მმართველობაში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. ამ პერიოდში იუდეველებს ფილისტიმელებთან აქვთ სისტემატური ბრძოლები. ჰქონდათ რა უპირატესობა შეიარაღებისა და საბრძოლო ორგანიზების თვალსაზრისით, ფილისტიმელებმა ჯერ იუდეის ნაყოფიერი მიწები დაიპყრეს, შემდეგ ებრაელი ტომების კუთვნილი სხვა მიწებიც. ისრაელის ტომებმა ფილისტიმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანება სცადეს, მაგრამ არა მხოლოდ წარმატებას ვერ მიაღწიეს მათთან ბრძოლაში, არამედ მტრებმა მათი მთავარი სიწმინდე – აღთქმის კიდობანიც კი გაიტაცეს. ეს ბრძოლა, რომლის შედეგადაც ისრაელის დიდი ნაწილი განადგურდა, ებრაელთა მიერ აღქმულ იქნა როგორც ეროვნული კატასტროფა.

ებრაელები დაჟინებით ითხოვენ საკუთარი მსაჯულისგან, სამუელისგან მეფის დადგენას, სხვა ერების მსგავსად. მაგრამ „არ მოეწონა სამუელს ეს მოთხოვნა...“ (1 მეფ. 8:6). შეწუხებულ სამუელს კი უფალი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ“ (1 მეფ. 8:7).

სამუელი მეფობასთან დაკავშირებით შემდეგი სიტყვებით აფრთხილებს ხალხს: „ეს უფლებები ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე. წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დააყენებს, და ირბენენ მისი ეტლების წინ. დააყენებს მათ ათასისთავებად და ორმოცდაათისთავებად, თავისი მინდვრების მხვნელებად

და თავისი სამკლის მომკვლეზად, თავისი საბრძოლო სა-
ჭურველისა და ეტლების მკეთებლებად. აიყვანს თქვენს
ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და ხაზაზე-
ზად. წაიღებს თქვენს საუკეთესო მინდვრებს, ვენახებსა
და ზეთისხილის ბაღებს და თავის მსახურებს დაურიგებს.
მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და
თავის საჭურისებს და მსახურებს დაურიგებს. წაგართ-
მევთ საუკეთესო ყმებს, მხეველებს, მსახურ ბიჭებს, სახედ-
რებსა და თავის საქმეზე ამსახურებს. წაიღებს მეათედს
თქვენი ფარებიდან და თქვენ მისი მონები გახდებით. მაშინ
მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, მაგრამ არ
მოგისმენთ უფალი. არ დაუჯერა ხალხმა სამუელს. თქვეს:
არა და არა, მეფე უნდა გვესვას. ჩვენც ისეთები უნდა ვი-
ყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან“

ბიბლია, 1 მეფეთა წიგნი, 8:11-19

სხვათა შორის, ებრაელებმა სამუელამდეც მოინდომეს მეფის
ყოლა. ერთხელ მსაჯულ გედეონს, ხალხმა ასეთი სიტყვებით მი-
მართა: „იბატონე შენ ჩვენზე, შენმა შვილმაც და შენმა შვილიშ-
ვილმაც“ (მსაჯულობა კი არ იყო მემკვიდრეობითი). სხვა სიტყვე-
ბით რომ ვთქვათ, ხალხმა გედეონს მეფედ გახდომა და სამეფო
დინასტიის შექმნა შესთავაზა. მსაჯულმა ეს წინადადება არ მი-
იღო: „არა, მე ვერ ვიმეფებ თქვენზე, უფალმა უნდა იმეფოს თქვენ-
ზე!“ (მსაჯ. 8:22-23).

საბოლოოდ, ებრაელთა პირველ მეფედ არჩეულ იქნა მხე-
დართმთავარი საული (დაახლ. 1020-1000). საულის მეფობა ფი-
ლისტიმელთა წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლების პერიოდია.
მან მოახერხა ისრაელის ცენტრალური ნაწილის განთავისუფლე-
ბა ფილისტიმელთაგან. თუმცა საულის სიკვდილის შემდეგ ფი-
ლისტიმელებმა კვლავ დაიპყრეს ისრაელის დიდი ნაწილი. ქვეყანა
იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც ეს საულამდე იყო.

საულის სიკვდილის შემდეგ იუდას ტომმა თავის მეფედ
მწყემსი დავითი აირჩია (იხ. 2 მეფ. მე-2 თავი). დანარჩენები კი
საულის შვილს, იშბოშეთს დაემორჩილნენ (2 მეფ. 2:8-9). თუმცა
შვიდი წლის შემდეგ დავითი არა მხოლოდ იუდეის, არამედ ისრა-

ელის მეფეც გახდა (2 მეფ. 5:1). ცნობილია ბიბლიური ისტორია დავითის მიერ ფილისტიმელი გოლიათის დამარცხების შესახებ.

მეფე დავითის (დაახლ. 1000-961) წინაშე იგივე ამოცანები დადგა, რაც თავის დროზე საულის წინაშე იდგა: ისრაელიანთა გაფანტული ტომების გაერთიანება და ქვეყნის სრული განთავისუფლება მტრებისგან.

დავითის განსაკუთრებულ მიღწევას წარმოადგენდა იერუსალიმის განთავისუფლება, რომელიც მან ისრაელის გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა. დავითმა აღთქმის კიდობნის იერუსალიმში გადმოტანით რელიგიურ ცენტრადაც აქცია ეს ქალაქი.

მეფე დავითი დაახლ. ძვ. წ. 961 წელს გარდაიცვალა. იგი ისტორიაში ებრაელთა სანიმუშო მეფისა და ეროვნული გმირის სახელით შევიდა. თუმცა თავად ბიბლია მოგვითხრობს მის მიერ ჩადენილ ზოგიერთ უმძიმეს დანაშაულზე (ცოდვაზე). მაგალითად, დავითმა თავისი ერთ-ერთი სარდალი, ურია ხეთელი ომში განზრახ მოაკვლევინა, რათა მისი ლამაზი ცოლი, ბერსაბე თავად შეერთო. ბიბლია მოგვითხრობს თუ როგორ ამხილა ნათან წინასწარმეტყველმა ამ ცოდვაში დავით მეფე (იხ. ქვემოთ). როგორც ებრაული ტრადიცია გადმოგვცემს, შემდგომში დავითმა ამ და სხვა შეცოდებების გამო ფსალმუნებშიც გამოხატა თავისი ღრმა სინანული.

„მიუგზავნა უფალმა დავითს ნათან წინასწარმეტყველი და ისიც მივიდა მასთან და უთხრა: ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, მდიდარი და ღარიბი. მდიდარს უამრავი ცხვარი და ძროხა ჰყავდა. ღარიბს კი არაფერი გააჩნდა პატარა ბატკნის გარდა, რომელიც ნაყიდი ჰყავდა. კვებავდა და ზრდიდა თავისთან, თავის ბავშვებთან ერთად. მის ლუკმას ჭამდა, მისი თასიდან სვამდა, მის უბეში ეძინა. როგორც ქალიშვილი, ისე ჰყავდა. ეწვია ერთხელ ვინმე მგზავრი მდიდარ კაცს. ვერაფერი გაიმეტა თავისი ცხვარძროხიდან დასაკლავად, რომ გამასპინძლებოდა თავის სტუმარს. ადგა და წამოიყვანა ღარიბი კაცის ბატკანი და გაუშვადა ხორცი სტუმარს. დიდად განრისხდა დავით მეფე ამ კაცზე და უთხრა ნათანს: უფალს ვფიცავ, სიკვდილის

ღირსია ამის გამკეთებელი. უთხრა ნათანმა დავითს: შენ ხარ ის კაცი... რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და ბოროტება ჩაიდინე მის თვალში?“

ბიბლია, მეორე მეფეთა წიგნი, 12:1-9

ისრაელის გაერთიანებული სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ადის მეფე დავითის შვილი, სოლომონი (961-922). სოლომონი ინარჩუნებდა მეზობელ ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობებსა და შემოერთებულ ტერიტორიებს. სოლომონის მეფობა ცნობილია მასშტაბური მშენებლობებით. მან გრანდიოზული ტაძარი და სამეფო სასახლე ააგო იერუსალიმში. ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით აშენდა თავდაცვითი ხასიათის ნაგებობები. მეფე სოლომონი ისტორიაში შესულია სოლომონ ბრძენის სახელით, რადგან, როგორც ბიბლია მოგვითხრობს, სოლომონს უფლისთვის არაფერი უთხოვია, გარდა სიბრძნისა.

„უთხრა სოლომონმა უფალს: მიანიჭე შენს მორჩილს გამგები გული, რათა განავსო შენი ერი, რომ სიკეთე გააჩიოს ბოროტებისგან; რადგან ვის შეუძლია განავსო შენი ერი, ესოდენ მრავალრიცხოვანი? მოეწონა უფალს სოლომონის სათხოვარი. უთხრა მას ღმერთმა: იმის გამო, რომ მთხოვე ეს და არ მოითხოვე შენთვის ხანგრძლივი სიცოცხლე, არ მოითხოვე სიმდიდრე, არ მოითხოვე შენი მტრების სული, არამედ გონიერება მთხოვე სამართლის გასაკითხავად. აჰა, მომინიჭებია შენთვის ბრძენი და გონიერი გული, ისე რომ შენი მსგავსი არც შენამდე ყოფილა სადმე და არც შენს შემდეგ გამოჩნდება. რაც არ გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრესაც, დიდებასაც, ისე რომ ვიდრე ცოცხალი ხარ, არავინ იქნება მეფეთა შორის შენი მსგავსი.“

ბიბლია, მესამე მეფეთა წიგნი 3:9-13

ბიბლიაში მოყვანილი სოლომონის სიბრძნის ყველაზე ცნობილი მაგალითი შემდეგია:

„(...) თქვა მეფემ: ეს ქალი ამბობს ჩემი შვილიაო ცოცხალი, შენი შვილი მკვდარიაო. მეორე ამბობს: არა შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილიაო ცოცხალი. თქვა მეფე სო-

ლომონმა: მახვილი მომიტანეთ. მიართვეს მახვილი მეფეს. თქვა მეფემ: ორად გაჭერით ცოცხალი ბავშვი. ერთი ნახევარი ერთ ქალს მიეცით, მეორე ნახევარი – მეორეს. უთხრა ქალმა, ცოცხალი ბავშვის დედამ მეფეს, რადგან გულღვიძლი დაეწვა თავისი შვილის გამო: ოჰ, ჩემო ბატონო! ოღონდ ნუ მოკლავთ და მიეცით მაგას ცოცხალი ბავშვი! მეორე ამბობდა: ნურც მე მერგება, ნურც შენ. გაჭერით! ადგა მეფე და თქვა: ამას მიეცით ცოცხალი ბავშვი, ნუ მოკლავთ. ეს არის მისი დედა. გაიგო მთელმა ისრაელმა განაჩენის ამბავი, მეფემ რომ გამოიტანა და შეეშინდათ მეფისა, რადგან დაინახეს, რომ ღვთის სიბრძნე იყო მასში.“

ბიბლია, მესამე მეფეთა წიგნი 3:23-28

თუმცა, მიუხედავად ამგვარი შარავანდედისა, რომლითაც იგი ხალხის მესხიერებას შემორჩა, ბიბლიური თხრობა მის დანაშაულად მიიჩნევს ისრაელში კერპთაყვანისმცემლობის დამკვიდრებისთვის ხელშეწყობას, რომელიც შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: სოლომონს შვიდასი ცოლი და სამასი ხარჭა ესვა (3 მეფ. 11:3), რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჰყავდა მოყვანილი, მაგრამ კერპების თაყვანისცემისკენ ებრაელთა მიდრეკის საშიშროების გამო უფალი ებრაელებს უკრძალავდა წარმართ ქალებზე დაქორწინებას. როგორც მოსალოდნელი იყო ეს სიტყვები სოლომონზე აღსრულდა: „მიდრიკეს მისი გული ცოლებმა უცხო ღმერთებისკენ (...) უკეთურებას სჩადიოდა სოლომონი უფლის თვალში“ (3 მეფ. 11:4-6). სოლომონმა იმ კერპებს, რომლებსაც მისი ცოლები ეთაყვანებოდნენ, სამსხვერპლოებიც კი აუგო საკუთარი სამეფოს ტერიტორიაზე.

„სოლომონი ორსახოვან ფიგურად აღიბეჭდა ერის შეგნებაში. ერთის მხრივ, ბრძენ, სამართლიან ადამიანად და იერუსალიმის გრანდიოზული ტაძრის ამგებად, მეორეს მხრივ კი, სასტიკ მჩაგვრელად, თავნება და უცხო ღმერთების თაყვანისმცემელ მეფედ. როგორც ჩანს, მისი მმართველობის დადებითი მხარე მოგვიანებით შეაფასეს. თვით სოლომონის სიცოცხლეში კი ბევრი ხედავდა მასში ტირანს...“

А. Мень. Магизм и Единобожие. М., 2004, გვ. 525

განურისხდა უფალი სოლომონს და უთხრა: „იმის გამო, რომ ასე იქცევი, არ ასრულებ ჩემს აღთქმასა და წესებს, გამოგლევჯ სამეფოს და მივცემ შენს მორჩილს. ოღონდ შენს სიცოცხლეში არ გავაკეთებ ამას მამაშენის, დავითის გულისთვის, შენს შვილს კი გამოგლევჯ ხელიდან. მაგრამ მთელს სამეფოს არ გამოგლევჯ, ერთ შტოს შენს შვილს დავუტოვებ, დავითის, ჩემი მორჩილის გულისთვის...“ (3 მეფ. 11:11-13).

მართლაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ სოლომონის შვილის, რობოამის მეფობის დროს დაიწყება შიდა განხეთქილება ებრაელთა შორის, რაც იმით დასრულდება, რომ სოლომონის ძეს მხოლოდ იუდასა და ბენიამენის ტომზე შერჩება მეფობა, მაგრამ ბენიამენის ტომი ისეთი მცირერიცხოვანი იყო, რომ იგი ბიბლიაში არც იხსენიება.

2. 5. ებრაელთა სამეფოს ორ ნაწილად დაყოფა და მათი დაცემა

სოლომონის გარდაცვალების შემდგომ, მისი ძე, რობოამი ადის სამეფო ტახტზე. თავის დროზე სოლომონმა გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა იუდას ტომს: ის გაანთავისუფლა იმ გადასახადებისგან, რომლებიც ისრაელის ყველა დანარჩენ ტომს ჰქონდა დაკისრებული სახელმწიფო ხაზინის შესავსებად. ამგვარი პოლიტიკა არც მისმა შვილმა შეცვალა. ამის გამო „შემოეცალა“ რობოამს ხალხი და შედეგად მხოლოდ იუდასა და ბენიამენის ტომზე მეფობა შემორჩა. დანარჩენმა ტომებმა თავის მეფედ იერობოამი გამოაცხადა. ეს მოხდა ძვ. წ. 922 წელს.

ამრიგად, დანარჩენმა ათმა ტომმა ჩრდილოეთით საკუთარი დამოუკიდებელი სამეფო ჩამოაყალიბა, რომელსაც ხშირად ისრაელი ეწოდებოდა (ზოგჯერ იგი სამარიის სამეფოდაც იხსენიება). სამხრეთში კი, იუდასა და ბენიამენის ტომისგან შემდგარ სამეფოს, იუდეა ეწოდა.

„ბაბილონის ტყვეობის დროს (ძვ. წ. VI ს.) ებრაელი ერის თვითშეგნების გადარჩენაში მთავარი როლი მღვდლებმა და წინასწარმეტყველებმა შეასრულეს. ებრა-

ელეები მათი ქადაგებებით საზრდოობდნენ. ქადაგებების მთავარი აზრი კი ებრაელებისთვის იმის შეხსენება იყო, რომ ისინი აუცილებლად დაბრუნდებოდნენ აღთქმულ მიწაზე. წინასწარმეტყველთა სწავლების თანახმად მთავარი არა მსხვერპლის (საკლავის) შეწირვა იყო უფლისთვის, არამედ შინაგანი სიწმინდე და სამართლიანობა, რომლის იგნორირებამაც შედეგად მწარე გაკვეთილი მოუტანა ებრაელებს – იერუსალიმის ტაძრის დანგრევა და ტყვეობა.“

*Б. Чилтон. Иудаизм // Иисус и Евангелие.
Словарь. М., 2003, гл. 316*

ჩრდილოეთ სამეფოს, ისრაელის მეფემ, იმის შიშით, რომ იერუსალიმში (რომელიც იუდეის დედაქალაქი იყო), სოლომონის ტაძარში მსხვერპლშეწირვისთვის და რელიგიური რიტუალებისთვის რეგულარულად სიარულის შემთხვევაში მის მიმდევრებს გული არ მიბრუნებოდათ მეფე რობოამ სოლომონის ძის მიმართ, იერობოამმა ორი ოქროს ხზო ჩამოასხა და ისრაელიანებს განუცხადა: ნუღარ ივლით იერუსალიმში, ესენი არიან თქვენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს.

ეს კი აშკარა კერპთაყვანისმცემლობის შემოღებას ნიშნავდა. მეფის ამ ცოდვის გამო ბიბლიაში ნათქვამია: „გასწირავს უფალი ისრაელს იერობოამის გამო“ (3 მეფ. 14:16). სასჯელი გულისხმობდა ისრაელის, როგორც სამეფოს დაცემასა და განადგურებას.

„როდესაც რაბი იოჰან ბენ ზაკაიმ ახ. წ. 70 წელს რომაელთა მიერ დანგრეული ტაძრის ხილვის გამო მტირალი თავისი მოწაფე იხილა, ჰკითხა: „შვილო, რატომ ტირი?“ მოწაფემ უპასუხა: „ამ ტაძრის წყალობით მიეტევებოდა ცოდვები მთელს ისრაელს, ახლა კი დანგრეული და გაჩანაგებულია. ნუთუ არ უნდა ვტიროდე ამის გამო?“ მიუგო მას ბენ ზაკაიმ: „დაე, ნუ იქნება ეს შენთვის საწუხარი, შვილო ჩემო, რადგან სხვა საშუალებაც გვაქვს ცოდვათა მიტევებისთვის, რომელიც ისევე ქმედითია, როგორც ტა-

ძარში აღვლენილი მსხვერპლშეწირვა. ეს არის კეთილი საქმენი (deeds of loving kindness)..“

Jacob Neusner. The Way of Torah: An Introduction to Judaism. London 2002, p. 5

მართლაც, ღვთის განგებით, ძვ. წ. 722 წელს ისრაელს იპყრობს ასურეთის მეფე, სალმანასარი, რომელმაც სამეფოს მკვიდრნი ასურეთში გადაასახლა, მათ ნაცვლად კი ისრაელში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩაასახლა ხალხი (4 მეფ. 17:24). ამრიგად, ისრაელი ასურეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გადაიქცა.

დაახლ. 150 წლის შემდეგ, ურჯულოებისა და საკუთარი მეფეების მიმართ ურჩობის გამო, იუდეაც იგივე ბედს იზიარებს: „თქვა უფალმა: იუდეასაც მოვიშორებ ჩემგან, როგორც ისრაელი მოვიშორე, არად ჩავადებ ქალაქ იერუსალემს“ (4 მეფ. 23:27). ძვ. წ. 586 წელს, ორწლიანი ალყის შემდგომ იერუსალიმს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი იღებს, რომელმაც დაანგრია და გადაწვა იერუსალიმში „უფლის სახლი და მეფის სახლი“ (4 მეფ. 25:9), ანუ სოლომონის ტაძარი და სამეფო რეზიდენცია. იუდეის მოსახლეობა ბაბილონში წაასხეს.

2. 6. წინასწარმეტყველთა ხანა

ებრაელ ერს უფალი წინასწარმეტყველთა მეშვეობით მიმართავდა. ბიბლიაში სიტყვა „წინასწარმეტყველი“ ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც წინასწარმეტყველის, წინასწარმეტყვერების და ასევე როგორც შუამავლის გაგებით. უფრო ხშირად ეს სიტყვა შუამავლის მნიშვნელობით გამოიყენება. ამ გაგებით იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, წინასწარმეტყველნი აბრაამი, ნოე, მოსე, სამუელი და ელია (ასევე, მაგალითად, მუჰამედს სწორედ შუამავლის მნიშვნელობით ეწოდებოდა წინასწარმეტყველი).

წინასწარმეტყველები არ წარმოადგენდნენ უფლის ხელში მხოლოდ მექანიკურ იარაღს. ისინი ინარჩუნებდნენ საკუთარ ინდივიდუალურ თვისებებსა და მახასიათებლებს სულიწმინდის შთაგონებით წინასწარმეტყველებების წარმოთქმის დროს. სწორედ ამის გამო მათი მსჯელობები სხვადასხვა ფორმითა და სტი-

ლით არის გადმოცემული, იქნება ეს უბრალო პროზაული ენა თუ ორატორობისა და პოეტურობის მწვერვალი.

საღვთისმეტყველო პრინციპების თანახმად, ჭეშმარი-
ტი წინასწარმეტყველება შემდეგი კრიტერიუმებით ფას-
დება:

(1) შინაარსი. წარმოთქმული წინასწარმეტყველება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ბიბლიურ სწავლებას-თან, რადგან ღმერთი ერთია და არ შეიძლება იგი საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდეს, თუკი ბიბლიაც და მოცემული წინასწარმეტყველებაც ღვთის შთავონების ნაყოფია.

(2) პიროვნება. როგორც წესი, ასკეტური ცხოვრების წესი და სულიერი სრულყოფილება არ არის წინაპირობა წინასწარმეტყველური ნიჭის მიღებისთვის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ნიჭი უფლის უსასყიდლო ძღვე-
ნია, რომელსაც ადამიანი ვერასოდეს მიიღებს საკუთარი „დამსახურებით“. მნიშვნელოვანია მოცემული პიროვნების თავმდაბლობა, რადგან ასეთი ადამიანი არ ეძებს საკუ-
თარ დიდებას. მეორე პიროვნული თვისება არის მორჩი-
ლება, რომელიც თავმდაბლობიდან მომდინარეობს. როცა ერთ-ერთ ქრისტიან მისტიკოსს, წმ. ტერეზა ავილიელს სუ-
ლიერმა მოძღვარმა ურჩია, რომ არ მიექცია ყურადღება გახშირებული სულიერი ხილვებისთვის, მორიგი გამოცხა-
დებისას ტერეზამ ქრისტეს მიუგო: „მაპატიეთ, მე არ მაქვს თქვენთან საუბრის ნებართვა“, რის შემდეგ ნათქვამია, რომ ქრისტეს მოეწონა მისი ამგვარი მორჩილება მოძღვრისად-
მი.

(3) შედეგი. ქრისტეს სიტყვის თანახმად, ცხვრის ტყავ-
ში გახვეული ცრუ-წინასწარმეტყველები ნაყოფით შეიც-
ნობიან (იხ. მათ. 7:15). თუ წინასწარმეტყველებას ადამი-
ანებისთვის საზიანო შედეგები მოაქვს, მაშინ ითვლება,
რომ იგი ბოროტი ძალისგანაა. მაგრამ თუ საქმე გვაქვს კე-
თილისმყოფელ შედეგებთან (მაგ., ადამიანების რწმენაში
განმტკიცება, სასწაულებრივი განკურნება და სხვა მისთ.),
მაშინ იგი ღვთისგან მომდინარედ ითვლება. სასწაულებ-
რივი ნიშნები მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს

წინასწარმეტყველების ხასიათის განსაზღვრის დროს, განსაკუთრებით თუ, მაგ., სასწაულებრივი განკურნების ფაქტი სამედიცინო მონაცემებითაც დადასტურდა.

კრიტიკრიუმები გადმოცემულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: N. C. Hvidt. Christian Prophecy: The Post-Biblical Tradition. Oxford University Press, 2007, p. 286-7, 292-3, 293-4

ჩამოთვლილ კრიტიკრიუმებს, ჩვენის მხრივ, დავუმატებდით კიდევ ერთს: ცრუწინასწარმეტყველად ითვლება ასევე ის ადამიანი, ვინც ყოველთვის საკუთარი ხალხისთვის მოსაწონს ლაპარაკობს (რადგან წინასწარმეტყველები არასოდეს ყოფილან საკუთარ მამულში შეწყნარებულნი, როგორც ამაზე ქრისტეც მიუთითებს).

ამრიგად, წინასწარმეტყველების ნიჭი დღესაც ეძლევა ადამიანებს, თუმცა ძალზედ იშვიათად. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ღმერთი სულიწმინდის ამ ნიჭს მხოლოდ ბიბლიურ წინასწარმეტყველებს ანიჭებდა. ბიბლიის შემდგომ ეპოქაშიც ღმერთს არ შეუწყვეტია იმ ადამიანთა გონების განათლება და გასხივოსნება, რომლებიც ჭეშმარიტების ძიების სურვილით არიან ანთებულნი. ქრისტემ ყველა გულწრფელ მორწმუნეს აღუთქვა სულიწმინდის მოვლინება, რომელიც ადამიანებს „ჭეშმარიტებას ასწავლის“ და „მომავალსაც აუწყებს“ (ინ. 16:13).

2. 7. მეორე ტაძრის ხანა

სპარსეთის მეფე კიროსი (ძვ. წ. 550-529) ცნობილი იყო როგორც დამპყრობელი, მაგრამ მან სახელი გაითქვა დაპყრობილი ხალხების მიმართ ლმობიერი დამოკიდებულებით. იგი ბაბილონის იმპერიის დაპყრობას გადაწყვეტს. 539 წელს ბაბილონის აღების შემდეგ კიროსმა ებრაელ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. მეფე კიროსმა მათ აგრეთვე გამოატანა ის სატაძრო ჭურჭელი და ოქრო-ვერცხლი, რომელიც ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის ტაძრის განადგურებისას გაიტაცა.

„სპარსეთის მეფის კიროსის [ბაბილონზე] მეფობის პირველ წელს, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველ იერემიას პირით თქმული უფლის სიტყვა: „გაადვილა უფალმა სპარსეთის მეფის, კიროსის სული“. გამოაცხადა მან მთელ თავის სამეფოში ზეპირ და წერილობითაც, რომ: ასე ამბობს კიროსი, სპარსეთის მეფე: ქვეყნიერების ყველა სამეფო მომცა მე უფალმა, ცათა ღმერთმა და მანვე მიბრძანა ავუშენო მას სახლი იერუსალიმში, იუდეაში რომ არის. ვინ არის თქვენს შორის ამ ხალხიდან, ღმერთი იყოს მასთან! წავიდეს იერუსალიმში, იუდეაში და აუშენოს სახლი უფალს, ისრაელის ღმერთს“

ბიბლია, I ეზრას წიგნი 1:1-3

ბაბილონის 70 წლიანი ტყვეობის შემდგომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ებრაელები იერუსალიმში ნაბუქოდონოსორის მიერ დანგრეული ტაძრის აღდგენას შეუდგნენ. სამარიელებმა ებრაელებს დახმარება შესთავაზეს ტაძრის აშენებაში, რადგან ისინიც უფალ იაჰვეს თაყვანისმცემლებად მოიაზრებდნენ თავს იმ დროიდან, როცა ისინი ასურეთის მეფემ ჩამოასახლა ისრაელში. ებრაელებმა კი მიუგეს, რომ მხოლოდ მათ უნდა აეშენებინათ ტაძარი. სამარიელები, მართალია, წარმოშობით ებრაელები იყვნენ, მაგრამ ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები მათ არ მიიჩნევდნენ სუფთა სისხლის ებრაელებად, რადგან როდესაც ასურეთის მეფემ ისინი (ებრაელთა უმრავლესობა) ისრაელიდან გადაასახლა და ამ მიწაზე სხვა ერების ხალხები ჩამოასახლა, აქ დარჩენილი მცირერიცხოვანი ებრაელები მათ საქორწინო ურთიერთობებით შეერივნენ. გარდა ამისა, მათი რწმენაც, შებლაღუდი იყო, გარკვეული აზრით, სხვადასხვა წარმართული რწმენა-წარმოდგენებით. სამარიელები კი მათ დაერქვათ ისრაელის სამეფოს დედაქალაქ სამარიის სახელის მიხედვით.

ამის შემდეგ სამარიელები ცდილობენ ყველანაირად ხელი შეუშალონ ებრაელებს ტაძრის აშენებაში. ურთიერთობა ორ მეზობელ ხალხს შორის მტრობაში გადაიზარდა. მალე სამარიელები გარიზიმის მთაზე, რომელიც მოსეს დროიდან წმინდა მთად ითვლებოდა, საკუთარი ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. მტრობა და შუღლი საუკუნეები გრძელდებოდა. ახალი აღთქმის ეპოქა-

ში ჩრდილოეთში მიმავალი ებრაელები ამჯობინებდნენ გრძელი შემოსავლელი გზით მოევლოთ და ისე მისულიყვნენ იუდეიდან გალილეაში, ვიდრე სამარიაზე გაევლოთ. სამარიელებსა და ებრაელებს შორის ყველანაირი ყოფითი ურთიერთობა იყო აკრძალული – მისალმებაც კი (ეს იოანეს სახარებაშიც კარგად ჩანს: სამარიელი ქალი გაკვირვებულია, როდესაც ქრისტე, ანუ იუდეველი კაცი, მას ესალმება (ინ. 4:1-43).

იუდეველები სამარიელებს ნახევრად წარმართებად მიიჩნევდნენ, რადგან ისინი მხოლოდ თორას (მოსეს ხუთწიგნულს) აღიარებდნენ და უარყოფდნენ წინასწარმეტყველთა წიგნებს.

„...იზოლაციონისტური იდეოლოგია ყველაზე მეტად გამოვლინდა მღვდელ ეზრას საქმიანობაში, რომელიც ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულ ებრაელებს ხელმძღვანელობდა, ასევე ნეემიას დამოკიდებულებაში, რომელიც სპარსეთის დადგენილი კაცი იყო იუდეაში. დევნილობაში ჩამოყალიბებულმა სპეციფიკურმა მსოფლშეგრძნებამ და რელიგიური ცხოვრების ახალმა ფორმებმა მკაცრად გამიჯნა შემდგომში ებრაელები და სამარიელები ერთმანეთისგან. სპარსეთის მეფემ არტაქსერქსემ მღვდელ ეზრას იუდეაში თორის კანონების სამოქალაქო კანონებად გამოცხადების უფლება მიანიჭა. ძვ. წ. 444 წელს ეზრამ შეკრიბა ერი, რომელთა წინაშეც თორას კანონები განმარტა. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ გარშემომყოფ ერებთან დაახლოვება... წინამორბედთა საპირისპიროდ, რომლებიც კულტთან⁹ შედარებით მორალის უპირატესობაზე მიუთითებდნენ, იუდეაში დაბრუნების შემდგომ პერიოდში მოღვაწე წინასწარმეტყველნი – ზაქარია და მალაქია სატაძრო მსახურების ცენტრალურ როლზე საუბრობენ...“

Краткая Еврейская Энциклопедия, т. 7, გვ. 10

9. კულტი – რიტუალების, წეს-ჩვეულებებისა და შესაბამის ქმედებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია ზებუნებრივისადმი მსახურება.

ძვ. წ. IV-დან II ს-მდე იუდეა ბერძნული (ელინისტური) კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის. ძვ. წ. 332 წელს ალექსანდრე მაკედონელმა სხვა ტერიტორიებთან ერთად პალესტინაც დაიპყრო, რითიც ეს უკანასკნელი ელინისტური სამყაროს ნაწილად გადაიქცა.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მაკედონიიდან ინდოეთამდე გადაჭიმული უზარმაზარი იმპერია მისმა მემკვიდრეებმა დაინაწილეს, რომელთა შორის იყო ახლად წარმოშობილი პტოლემეაიოსებისა და სელევკიდების იმპერიები. ამ ორ იმპერიათა შორის პალესტინა ხან ერთი, ხან კი მეორის გავლენის ქვეშ ექცეოდა. საბოლოოდ სელევკიდებმა მოახერხეს პალესტინაზე საკუთარი ბატონობის დამყარება.

ელინიზმთან, ანუ პანთეისტური¹⁰ წარმოდგენებით გაჯერებულ ძველბერძნულ კულტურასთან ბრძოლისთვის ებრაელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. თუმცა საბოლოოდ იუდაიზმმა გაუძლო ამ შემოტევას.

იერუსალიმი ელინისტურ პოლისად¹¹ გადაიქცა. იუდეველებს აეკრძალათ თორის მოთხოვნების შესაბამისად ცხოვრება. ქვეყანაში შემოღებულ იქნა ბერძნული ყაიდის სპორტული შეჯიბრებები. იერუსალიმის უხუცესთა საბჭო (ე. წ. „გერუსია“, რომელიც სინედრიონის პროტოტიპად არის მიჩნეული) „გაწმინდეს“ იმ წევრთაგან, რომლებიც ელინისტურ ტენდენციებს უპირისპირდებოდა.

ამავე პერიოდში იერუსალიმის ტაძარში ახალი ღვთაებების თაყვანისცემის წესი შემოიღეს (...) უფრო მეტიც, 167 წლის დეკემბერში ტაძარში საკულტო პროსტიტუცია დამკვიდრდა. მთელი პალესტინის მასშტაბით აიკრძალა შაბათისა და სხვა რელიგიური დღესასწაულების დაცვა, ასევე წინადაცვეთა და იუდაური რჯულის აკრძალული/ნებადართული საკვების მიღების წესების დაცვა. ახალი კანონების დარღვევა სიკვდილით ისჯებოდა.

10. პანთეიზმი – ამ სახელით მოიხსენიება ის რელიგიური რწმენა, რომლის მიხედვითაც ღმერთი ბუნებაში მყოფობს, როგორც უპიროვნო ძალა.

11. პოლისი – ეწოდებოდა ქალაქ-სახელმწიფოს ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში.

იუდეის ელინისტურად განწყობილი არისტოკრატია სიხარულით შეხვდა ამ ცვლილებებს. როგორც ჩანს, ამ სიახლეების წინააღმდეგ პირველი ორგანიზებული დაპირისპირება ხასიდების (ებრ. „ღვთისმოშიშნი“) სახელით ცნობილმა მღვდლების ჯგუფმა წამოიწყო. მაგრამ მათ მცდელობებს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

მალე რამდენიმე ათასი ებრაელი, რომლებსაც სათავეში იუდა მაკაბელი და მისი ძმები ჩაუდგნენ, ხასიდებთან გაერთიანდნენ. მათ პირველ რიგში პალესტინის სოფლებში დაიწყეს საკუთარი ძალაუფლების დამყარება. იუდა მაკაბელის ხელმძღვანელობით ებრაულმა ჯარმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სელევკიდი მხედართმთავრები, რომლებიც ამ აჯანყების ჩახშობას ცდილობდნენ. საბოლოოდ, ებრაელები კვლავ ხდებიან საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონები. იუდამ იერუსალიმის ტაძარი კერპებისგან გაწმინდა და ტრადიციული მსხვერპლშეწირვის წესი აღადგინა (განაახლა). ამ მოვლენას ებრაელები ჰანუქას დღესასწაულით აღნიშნავენ.

ძვ. წ. დაახლ. 130 წლისთვის ხასიდთა ერთი ნაწილი ცალკე თემად ჩამოყალიბდა და ხალხმა მას ფარისევლური (არამეულად „პერუშიმ“ – „გამოყოფილი“) უწოდა. ფარისევლების გავლენა თანდათან ძლიერდებოდა. ამასთან რომთან დაპირისპირების პროცესში მათ მიმართ ებრაელთა სიმპათიაც იზრდებოდა. ყოველივე ამის შედეგად კი, ფარისევლებმა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციეს ერის სულიერი ცხოვრება.

ძვ. წ. I ს-ში ებრაელ ერს ახალი უბედურება ატყდება თავს – რომაელთა ურდოებმა პომპეუსის ხელმძღვანელობით დაიპყრო იუდეა. იუდეველთა მეფის, ჰეროდეს პრო-რომაულმა პოლიტიკამ და ებრაელთა წინააღმდეგ არსებულმა ძლიერმა სოციალურმა წნებმა ამ უკანასკნელთა რელიგიური ჯანყი გამოიწვია. აჯანყების დროს იერუსალიმის ტაძარი ახ. წ. 70 წელს მეორეჯერ შეიმუსრა, ამჯერად რომაელთა მიერ, ებრაელთა უმრავლესობა კი პალესტინიდან რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში განდევნეს.

თუმცა, რომის მხრიდან იუდეის ოკუპაციას არ მოჰყოლია ებრაელთა თვითმმართველობის სრული გაუქმება. იერუსალიმში ფუნქციონირებდა ებრაელი მღვდელმთავრებისგან, უხუცესებისგან, მწიგნობრებისგან და ქალაქის არისტოკრატის სხვადასხვა

წარმომადგენლებისგან (დაახლ. 70 წევრი) შემდგარი ერთგვარი საბჭო, რომელსაც სინედრიონს უწოდებდნენ. რომაელებს ამ სინედრიონისთვის მიცემული ჰქონდათ აშკარა ღვთისმგმობელის სიკვდილით დასჯის უფლება.

ებრაელთა ნაციონალურმა სახელმწიფომ უკანასკნელი დარტყმა იუდეველთა მეორე აჯანყების დროს მიიღო, რომელიც ბარკობას მეთაურობით მოეწყო (ახ. წ. 132-135 წწ.). იერუსალიმი მთლიანად განადგურდა. ამ დროიდან უკვე იუდაიზმი თავის არსებობას დიასპორებში განაგრძობს. სწორედ ებრაულ დიასპორაში გაფორმდა საბოლოოდ იუდაიზმის რელიგიური სწავლება და საკულტო/საღვთისმსახურო თავისებურებები იმ სახით, როგორადაც მან ჩვენამდე მოაღწია. იუდაიზმი, გარდა რელიგიისა ასევე ეროვნული თვითშეგნების სიმბოლოსაც წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ ებრაელთათვის.

2. 8. პარტიები, სექტები და მოძრაობები ადრეულ

იუდაიზმში

მეორე ტაძრის პერიოდის დასაწყისისთვის ებრაული საზოგადოების შესახებ ისტორიული ცნობები საკმაოდ მცირეა. სამაგიეროდ, გაცილებით მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება ამ პერიოდის ბოლო ნაწილზე. ამ დროს იუდაიზმი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ პერიოდის ისტორიულ წყაროებში კარგად ჩანს ფანატიკოსი იუდეველები, ზომიერად რელიგიური იუდეველები, იუდეველები სინკრეტული¹² რელიგიური წარმოდგენებითა და საერთოდ არარელიგიური იუდეველები, ამავე ეტაპზე ჩნდებიან იესოს მიმდევარი იუდეველებიც.

ამ პერიოდის იუდაიზმში არსებობდა რამდენიმე სექტა, პარტია და მოძრაობა:

სადუკეველთა პარტია. სადუკეველთა ძირითად ნაწილს სამღვდლო არისტოკრატის წრეებიდან გამოსული ადამიანები წარმოადგენდნენ. შესაბამისად მათი ინტერესები ტაძრის ფუნქ-

12. სინკრეტიზმი – გარეგნულად მაგრამ არა შინაგანად გაერთიანებული იდეათა ნარევი.

ციონირებაზე იყო ფოკუსირებული. სადუქველებს არ სწამდათ სულის უკვდავება, გარდაცვლილთა საყოველთაო აღდგენა და არ აღიარებდნენ „მამათა გადმოცემების“ ავტორიტეტს.

ფარისევლთა პარტია. ფარისევლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რიტუალურ სიწმინდეს, შაბათისა და სხვა დღესასწაულების სათანადოდ დაცვას, საკვების მიღების წინ ხელების დაბანას და სხვა მსგავსი წვრილმანი რიტუალური წესჩვეულებების აღსრულებას. დროთა განმავლობაში მათი ამგვარი სიმკაცრე და პედანტიზმი გადაიზარდა გარეგნულ, „მშრალ“ ღვთისმოსაობაში, რაც ხშირად იწვევდა იესო ქრისტეს გულისწყრომას (იხ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ლუკას სახარებაში 11:38-42).

ზილოტები (მოშურნეები). სარწმუნოების საკითხებში ზილოტები ფარისევლებთან თანხმობაში იყვნენ, მაგრამ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში მკვეთრად განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ. ამ მხრივ ისინი მეამბოხე სულის მატარებლებს ენათესავებოდნენ, რადგან რომაელთა ბატონობის დამხობას აჯანყების გზით გეგმავდნენ¹³.

მწიგნობრები. მწიგნობრები თავდაპირველად სხვა ადამიანის სიტყვის ჩამწერნი იყვნენ, მაგალითად, ბარუქი, რომელიც იერემიას წინასწარმეტყველებებს იწერდა. ახალი აღთქმის ეპოქაში კი მწიგნობრები რჯულის პროფესიონალ მცოდნეებად და განმმარტებლებად იქცნენ.

ესეველთა სექტა. ეს იყო დაჯგუფება ღვთისმსახურთა ხელმძღვანელობით, რომლებიც ემიჯნებოდნენ იერუსალიმის ტაძარს – იუდაიზმის ცენტრს. ესეველები დიდი ასკეტიზმით გამოირჩეოდნენ და ასევე საკმაოდ აპოკალიპტურად იყვნენ განწყობილნი, ელოდნენ რა ერთდროულად სამი მესიის მოსვლას (ცხებულ¹³ მეფეს დავითის შტოდან, ცხებულ მღვდელმთავარსა და ცხებულ წინასწარმეტყველს).

იოანე ნათლისმცემლის მოძრაობა. იოანე ნათლისმცემელი იყო ებრაელი წინასწარმეტყველი, რომელიც „ცათა სასუფეველის

13. ცხებული – სიტყვა „ცხებული“ ებრაულად გამოითქმის როგორც მესია („მაშიაჰ“), ხოლო ბერძნულად „ქრისტოს“.

მოახლოების“ გამო საყოველთაო სინანულის აუცილებლობას ქადაგებდა (სახარებების კომენტატორთა აზრით, იგი ქრისტეს მოახლოებულ მოსვლას გულისხმობდა).

ყარაიმთა მოძრაობა. ახ. წ. VIII ს-ში წარმოქმნილი ამ სექტის მიმდევრები უარყოფდნენ თალმუდის დადგენილებების (ანუ „მამათა გადმოცემების“) აბსოლუტურ ავტორიტეტს, უპირისპირებდნენ რა მას ებრაულ ბიბლიას – თანახს. ეს ასახულია მათ სახელწოდებაშიც – „ყარაიმ“ ნიშნავს „მკითხველს“ (წერილის მკითხველს). IX-X სს-ებიდან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდ. აფრიკაში, ებრაული კულტურის უმსხვილეს ცენტრებში ყარაიმთა მოძრაობა ავტორიტეტული და ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობაა. ყარაიმებმა საკმაოდ ვრცელი თეოლოგიური ლიტერატურა შექმნეს.

„ესეველთა დამოკიდებულება იერუსალიმის ტაძრისადმი არ იყო ერთმნიშვნელოვანი. ისინი თანხმდებოდნენ, რომ ღვთისმსახურების ცენტრი იერუსალიმი იყო, მაგრამ არ იზიარებდნენ რიტუალური სიწმინდისა და მსხვერპლშეწირვის კანონების იმ ინტერპრეტაციებს, რომლებიც ტაძრის ღვთისმსახურთა მიერ იყო შემუშავებული. ამიტომ ესეველები, მართალია, ნებაყოფლობით აგზავნიდნენ შესაწირავს იერუსალიმის ტაძარში, მაგრამ თავად მათ რიტუალებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ (...) ესეველებმა მონაწილეობა მიიღეს ახ. წ. 66-73 წლების ანტირომაულ აჯანყებაში. ბევრი მათგანი ამ ომში დაიხოცა. ამ წარუმატებელი აჯანყებისა და რომაელთა მიერ პალესტინის აღების შემდგომ ესეველები ისტორიული სცენიდან ქრებიან.“

J. Bright. A History of Israel. London: SCM Press, 1972, p. 114

2. 9. რაბინისტული იუდაიზმის წარმოშობა

ახ. წ. 70 წლის ტრაგედიის შემდეგ ებრაელთა კონსოლიდაციას ახდენენ რაბინები. სიტყვა „რაბი“ წარმოშობილია ზედსართავი სახელიდან, რომელიც ნიშნავს „დიდს“. თავდაპირველად ამ

სიტყვას მხოლოდ თავაზიანი მიმართვისთვის იყენებდნენ, ქართული „ბატონოს“, ან ინგლისური მიმართვის „სერ“ მსგავსად. თუმცა, თანდათან იგი რელიგიური ლიდერის სტანდარტულ სახელწოდებად გადაიქცა.

ამ პერიოდიდან ტაძარს სინაგოგები ენაცვლება (სინაგოგების ინსტიტუტს საფუძველი ჯერ კიდევ ბაბილონის ტყვეობაში ჩაეყარა, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისა და ტაძრის აღდგენის შემდეგ სინაგოგები დროებით წყვეტენ არსებობას. ვრცლად იხ. ქვეთავი „სინაგოგა“). თანდათანობით რაბინები ერთგვარ ნამდვილ კასტად გადაიქცნენ. ისინი, ძირითადად, ფარისეველთა წრიდან იყვნენ გამოსული. ასე ჩამოყალიბდა ჩვენთვის ნაცნობი იუდაიზმი, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდებოდა მეორე ტაძრის პერიოდის იუდაიზმისგან.

ახ. წ. 70 წლის შემდეგ იერუსალიმთან ახლოს ქალაქ იამნაში მათ ჩამოაყალიბეს რაბინისტული აკადემია. შემდგომში ბარ კობას წარუმატებელი აჯანყების შემდგომ (132-135 წწ.), რომელმაც იუდაიზმის კრიზისი უფრო გააძაფრა, რაბინისტული საქმიანობის ცენტრი იუდეიდან გალილეაში იქნა გადატანილი (ქალაქი უშა).

„ბიბლიურ ხანაში და მეორე ტაძრის პერიოდში მოქმედებდა რიტუალური სიწმინდესთან და უწმინდურებასთან დაკავშირებული კანონების მთელი სისტემა. ეს ყოველივე ეფუძნებოდა იდეას, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ნივთიერებას (რომელიც ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების შედეგად გამოიყოფა), ავადმყოფობას და ცხოველებთან შეხებას შეუძლია ადამიანი უწმინდურების მდგომარეობაში მოიყვანოს. ამ დროს ადამიანს ეკრძალებოდა ტაძართან მიახლოებაც კი. ასევე დადგენილი იყო სექსუალური ურთიერთობებისგან თავშეკავება მეუღლის მენსტრუაციული ციკლის პერიოდში. მაგრამ ადამიანის რიტუალური სიწმინდის მდგომარეობაში დაბრუნება სხვადასხვა განმწმენდ რიტუალს (კარანტინი, წმ. წყლის სხურება, თმის შეჭრა, ტანსაცმლის რეცხვა, წყალში რიტუალური შთაფლვა) შეეძლო, რის შემდეგაც მას უფლება

ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ნორმალურ ოჯახურ თუ სა-
ტაძრო ცხოვრებაში“.

*Л. Шифман. От Текста к Традиции. История
Иудаизма в Эпоху Второго Храма... გვ. 247*

III ს-დან იუდაიზმი კარგავს თავის მრავალსახოვან და პლუ-
რალისტულ ხასიათს. პალესტინელი (გალილეელი) რაბინების
მიერ შემუშავებული ნორმები რომის ხელისუფლებამ თავზე
მოახვია რომის იმპერიაში გაფანტულ ყველა ებრაელს. ებრაელ-
თა მემკვიდრეობითი მეთაური – რაბინი, რომლის რეზიდენციაც
გალილეაში იყო, რომის მიერ აღიარებულ იქნა უმაღლესი რანგის
„პატრიარქად“.

რაბინები, რომლებსაც რომი პატრიარქად ნიშნავდა, განთა-
ვისუფლებულნი იყვნენ თითქმის ყველა გადასახადისგან და ასევე
გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. გავრცელებული
აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ უბრალო ებრაელები
საკმაოდ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი რაბინების მიმართ,
უფრო მეტიც, ზოგჯერ აშკარა სიძულვილის გამოხატვასაც კი არ
ერიდებოდნენ მათი მისამართით.

3. წერილობითი წყაროები

3. 1. თანახი (ებრაული ბიბლია)

იუდაიზმის წმ. წერილის საერთო სახელწოდებაა თანახი, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. სახელწოდება „თანახ“ წარ-
მოადგენს აბრევიატურას, შედგენილს ამ სამი ნაწილის სახელწო-
დებათა პირველი ასოებისგან: თ – თორა (ანუ მოსეს რჯული), ნ
– ნაბიიმ (წინასწარმეტყველნი), ხ – ქეთუბიმ (წერილნი; „ქ“ ბგერა
„ხ“-დ იცვლება ხმოვნის შემდეგ). თუმცა იუდაიზმის სახე გამოკვე-
თა მთელმა წყებამ წიგნებისა, რომლებიც თანახის შემდგომ ჩამო-
ყალიბდა (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

თანახის პირველ ნაწილში შედის თორა, ანუ მოსეს ხუთი
წიგნი (შესაქმე, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე
რჯულის წიგნები); მეორე ნაწილში (ნაბიიმ) შედის ისუ ნავეს, მსა-
ჯულთა, მეფეთა და წინასწარმეტყველთა წიგნები; ხოლო მესამე

ნაწილი (ქეთუბიმ) მოიცავს დავითის ფსალმუნებს, იგავნის, იოზის ქებათა ქებას, რუთის, ესთერის, ეკლესიასტეს და სხვა წიგნებს.

„...დადებული აღთქმა და „რჩეული ერის“ გაგება გულისხმობს იმას, რომ ებრაელები უფლის მიერ მოწოდებული იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული მისიის აღსრულებისთვის (...) გამოსვლათას წიგნის 24:7 მუხლთან დაკავშირებული რაბინისტული კომენტარების თანახმად, თორა შეთავაზებული იქნა მრავალი ერის მიმართ, მაგრამ მხოლოდ ისრაელმა მიიღო იგი.“

С. Пилкингтон. Иудаизм. М., 2002, 36-37

როგორც ვხედავთ, ებრაული ბიბლიის ანუ თანახის ეკვივალენტს ქრისტიანულ რელიგიაში წარმოადგენს ძველი აღთქმა. მაგრამ გამოთქმა „ძველი აღთქმა“ არ გამოიყენება იუდეველთა მიერ. სიტყვა აღთქმა ნიშნავს „პირობას, შეთანხმებას“, რომლითაც აღინიშნება უფლის განსაკუთრებული ურთიერთობა ისრაელიანებთან. ქრისტიანები „ძველ“ აღთქმაზე საუბრობენ ზღვარის გავლების მიზნით უფლის მიერ იუდეველებთან დადებულ აღთქმასა და იმ აღთქმას („ახალ აღთქმას“) შორის, რომელიც ქრისტემ დადო ქრისტიანებთან. სწორედ ქრისტეს კეთილი უწყების საფუძველზე შეიქმნა ახალი აღთქმის 27 წიგნი, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, რომელიც ძველ აღთქმასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება (თუმცა ეს უკანასკნელი აგრეთვე ითვლება ქრისტიანული რელიგიის წმ. წერილად).

მაგრამ იუდეველები ახალ აღთქმას საერთოდ არ თვლიან წმ. წერილად. ისინი მას მხოლოდ ქრისტიანობის გაცნობის მიზნით კითხულობენ.

3. 2. ზეპირი თორა: თალმუდი

თალმუდი იუდაიზმის ლიტერატურულ-კანონიკური კომპლექსის კრებითი სახელია. სიტყვა „თალმუდი“ მომდინარეობს

ებრაული ფუძისგან „ლამეიდ“, რაც ნიშნავს შესწავლას. თალმუდი ორი ნაწილისგან შედგება, რომელთაც ეწოდებათ მიშნა და ჰემარა.

რაბინთა მტკიცებით, მოსემ უფლისგან ორი თორა მიიღო – ერთი წერილობითი, მეორე ზეპირი. ეს უკანასკნელი ზეპირადვე გადაეცემოდა თაობიდან თობას, სანამ მიშნაში არ ჩაიწერა (ჰემარა მხოლოდ მიშნას კომენტარებია).

მიშნა ახ. წ. II-III სს-ებში ჩამოყალიბდა. ეს სიტყვა შეიძლება ითარგმნოს როგორც „გამეორება“: მიშნა მოცულობით საკმაოდ დიდი კომპილაციაა ე.წ. „უხუცესთა გადმოცემებისა“, რომლებშიც აღწერილია თანახმის გმირების, ბრძენი უხუცესების წეს-ჩვეულებების, მათ შორის მიმდინარე კამათებისა და სხვა ამბების შესახებ. მიშნა ექვსი განყოფილებისგან შედგება, რომლებიც სულ 63 ტრაქტატს შეიცავს.

მიშნას ჩაწერისთანავე დაიწყო მის დებულებებთან დაკავშირებული განხილვები, რომელიც საუკუნეები გაგრძელდა. სწორედ ამ დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა კომენტარების კრებული, რომელსაც ჰემარა ეწოდა (იხ. ქვემოთ).

თალმუდი შეიცავს დოგმატურ, სამართლებრივ, რელიგიურ-ფილოსოფიურ თუ მორალური შინაარსის კანონებსა და წესებს. თალმუდის წერილობითი გაფორმება ახ. წ. II ს-ში დაიწყო.

„მიშნას შემდგენელი და რედაქტორი იყო რაბინი იეჰუდა ჰა-ნასი (ახ. წ. 135-217). მის შესადგენად რაბი იეჰუდამ გამოიყენა მიშნას უფრო ძველი კრებულები (...) შემდგომში იეჰუდას მოწაფეებმაც შეიტანეს მასში გარკვეული ცვლილებები და დამატებები. ჩვენამდე მოღწეულია მიშნას სამი ვარიანტი: 1. საკუთრივ ცალკე გამოცემული მიშნა; 2. იერუსალიმური თალმუდის მიშნა და 3. ბაბილონური თალმუდის მიშნა.“

Энциклопедия Иудаизма. Пер. с Иврита. Иерусалим, 1983, статья: „Мишна“

თალმუდის სტრუქტურა. „თალმუდით“ მოიხსენიება რელიგიური ტრაქტატების ორი ჯგუფი. პირველი – მიშნა, რომელიც ზეპირი თორის წერილობითი ვარიანტია. მეორე ჯგუფი ტრაქტატებისა, რომელსაც ჰემარა ეწოდება, თავად მიშნას კომენტარებია.

თალმუდში შესული ყველა კომენტარი ერთნაირად არის გაფორმებული. თავდაპირველად ციტირებულია მიწნას რომელიმე დებულება, შემდეგ კი დამოწმებულია ებრაელ რჯულის მოძღვართა მსჯელობები მის შესახებ. იურიდიული ხასიათის მსჯელობების გარდა, თალმუდი ასევე შეიცავს ეთიკურ პრინციპებს, სამედიცინო რჩევებს, ისტორიულ ცნობებსა თუ ფოლკლორულ მასალას.

3. 3. მიდრაშები

აუცილებელი იყო იმის დამტკიცება, რომ ზეპირი თორა არ ეწინააღმდეგებოდა წერილობით თორასა და ებრაულ ბიბლიას. აქ კი შეუცვლელი აღმოჩნდა მიდრაშის (ნიშნავს „განმარტებას“) ტექნიკა, რომელიც წმ. წერილში ზეპირი თორის დებულებებთან თანმხვედრი შეხედულებების ამოკითხვის საშუალებას იძლეოდა.

ამრიგად, რაბინისტული ლიტერატურის კიდევ ერთ, საკმაოდ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს მიდრაშები, რომელიც უშუალოდ ბიბლიური ტექსტის კომენტარებია (განსხვავებით ჰემარასგან, რომელიც მიწნას განმარტავს). მიდრაშები, ძირითადად, პალესტინური წარმოშობისაა.

ამგვარია რაბინისტულ იუდაიზმში ჩამოყალიბებული ლიტერატურის ზოგადი ხასიათი, რომლის კრებითი სახელია თალმუდი. მაგრამ თალმუდი ყველა იუდეველმა როდი გაიზიარა და მიიღო. მაგალითად, ყარაიმთა სექტის (იხ. ზემოთ) მიმდევრები უარყოფდნენ ყოველგვარ ზეპირ გადმოცემას და აღიარებდნენ მხოლოდ ბიბლიის ტექსტს ანუ თანახს (ებრაულ ბიბლიას).

ზეპირი ტრადიციის უარყოფამ ყარაიმები რაბინისტულ იუდაიზმთან ოპოზიციაში მოიყვანა. სპარსეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილმა ყარაიმთა მოძრაობამ შემდეგ ეგვიპტესა და სირიაშიც შეაღწია, მოგვიანებით კი ევროპაშიც გადავიდა (კონსტანტინეპოლისა და ესპანეთის გავლით).

თალმუდს ასევე არ აღიარებენ ეთიოპიელი იუდეველებიც, რომლებიც ფალაშას სახელით არიან ცნობილნი.

4. რელიგიური პრაქტიკა

რაბინებმა ვრცლად დაამუშავეს მოსეს რჯულის ზეპირი გადმოცემის ტრადიცია (იხ. ზემოთ, ორი თორის ცნების შესახებ). თანდათან რაბინების მიერ შექმნილმა კანონებმა ებრაელთა ცხოვრების უწვრილმანესი მხარეებიც კი მკაცრი რეგლამენტირების ქვეშ მოაქცია. რასაკვირველია, ყველა ამგვარი კანონი ბიბლიურ ტექსტებს უნდა დაფუძნებოდა.

4. 1. წესები საკვების შესახებ

საკვებთან დაკავშირებული კანონების ერთობლიობას ეწოდება „ქაშრუთი“, რომელიც წარმოშობილია სიტყვისგან „ქაშერ“ (ნიშნავს „სწორს“, „შესაბამისს“). დღეს სიტყვა „ქაშერით“ მოიხსენიება „ნებადართული საკვები“. აკრძალული საკვები კი მოიხსენიება სიტყვით „ტრეფა“ (ნიშნავს „დაგლეჯილს“). ტრეფა ეწოდებოდა იმ ცხოველებს, რომლებიც დაგლეჯილი იყო მტაცებელი ცხოველის მიერ, ან იყო დამხრჩვალნი. ამ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი ცხოველიც, რომელსაც ზოგადად რაიმე ფიზიკური ზიანი აქვს მიყენებული. აგრეთვე ჩლიქების მოყვანილობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. თალმუდში აკრძალულ საკვებთან დაკავშირებით არსებობს სამი ათასამდე კანონი. მათი უმრავლესობა კი, ძირითადად, ბიბლიის შემდეგ ორ ადგილს ეყრდნობა: ლევიტელთა წიგნის XI თავს და მეორე რჯულთა წიგნის XIV თავს.

„მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგარჩიეთ სხვა ერებისგან. გაარჩიეთ ერთმანეთისგან წმინდა და უწმინდური ცხოველი, წმინდა და უწმინდური ფრინველი და ნუ წაიბილწავთ თავს...“ (...) „ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა მას: გადაეცით ისრაელიანებს, აი, ეს ცხოველებია, რომლებიც გეჭმევათ ყველა პირუტყვს შორის დედამიწაზე. ყველა პირუტყვი, რომელსაც ჩლიქი გაპოხილი აქვს და იცოხნის, გეჭმევათ. მაგრამ ისინი არ გეჭმევათ, რომლებიც იცოხნიან, მაგრამ ჩლიქი არა აქვთ გაპოხილი. აქლემი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპოხელი ჩლიქი აქვს, უწმინდურია თქვენთვის. კურდღელი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპოხელი ჩლიქი აქვს, უწმინდუ-

რია თქვენთვის. თუმცა ღორი, რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს, მაგრამ არ იცოხნის, უწმინდურია თქვენთვის...”

ბიბლია, წიგნი ლევიტელთა 20:24 და 11:1-7

ებრაული რელიგიური შეგნების თანახმად, ამ კანონთა მიზანი იმის მუდმივი შესხენებაა, რომ ადამიანი ჭამს იმიტომ, რომ იცოცხლოს და არა პირიქით, როცა ადამიანი იმისათვის ცოცხლობს, რომ ჭამოს. როგორც ებრაელი ფილოსოფოსი მოსე მაიმონიდი წერს, საკვებთან დაკავშირებული კანონები ადამიანს ეხმარება „საკუთარ ვნებებზე ბატონობაში, საკუთარი სურვილების შეზღუდვაში...”

„...ღორის ხორცის, მოლუსკების ან ნებისმიერი უფარფლო და უქერცლო ზღვის არსების და ზოგიერთი სხვა სახის საკვების ჭამა აკრძალული იყო. შესაძლოა, ეს აკრძალვები სპეციფიკურ კლიმატში ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის იყო გამიზნული. ცხოველების წმინდად და უწმინდურად დაყოფა შესაძლოა სიმბოლურად მიანიშნებდა ისრაელის სხვა ხალხებისგან გამიჯვნას.“

*მ. ბაჩელიორი. ბიბლიის კარი. თბ., საქართველოს
ბიბლიური საზოგადოება, 1999, გვ. 24*

4. 2. ლოცვა

იუდაიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას იმის შესახებ, რომ ღმერთი ურთიერთობს ადამიანებთან. ამგვარი ურთიერთობის უპირველეს საშუალებად მიჩნეულია წერილობითი და ზეპირი თორის შესწავლა, რაც ღვთის გამოცხადებასთან ზიარების ტოლფასია.

იუდაური რჯული განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლოცვის გააზრებულად და შესაბამისი განწყობით წარმოთქმას.

იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვა და ლოცვა ყოველდღე აღესრულებოდა, დღისით და საღამოს. როგორც მეფეთა პირველი წიგნიდან ჩანს (8:27-30), სოლომო-

ნის ტაძარი სწორედ ლოცვისა და მსხვერპლშეწირვისთვის აიგო. დღევანდელ სინაგოგებშიც ყოველ დღეს აღესრულება ლოცვა: დილას, შუადღით და საღამოს.

ლოცვის აღსრულება ნებისმიერ ადგილას შეიძლება. იუდაური სწავლების თანახმად, წმინდად ითვლება არა ლოცვის ადგილი, არამედ ლოცვის დრო. ლოცვები აღესრულება ებრაულ ენაზე, მაგრამ თუ მორწმუნეს არ შეუძლია ძველ ებრაულად ლოცვის კითხვა, ნებადართულია უფლის წინაშე საკუთარი სიტყვებით ლოცვა, რადგან „ახლოა უფალი ყველა იმ ადამიანთან, ვინც მას ჭეშმარიტებით მოუხმობს“ (ფსალ. 144:18).

იმისათვის, რომ სინაგოგაში ღვთისმსახურება დაიწყოს საჭიროა არანაკლებ 10 მამაკაცი (არა აქვს მნიშვნელობა რამდენი ქალია ამ დროს სინაგოგაში). ლოცვითი შეკრების წინამძღვარს უწოდებენ ხაზანს ან კანტორს. თუმცა კოლექტიური ლოცვისთვის საჭიროა მასში თითოეული მლოცველის აქტიური მონაწილეობა.

*Г. Вук. Это Б-О-Г Мой. Еврейский Образ Жизни.
Иерусалим, 1997*

4. 3. სინაგოგა

სიტყვა „სინაგოგა“ ბერძნულია და ნიშნავს შეკრების სახლს, შესაკრებელ ადგილს. ათასწლეულების განმავლობაში სინაგოგა ებრაული ყოფა-ცხოვრების ძირითადი ცენტრია. მას იყენებენ როგორც ლოცვისთვის, ისე განათლების მისაღებად, საზოგადოებრივი შეკრებებისთვის და სხვა ღონისძიებებისთვის.

ებრაული რჯულის თანახმად თითოეული თემი (საკრებულო) ვალდებულია დააფუძნოს სინაგოგა. ასევე თემის თითოეული წევრი ვალდებულია მონაწილეობას იღებდეს სინაგოგის მოწყობასა და მის შენახვაში.

როგორც მიჩნეულია, სინაგოგები ებრაელთა შორის წარმოიშვა ბაბილონის ტყვეობის დროს ანუ ეერუსალიმში სოლომონის ტაძრის დანგრევის შემდგომ. ეს ბუნებრივიც არის: ბაბილონში გადასახლებული ებრაელი ლტოლვილები ცდილობდნენ შეექმნათ

ისეთი ინსტიტუტი, რომელიც გარკვეულწილად იერუსალიმის ტაძარს ჩაანაცვლებდა. ბაბილონის იმპერიაში ებრაელებს ჰქონდათ უფლება ყოველ შაბათს შეკრებილიყვნენ სინაგოგებში ლოცვისთვის და თორის შესასწავლად.

სინაგოგების ინსტიტუტი კვლავ აქტუალური ხდება რომაელთა მიერ მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.). თუკი მსხვერპლშეწირვის (საკლავის დაკვლის) რიტუალს იერუსალიმის ტაძარში ეწოდებოდა „ავოდა“ (მსახურება), სინაგოგის რიტუალს უკვე ეწოდა „ავოდა შებელევ“ – მსახურება გულისა, ანუ ლოცვა. დღეს სინაგოგებში მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღარ ტარდება.

სინაგოგებში შემორჩენილი საუკუნოვანი ტრადიციის თანახმად ქალებსა და მამაკაცებს ცალ-ცალკე ადგილები აქვთ გამოყოფილი, თუმცა დღეს რეფორმირებული და კონსერვატული იუდაიზმის სინაგოგებში ქალები და მამაკაცები ერთად სხედან.

სინაგოგა წმინდა ადგილად ითვლება. იუდაური რჯულის თანახმად სინაგოგაში აკრძალულია ჭამა-სმა, ძილი, ვაჭრობა და სხვადასხვა ყოფა-ცხოვრებით საკითხებზე საუბარი. მასში აკრძალულია ფულზე ლაპარაკი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ქველმოქმედებას ან ტყვეთა დახსნას.

„იუდაიზმში სამღვდლოება (ქრისტიანული გაგებით) არ არსებობს. მღვდლებს უწოდებენ მოსეს ძმის, აარონის შთამომავლებს. როგორც წესი, ისინი ატარებენ „კოგანის“, „კაგანის“, „კაც“-ის და ზოგიერთ სხვა გვარს. ტაძრის პერიოდში მხოლოდ მათ შეეძლოთ მსხვერპლშეწირვის აღსრულება. ტაძრის დანგრევის შემდეგ კი მღვდლის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ახლა ისინი ღვთისმსახურების დროს ლოცავენ მორწმუნეებს, ასევე სინაგოგაში თორის წასაკითხად პირველად მღვდლებს მოუწოდებენ.

რაბინები კი რეალურად დაქირავებული მსახურები არიან იუდაურ საკრებულოებში და არ ითვლებიან მღვდლებად. მათი ავტორიტეტი ეფუძნება მათ განათლებასა და იმ უფლებამოსილებას, რომელსაც მას საკრებულო ანიჭებს. არ არსებობს არცერთი რიტუალი, რომელშიც რაბინი რაიმე განსაკუთრებულ როლს ასრულებდეს (...)

ებრაულ თემებში რაბინთა ფუნქციაა შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც ეხება მცნებების დაცვას, ასევე თემის წევრებისათვის დახმარების აღმოჩენა რთული სიტუაციების დროს სწორი (ანუ წმ. წერილის) გადაწყვეტილების მიღებაში“.

А. Львов. Иудаизм. Краткий Очерк. СПб., 2002, гл. 27

რაც შეეხება იუდაიზმის სიმბოლიკას, მათგან უმთავრესია დავითის ექვს წვერიანი ვარსკვლავი, რომელიც მიღებულია ორი სამკუთხედის ერთმანეთზე დადებით. ყველაზე გავრცელებული ახსნის თანახმად, ექვსქიმიანი ვარსკვლავის პირველი სამკუთხედი, რომლის წვერიც ქვემოთ არის მიმართული, განასახიერებს ზეციურ საწყისს, რომელიც მიწისკენ მიისწრაფვის, ხოლო მეორე სამკუთხედი, რომლის წვერიც ზემოთ არის მიმართული, მიწიერ საწყისს, რომელიც ზეცისკენ მიისწრაფვის. როგორც მიჩნეულია, ასეთი ფორმის ვარსკვლავი გამოსახული იყო მეფე დავითის მეომართა ფარებზე. დავითის ვარსკვლავი გამოსახულია ისრაელის სახელმწიფო დროშაზე.

წმინდა იუდაურ ემბლემად (ყველა დროში) ითვლებოდა მენორა (ებრ. „მენორა“ – განათებული). ეს არის შვიდტოტა სასანთლე, რომელიც გამოსახულია ისრაელის სახელმწიფო გერბზე. მენორა იმავდროულად ამოსაცნობი ნიშნის ფუნქციასაც ასრულებდა – თუ რომელიმე ძველ საფლავზე მენორას გამოსახულება აღმოჩნდება, ეს მიიჩნევა ცალსახა მინიშნებად, რომ დაკრძალული ადამიანი ებრაელი იყო.

4. 4. შაბათი

მთავარი ბიბლიური ტექსტი, რომელიც შაბათი დღის დავებების დღედ დადგენის საფუძველია, არის შესაქმის წიგნის 2:2 მუხლი: „გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან“. ამრიგად, შაბათი დღე ითვლება დღესასწაულად უფლის მიერ სამყაროს შექმნის დასრულების პატივსაცემად და მოსახსენიებლად.

იუდაური სწავლებით, ყველა სხვა დღეს ადამიანი თავის საქმეს უნდა აკეთებდეს, ხოლო მეშვიდე – შაბათ დღეს (ებრაული სიტყვა „შაბათ“ ნიშნავს „შეწყვეტას“) მორწმუნე ებრაელმა უფლის მაგალითს უნდა მიბაძოს და დაისვენოს. შაბათი დღის დაცვა 10 მცნების ნაწილია (იხ. ქვემოთ, მეოთხე მცნება).

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთი უცხონი, ჩემსა გარეშე.
2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.
4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისაი.
5. პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღევრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა.
6. არა კაც-ჰკლა.
7. არა იმრუშო.
8. არა იპარო.
9. არა ცილის-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.
10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არცა სახლისა მისისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა (სახედარი) მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა.

ბიბლია, წიგნი გამოსვლათა 20:2-17

თავად ბიბლია ძალიან ცოტა ცხად აკრძალვას შეიცავს შაბათთან დაკავშირებით. გამოსვლათას წიგნში (16:29) მხოლოდ ნათქვამია: „დარჩით თქვენს სახლებში და არსად გახვიდეთ მეშვიდე დღეს“ ასევე გამოსვლათას 35:3-ში ვკითხულობთ: „ცეცხლს ნუ დაანთებთ თქვენს საცხოვრებელში შაბათ დღეს“ მის წინა მუხლში

(35:2) კი შემდეგია აღნიშნული: „ყველა ვინც საქმეს გააკეთებს ამ დღეს, მოკვდება“.

სწორედ ამ მონაკვეთებს ეყრდნობოდნენ რაბინები როდესაც შაბათთან დაკავშირებულ აკრძალვებს ადგენდნენ. ამრიგად, მათ შაბათ დღეს აკრძალული სამუშაოების შვიდი ძირითადი კატეგორია ჩამოაყალიბეს:

1. მოსავლის აღება და საჭმლის დამზადება;
2. ტანისამოსის დამზადება;
3. ტყავეულის დამუშავება და წერა;
4. მშენებლობა და შენობების დანგრევა;
5. ცეცხლის დანთება და ჩაქრობა;
6. სამუშაოს დასრულება;
7. ნივთების გადაზიდვა ერთი ადგილიდან მეორეზე.

მაგრამ როგორც ეს თალმუდიდანაც ჩანს, არსებობს სიტუაციები, როცა შაბათთან დაკავშირებული ნებისმიერი აკრძალვა უქმდება თუ საქმე ადამიანის ან ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება. ამ დროს ნებადართულია ლიფტების, ავტომობილების და ნებისმიერი საშუალების გამოყენება (ის, რაც დენის ჩართვას უკავშირდება, რაშიც მანქანის დაქოქვაც იგულისხმება, ექცევა მეხუთე კატეგორიის აკრძალვებში, რადგან ამ დროს ნაპერწკლები წარმოიშვება).

თუმცა იუდაიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას განსხვავებული მიდგომა აქვთ ამ აკრძალვებთან. საკმაოდ დიდ სირთულეებს ქმნის ასევე სამუშაოს ხასიათის განსაზღვრაც.

„ის, რაც სამუშაოდ ითვლებოდა გამოსვლათას წიგნის დაწერის დროს ან თუნდაც რაბინისტულ პერიოდში, ეს მოქმედება ახლა აღარ ითვლება სამუშაოდ. მაგალითად, ორი ხის ნაგლეჯის ერთმანეთთან ხახუნით ცეცხლის მიღება – მართლაც სამუშაო იყო, მაგრამ დღეს ლილაკზე თითის დაჭერა სინათლის ასანთებად, ან ნებისმიერი ელექტრომომწყობილობის (ტელევიზორი, მაცივარი) ჩასართავად, აღარ შეიძლება სამუშაოდ ჩაითვალოს. ამ ხის მოქმედებები ნიშნავს არა დასვენების შეწყვეტასა და მუშაობის დაწყებას, არამედ, პირიქით, დასვენების ხარის-

ხის გაუმჯობესებას. შაბათი დღის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის – დასვენება“.

С. Пилкингтон. Иудаизм. М., 2002, გვ. 257

4. 5. დღესასწაულები და მარხვები

იუდეველთა რელიგიური დღესასწაულები დაკავშირებულია ებრაელი ერის ისტორიის უმთავრეს მოვლენებთან. ებრაელთა ყველაზე მთავარი დღესასწაულებია:

შაბათი – ვრცლად იხ. ქვეთავში „შაბათი“.

პასექის დღესასწაული – აღინიშნება მარტი-აპრილში. ებრაელთათვის ყველაზე დიდი დღესასწაულია. დაწესებულია ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა განთავისუფლების გასახსენებლად. ბიბლიაში გადმოცემული თხრობის მიხედვით, როდესაც ფარაონი უარს ამბობდა ებრაელთა გაშვებაზე. ღმერთმა ეგვიპტეს სხვადასხვა სახის სასჯელი მოუვლინა. ბოლო (მეათე) სასჯელს წარმოადგენდა ეგვიპტელთა ოჯახებში ყოველი პირმშოს სიკვდილი. ებრაელთა ოჯახების დასაცავად ღმერთი მათ შემდეგი რიტუალის აღსრულებას უბრძანებს: ებრაელთა ყოველ ოჯახში უნდა დაკლულიყო ერთი წლის კრავი, რომლის სისხლიც საკუთარი სახლის კარებზე უნდა ეცხოთ. ცეცხლზე შემწვარი ბატკანი უნდა ეჭამათ მწარე ბალახთან ერთად (ეგვიპტის მწარე მონობის გასახსენებლად). ღამით კი უფლის ანგელოზი ჩამოუვლიდა ეგვიპტის ყველა ოჯახს და მოაკვდენდა მათ პირმშოებს, მაგრამ გვერდს აუვლიდა იმ სახლებს, რომლებზეც კრავის სისხლი იყო ცხებული. სიტყვა „პასექი“ სწორედ „გვერდით ჩავლას“ ნიშნავს.

დღესასწაული გრძელდება 7 დღე. ამ დროის განმავლობაში ებრაელები უფუარ ხმიადს ჭამენ, რომელსაც მაცა ეწოდება (იხ. ლევ. 23:6). სადღესასწაულო დღეებში საფუარიანი საკვების მიღება აკრძალულია.

კვირეულის დღესასწაული – პასექიდან შვიდი კვირის თავზე, ანუ 50-ე დღეს (მაისი-ივნისი) აღინიშნება, რომელიც დაწესებულია სინას მთაზე მოსეს მიერ რჯულის მიღების აღსანიშნავად.

ახალი წლის დღესასწაული – აღინიშნება სექტემბერ-ოქტომბერში. თალმუდის მიხედვით ეს დღესასწაული ებრაელებს სამყაროს შექმნასა და უფლის სამსჯავროს ახსენებს (ამ დღესასწაულს ხალხს საყვირებით ატყობინებდნენ, ამიტომ მეორენაირად მას საყვირის დღესასწაული ეწოდება). ახალი წლის დღეებს მარხვისა და სინანულის დღეები მოსდევს (10 დღე), რომელსაც ასრულებს „შენდობის დღე“.

ჰანუქას დღესასწაული – აღინიშნება ნოემბერ-დეკემბერში ელინისტების მიერ შეტანილი კერპებისგან იერუსალიმის ტაძრის განწმენდის (განახლების) (ძვ. წ. II ს.) გასახსენებლად, რაც იუდა მაკაბელის ძალისხმევით მოხერხდა. ასევე იმ სასწაულის აღსანიშნავად, როცა ერთი დღის სამყოფი წმ. ზეთი რვა დღის განმავლობაში ენთო ტაძარში. ებრაელები ამ დღესასწაულზე სანთლებს რვატოტა სასანთლეზე (ებრ. „ხანუქი“) ანთებენ რვა დღის განმავლობაში.

ფურიმის დღესასწაული – აღინიშნება თებერვალ-მარტში. 14-15 რიცხვებში იკითხება „ესთერის გრაგნილი“, რომელიც მოგვითხრობს ბაბილონის ტყვეობის დროს ებრაელი ხალხის სასწაულებრივ გადარჩენას სრული განადგურებისგან, რომელიც ებრაელებს წილის-ყრით (ებრ. „ფურ“ – წილი) განუმზადა სპარსეთის კარისკაცმა ჰამანმა. ამ დღეს ებრაელები ერთმანეთს ტკბილეულით უმასპინძლებიან, გლახაკებს ეხმარებიან და აწყობენ წვეულებებს.

იუდაიზმში მარხვის წესი გულისხმობს მზის ჩასვლამდე საკვებსა და სასმელზე უარის თქმას. ყველაზე მნიშვნელოვანი მარხვებია: იუდეის სამეფოს ბოლო ებრაელი მმართველის, გედალიას მკვლელობის დღე (ძვ. წ. 186 წ.); ბაბილონელთა მიერ იერუსალიმის დანგრევისა (ძვ. წ. 586 წ.) და რომაელთა მიერ იერუსალიმის აღების დღეები (ახ. წ. 70 წ.).

ებრაელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან რიტუალს წარმოადგენს წინადაცვეთა. დაბადებიდან მერვე დღეს ყველა მამრობითი სქესის ებრაელს წინადაცვეთენ. ეს რიტუალი გულისხმობს მამრის სასქესო ორგანოს წინა ნაწილის, ჩუჩის მოჭრას. იგი პირველად აბრაამმა აღასრულა, რომელიც უფლისგან მოცემული აღთქმის გარეგნულ ნიშანს წარმოადგენდა (იხ. შესაქ. 17:10-11).

„იუდაური რჯულის თანახმად ქორწინება ითვლება რელიგიურ მცნებად. ამიტომ მისი აღსრულებისგან მხოლოდ ავადმყოფი ადამიანები თავისუფლდებოდნენ. დაუქორწინებლობა ითვლებოდა უბედურებად და სირცხვილად. ებრაელთა ოჯახები, როგორც წესი, მრავალშვილიანია. აბორტები და კონტრაცეპტივების გამოყენება უდიდეს ცოდვად ითვლება...“

В. Вихнович. Иудаизм. СПб., 2006, 200

მართალია, თორის მიხედვით მრავალცოლიანობის შესაძლებლობა დაშვებულია, X საუკუნიდან ევროპელ ებრაელთა შორის მიღებულია მონოგამია. იუდაიზმის თითქმის ყველა მიმდინარეობის სწავლებით, ბავშვი ებრაელად/იუდეველად ითვლება თუ იგი დაბადებულია ებრაელი/იუდეველი დედისგან (რეფორმირებულ იუდაიზმში კი თუ მშობელთაგან რომელიმეა ებრაელი/იუდეველი). ასევე იუდეველად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, თუ იგი იუდაიზმს მიიღებს.

5. დოგმატური მოძღვრება

5. 1. იუდაიზმის მრწამსი

რასაკვირველია, იუდაიზმში არსებობს წმინდად საღვთისმეტყველო შეხედულებები. მაგრამ ამ რელიგიაში უფრო მეტი ყურადღება ადამიანის პრაქტიკულ ქცევებისადმი მიმართული. შესაბამისად მასში რელიგიური პრაქტიკა (კულტი) უფრო მეტადაა განვითარებული. თორა და სხვა მოგვიანო რაბინისტული წმ. წიგნები დაწვრილებით (გამოწვლილვით) ასწავლის იუდეველს თუ როგორ უნდა აღასრულოს მან უფლის მცნებები ყოველდღიურად. იმ შემთხვევაშიც კი თუ მორწმუნე იუდეველი რაიმე სახის ინტელექტუალურ სირთულეს/დაბრკოლებას წააწყდება იუდაიზმის რომელიმე მთავარი დოგმატური პრინციპის მიღებასთან დაკავშირებით, მან მაინც უნდა აღასრულოს იუდაური რჯულის ნორმები.

ისტორიულად იყო რამოდენიმე მცდელობა ცალკეულ რაბინთა მხრიდან რწმენის სიმბოლოს, ანუ ერთგვარი დეკლარაციის ჩა-

მოყალიბებისა, სადაც იუდაიზმის მთავარი დოგმატები იქნებოდა თავმოყრილი და გადმოცემული, თუმცა ყველაზე სრულად მსგავსი სახის ტრაქტატი (13 მუხლის მოცულობით) XII ს-ის იუდეველმა ფილოსოფოსმა მოსე მაიმონიდმა (მოშა ბენ მაიმონ, 1135-1204) შექმნა.

1. ღმერთი ყოველივე ქმნილის შემოქმედი;
2. ღმერთი ერთია;
3. ღმერთს არ გააჩნია მატერიალური სხეული, არც რაიმე ფორმები;
4. ღმერთი არის ყოველივეს საწყისი და ყოველივეს დასასრული;
5. ლოცვა მხოლოდ მისკენ და არა სხვა რომელიმე ღვთაებისკენ უნდა იყოს მიმართული;
6. წინასწარმეტყველთა ყველა სიტყვა ჭეშმარიტია;
7. მოსე იყო უდიდესი წინასწარმეტყველი და მისი ყოველი სიტყვა ჭეშმარიტია;
8. მთელი რჯული მისი ამჟამინდელი ფორმით მოსეს მიერ მოგვეცა;
9. ეს რჯული შეუცვლელია სამარადისოდ და უფლისგან არ უნდა ველოდოთ რაიმე სხვა რჯულის მოცემას;
10. უფლისთვის ყველა ადამიანის აზრები და ქმედებები ნაცნობია, როგორც დაწერილია: „მან შექმნა გული თითოეულისა და იცის ყველა მათი საქმე“ (ფსალმ. 32:15);
11. უფალი აჯილდოვებს მისი მცნებების დამცველთა და სჯის ურჩებს;
12. აუცილებელია გვწამდეს მესიის მოსვლა;
13. აუცილებელია გვწამდეს მკვდართა აღდგენა.

იუდაიზმის მრწამსი

რწმენის ეს 13 პრინციპი (დოგმატი) ჰიმნის სახით იგალობება სინაგოგებში ყოველი სადღესასწაულო ღვთისმსახურების შემდგომ და ასევე ყოველ პარასკევ საღამოს.

შუა საუკუნეებში მოღვაწე სხვა რაბინს, იოსებ ალბოს იუდაიზმის სწავლება დაჰყავდა სამ ძირითად პრინციპამდე. ესენია: 1. რწმენა ერთი ღმერთის; 2. რწმენა თორის ღვთივშთაგონებულობისა და 3. რწმენა საიქიო მისაგებელისა. სხვა იუდევე-

ლი მოაზროვნეები კი სხვადასხვა პრინციპებით საზღვრავდნენ იუდაიზმის მთავარ დოგმატებს.

„დოგმატური პრინციპების ფორმულირებებს იუდაიზმისთვის საკმაოდ შეზღუდული მნიშვნელობა აქვს. იუდაიზმი არც არაფერს დაკარგავდა თუკი მასში არცერთი ამ პრინციპთაგანი არ იქნებოდა. უფრო მეტიც, თუკი ებრაელი უარყოფს ერთ ან რამდენიმე პრინციპს იუდაიზმის რწმენის სიმბოლოდან, რომელიც ცალკეული რაბინის-ტული ავტორიტეტით არის ფორმულირებული, იგი მაინც რჩება ებრაელი ერის ნაწილად და ვალდებულია დაიცვას რჯულის მოთხოვნები. მაგალითად, იუდაიზმში არსებობს უამრავი არაორთოდოქსი რელიგიური ლიდერი, რომლებიც არ იზიარებენ ისეთ დოგმატებს, როგორიცაა თორის ღვთივშთაგონებულობა, მკვდართა აღდგენა ან მესიის მოსვლა კონკრეტული ადამიანის სახით, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც რჩებიან იუდაიზმის მიმდევრებად.“

რაბინი მარკ ენჯელი

(Иудейско-Христианский Диалог. Словарь-Справочник.

Под Ред. Л. Кленецкого и Дж. Вайгодера. М., 2004, გვ. 69)

5. 2. უფლის სახელი

იუდაიზმის სარწმუნოებრივი მოძღვრება ეფუძნება მონო-თეისტურ შეხედულებებს, ებრაელი ერის ღვთისგან რჩეულობისა და მესიანიზმის იდეებს. მონოთეიზმის იდეა იუდაიზმის მთავარ დოგმატს¹⁴ წარმოადგენს.

„არ ახსენო შენი უფლის სახელი ფუჭად“ (გამოსვლ. 20:7). იუდაურ ტრადიციაში ძალზედ დიდი ადგილი უჭირავს ღვთის სა-

14. დოგმატი – რელიგიური მოძღვრების ძირითად პრინციპს ეწოდება, რომელსაც უცვლელი, სამუდამო და ჭეშმარიტად ღვთის მიერ შთაგონებული ნორმის სტატუსი აქვს. მისი აღიარება სა-ვალდებულოდ ითვლება მოცემული რელიგიის ყველა მიმდევრისთვის. მაგალითად, ქრისტიანობაში ასეთი დოგმატებია, ძე ღმერთის განხორციელება, ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოს-ყიდვა, ამაღლება, აღდგომა და სხვა.

ხელის შესახებ მოძღვრებას. სახელი „იაჰვე“ (იეჰოვა) მოსეს ეუწყა ჯერ ქორიბის მთაზე, შემდეგ სინას მთაზე (გამოს. 34:5). ებრაელთა შორის ამ სახელის წარმოთქმა იკრძალებოდა. მხოლოდ წელიწადში ერთხელ მას მღვდელმთავარი წმინდათაწმინდაში (ასე უწოდებდნენ ებრაელები ტაძრის იმ ნაწილს, რომელსაც ქრისტიანები საკურთხეველს უწოდებენ) შესვლის შემდეგ წარმოთქვამდა. ვინაიდან ებრაული ინიციალების IHWH-ს შინაარსია – „მე ვარ მყოფი“, შეიძლება მას ჩაენაცვლოს სახელწოდება „შემოქმედი, შემქმნელი (ყოფიერებისა)“.

„მოსე იყო მეორე პიროვნება, რომელთანაც უფალმა საუბარი ინება. უფალი მას ახალი კუთხით გამოეცხადა: „მე ვარ რომელიც ვარ.“ ამ სიტყვებით ღმერთი მოსეს თავის დაუსაბამობასა და მარადიულობასთან ერთად, მიანიშნებდა იმასაც, რომ მასშივეა მისი არსებობის მიზეზი, განსხვავებით პოლითეისტური ღმერთებისა, რომელნიც ადამიანთა მსგავსად იზადებოდნენ მშობლებისგან და, შესაძლოა, იხოცებოდნენ კიდევ.“

ზურაბ კიკნაძე. იუდაიზმი //
ჟურ. „სოლიდარობა“ #2, 2006, 37

ძველ აღთქმაში უფლის რამდენიმე სახელია გადმოცემული: იაჰვე, ელოჰი, ცაბაოთ, ადონაი და სხვა. ადამიანები ზოგჯერ უფალს იმ სახელით მოიხსენიებენ, რომელი თვისებითაც გრძნობს ადამიანი ღვთის არსებობას: გულმოწყალე, სამართლიანი, მრისხანე და ა.შ. თავად შემოქმედი მიუწვდომელია ადამიანის გონებისთვის. ადამიანს მხოლოდ იმ სინათლის (ენერგიის) აღქმა შეუძლია, რომელიც ღვთისგან მოდის და სწორედ მის მიერ ადამიანში გამოწვეული გრძნობის მიხედვით არქმევს ადამიანი სახელს ღმერთს.

იუდაური სწავლებით, თუმცა შემოქმედის ბუნების ამსახველი სრული სახელი ჩვენთვის მიუწვდომელია, ღმერთი ადამიანს ეხსნება იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მისი მცნებების აღსრულებას ცდილობს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სწავლება სრულ თანხმობაშია ღვთის შემეცნების ქრისტიანულ გაგებასთან).

5. 3. სიკვდილის შემდეგ

იუდაიზმში ყოველთვის არსებობდა რწმენა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისა. თუმცა არ არსებობს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სისტემატური და ერთგვაროვანი სწავლება ამ საკითხზე. უფრო მეტიც, იუდაიზმში აღიარებს, რომ ადამიანს არ ძალუძს მკაფიოდ და დანამდვილებით ისაუბროს იმ გამოცდილებაზე, რომელიც მისი შესაძლებლობების მიღმა იმყოფება.

სხვა რელიგიების მსგავსად, იუდაიზმის სწავლებითაც ადამიანი იმის მიხედვით მიიღებს იმ ქვეყნად სასჯელს ან ჯილდოს თუ როგორ გაატარებს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას.

„ამქვეყნიური ცოდვებისთვის ადამიანს საიქიოში სასჯელი მოეღოს, მაგრამ სასჯელი უფრო განწმენდის პროცესია, ვიდრე საბოლოო დასჯისა. იუდაიზმში მიუღებელია სამუდამო ჯოჯოხეთის არსებობა. იუდაიზმში თვლის, რომ ადამიანს არ ძალუძს ისეთი ცოდვის ჩადენა, რომლისთვისაც მარადიულ სასჯელს დაიმსახურებს. ცოდვილის სული სალხინებელში¹⁵ იწმინდება, რათა ღმერთთან სიახლოვის ღირსი შეიქნას. ყველა ადამიანი თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით ღმერთთან სიახლოვის ხარისხს იმსახურებს. ამგვარად, სასჯელი სასურველიც კი არის ცოდვილი ადამიანისთვის – იგი გზას უხსნის მას სასუფეველში“.

*ზურაბ კიკნაძე. იუდაიზმი //
ჟურ. „სოლიდარობა“ #2, 2006, 39*

ძველი დროიდანვე უკვდავებისა და გარდაცვლილთა სულიერი და სხეულებრივი აღდგომის საკითხები ფარისევლებსა და სადუქეველებს შორისაც განიხილებოდა. ფარისევლები ამტკიცებდნენ, რომ ამგვარ შეხედულებებს თორა შეიცავდა. მაგრამ სადუქეველები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის სული მისი სხეულის სიკვდილისთანავე ქრება. შემდგომში ფარისეველთა

15. სალხინებელი – იგივე განსაწმენდელი. ამგვარად ეწოდება იმ ადგილს, სადაც კათოლიკური ეკლესიის სწავლებით უფლის სასუფეველში გადასვლამდე გარდაცვლილი ადამიანების სულები ცოდვებისგან იწმინდებიან.

პოზიცია იუდაიზმის მთავარ პოზიციად იქცა საუკუნეთა განმავლობაში. ბოლო დროს, რეფორმირებულმა იუდაიზმმა უარყო შეხედულება გარდაცვლილთა ფიზიკური (სხეულებრივი) აღდგენის შესახებ.

ჩრდ. აფრიკის ებრაელებსა და აღმოსავლეთ ევროპის ხასიდებს შორის გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც მართალთა სულებს შეუძლიათ იმ ქვეყნიდან დახმარება გაუწიონ ამ ქვეყნად დარჩენილებს. წმინდა მოღვაწეებად მიჩნეული ადამიანების საფლავებზე იკითხება ლოცვები. ჩრდ. აფრიკის ებრაელებში განსაკუთრებული დღესასწაულიც კი არსებობს, როდესაც წმინდანთა საფლავებზე ცეცხლს ანთებენ და ჰიმნებს გალობენ.

5. 4. მესიისადმი ებრაელების დამოკიდებულება

სწავლება მესიის შესახებ ვრცლად არის წარმოდგენილი წინასწარმეტყველთა წიგნებში, ასევე მიშნაში. ებრაული სიტყვა „მაშიაჰ“ (ბერძნ. „ქრისტოს“) ნიშნავს „ცხებულს“. ძველ დროში მეფეებს ზეთისხილის ზეთს სცხებდნენ ხოლმე იმის ნიშნად, რომ ისინი მეფობისთვის იყვნენ გამორჩეულნი და დადგენილნი. აგრეთვე მესია, რომელიც ისრაელს დიდებასა და მშვიდობას მოუტანდა, უნდა ყოფილიყო უფლისგან რჩეული და ცხებული.

მესიის შესახებ იუდაისტური (ანუ პოლიტიკური) სწავლება ერთგვარი პასუხი იყო ებრაული საზოგადოებისა მათ წინააღმდეგ მიმართულ განუწყვეტელ სოციალურ და პოლიტიკურ ტრაგედიებზე. ებრაულ წიაღში (ებრაულ ბიბლიაში, რაბინისტულ ლიტერატურასა და ასევე თანამედროვე ეპოქაში შექმნილ იუდაურ ტექსტებში) წარმოშობილი შეხედულებები მესიის შესახებ არ არის ერთგვაროვანი.

ებრაელმა სწავლულმა, გერშომ შოლემმა (Sholem) ამ უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გამოყო ორი მთავარი ტენდენცია ებრაულ მესიანისტურ აზროვნებაში: რესტავრაციული და უტოპიური. პირველის მიხედვით მესიანისტური ერა წარმოდგენილია, როგორც ისრაელის ძველი დიდების დაბრუნება და იერუსალიმის უძველესი ტაძრის აღდგენა. ამ ყველაფერს კი დავითის შტოდან მოსული მესია აღასრულებს.

„როგორც ქრისტეს „მთასა ზედა ქადაგების“ (იხ. მათეს V-VI-VII თავები), ისე თალმუდის ზნეობრივი ქადაგების საფუძველს წარმოადგენს თორა. სახარებისეული „ნეტარების“ პარალელები თალმუდშიც არსებობს. მაგალითად, ქრისტეს სიტყვები „ნეტარ არიან თავმდაბალნი, რადგან ისინი დაიმკვიდრებენ სასუფეველს“ (მთ. 5:5) გამოძახილია ფსალმუნის შემდეგი სიტყვებისა: „თავმდაბალნი მიიღებენ სასუფეველსა და უდიდეს სიმშვიდეს“ (36:11). ასევე თალმუდის შემდეგი ნაწყვეტიც ძალზედ ახლოს დგას ქრისტეს მიერ გამოთქმულ ზნეობრივ პრინციპებთან:

„ჰკითხა ისაიამ უფალს: „უფალო, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ ცხონდეს?“ ღმერთმა უპასუხა: „გაეცი მოწყალეობა გლახაკთათვის და ასევე ნივთიერად შეეწიე თორის შესწავლით დაკავებულებს. თუ თავს დაიმდაბლებ ადამიანთა წინაშე, მაშინ მე ვიქნები შენთან“ (პესიხტა რაბბა, 198ა).

მიაქციეთ ყურადღება, თავმდაბალი ადამიანები დაიმკვიდრებენ არა მიწიერ, არამედ ზეციურ სასუფეველს. ქრისტეს სიტყვებს „ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი...“ ასევე აქვს პარალელები თალმუდში, მაგალითად:

„უთხრა ელიამ რაბი ბარუკას: „ეს ორი ადამიანი სასუფეველს დაიმკვიდრებს“. მაშინ რაბი ბარუკამ ჰკითხა იმ ორს: „რა საქმეებს აღასრულებთ ამ წუთისოფელში?“ მათ მიუგეს: „ვცდილობთ ქვეყნიერებაზე სიხარული გავამრავლოთ. ყველანაირად ვცდილობთ ვანუგეშოთ მწუხარებით შეპყრობილი ყველა ადამიანი და როცა ერთმანეთში მოკამათებებს ვხედავთ, ვცდილობთ მოვარიგოთ ისინი“ (თაან 22ა).

საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს ქრისტეს ზნეობრივ ქადაგებაში იპოვო ისეთი რამ, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა იუდაიზმის ზნეობრივ მოძღვრებასთან. იესო არ ცდილობს საკუთარი თორის (რჯულის) შექმნას, იგი, რაბინთა მსგავსად, განმარტავს ამ რჯულს. არ უნდა დავივიწყოთ მთაზე წარმოთქმული იესოს სიტყვები შემდეგი: „მოვედი არა [რჯულის] დასარღვევად, არამედ მის აღსასრულებლად“ (მთ. 5:17). ქრისტეს შემდეგი მოწოდე-

ბაც პოულობს თავის გამოცახილს თალმუდში: „ვინც გა-
იძულებს შენ, წაჰყვე ერთ მილზე, გაჰყვევი მას – ორზე“
(მთ. 5:41). ერთხელ ბრძენი გილეელი ერთ ნაცნობ გლახაკს
შეხვდა, რომელსაც საკუთარი ცხენი აჩუქა. ვერ შეძლო
რა მისთვის მსახურის შოვნა „კარგი ოჯახიდან“, გილეელი
თავად გაჰყვა მას ფეხით სამი მილის მანძილზე, რათა ამ
გლახაკს დამცირებულად არ ეგრძნო თავი“.

ქრისტიანი თეოლოგი იუჯინ ფიშერი
(Христианско-Иудейский Диалог. Хрестоматия.
Сост., Х. Фрай. М., ББИ, 2002, გვ. 208-210)

თალმუდი მოგვითხრობს ერთი ადამიანის შესახებ,
რომელსაც განზრახული ჰქონდა იუდაიზმის მიღება. იგი
მივიდა სიბრძნით სახელგანთქმულ რაბი გილეელთან და
სთხოვა მას აეხსნა მისთვის მთელი თორა, სანამ ის ცალ
ფეხზე იდგებოდა. გილეელმა შემდეგი უპასუხა: „ნუ გაუკე-
თებ ადამიანს იმას, რაც არ გინდა, რომ სხვებმა გაგიკე-
თონ. ეს არის მთელი თორა, დანარჩენი ამის კომენტარია.
წადი და ისწავლე“.

თალმუდი, შაბათ 31ა
(С. Пилкингтон. Иудаизм. М., 2002, გვ. 18)

მეორე იუდაური ტენდენციის ანუ მესიის შესახებ უტოპიური
წარმოდგენის თანახმად კი კაცობრიობის ნორმალური ისტორი-
ული მსვლელობა კატასტროფით შეწყდება. მესიანისტური ერა
მრავალი სასწაულებითა და ზებუნებრივი ნიშნებით დადგება.
ადამიანთა ცხოვრება და ბუნების კანონებიც კი რადიკალურად
გარდაიქმნება. ებრაული ტრადიცია ასევე საუბრობს გოგთან და
მაგოგთან¹⁶ დაკავშირებულ გაურკვეველ ომზე მესიის მოსვლის
წინ.

16. გოგი და მაგოგი – ბიბლიურ ესქატოლოგიაში ამ სახელებით
აღინიშნება ის ორი ერი, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლის
წინ გავრცელდება დედამიწაზე. „იოანეს გამოცხადების“ თანახ-
მად, ისინი ზეციური ცეცხლით განადგურდებიან საყოველთაო
სამსჯავროს წინ.

ხშირად ებრაული მესიანისტური სწავლება ორივე ტენდენციის ელემენტებსაც შეიცავდა. უბედურებისა და ტანჯვის ხანებში ებრაელი ერი განსაკუთრებული იმედსა და ნუგეშს სწორედ ამგვარ სწავლებაში პოულობდა.

„მოძღვარო, რომელი მცნებაა უდიდესი რჯულში? მიუგო იესომ: შეიყვარე უფალი ღმერთი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და უდიდესი მცნება. და მეორე მსგავსი ამისი, შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დაფუძნებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“

ახალი აღთქმა, მათეს სახარება 22:36-40

„ყოველივე, რაც გინდათ, რომ გაგიკეთონ თქვენ ადამიანებმა, ასევე თქვენც გაუკეთეთ მათ, რადგან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი“

ახალი აღთქმა, მათეს სახარება 7:12

„გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“

თორა, წიგნი მეორე რჯულთა 6:5

„მტრობა ნუ გექნება გულში შენი მოძმისადმი... ნუ იქნები შურისმაძიებელი და ბოლმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ. გიყვარდეს შენი ახლობელი, როგორც თავი შენი“

თორა, წიგნი ლევიტელთა 19:17-18

მესიის საკითხი ყოველთვის კონფლიქტს იწვევდა იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის. ქრისტიანებისთვის მესია უკვე მოსულია. ებრაელები მას ჯერ კიდევ ელიან. ქრისტიანებისთვის მესიას სულიერი გადარჩენა და თავისუფლება მოაქვს. ებრაელ-

თათვის კი მესიამ ისრაელის სამეფო და მისი დიდება უნდა აღადგინოს.

ძველი აღთქმის ქრისტიანული გაგების თანახმად დავითის შტოდან დაბადებული მესია კაცობრიობის ცოდვებს გამოისყიდდა და გახდებოდა სულიერი მწყემსი თავისი მიმდევრებისა, ანუ ქრისტიანებისა. თუკი ქრისტეს დაბადებამდე „რჩეულ ერში“ ებრაელები მოიაზრებოდნენ, ქრისტეს შემდეგ უფლის რჩეულ ერის გაგებამ უნივერსალური ხასიათი შეიძინა, რადგან მის წევრად ყველა ის ადამიანი ითვლება (მიუხედავად მისი ეროვნებისა), ვისაც იესო ქრისტე სწამს, როგორც ღვთის ძე და კაცობრიობის მხსნელი (პავლე მოციქულის თქმით, „აღარ არსებობს არც ელინი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა და არც წინადაუცვეთელობა... არამედ ყველანი ერთნი ხართ ქრისტეში“ (კოლოს. 3:11).

„იუდეველებისთვის იუდაიზმი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, მაგრამ სხვა რელიგიები აუცილებლად ცრუ-რელიგიები როდი არიან. იუდაიზმში მიჩნეულია, რომ არა-იუდეველის საცხოვრებლად არ არის აუცილებელი მისი იუდაიზმზე მოქცევა, რადგან „ყველა ერში მცხოვრებ მართალ ადამიანს ექნება თავისი წილი ცათა სასუფეველში“. ამისთვის საკმარისია არაებრაელმა შემდეგი წესები დაიცვას: 1. უარყოს კერპთაყვანისმცემლობა; 2. თავი შეიკავოს სისხლის აღრევისა და მრუშობისგან; 3. არ დაღვაროს სისხლი; 4. არ წარმოთქვას უფლის სახელი ფუჭად; 5. თავი შეიკავოს უსამართლო ქცევებისგან; 6. არ იპარავდეს; 7. არ მოაჭრას ცოცხალ ცხოველს არცერთი ნაწილი.“

Энциклопедия „Кругосвет“, статья: „Иудаизм“

ებრაელმა ერმა არ აღიარა იესო მესიად, რადგან ვერ დაინახა მასში „იუდეველთა მეფე“ როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი მესიის სახით, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ლიდერს და არა სულიერ წინამძღვარს მოელოდნენ. ეს გასაგებიცაა: მათ უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური თავისუფლება სჭირდებოდათ რომაული ბატონობისგან.

მაგრამ იესომ უარი თქვა პოლიტიკური მესიის როლზე, როცა განაცხადა, რომ მისი მეუფება არის არა ამქვეყნიური, არამედ სულიერი (ინ. 18:36). საკუთარ მიმდევრებს მან სხვა სახის თავისუფლება შესთავაზა: „შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (ინ. 8:32).

მეორე მიზეზი იესო ქრისტეს, როგორც კაცობრიობის გამომსყიდველი მესიის უარყოფისა, იუდაიზმის დოგმატურ სწავლებათა შიგნით იუდაიზმი ცოდვას განიხილავს არა როგორც მდგომარეობას, არამედ მხოლოდ როგორც ქმედებას. „არ სცოდავ? – მაშინ არც ცოდვილი ხარ“ და თუ ეს ასეა, მაშინ რისგან უნდა გამოვისყიდოთ და ვინ უნდა გამოვისყიდოთ? ამის გამო ებრაელმა ერმა არ მიიღო სულიერი მესია.

„მე არ შემძლია ვაღიარო იესო ვერც ისრაელის მესიად და ვერც სამყაროს გამომსხნელად. მაგრამ ღრმა საღვთისმეტყველო მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ღმერთმა იესოს მეშვეობით მიანიჭა ადამიანებს სულიერი სრულყოფის შესაძლებლობა. მე ასევე არ შემძლია იესოს დაბადება ღვთის განხორციელებად მივიჩნიო (ამ სიტყვის ქრისტიანული გაგებით), მაგრამ იესოს, როგორც ადამიანური ყოფიერების უზენაეს მაგალითს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ადამიანებს ამ ქვეყნად უფრო ღრმა და ჰუმანური არსებობის დამკვიდრებაში, იესოს, რომელსაც ამდენი რამ ჰქონდა სათქმელი კაცობრიობისთვის.“

იუდეველი თეოლოგი, პინხას ლაპიდი
(Христианско-Иудейский Диалог. Хрестоматия.
Сост. Х. Фрай. М., 2002, გვ. 250)

კლასიკურმა რეფორმირებულმა იუდაიზმმა უარყო მესიის, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის შესახებ იდეა, მიანიჭა რა უპირატესობა საყოველთაო მშვიდობის მესიანისტური ხანის დადგომის შესახებ სწავლებას. ეს პერიოდი კი ადამიანთა ცივილიზაციის ბუნებრივი პროგრესის შედეგად დადგება. თუმცა, სიონისტური მოძრაობის გაჩენის შემდეგ, რეფორმირებული იუდაიზმი მესიანისტურ იდეაში ებრაელთა სამშობლოში დაბ-

რუნებასაც გულისხმობს (იხ. ქვეთავი „ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნა“). ბევრი ორთოდოქსი ებრაელი დღეს ფიქრობს, რომ ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნა 1948 წელს მესიის მოსვლის პირველი ნიშანია, რადგან მესიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა და ებრაელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო, რაც პირველად (ორი ათასი წლის მანძილზე) ებრაელმა ერმა უკვე მოიპოვა საკუთარ მიწაზე.

5. 5. იუდაური მისტიკა: კაბალა

ებრაული სახელწოდება კაბალა ნიშნავს „გადმოცემას“. კაბალისტიკა იუდაიზმის ეზოთერული¹⁷ ფორმაა, რომელიც XII ს-ის საფრანგეთში აშკენაზურ იუდაიზმში წარმოიშვა. მისი მიმდევრები შემოქმედთან თანაზიარების განცდისკენ მიისწრაფვიან, რომელიც შესაბამისი სულიერი პრაქტიკითა და ასკეტური მეტოდებით მიიღწევა. რაციონალისტური ტრადიციის პარალელურად იუდეველმა მოაზროვნეებმა მისტიკური ღვთისმეტყველებაც განავითარეს. კაბალის მიმდევრები არა იმდენად ფილოსოფიურ იდეებზე, რამდენადაც ლოცვით ტექნიკაზე, ექსტატურ მედიტაციებზე თუ ალტრუიზმზე¹⁸ არიან კონცენტრირებულნი. რელიგიური აზრის ამ მიმართულების წარმოშობა აიხსნება მორწმუნე ადამიანისთვის (პირადი გამოცდილების გზით) ხელმისაწვდომი გახადოს ტრანსცენდენტური ღმერთი.

კაბალისტიკა აღიარებს სულთა გადასახლების თეორიას, რომლის მიხედვითაც ცოდვილი ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ სხვა ადამიანის სხეულით იბადება ამ ქვეყნად და ეს გრძელდება მანამდე, სანამ მისი სული არ განიწმინდება ცოდვებისგან იმდენად, რომ ცათა სასუფეველში შესვლა შეძლოს.

კაბალისტური სწავლება საფრანგეთიდან ესპანეთში ვრცელდება, აქედან კი მთელს მსოფლიოში. კაბალისტურ ლიტერატურაში უმთავრეს ნაშრომს წარმოადგენს „სეფერ ჰა-ზოხარ“ („წიგნი სინათლისა“), რომელიც 1275 წელს ესპანეთში მცხოვრებმა რაბი

17. ეზოთერიკა – (ბერძ. „ეზოთერიკოს“ – შინაგანი) სწავლება ფაზური მისტიკური გზის შესახებ.

18. ალტრუიზმი – სხებისადმი უანგარო მსახურება.

მოშე დე ლეონმა სხვადასხვა მისტიკური წყაროების კომპილაციით შექმნა.

„ზოხარის წიგნის თანახმად, ადამიანის აქტიური მონაწილეობის გარეშე უფლის კურთხევა ვერ დამკვიდრდება ამ ქვეყნად: ზეციდან ვერ წამოვა ღვთაებრივი ენერგია თუ არ არსებობს „მოხმობა ქვემოდან“ ადამიანს შეუძლია ზეციურ სფეროებზე გავლენის მოხდენა, ადამიანის გულსა და ნებას ძალუძს ღვთაებრივი მოწყალების კარების გაღება...“

*Энциклопедия Иудаизма. Пер. с Иврита., статья:
„Каббала“*

6. მიმდინარეობები იუდაიზმში

6.1. აშკენაზური და სეფარადული იუდაიზმი

სხვადასხვა გარემოში არსებულ კულტურულ პირობებთან მისადაგების პროცესში რაბინისტული ცივილიზაცია თანდათანობით ორ ნაწილად, ორ შტოდ გაიყო:

1. აშკენაზური (ფრანკო-გერმანული) შტო – მათი სახელწოდება მომდინარეობს ებრაული სიტყვისგან „აშკენაზ“ („გერმანია“). ეს შტო ქრისტიანულ გარემოში ყალიბდებოდა. აშკენაზი ებრაელების უმრავლესობა თურქეთსა და ირანში მცხოვრებ წინაპართა შთამომავალნი არიან, რომლებმაც იუდაიზმი VIII ს-ში მიიღეს. აშკენაზთა უმრავლესობა ვაჭარი იყო. საუბრობდნენ უპირატესად ივრითზე.¹⁹ X-XII სს-ებში ებრაელთა შორის წარმოიშვა იდიშის ენა, რომელიც ფაქტიურად ებრაულ-გერმანული ენების ნარევია. დროთა განმავლობაში მრავალი აშკენაზი ებრაელი აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში გადასახლდა. თუმცა XVII ს-ში ებრაელთა წინააღმდეგ წამოწყებული დევნის გამო აშკენაზთა მნიშვნელოვანი

19. ივრითი – ძველი ებრაული ენის თანამედროვე მოდიფიკაცია. ისრაელის სახელმწიფო ენა.

ნაწილი კვლავ დასავლეთ ევროპაში დაბრუნდა. დღეს-დღეობით აშკენაზურ ფრთას მიეკუთვნებიან აშშ-სა და ევროპის ებრაელთა უმრავლესობა.

2. სეფარადული (ანდალუზიურ-ესპანური) შტო – მათი სახელწოდება მომდინარეობს ებრაული სიტყვისგან „სეფარად“ („ესპანეთი“). ეს შტო ყალიბდებოდა მუსლიმურ გარემოში. სეფარადი ებრაელების უმრავლესობა მესოპოტამიელ ებრაელთა შთამომავალნი არიან. იყენებდნენ არაბულ და ივრითულ ენებს. დღეს ისინი საუბრობენ ლადინოზე (წარმოქმნილია შუასაუკუნეების ესპანური ენიდან). სეფარადი ებრაელები ხშირად აქტიურად მონაწილეობდნენ მუსლიმური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. XV ს-ის ბოლოს, ესპანეთის (უკვე ქრისტიანული) ხელისუფლების მიერ წამოწყებული დევნის გამო, სეფარადები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ეს ტერიტორია. მათ, ძირითადად, ჩრდილოეთ აფრიკაში და ოსმალთა იმპერიის ზოგიერთ რეგიონში გაქცევით უშველეს თავს. შემდგომში ბევრი მათგანი გადასახლდა ევროპულ ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, იტალია).

იუდაიზმის ამ ორ შტოს არ ჰქონიათ მშვიდობიანი თანაარსებობა. მათი წარმომადგენლები ხშირად ადანაშაულებდნენ ერთმანეთს იუდაიზმის ჭეშმარიტი სწავლების დამახინჯებაში. იყო მათი მორიგების მცდელობებიც. 1335 წელს რაბი იოსებ ბენ აშერმა მონუმენტური ნაშრომი შექმნა სათაურით „არბაა ტურიმ“ („ოთხი რიგი“), რომლის მიზანი იყო სეფარადებსა და აშკენაზებს შორის არსებული განსხვავებების შერბილება და მათ შორის გარკვეული უნიფიკაციის²⁰ მიღწევა. თითოეულ ამ შტოს იერუსალიმში ცალცალკე ჰყავთ მთავარი რაბინები.

20. უნიფიკაცია – ერთგვაროვან, ერთიან სისტემაში მოყვანა.

6. 2. თანამედროვე იუდაიზმის ფორმირება

შუა საუკუნეების რაბინული სისტემის რღვევა იწყება XVII ს-ში, ჯერ ჰოლანდიაში, შემდეგ კი ინგლისში. ავსტრიასა და საფრანგეთში ის XVIII ს-ის დასასრულს იწყება, ევროპის სხვა ქვეყნებში კი მხოლოდ XIX ს-ში. იუდაიზმის ეს კოლაფსი დაკავშირებულია იუდეველთა მიერ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური უფლებების, ზოგიერთ შემთხვევაში კი სრული თანასწორუფლებიანობის მოპოვებით. ამგვარი სამართლებრივი რევოლუცია ნიშნავდა ებრაული თემების ხელმძღვანელთა (რაბინთა) ავტორიტარულ²¹ მმართველობის დასრულებას.

„ებრაელი სწავლული, ისრაელ შახაკი იუდაიზმის მოდერნიზაციას შემდეგი სიტყვებით აღწერს: „დამსხვრეულ იქნა ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი და ტოტალიტარული საზოგადოების ბორკილები. ეს განთავისუფლება, იუდაიზმში, ძირითადად, გარედან იყო შემოსული, თუმცა ზოგიერთი ებრაელი ამ პროცესს „შიგნიდანაც“ ეხმარებოდა. მრავალი საუკუნის შემდეგ, პირველად, ებრაელს შეუძლია იმის გაკეთება, რაც მას სურს, სამოქალაქო უფლებების ფარგლებში, რა თქმა უნდა. იუდეველმა მიიღო უფლება და თავისუფლება სწავლისა და წიგნების კითხვისა თანამედროვე ენებზე, ნებისმიერი საკვების მიღებისა, სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული უამრავი აბსურდული აკრძალვის იგნორირებისა, საკუთარი აზრის ფლობისა კი და სხვა. ეს ყოველივე ევროპის (და მოგვიანებით სხვა ქვეყნების) ებრაელებს ახალი დროის წყობილების წყალობით მიეცათ“.

Г. Ястребов. Введение в Иудаизм. М., 2005, гл. 54

მაგრამ რაბინისტული სისტემის ფარგლებიდან გამოსვლისთანავე, ებრაელი ადამიანი ევროპული საზოგადოების მხრიდან უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც განმანათლებლობის ეპოქიდან მომდინარეობს. განმანათლებლობა ხშირად

21. ავტორიტარიზმი – შეუზღუდავ პირად ძალაუფლებაზე დამყარებული მმართველობა.

უპირისპირდებოდა არა მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ სხვა რელიგიების ტრადიციულ კონცეპციებსაც, იუდაიზმის ჩათვლით. მაგალითად, აქტიურად ვითარდებოდა ბიბლიური ტექსტებისადმი კრიტიკული მიდგომის ტენდენცია, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა მოსეს ავტორობას ხუთწიგნეულთან (თორასთან) მიმართებაში და სხვ.

ასეთმა მდგომარეობამ კი თანდათან იუდაიზმის პლურალიზაცია, მისი სხვადასხვა მიმართულებებად დაშლა გამოიწვია. თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი პასუხი გაეცა თანამედროვეობის გამოწვევებზე.

ამჟამად იუდაიზმის ძირითადი მიმართულებები შემდეგია: ულტრაორთოდოქსია, ორთოდოქსია, კონსერვატული იუდაიზმი, რეფორმისტული (ლიბერალური) იუდაიზმი და რეკონსტრუქციონისტული იუდაიზმი. ყველაზე მეტად ტრადიციული მიმდინარეობა იუდაიზმში ულტრაორთოდოქსიაა, ყველაზე ლიბერალური – რეკონსტრუქციონისტული იუდაიზმი. მაგრამ იუდეველთა უმრავლესობა მიეკუთვნება არა ამ უკიდურეს მიმდინარეობებს, არამედ ორთოდოქსალურ, კონსერვატულ და რეფორმისტულ იუდაიზმს. ამას გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე სეკულარული იუდაიზმი, რომელიც, ძირითადად, ებრაული კულტურის მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს.

6. 3. ულტრაორთოდოქსია (ხასიდიზმი)

ეს მიმდინარეობა წარმოდგენილია ხასიდიზმით (ებრ. „ხასიდუტ“ – „ღვთის-მოსავი“). თანამედროვე ხასიდიზმი XVIII ს-ში, პოლონეთში წარმოიშვა როგორც რეაქცია რაბინისტული სისტემის ბატონობის წინააღმდეგ და როგორც მისტიკური ტრადიციის გაგრძელება („მეორე ტაძრის პერიოდის“ ხასიდებზე იხ. ზემოთ). ხასიდიზმი მოწოდებულია არა იმდენად თალმუდის შესწავლასა და კვლევისათვის, არამედ „მთელი გულით უფლისადმი მსახურებისთვის“, ღმერთთან მისტიკური შერწყმისაკენ. როგორც ებრაული მისტიკის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი, მოშე იდელი მიუთითებს, უფრო ადეკვატური იქნება, თუ ხასიდიზმს

განვიხილავთ, როგორც სხვადასხვა მიმდინარეობების, მაგიისა და კაბალური სწავლებების ერთგვარ კონგლომერატს.²²

ხასიდიზმის დამფუძნებლად მოიაზრება რაბი იზრაელ ბაალ შემ ტოვი (შემოკლებით ბეშტი, 1700-1760). XIX ს-ში ხასიდიზმ-მა ულტრაკონსერვატული²³ და ფუნდამენტალისტური²⁴ ხასიათი შეიძინა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ახალი დროის (მოდერნიზმის) ყოველი გამოვლინების მიმართ. მასში მყარდება ე. წ. „ცადიკების“ („მართლები“) ანუ ხასიდურ თემთა ხელმძღვანელების ძალაუფლება. სამწუხაროდ, ხასიდი მორწმუნეების მიერ „ცადიკებისადმი“ მორჩილება და მსახურება ხშირად ფანატიკურ ხასიათს იძენს.

თანამედროვე ხასიდიზმში ყველაზე მეტად ცნობილნი არიან „ლუბავიჩელი ხასიდები“. ამ მოძრაობის სხვა სახელია „ხაბადი“ (ეს არის შემდეგი სიტყვების აბრევიატურა: „ხოხმა, ბინა, დაატ“ – „სიბრძნე, გონება, შემეცნება“). თავდაპირველად მათი ცენტრი ლუბავიჩში (ბელორუსია) იყო, თუმცა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ნიუ-იორკში გადავიდნენ.

6. 4. ორთოდოქსია

ორთოდოქსული იუდაიზმი ჩამოყალიბდა XIX ს-ში, როგორც რეაქცია განმანათლებლობის ეპოქის ტენდენციების წინააღმდეგ.

22. კონგლომერატი – სხვადასხვაგვარი აზრების, ნივთების და ა.შ. მექანიკური ნარევი.
23. ულტრა – ამ პრეფიქსის მნიშვნელობაა „უკიდურესად“, „ზედმეტად“.
24. ფუნდამენტალისტი – რელიგიურ ფუნდამენტალიზმში იგულისხმება სწორხაზოვანი რელიგიური იდეოლოგია, რელიგიური ცნობიერების ერთი ტიპი, რომელიც წმ. წერილის ტექსტების პირდაპირ, ზედმიწევნით და ერთმნიშვნელოვან გაგებას ითხოვს და გამორიცხავს ტექსტის მრავალმხრივ ინტერპრეტაციას. რელიგიური ფუნდამენტალიზმი ეწინააღმდეგება აზრის მრავალფეროვნებას და მკაცრად ითხოვს წარსულის ტრადიციებისკენ დაბრუნებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის დომინირების აღდგენას.

ამ მიმდინარეობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი: ბიბლია მხოლოდ ღვთაებრივ გამოცხადებას შეიცავს, რომელშიც არ არის ადამიანური მცდარი მსჯელობები (შედარებისთვის: ქრისტიანული ეკლესია არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალ აღთქმასთან მიმართებაშიც აღიარებს მოციქულთა პიროვნული, ადამიანური აზრების არსებობას. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, თვით პავლე მოციქულის რამდენიმე გამოთქმა: „ამას ვამბობ ადამიანური მსჯელობით“ (რომ. 3:5; 6:19; 1 კორ. 9:8); „ამას კი მე გეუბნებით და არა უფალი“ (1 კორ. 7:12), ზოგიერთ საკითხზე კი პავლე ამბობდა, რომ მათზე „არა აქვს უფლის ბრძანება“ (1 კორ. 7:25). თუმცა ეს გარემოება უფრო „რჩევითი“ და „ბრძანებით“ ხასიათს გულისხმობს მოციქულის სიტყვებისა, ვიდრე მის მცდარობასა თუ უცდომელობას, რადგან სხვა ადგილას პავლე წერს: „ვფიქრობ, რომ მეც მაქვს სული ღვთისა“ (1 კორ. 7:40). გარდა ამისა ქრისტემ თავის მოციქულებს ნათლად განუცხადა, რომ მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდგომ მათ სულიწმინდას მოუვლენდა, რომელიც „ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“ (იოან. 14:26). ეს სიტყვები კი ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ბიბლიის უცდომელობის გარანტიად მიიჩნევა. თუმცა ამ უცდომელობასაც აქვს თავისი საზღვრები, რადგან ის არ ვრცელდება ბიბლიის იმ მონაცემებზე, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგებს განეკუთვნება (მაგ., ზოოლოგია, ბოტანიკა, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია...). უცდომელად ითვლება ბიბლიის ის სწავლება, რომელიც ეხება ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას, ღვთის ბუნებას, რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებას).

6. 5. კონსერვატული იუდაიზმი

კონსერვატული იუდაიზმი ცდილობს შეინარჩუნოს ტრადიციული იუდაიზმის არსებითი ელემენტები, მაგრამ თავის თავში უშვებს გარკვეულ ნოვაციებსაც, თუმცა არა ისეთი გაბედული ფორმებით, როგორც ეს რეფორმისტულ იუდაიზმშია.

1983 წლიდან კონსერვატული იუდაიზმი უფრო მეტად დაშორდა ორთოდოქსიას, შემოიღო რა რაბინებად ქალების კურ-

თხევის (ხელდასხმის) წესი. კონსერვატული იუდაიზმი განსაკუთრებით აშშ-შია გავრცელებული. ისრაელში კონსერვატული იუდაიზმის მიმდევრები თითქმის არ არიან.

6. 6. რეფორმისტული (ლიბერალური) იუდაიზმი

რეფორმისტული იუდაიზმი XIX ს-ის დასაწყისში გერმანიაში იწყებს თავის განვითარებას. იგი აღიარებს სეკულარულ ფილოსოფიას და თვლის, რომ იუდაური ტრადიცია ჩამოყალიბებულია არა მხოლოდ ღვთაებრივი გამოცხადების შედეგად, არამედ ასევე როგორც წმინდად ადამიანური ძალისხმევის შედეგად და კულტურული გარემოებების გავლენით. ამ მიმდინარეობას გალახის მოთხოვნების დაცვაში შეტანილი აქვს მნიშვნელოვანი შერბილებები, მაგალითად, ითვლება, რომ ქაშრუთის²⁵ დაცვა პიროვნული არჩევანის საქმეა.

XIX ს-ის შუა წლებში გერმანელი ებრაელების კონსერვატიზმის გამო რეფორმისტული იუდაიზმის განვითარება შეფერხდა. თუმცა აშშ-ში, პირიქით, ეს მიმდინარეობა უფრო მეტად გაძლიერდა ამ ქვეყანაში იუდეველი მოაზროვნეებისა და რაბინების ემიგრაციის წყალობით.

6. 7. რეკონსტრუქციონისტული იუდაიზმი

იუდაიზმის ეს მიმდინარეობა დააფუძნა XX ს-ის ერთ-ერთმა გავლენიანმა მოაზროვნემ მორდეხაი კაპლანმა. რეკონსტრუქციონისტებისთვის იუდაიზმი – ეს არის განვითარებადი ცივილიზაცია, ებრაელი ერის კულტურული მემკვიდრეობა. უარყოფს წარმოდგენას ტრანსცენდენტული ღმერთის შესახებ, ასევე სწავლებას წმ. წერილის ღვთივშთაგონებულობის შესახებ. რეფორმისტული იუდაიზმისგან განსხვავებით, რომელიც პიროვნების ავტონომიურობაზე აკეთებს აქცენტს, რეკონსტრუქციონისტული იუდაიზმი თემის, კრებულის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

25. ქაშრუთი – კანონები აკრძალული და ნებადართული საკვების შესახებ.

კაპლანი ცდილობდა განთავისუფლებულიყო „ზებუნებრივის“ ცნებისგან. მას ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი „იუდაიზმი, როგორც ცივილიზაცია“ (1934), რომელშიც იგი ყოველივე ზებუნებრივს განიხილავს როგორც რელიგიის „ალქიმიურ და ასტროლოგიურ“ სტადიას, რომელიც წინა ეტაპია „ქიმიური და ასტრონომიული“ სტადიისა – ანუ ნატურალისტური და ჰუმანისტური რელიგიისა.

XX ს-ის ბოლოს რეკონსტრუქციონისტთა რიცხვი დაახლ. 60,000 იყო. ჩრდ. ამერიკაში ეს ყველაზე სწრაფად მზარდი მიმდინარეობაა იუდაიზმის სხვა მიმართულებებთან შედარებით.

7. ანტისემიტიზმი

სიტყვა „ანტისემიტიზმი“²⁶ XIX ს-შია წარმოშობილია, ებრაელთა მიმართ სიძულვილი უძველესი მოვლენაა. კლასიკურ ანტიიუდაისტურ სიტყვებს ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, „ესთერი“ გადმოგვცემს:

„და უთხრა ჰამანმა მეფე ასტარქსერქსს: არის ერთი ხალხი, გაფანტული სხვა ხალხებს შორის შენი სამეფოს ყველა სამთავროში. მათი რჯული განსხვავდება ყველა ხალხის რჯულისგან და არ ასრულებენ მეფის კანონებს. მეფემ კი უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. თუ მეფე ინებებს გადაწყდეს მათი განადგურება...“ (ესთ. 3:8-9).

ანტიიუდაური შეტაკებები ალექსანდრიაში (IV-V სს.), ებრაელთა განადგურება ჯვაროსნების მიერ (X-XII სს.), აღმოსავლეთ ევროპაში ბ. ხმელნიცკის მიერ მოწყობილი ებრაელთა გენოციდი (1648 წ.), ებრაელთა პოგრომები²⁷ რუსეთში და

26. ანტისემიტიზმი – ნაციონალური შეუწყნარებლობის ერთ-ერთი ფორმა: ებრაელთა მიმართ მტრული დამოკიდებულება.

27. პოგრომი – რომელიმე ეთნიკური ან სხვა სახის ჯგუფის დარბევა და შევიწროვება, რომელსაც თან ახლავს ძარცვა და მკვლელობები.

ჰოლოკოსტი²⁸ გერმანიაში – ყოველივე ეს ებრაელთა მიმართ სიძულვილის უცნაურ ისტორიულ გამოვლინებებს წარმოადგენს.

არსებობს ამგვარი სიძულვილის ამხსნელი სამი თეორია:

1. პირველი თეორიის მიხედვით, ებრაელთა მიმართ სიძულვილი სოციალური და ეკონომიკური რყევების გვერდითი მოვლენაა. სხვადასხვაგვარი სირთულეების წარმოშობის დროს (რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ებრაელებთან) სწორედ ებრაელი ერი აღმოჩნდებოდა ხოლმე ყველაზე მოხერხებული ობიექტი დადანაშაულებისა და დაგროვილი სიძულვილის ამონთხვევითვის. ეს არის „განტევების ვაცის“ სახელით ცნობილი თეორია.
2. მეორე თეორიის თანახმად, ებრაელთა მიმართ სიძულვილი არაებრაელი ადამიანების შურისა და ღვარძლის გამოვლინების შედეგია, რომელიც გამოწვეულია ებრაელებსა და ღმერთს შორის საყოველთაოდ დეკლარირებული სიახლოვით. სხვა ერები ებრაელთა რჩეულობის მიმართ ფარული თუ აშკარა სიძულვილითა და სარკაზმით იყვნენ განმსჭვალულნი. ეს საღვთისმეტყველო თეორიაა.
3. მესამე თეორიის მიხედვით, ებრაელთა სიძულვილი ერთგვარი სულიერი დაავადებაა. როგორც ამ თეორიის მომხრენი აღნიშნავენ, ეს ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა არ მიიღოს „განსხვავებული“, ყველასგან რაიმეთი გამორჩეული ადამიანი. ეს ფსიქოპათოლოგიური თეორიაა.

ისტორიულად იუდაურ-ქრისტიანული ურთიერთობები განსაკუთრებით შეუწყნარებლობით იყო განმსჭვალული. ამ სიძულვილის გამოვლინებებათა სიხშირე საკმაოდ შთამბეჭდავია.

28. ჰოლოკოსტი – ეწოდება გერმანელი ნაცისტების მხრიდან ებრაელთა და ასევე სხვა უმცირესობების (ბოშების, კომუნისტების, ჰომოსექსუალების) დევნას. ჰოლოკოსტის შედეგად ექვსი მილიონი ებრაელი იქნა განადგურებული.

„ქრისტიანთაგან თითქმის არავის გაუპროტესტებია ებრაელთა პოგრომები. ინგლისის ეკლესიის მეთაურს, კენტერბერიის არქიეპისკოპოს რობერტ რანსს შემდეგი სიტყვები აქვს ნათქვამი: „საიდან ასეთი სიბრმავე? ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ, ქრისტიანები მრავალი საუკუნის განმავლობაში ვადანაშაულებდით ებრაელებს იესოს მოკვლაში...“ შუა საუკუნეებში გაჩნდა ახალი ბრალდებებიც. იუდეველები იწოდებოდნენ „ემმაკის შვილებად“, უერცლეულებდნენ ცრუ-ბრალდებებს ქრისტიანი ყრმების მკვლელობისა, ქურდობისა თუ ქრისტიანული სიწმინდეების შეზღავნისა. (...) სწორედ ამ ანტიიუდაურმა რელიგიურმა განწყობამ მოუშადა ნიადაგი გერმანულ ნაციზმს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქრისტიანი (მათ შორისაა, მაგ., წმ. გრიგოლ ფერაძეც, დ.თ.) საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა ებრაელებს. მაგრამ, საერთო ჯამში, ძალზედ ცოტა ქრისტიანი აღუდგა წინ ნაციზმს. ამის შთაბეჭდავ მოწმობას წარმოადგენს ქრისტიანულ ეკლესიათა დუმილი ებრაელთათვის ამ ძნელბედობის ჟამს.“

*ქრისტიანი თეოლოგი, მარკუს ბრეიბრუკი
(Христианско-Иудейский Диалог. Хрестоматия.
Сост., Х. Фрай. М., ББИ, 2002, გვ. 32-33)*

„ცდილობდა რა მასების მხარდაჭერის მოპოვებას, თავის ადრეულ გამოსვლებში ჰიტლერი ტიპიურ ქრისტიანულ ფრაზეოლოგიას იყენებდა: „...მწამს, რომ ვმოქმედებ ღვთის ნების შესაბამისად: ვიცავთ რა თავს ებრაელთაგან, ამით თვით უფლის სიტყვას ვიცავთ.“ (ამგვარი რელიგიური მოტივის გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებაში დამნაშავეებად ებრაელებს თვლიდა, დ.თ.). ნიურბერგის სამარცხვინო კანონებს სწორედ შუა საუკუნეების საეკლესიო კანონმდებლობა დაედო საფუძვლად (იხ., მაგალითად, იმპ. თეოდოსის (V ს.) და იმპ. იუსტინიანეს (VI ს.) კოდექსები). ასევე ეკლესიის ინიცირებით დაწესდა ებრაელთათ-

ვის გეტო,²⁹ სავაჭრო შეზღუდვები და არაებრაელთაგან გამოსარჩევად ყვითელი ფერის შეტანა ებრაელთა სამოსში. ქრისტიანები იგონებდნენ სხვადასხვა ცილისწამებას ებრაელთა წინააღმდეგ იმისათვის, რომ გამართლება მოეძებნათ მათი შევიწროვებისთვის (...) მიუხედავად ყოველივე ამისა, სრულიად შესაძლებელია დღეს ებრაელთა და ქრისტიანთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესება. მართალია, ზოგიერთი ძველი ქრისტიანი მწერალი ანტიიუდაურ კონცეფციებს აყალიბებდა, მაგრამ ქრისტიანობაში ასევე არსებობს საკმაოდ მდიდარი კულტურული საფუძველი ებრაელებთან ნაყოფიერი ურთიერთობების განვითარებისთვის.“

რაბინი ნორმან სოლომონი
(Христианско-Иудейский Диалог... გვ. 34-36)

ძველი საეკლესიო მწერლების (მაგ., იუსტინე ფილოსოფოსი, იოანე ოქროპირი და ნეტარი ავგუსტინე) აზრით, ებრაელები იმიტომ განიდევნენ საკუთარი სამშობლოდან, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს იესოს ჯვარცმასში. ყველაზე მეტად სწორედ ამ ბრალდებას ეფუძნებოდა შუა საუკუნეების ანტიიუდაური თავდასხმები (ასევე არანაკლები სიხშირით ისმოდა ბრალდება იმასთან დაკავშირებით, თითქოს იუდეველები ქრისტიანების ბავშვებს კლავდნენ და მათი სისხლით მაცას ამზადებდნენ).

მაგრამ აუცილებელია მკაფიოდ გვახსოვდეს, რომ ამგვარი ანტიიუდაური განწყობა, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება თავად იმ წმ. წიგნის (ახალი აღთქმის) თეოლოგიას, რომელიც ქრისტიანებისთვის უპირველეს ავტორიტეტს წარმოადგენს. მაგალითად, პავლე მოციქული არა თუ არ ცდილობდა იუდეველთაგან მტრის ხატის შეექმნას, არამედ იგი რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ამტკიცებს, რომ „მათი [იუდეველთა] დაცემისგან არის წარმართთა ხსნა“ (რომ. 11:11). ამავე თავში მოციქული გამოთქვამს არა პირად „განსჯას“, არამედ, მისივე თქმით, ღვთაებრივ საიდუმლოს: „არ მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო, რათა

29. გეტო – ეწოდება რაიონს, კვარტალს, რომლის ფარგლებს მიღმა დასახლების უფლება არა აქვთ ამ რაიონში მცხოვრებ რასობრივი თუ რელიგიური ნიშნით დისკრიმინირებულ ადამიანებს.

თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ, რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია და დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე“ (რომ. 11:25). ე. ი. ღვთის განგებით სწორედ იუდეველთა დაცემით უნდა გადარჩეს მთელი სამყარო (დაცემაში მათ მიერ ქრისტეს არ მიღება იგულისხმება). „და ასე მთელი ისრაელი ცხონდება“ (რომ. 11:26). წმ. მამათა განმარტებით კი გამოთქმაში „მთელი ისრაელი“ იგულისხმებიან როგორც იუდეველები, ასევე წარმართები (იხ. ამ მუხლის ნეტარი თეოდორიტე კვირელისეული განმარტება).

„ეკლესია, რომელიც გამოხსნებას ნებისმიერი ადამიანის დევნას და რომელიც იუდეველებთან ერთად საერთო მემკვიდრეობას ფლობს, ეკლესია, რომელიც მოქმედებს არა პოლიტიკური მოტივებით, არამედ სახარებისეული სიყვარულით, ღრმა წუხილს გამოთქვამს წარსულში ანტისემიტისმის ყოველგვარი გამოვლინების გამო...“

*კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური განცხადება
(ვატიკანის II კრება, დეკლარაცია „Nostra Aetate“, § 4)*

მართალია, ზოგჯერ ახალ ათქმაში ებრაელთა მიერ ქრისტეს უარყოფა ასევე აიხსნება მათი სიჯიუტითა და სიბრმავეთ, მაგრამ ახალი აღთქმის საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯილი სწორედ ეს ბრალდებები დამკვიდრდა ცალმხრივად მოგვიანო ქრისტიანულ აპოლოგეტურ³⁰ ლიტერატურაში, ვიდრე პავლეს შეხედულებები რომაელთა ეპისტოლედან.

გარდა იმისა, მთელი ებრაელი ერის გამოცხადება „ქრისტეს ჯვარცმელ ერად“ აბსურდია შემდეგი მიზეზების გამო:

1. ქრისტეს განკითხვასა და ჯვარცმაში მონაწილეობდა მხოლოდ მიზერული პროცენტი იმ დროს მცხოვრებ ებრაელთაგან. ებრაელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უბრალოდ არაფერი იცოდა ამ მოვლენის შესახებ.
2. მიუღებელია იესოს ჯვარცმაში ებრაელთა შთამომავლობის დადანაშაულება, რადგან დანაშაულისთვის

30. აპოლოგეტიკა – თეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომლის მიზანია ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა ე. წ. „ერეტიკული სწავლებებისგან“.

პასუხს აგებს მხოლოდ ის, ვინც ამ დანაშაულს სჩადის (თვით ქრისტიანული ღვთისმეტყველების თანახმადაც კი, წინაპრების ცოდვები არ გადადის შთამომავლებზე.³¹ „ანტისემიტები“ ხშირად იმოწმებენ მთ. 27:25 მუხლს: „მისი სისხლი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე“ (ებრაელთა შეძახილი ქრისტეს ჯვარცმის წინ). მაგრამ ეს სიტყვები ადამიანური უგუნურებით ითქვა და არ წარმოადგენს ღვთის სიტყვას (გარდა ამისა, როგორც უკვე ავლენინეთ, წინაპართა ცოდვები არ გადადის შთამომავლობაზე).

3. ხშირად დავიწყებას ეძლევა ასევე ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ერის წარმომადგენლებმა (ებრაელმა მოციქულებმა) მიიღეს და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში ქრისტეს სახარება. გარდა 12 მოციქულისა, ქრისტეს მიმდევარი უამრავი ებრაელი არსებობდა (მცხეთელი ებრაელებიც ხომ ქრისტიანები იყვნენ).

8. ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნა

სიონიზმი – ებრაული ნაციონალისტური მოძრაობაა, რომელმაც მიზნად დაისახა ისრაელის მიწაზე ებრაელების დაბრუნება და ამ ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს შექმნა. სიონიზმის ფილოსოფია ემყარება ძველ აღთქმაში მოცემულ ცნობილ შეხედულებას უფლის მიერ ებრაელი ერისათვის „ისრაელის მიწის“ სამუდამო მფლობელობაში გადაცემის შესახებ.

სიონიზმი წარმოიშვა XIX ს-ში, მაგრამ ჯერ კიდევ XVI-XVII სს-ებში ზოგიერთი „მესია“ ებრაელებს პალესტინაში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. 1799 წელს ნაპოლეონიც ფიქრობდა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობაზე. 1847

31. იხ. პროფ. ედიშერ ჭელიძის პირველწყაროებზე დაფუძნებული გამოკვლევა: „ეკლესიის მამათა სწავლება ცოდვისა და სასჯელის შესახებ“ // გაზ. „საეკლესიო სიწმინდენი“ #1, 2000 (სტატია წყაროებზე მითითებების გარეშე ხელმისაწვდომია ინტერნეტშიც: <http://church.ge/index.php?s=9fa2e5ec04bc7faf74c4ae0d91fcd9d1&showtopic=6631&st=0&p=558404&entry558404>).

წელს წარმოშობით ებრაელმა ბ. დიზრაელიმ (რომელიც შემდგომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი გახდა) გამოსცა სიონისტური რომანი „ტანკრედი“. ასევე აღმოსავლეთ ევროპიდან ბევრი ებრაელი ცდილობდა მცირე სასოფლო-სამეურნეო კოლონიების შექმნას პალესტინაში.

პირველი სიონისტური კონგრესი 1897 წელს ჩატარდა ბა-ზელში (შვეიცარია). კონგრესზე დაისახა სამოქმედო პროგრამა. 1903 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ებრაელებს შესთავაზა 15,500 კვადრატული კილომეტრის დაუსახლებელი ფართობის გამოყოფა უგანდაში (აღმოს. აფრიკა). სიონისტურმა კონგრესმა იმავე წელს უარყო ეს წინადადება. ისინი ტერიტორიის მიღებას პალესტინაში ითხოვდნენ.

1905 წელს რუსეთის რევოლუციისა და შემდგომი რეპრესიების შედეგად მრავალი რუსი-ებრაელი პალესტინაში გადასახლდა. პირველ მსოფლიო ომამდე პალესტინაში ცხოვრობდა დაახლ. 600,000 არაბი და 85,000 ებრაელი.

სიონისტური მოძრაობის ცნობილმა ლიდერებმა მოახერხეს 1917 წლისთვის ბრიტანეთის მხარდაჭერის მიღება პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შესაქმნელად. მომდევნო წლებში სიონისტები ყველანაირად ხელს უწყობდნენ პალესტინაში ებრაული დასახლებების წარმოქმნას. მიუხედავად იმისა, რომ არაბული მოსახლეობა ყველანაირად ცდილობდა სიონიზმთან ბრძოლას, უკვე 1933 წლისთვის პალესტინაში 238,000 ებრაელი ცხოვრობდა. ევროპაში ნაციზმის ზრდამ კიდევ უფრო დააჩქარა პალესტინაში ებრაელთა დაბრუნების პროცესი.

არაბულ-ებრაული (ისრაელ-პალესტინის) კონფლიქტი ნელ-ნელა გაეროს გადასაწყვეტი საქმე ხდება. 1947 წელს გაერომ მხარეებს შესთავაზა ტერიტორიის გაყოფა არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად, ასევე იერუსალიმის ინტერნაციონალიზაცია. 1948 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ისრაელის, როგორც სახელმწიფოს შექმნა, რამაც ებრაულ-არაბული ომი გამოიწვია 1948-49 წლებში. ამ ომის საშუალებით ისრაელმა ტერიტორიის კიდევ უფრო დიდი ნაწილი ჩაიგდო ხელში, რომლებიც გაეროს მიერ არაბული სახელმწიფოს შექმნისთვის იყო განკუთვნილი. ამ ტერიტორიებიდან განდევნილ იქნა 750,000 ადგილობრივი პალესტინელი (დაახლ. 80% მოსახლეობისა!). მომდევნო წლებშიც

ისრაელი იპყრობს მეზობელი არაბული სახელმწიფოების ტერიტორიებსაც, კერძოდ იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილს, ლაზას სექტორს და სხვ.

ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გმობს ისრაელის სახელმწიფოს ექსპანსიონიზმს. ისეთი ცნობილი ებრაელი მოაზროვნეები, როგორებიც არიან ს. გირშა. ი. ბრევერა, გ. კოგენა და სხვები, სიონიზმის კრიტიკით გამოდიან. მაგალითად, ებრაელი ფილოსოფოსი, ისაია ლეიბოვიჩი (1903-1994) საჯაროდ აკრიტიკებდა ებრაელთა მიერ არაბი მოსახლეობის ტერიტორიების ოკუპაციას. მან თავის თანამემამულეებს „იუდეონაციტებიც“ კი უწოდა.

„შესაძლოა, მრავალი ქრისტიანი იმიტომ არიდებს თავს ისრაელის სახელმწიფოს მოქმედებების კრიტიკას, რომ ემინია ვინმემ ანტისემიტიზმში არ დააღანაშაულოს, რადგან შებოჭილი არიან იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის არსებული დაძაბული ისტორიული ურთიერთობების შესახებ მეხსიერებით. მაგრამ შეიძლება კი ისრაელის პოლიტიკის კრიტიკა ანტისემიტიზმად მივიჩნიოთ? (...) უდიდესი ებრაელი მოაზროვნე, იეშაიაგუ (ისაია) ლეიბოვიჩი, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ისრაელის სინდისს“, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტზე შემდეგს აღნიშნავს: „...თუ ჩვენ სხვა ერებთან მიმართებაში ძალის პოზიციიდან ვსაუბრობთ და ვმოქმედებთ როგორც დამპყრობელი, მაშინ არცერთ ჩვენს ღირებულებას ფასი არა აქვს და აღარც იმ ფაქტს ენიჭება უკვე რაიმე მნიშვნელობა, რომ ოდესღაც ჩვენ თავად განვიცდიდით ტანჯვას სხვებისგან.“ სხვა ებრაელი მოაზროვნის, ური საიმონის სიტყვები კი შემდეგია: „...ვამი, ჩვენს მიერ წამოწყებულ სიონისტურ მოძრაობას, თუკი საკუთარი მიწის დაბრუნება ლტოლვილებიდან დამპყრობლებად გადაგვაქცევს, დევნილთაგან, რომლებმაც კარგად იციან ბოროტებასა და სიკეთეს შორის განსხვავება, მდევნელებად გარდაგვექმნის, რომლებსაც აღარ გააჩნიათ ცოდვის შეგრძნება“.

Х. Уко. Иудей и Христиане: Общие Корни и Новые Горизонты. М., 2000, гл. 40, 71

სიონისტური მოძრაობის იდეოლოგიებს თავისი პოლიტიკის გასამართლებლად მოჰყავთ შესაბამისი ადგილები თანახმიდან (ძველი აღთქმიდან), სადაც ებრაელებმა უფლის ბრძანებით ქანაანის მოსახლეობა ამოხოცეს ამ ქვეყნის ტერიტორიის დაკავების მიზნით (რიცხვ. 21:21-35; მეორე რჯულთა 2:24-3:17).

ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მართლა მოხდა თუ არა ისტორიულად ქანაანის (აღთქმული მიწის) ასეთი ვანდალური დაპყრობა. როგორც დღეს ბიბლიოლოგიურ³² მეცნიერებაშია დადგენილი ძველი აღთქმის რეალიების ისტორიული სანდოობის ხარისხი ძალიან დაბალია იმ მრავალი ნიშნის გამო, რომლებსაც თავად ძველი აღთქმის ტექსტები ავლენენ, მაგალითად: ისუ ნავეს წიგნსა და მსაჯულთა წიგნში არსებული წინააღმდეგობრივი მოწმობები ქანაანის ალების მასშტაბურობისა და სისასტიკის შესახებ; ანაქრონიზმები³³ ძველი აღთქმის პატრიარქთა შესახებ თხრობებში; ისტორიული დოკუმენტების დუმილი (მაგალითად, ეგვიპტეში ნაპოვნი შესაბამისი დროის დოკუმენტები არაფერს არ გვაუწყებს იმ მასშტაბური ნაციონალური ტრაგედიის შესახებ, რომელიც, ძველი აღთქმის თანახმად, მოსემ მეშვეობით დატრიალდა ეგვიპტის თავს); ასევე არ არსებობს ქანაანის დაპყრობის არქეოლოგიური მოწმობანი.

ამრიგად, ბიბლიური ტექსტების მკვლევართა ბრწყინვალე შეფასებით, „ბიბლიის ენა – არ არის ისტორიის ენა. ეს უფრო ლიტერატურის, ქდავების თუ გალობის ენაა. ბიბლია უფრო ფილოსოფიისა და ზნეობრივი დარიგების საშუალებაა...“ ქანაანის მასშტაბური დაპყრობის მოდელის კრიტიკოსთა შორის არიან გამოჩენილი ებრაელი არქეოლოგები და ისტორიკოსებიც, მაგალითად, უილიამ დევერი და ისრაელ ფინკელშტაინი.

„თუკი აღთქმული მიწის შესახებ ბიბლიურ გადმოცემებს გულუბრყვილო ბუკვალიზმით წავიკითხავთ, მაშინ ეს გადმოცემები ღმერთს წარმოგვიდგენენ, როგორც ნაციონალისტ და ქსენოფობ არსებას, როგორც სამხედრო მე-

32. ბიბლიოლოგია – ბიბლიის შემსწავლელი მეცნიერება.

33. ანაქრონიზმი – ეწოდება ქრონოლოგიური სიზუსტის დარღვევას რომელიმე მოვლენის ერთი ეპოქიდან მეორეში მცდარი გადატანით.

თაურს გენოციდებისა და ეთნიკური წმენდებისა. ამგვარი ღმერთის მიერ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის მოცემაზე აპელირება საკმაოდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ ღვთის მოთხოვნები არ უნდა იდგეს მინიმუმ ჟენევის მეოთხე კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მოთხოვნებზე დაბლა. უფრო მეტიც, გავიხსენოთ ამ ტექსტებს როგორ იყენებდნენ: ისინი ასაზრდოებდნენ ევროპიდან მომდინარე მებრძოლ კოლონიალიზმსაც, რაც საბოლოო ჯამში მილიონობით ადამიანის ტანჯვასა და ბიბლიის მიმართ პატივისცემის დაკარგვას იწვევდა“.

Г. Ястребов. Введение в Иудаизм. М., 2005, 82

9. იუდაიზმი საქართველოში

ქართული წყაროების თანახმად, საქართველოში ებრაელთა პირველი ტალღის შემოსვლა ძვ. წ. 586 წლის ტრაგედიას – ბაბილონელთა მიერ იერუსალიმის აღებას, ხოლო მეორე ტალღა კი ახ. წ. 70 წელს რომაელთა მიერ იერუსალიმის მეორე აოხრებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ IV ს-ში რამდენიმე უზნად დაყოფილ ქალაქ მცხეთის იმ ნაწილს, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, „უბანი ჰურიათაი“ ეწოდებოდა. აქ მათ სინაგოგებიც ჰქონიათ.

„მოქცევაი ქართლისაი“ ებრაელთა განსაკუთრებულ როლზე საუბრობს საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი, ელიოზ მცხეთელი – ქრისტეს კვართის ჩამომტანია საქართველოში. როგორც ამავე წერილობითი ძეგლიდან ჩანს, წმ. ნინომ პირველად სწორედ ქართლში მცხოვრები ებრაელები გააქრისტიანა.

ქართველ ებრაელთა შორის, მართალია, ღვთისმსახურება ებრაულ ენაზე სრულდებოდა, მაგრამ ისინი ყოველდღიურ ყოფა-ში ქართულ ენაზე მეტყველებდნენ და საკუთართან ერთად ქართულ ადათ-წესებსაც იცავდნენ.

IX ს-ში საქართველოში ჩნდება მცირე იუდაური ჯგუფი, რომლებიც ყარაიმთა სექტას ჩამოჰგავდნენ, რადგან უარყოფდნენ

თალმუდის რამდენიმე დებულებას, განსაკუთრებით საკვებთან და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, მაგრამ საერთო ჯამში ქართველი ებრაელები თალმუდისტური, ანუ რაბინისტური იუდაიზმის ერთგულნი დარჩნენ.

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა დაბრუნების იდეა (სიონიზმი) საქართველოში აშკენაზებმა შემოიტანეს. სიონისტური წრეები თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში XIX ს-ის მიწურულიდან არსებობდა.

1903 წელს მეექვსე სიონისტური კონგრესის (ბაზელი, შვეიცარია) მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რაბინმა დავით ბააზოვმა, რომელიც საქართველოს ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური იყო. ებრაელთა მცირე რაოდენობამ მოახერხა ისრაელში გადასახლება.

გასაბჭოების შემდეგ იუდაიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია. 1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს და იცავდა იუდაურ წეს-ჩვეულებებს. წინადაცვეთა, ქორწინება და დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით სრულდებოდა. ასევე ბავშვები იატაკქვეშეთში მოწყობილ ხედერებში³⁴ სწავლობდნენ.

„...მეტის მეტად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ებრაელი ბავშვი, რომელიც იმყოფება 6-7 წლის განმავლობაში ამ თავიანთ უფიც მასწავლებელთა ხელში, სწავლობს მათთან ამ ენაზე წერა-კითხვის გარდა მთელ რიგ თანამედროვე მეცნიერების დარგებს, როგორცაა ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნება და სხვ. ეს მეცადინეობა ხდება, ჯერ ერთი, უძველეს ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის დროინდელი მეცნიერების მსოფლმხედველობით, და მეორე, სქოლასტიური და თეოლოგიური მეთოდით. რასაკვირველია, აქ ადგილი არა აქვს თანამედროვე მეცნიერების განვითარების შესწავლას, აღზრდის სფეროში კი თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებს. ყველა ეს მეცნიერებანი არის აგებული მეტაფიზიკურ და ზებუნებრივ ნიადაგზე და ამგვარის სწავლის შედეგია,

34. ხედერი – იუდაური დაწყებითი განათლების სკოლა.

რომ ბავშვის გონება შეპყრობილია „ღვთაებრივი პიპნო-ზით“ და მის არსებაში რელიგიურ-სექტანტურ ფანატიზმს ღრმად აქვს გადგმული მაგარი ფესვები“.

*ებრაელი ინტელიგენციის საინიციატივო ჯგუფის
წერილი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს,
ებრაელთა კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ.
ქუთაისი, 9 თებერვალი, 1926 წ.*

*(წიგნიდან: შ. ვადაჭკორია. ებრაელთა საკითხი და
ქართული სინამდვილე (1921-1940). თბ., 2005, გვ. 99-100*

XX ს-ის 60-იანი წლებიდან მთელი საბჭოთა კავშირის მასშ-ტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიანტის.³⁵ საქართველოდან ებრაელ-თა გადინებამ 1991-1994 წლებში პიკს მიაღწია.

დღესდღეობით საქართველოს ებრაული თემი მნიშვნელო-ვანი მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო ებრაული ორ-განიზაციების მხრიდან, განსაკუთრებით აშშ-ს ებრაელთა გაერ-თიანებული კომიტეტისგან „ჯოინტი“. ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში.

საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის თაოსნო-ბით შექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში უკვე კარგა ხანია მოქ-მედებს ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი და იემივა.³⁶

ხაზად ლუბავიჩის წარმომადგენელმა, რაბინმა აბრამ მიხე-ლაშვილმა საქართველოში მოღვაწეობა 2001 წლიდან დაიწყო. მან თბილისში ებრაულ ტრადიციებზე დაფუძნებული სკოლა-სას-წავლებელი გახსნა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენასა და საკუ-თარი ერის ისტორიას სწავლობენ. რაბინი აბრამ მიხელაშვილი აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

სინაგოგები ფუნქციონირებს თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

35. ალია – ებრაელთა ისრაელში დაბრუნება.

36. იემივა – უმაღლესი იუდაური რელიგიური სასწავლებელი.

ქრისტიანობა

1. ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება

1. 1. შესავალი

ქრისტიანობა ერთ-ერთ აბრაამიტულ რელიგიად ითვლება. ამჟამად ქრისტიანული რელიგია ყველა კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. დღეს ამ რელიგიის მიმდევართა რიცხვი ორ მილიარდს აღწარბებს.

ქრისტიანობა წარმოიშვა ახ. წ.³⁷ I ს-ში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციაში – პალესტინაში. რომის იმპერიაში, როგორც წესი, მთელი ძალაუფლება იმპერატორის ხელში იყო: მის საპატივცემოდ აგებდნენ ტაძრებს, საკურთხევლებს, ძეგლებს. მას ასევე მსხვერპლს სწირავდნენ, როგორც ღმერთს. იმპერატორის სახელებს არქმევდნენ ქალაქებს. რომის იმპერიის უზრალო მოსახლეობა ყოვლად უფლებო მდგომარეობაში იყო, ისინი ხშირად რომელი ჩინოვნიკების მხრიდან ძალადობისა და ძარცვის მსხვერპლნი იყვნენ. მძიმე იყო ის სოციალური წნეხიც (ძირითადად გადასახადების სახით), რომელიც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იყო დამკვიდრებული. ყოველივე ეს კი ხშირად იწვევდა უკმაყოფილო მოსახლეობის აჯანყებებს. მაგრამ რომი საკმარისად ძლიერი იყო იმისათვის, რომ ამ აჯანყებებს გამკლავებოდა, რომლებსაც დიდი სისასტიკით ახშობდნენ.

ამგვარ აჯანყებათა ჩახშობის შემდეგ დეპრესია, იმედგაცრუება და სასოწარკვეთა იპყრობდა ჩაგრულ მოსახლეობას. უფრო მეტად მატულობდა აგრეთვე სიძულვილიც დამპყრობელთა მიმართ. ამგვარი განწყობები კი არც თუ ისე იშვიათად რელიგიურ ფორმებშიც ვლინდებოდა. ხშირად აქტიური ბრძოლას ენაცვლებოდა ოცნება ზებუნებრივი ძალების საშუალებით დამპყრო-

37. ახ. წ. – ახალი წელთაღრიცხვის სისტემაც სწორედ იესო ქრისტეს ამ ქვეყნად შობის დროიდან იანგარიშება.

ბელთაგან თავის დაღწევისა. ამრიგად, ზოგიერთი ისტორიკოსი ქრისტიანობის წარმოშობის მიზეზად სოციალურ უკმაყოფილებას ასახელებს. თუმცა ავტორთა უმრავლესობა რელიგიის წარმოშობის ამგვარ მიზეზს არაღამაჯერებლად მიიჩნევს. ისინი, ძირითადად, იმ არამიწიერი და სულიერი ზეგავლენის ფაქტორზე მიუთითებენ, რომელსაც დიდი რელიგიის დამფუძნებლები ახდენდნენ თავის მიმდევრებზე.

„მე, ალბათ, არასოდეს ვიწამებდი ღმერთს, რომ არა ჯვრის მისტირია... მიჭირს გავიგო, როგორ შეუძლია ადამიანს იმ ღმერთის თაყვანისცემა, რომელსაც არ შეუძლია ადამიანური ტანჯვის გაზიარება“ (ჯონ სკოტი).

Джон Янг. Христианство. Пер с Англ., М., 2001, 24

ასეთ ვითარებაში ჩნდება ქრისტიანობა. იგი თავიდან უუფლებო და დაბალი სოციალური წრეებიდან წარმოშობილი ადამიანების რელიგია იყო. პირველი ქრისტიანული თემები დემოკრატიული წყობით გამოირჩეოდნენ, ერთმანეთს უწოდებდნენ და-ძმებს, აწყობდნენ ერთობლივ ტრაპეზებს,³⁸ უანგაროდ ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ფლობდნენ საერთო ქონებას.

ამ დროს ჯერ არ არსებობდა არც საეკლესიო იერარქია და არც ეკლესიის იმგვარი ორგანიზაციული მოწყობა, როგორც ეს დღეს არის. რიგითი მორწმუნე, რომელიც ქარიზმატულ³⁹ ლიდერად მიიჩნეოდა, იწოდებოდა პრესვიტერად ან ეპისკოპოსად. ქრისტიანულ თემებში გაწევრიანება ყველას შეეძლო.

უზარმაზარი იმპერიის პერიფერიაში წარმოშობილი ქრისტიანობა პირველი სამი საუკუნის განმავლობაში სასტიკ დევნას განიცდიდა, რადგან ისინი უარს აცხადებდნენ რომის იმპერატორისა (რომელიც ერთ-ერთ ღვთაებად იყო აღიარებული) და სხვა წარმართული ღვთაებებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე. თუმცა მეოთხე საუკუნის დასაწყისში იგი რომის იმპერიის ლეგიტიმურ

38. ტრაპეზი – 1) ასე ეწოდებოდა ერთობლივ პურისჭამას ძველად (თუმცა ეს სიტყვა დღესაც გამოიყენება, უმთავრესად მონასტრებში); 2. ქრისტიანული ტაძრის საკურთხეველის მაგიდა, რომელზეც უსისხლო მსხვერპლი იწირება ლიტურგიის დროს.

39. ქარიზმა – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მადლს“.

რელიგიად ცხადდება. ეს 313 წელს იმპერატორ კონსტანტინეს დროს მოხდა.

ქრისტიანობის ასეთი უჩვეულო სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის მიზეზი რამდენიმე იყო. პირველი ეს იყო ძველი რომაული ცივილიზაციის საერთო სულიერი კრიზისი და მისი ტრადიციული რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობების მსხვრევა იყო. ამ დროს რომში მრავალრიცხოვანი ღვთაებების მიმართ საკმაოდ პრაგმატული და მომხმარებლური დამოკიდებულება არსებობდა (do, ut des, „გაძლევე, რათა მომცე“). ღმერთების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება გამორიცხავდა რაიმე ამაღლებულ განცდას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნამდვილი რელიგიური რწმენის არსებობა. მთავარი შინაგანი მიზეზი კი ქრისტიანობის სულიერ-ზნეობრივი იდეების მიმზიდველი ძალა და თვით იესოს პიროვნება გახლდათ.

1. 2. იესო ნაზარეველი

ბერძნული სიტყვა „ხრისტოს“ წარმოადგენს სიტყვასიტყვით თარგმანს ებრაული სიტყვისა „მესია“, რომელიც ნიშნავს ცხებულს, სხვა სიტყვებით, უფლისგან გამორჩეულს (სიტყვა „ცხებულზე“ გვექონდა საუბარი იუდაიზმის თავში), რომელსაც განსაკუთრებული ღვთაებრივი მადლი აქვს მინიჭებული დაკისრებული მისიის შესასრულებლად. სახელი „იესო“ ანუ ებრაულად „იეგოშუა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „მაცხოვარს“, „მხსნელს“.

იესო ებრაელთა ცნობილი მეფის, დავითის შთამომავალი იყო. სახარების თანახმად იესოს დაბადება წინასწარ, გამოცხადებით აუწყა მარიამს მთავარ-ანგელოზმა გაბრიელმა. მარიამი თავის დანიშნულთან – საქმროსთან, დურგალ იოსებთან ერთად ცხოვრობდა პალესტინის ერთ-ერთ პატარა ქალაქ ნაზარეთში. თუმცა იესო დაიბადა არა ნაზარეთში, არამედ ბეთლემის ერთ-ერთ გომურში,⁴⁰ რადგან ამ ქალაქში ლამის გასათევი ადგილი ვერ იპოვეს. ამ ქალაქში გადასვლის მიზეზი კი რომაელთა მიერ გა-

40. გომური – შინაურ ცხოველთა სადგომი.

მოცხადებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა იყო და ყველა თავის წარმოშობის ადგილს უნდა დაბრუნებოდა.

ამ დროს იუდეაში (პალესტინის სამხრ. ნაწილი) ჰეროდე მეფობდა. იესოს დაბადების ჟამს ვარსკვლავთმრიცხველი⁴¹ მოგვები⁴² მოვიდნენ იერუსალიმში და იკითხეს:

„სად არის ებრაელთა ახლადშობილი მეფე? რადგან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რომ თავყანი ვცეთ მას. ეს რომ გაიგო ჰეროდე მეფემ შეძრწუნდა და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად და შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგნობარი და გამოიკითხა მათგან, სად უნდა შობილიყო ქრისტე. ხოლო მათ უთხრეს მას: იუდეის ბეთლემში, რადგან ასეა დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ (...) მაშინ ჰეროდემ გაგზავნა ისინი ბეთლემში და უთხრა: მიდით და ზედმიწევნით გამოიკითხეთ ყრმის შესახებ და როცა იპოვით, მაცნობეთ მე, რომ მეც მივიდე და თავყანი ვცე მას“ (მათე 2:1-8).

მაგრამ მოგვებს ანგელოზი გამოეცხადათ, რომელმაც მათ უბრძანა, რომ არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან. შემდეგ სახარება გვაუწყებს:

„...ანგელოზი უფლისა გამოეცხადა ჩვენებით იოსებსაც და უთხრა: ადექი და წაიყვანე ყრმა და დედა მისი და გაიქეცი ეგვიპტეში, და იყავი იქ, ვიდრე გეტყვი შენ, რადგან სურს ჰეროდეს მოძებნა ყრმისა და დაღუპვა მისი“ (მათე 2:13).

იოსები და მარიამი ყრმა იესოსთან ერთად ეგვიპტეში იმყოფებიან ჰეროდეს სიკვდილამდე. თუმცა მანამდე ჰეროდე დიდ უბედურებას დაატეხს თავს ებრაელებს: ბეთლემსა და მის შემოგარენში ორ წლამდე ყველა ყრმას ამოხოცავს.

ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ იესოს ოჯახი ნაზარეთში ბრუნდება. სწორედ აქ იწყებს იესო თავის სამქადაგებლო მოღვაწეობას. ჯერ კიდევ 12 წლის იესო იერუსალიმის ტაძარში მღვდლებ-

41. ვარსკვლავთმრიცხველი – თანამედროვე სახელწოდებით, ასტრონომები.

42. მოგვი – წარმართული სალოცავის ღვთისმსახური.

სა და მწიგნობრებს აკვირვებს რელიგიურ საკითხებზე თავისი ბრძნული და გამჭრიახი მსჯელობით.

30 წლის ასაკიდან იესო იწყებს პალესტინის სხვადასხვა მხარეში ქადაგებას. იგი მრავალ სასწაულს აღასრულებს, კურნავს ავადმყოფებს და აცოცხლებს გარდაცვლილებს. იგი ურთიერთობს ყველა ფენისა და წარმოშობის ადამიანთან, მდიდრებთან, ღარიბებთან, მწიგნობრებთან, მეძავეებთან, მკვლელებთან. ქრისტეს რელიგიურ-ზნეობრივი პრინციპები ყველაზე მეტი სისავსით გადმოცემულია „მთაზე ქადაგების“ სახელით ცნობილ სწავლებაში (იხ. მათეს სახარების V-VI-VII თავები).

ამ ქადაგებაშია გადმოცემული ქრისტიანობის მთავარი ზნეობრივი პრინციპები. იესოს ქადაგებები არ იწვევდა მხოლოდ სიმპათიას. იგი ხშირად იყო ასევე განრისხების მიზეზიც, უპირველეს ყოვლისა, ფარისეველთა მხრიდან, რომლებიც მაქსიმალურად აკონტროლებდნენ ებრაელთა მიერ იუდაური წეს-ჩვეულებები დაცვის პროცესს.

რასაკვირველია, იუდაური რელიგიის მსახურებს არ სიამოვნებდათ ასეთი წარმატებული კონკურენტის არსებობა მათ გვერდით, რომლის მიმდევრებიც დღითიდღე იზრდებოდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რომის იმპერიის მოხელეთა გაღიზიანებაც იესოს მიმართ, რომელსაც ხმები დაუყარეს, რომ იგი ებრაელთა მეფობისთვის ემზადებოდა, რაც ასევე პოლიტიკურ საფრთხედაც ფასდებოდა. სწორედ ამის გამოძახილია იესოს ჯვარზე მიკრული დამცინავი წარწერა: „მეფე იუდეველთა“.

1.3. ქრისტიანობა რომის იმპერიაში

ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების შემდგომ (დაწვრილებით იხ. სახარებები) ახლად წარმოქმნილი ქრისტიანული თემი ძალას იკრებდა. ქრისტიანთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობდა.

ვრცელდებოდა რა რომის იმპერიის მრავალრიცხოვან პროვინციებში, ქრისტიანობა ყველა რეგიონის ადგილობრივ ტრადიციებსა და სოციალურ პირობებს ესადაგებოდა. რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფის შედეგად, წარ-

მოიშვა პირველი ოთხი ავტოკეფალური⁴³ ეკლესია (მეხუთე, რომის კათედრა უკვე არსებობდა): კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის. მალე ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციას გამოეყო ჯერ კვიპროსის, შემდეგ კი საქართველოს ეკლესიები (ამიტომ ითვლება, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო).

პირველ ქრისტიანულ თემებს საკმაოდ რადიკალური რელიგიურ-ფილოსოფიური ხედვა ჰქონდათ, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებოდნენ, ერთი მხრივ, რომის ხელისუფლებას და, მეორეს მხრივ, იუდაიზმს.

ამგვარმა განწყობამ თავისი გამოხატულება დამკვიდრებული სოციალური ფორმების უარყოფასა და კატასტროფული ხასიათის წინასწარმეტყველებებში ჰპოვა. ქრისტიანების მიერ რომის იმპერია იგმოზოდა როგორც „უდიდესი მეძავი“, როგორც ახალი ბაბილონი, სადაც „ბნელეთი და უწმინდურება“ მეფობს, რომელსაც განადგურება ეწერა ზეციური ძალების მიერ.

ამ პერიოდის ქრისტიანობას ასევე ახასიათებდა რადიკალურ-დემოკრატიული პათოსი, რომელმაც ახალ რელიგიურ იდეებში ჰპოვა ასახვა. ქრისტიანობამ უარყო შეხედულება ერთი რომელიმე ერის რჩეულობის შესახებ და ყველა ერი თანასწორად გამოაცხადა. ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლით მთელი კაცობრიობა იქნა გამოსყიდული და არა მხოლოდ ებრაელი (რჩეული) ერი.

ამიტომ ადამიანის გადარჩენა და უფლის სასუფევლის დამკვიდრება აღარ უკავშირდება ადამიანის ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილებას, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ ქრისტეს მცნებების შესრულებაზე. ქრისტიანობის განცხადებით, სწორედ ამაში მდგომარეობს ახალი აღთქმა, რომელიც ღმერთმა დაუდო ახალ ისრაელს, რომლის წევრიც ნებისმიერი ეროვნების ადამიანი შეიძლება გახდეს. ახალი აღთქმა ჩაენაცვლა ძველს, რომელიც უფალს მხოლოდ ებრაელ ერთან ჰქონდა დადებული.

ქრისტიანული თემები საკუთარ ხელმძღვანელებს პერიოდულად ღია არჩევნების წესით ირჩევდნენ. თემთა რიცხობრიობის ზრდასთან ერთად რთული ხდებოდა ასევე ამ საკრებულოთა

43. ავტოკეფალური – ასე იწოდებიან საეკლესიო ენაზე ის ეკლესიები, რომლებიც დამოუკიდებელი თვითმმართველობა აქვთ.

ორგანიზაციული ცხოვრებაც. ამ დროიდან ქრისტიანები იწყებენ მუდმივი ხელმძღვანელების – პრესვიტერებისა და მათი თანაშემწეების – დიაკვნების⁴⁴ არჩევას. ქრისტიანულ თემთა მზარდი ქონების სამეთვალყურეოდ კი მუდმივი ზედამხედველთა – ეპისკოპოსთა⁴⁵ არჩევა.

III ს-ის მიწურულს ქრისტიანობა უკვე საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს იმპერიაში. იგი თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი და ამ დროისთვის უკვე მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს.

„რომის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში არსებული სარწმუნოებების ერთი „სახურავის“ ქვეშ მოქცევის მიზნით, ავგუსტმა დააწესა იმპერატორის კულტი, რომელიც გულისხმობდა იმპერატორის ყოვლისშემძლე ნების გაღმერთებას. მასთან ერთად კი თაყვანის-იცემებოდა ვარდაცვლილი იმპერატორებიც და თვით ქალაქი რომი, ასევე პანთეონში არსებული კერპები, რათა მათ არ მოეკლოთ წყალობა რომის იმპერიისთვის. ამ ცერემონიალებში კი იმპერიის ყველა წოდების ადამიანი იღებდა მონაწილეობას, რომელიც არა იმდენად მათი რელიგიური მოთხოვნილებე-

44. დიაკონი – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მსახურს“. დღეს ამ სახელწოდებით მოიხსენიება ყველაზე დაბალი (მესამე) ხარისხის სამღვდლო რანგის სასულიერო პირი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. დღეს ისინი სატაძრო ღვთისმსახურების დროს მღვდლის ან ეპისკოპოსის ასისტენტებად მსახურობენ. დიაკვნებს არა აქვთ საიდუმლოებების (საკრამენტების) აღსრულების უფლება.

45. ეპისკოპოსი – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ზედამხედველს“. ეპისკოპოსები უმაღლესი ხარისხის მღვდლმსახურნი არიან საეკლესიო იერარქიაში. ქრისტიანულ თემთა პირველ ხელმძღვანელებს ეწოდებოდათ უხუცესები (იგივე პრესვიტერები), მაგრამ თანდათან პრესვიტერებს გამოეყვნენ უფროსი პრესვიტერები, სწორედ მათ ეწოდათ შემდგომში ეპისკოპოსები. დღეს ეპისკოპოსების ხელშია კონცენტრირებული მთელი საეკლესიო-ადმინისტრაციული და ეკონომიკურ-სამეურნეო საქმიანობა თითოეულ ეპარქიაში.

ბის დაკმაყოფილებას, არამედ იმპერიის მიმართ ლოიალობის გამოხატულებას წარმოადგენდა.

ასეთ რელიგიურ ლოიალობას კი საფრთხეს უქმნიდა შეურიგებელი მონოთეიზმი, რომელიც უარს აცხადებდა იმპერატორის კულტის აღიარებასა და თაყვანისცემაზე. ამგვარ წინააღმდეგობას რომი ქრისტიანებისა და იუდეველების მხრიდან წააწყდა. ქრისტიანები უფრო საშიშ ხალხად აღიქმებოდნენ, რადგან ენერგიულად ცდილობდნენ წარმართების მოქცევას საკუთარ რწმენაზე, რომლებსაც შემდეგ იმპერიის ოფიციალურ რელიგიურ ცერემონიალებში მონაწილეობას უკრძალავდნენ, რადგან ქრისტიანობის პრინციპებიდან გამომდინარე თაყვანისცემა მხოლოდ ღმერთს შეეძენის. „უფლის სიყვარულის“ ქადაგების წყალობით, რომელიც გულგრილს არ ტოვებდა უბრალო ხალხს, ასევე აქტიური მისიონერული საქმიანობის გამო, რომელსაც ხელს უწყობდა ეფექტური საზღვაო და საგზაო მიმოსვლის საშუალებები და ასევე იმის წყალობითაც, რომ ქრისტიანობა ანტიკური საზოგადოების უმაღლეს რელიგიურ მოთხოვნილებებს სათანადოდ პასუხობდა, აღნიშნულმა რელიგიამ დაიპყრო რომის იმპერიის როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ ნაწილები.

იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ, თუ რამდენად იყო საშიში ქრისტიანობა რომისთვის, უნდა გვახსოვდეს შემდეგი: იმპერატორის კულტმსახურებაში მონაწილეობაზე უარის თქმით ქრისტიანები ფაქტიურად სახელმწიფო დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ. მათი რიცხვი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ იყო მცირე. ქრისტიანები უფლის წინაშე ყველას თანასწორობის ქადაგებით არღვევდნენ იმპერიაში არსებულ სოციალურ წესრიგს, როცა იმპერიაში გავრცელებულ სანახაობებს ამხედნენ, ამით რომის მოსახლეობას სანახაობრივი გართობის წართმევის საფრთხეს უქმნიდნენ. ასევე ქრისტიანთა საიდუმლო შეკრებებიც სერიოზული საფუძველი გახდა მათი დადანაშაულებისა საძაგელ მოქმედებებში (თითქოს ისინი ამგვარი ჩაკეტილი ღვთისმსახურებების დროს არაქრისტიანთა ბავშვებს სწირავდნენ და მათ სისხლს სვამდნენ).

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრი არ იყო განწყობილი ქრისტიანთა სასარგებლოდ. როგორც ბერძნები, ასევე რომაელები მათ აღმაცერად უყურებდნენ, ხოლო რომის იმპერია, რომელიც საკმაოდ შემწყნარებლური იყო სხვადასხვა სარწმუნოებებისადმი, აუცილებლად უნდა მოეხდინა რაიმეგვარი რეაქცია ქრისტიანთა მიერ შექმნილ ამგვარ მდგომარეობაზე. რომში კლავდიუსის (49 წ.) დროს, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კი ტრაიანეს დროს დაიწყეს ქრისტიანთა შევიწროვება. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს ახალი რელიგიის საკმაოდ სწრაფ გავრცელებას: სულ რაღაც 20 წელიც არ იყო გასული ქრისტეს ჯვარცმიდან, რომ ამ რელიგიას უკვე შეეღწია ქალაქ რომში.

Жан-Мари Анжель. Римская Империя. М., 2004, 122-3

ქრისტიანთა ყველაზე სასტიკი დევნა III-IV სს-ების მიჯნაზე დაიწყო. მომდევნო იმპერატორი, კონსტანტინე მიხვდა, რომ ქრისტიანთა დევნა მხოლოდ ართულებდა ვითარებას იმპერიაში და ასუსტებდა საიმპერატორო ხელისუფლების ავტორიტეტს. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ქრისტიანობაში და მის საეკლესიო სტრუქტურაში მან მტკიცე დასაყრდენი განჭვრიტა საიმპერატორო ხელისუფლებისათვის.

სხვადასხვა ისტორიული წყაროში (სულ სამი ამგვარი ცნობა არსებობს, ერთი ეკუთვნის ლაქტანციუსს (IV ს.), დანარჩენი ორი კი ევსევი კესარიელს (IV ს.) იმპერატორ კონსტანტინეს ქრისტიანობაზე მოქცევის მიზეზად შემდეგი სასწაულია დასახელებული: ერთ-ერთი ბრძოლის წინ იმპერატორს სიზმარში უნახავს ჯვრის გამოსახულება, რომელიც უცნობი ხმის თანახმად, თავის მეომართა ჯარებზე უნდა აღებეჭდა და ასე ეწარმოებინა ბრძოლა. კონსტანტინე ასეც მოიქცა. შედეგად მან ამ ბრძოლაში გაიმარჯვა.

„იმპერატორი კონსტანტინე ქრისტიანობაზე მოქცევამდე მზის კულტის თავყანისმცემელი იყო, მაგრამ როცა პირველი ქრისტიანი იმპერატორი გახდა, მაინც აგრძელებდა „დაუმარცხებელი მზის“ (Sol Invictus) ამოტვიფრას მონეტებზე და ოფიციალურ დოკუმენტებზე. მას არც წარმართული ტიტულის „უმაღლესი ქურუმის“ (Pontifex Maximus)

წოდებაზე უთქვამს უარი (...) არ შეეძლო რა საკუთარ ცნობიერებაში ერთმანეთისთვის შეეთავსებინა იმპერატორის მოვალეობები და ქრისტიანობის ზნეობრივი მოთხოვნები, იგი აყოვნებდა თავის ნათლობას გარდაცვალების ჟამამდე (337 წ.), რომელიც სხვათა შორის აღასრულა რადიკალმა არიანელმა ეპისკოპოსმა: ევსევი ნიკომიდიელმა. ამიტომ, ალბათ, არასწორია, როდესაც კონსტანტინეს „პირველ ქრისტიან იმპერატორს“ ვუწოდებთ, რამდენადაც მას, როგორც მოუნათლავ ქრისტიანს, სიცოცხლის განმავლობაში ასევე არასოდეს მიუღია მონაწილეობა ეკლესიის საიდუმლოებებში. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მართლმადიდებელმა ეკლესიამ მას წმინდა „მოციქულთასწორი“ იმპერატორის სახელი მიანიჭა“

И. Мейендорф. Единство Империи и Разделения Христиан. М., 2003, 20

„როდესაც ქრისტიანობა ლეგიტიმურ რელიგიად გამოცხადდა, ქრისტიანებმა მალე დაივიწყეს საკუთარი მოწოდებები რჯულთშემწყნარებლობისაკენ. სულ რაღაც 60 წლის შემდეგ, რაც ქრისტიანობა რომის ხელისუფლებას შეუერთდა (ე.ი. 373 წელს), მოხდა ერეტიკოსის პირველი ფიზიკური დასჯა ქრისტიანთა მხრიდან.“

Андрей Кураев. Дары и анафемы. М., 2001, 21

„უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ეკლესია ითხოვდა სახელმწიფოსგან წარმართებთან ბრძოლას, რითაც იგი ცალსახად უგულვებელყოფდა შემწყნარებლობის პრინციპს. ეკლესიამ დაივიწყა ტერტულიანეს სიტყვები, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანთა მდევნელთადმი: „საზოგადო სამართალიც და ბუნებრივი რჯულიც იმას ითხოვს, რომ თითოეული თაყვანსცემდეს ღმერთს იმგვარად, როგორადაც მას ეს სწამს... ერთმა რელიგიამ არ უნდა იძალადოს მეორეზე“ (Tertullian. Ad Scapulam. 2 (PL 1,699))“

Прот. А. Шмеман. Исторический Путь Православия. Киев 2003, 158

ამრიგად ქრისტიანული ეკლესია, დევნილობიდან თავდახსნის შემდეგ უფლის მორწმუნე ადამიანების კრებულიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაწესებულებად, რომის იმპერიის სტრუქტურულ დანამატად იქცა, რომელმაც აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ცეზაროპაპიზმის⁴⁶ სახე მიიღო (იმპ. იუსტინიანეს ეკლესიის საქმეებში უხეში და საკმაოდ მასშტაბური ჩარევის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იხ. ქვემოთ, 4.3 ქვეთავში).

ბიზანტიის დაცემის შემდგომ მსგავსი მდგომარეობა რუსეთის იმპერიაშიც (მეფის რუსეთშიც) გაგრძელდა. ეს იმ ზომამდეც კი მივიდა, როცა იმპერატორმა პეტრე I-მა პატრიარქის ინსტიტუტიც კი გააუქმა და ეკლესიის მმართველი სინოდი ერისკაცს დაუქვემდებარა, რომელიც სახელმწიფო ჩინოვნიკი გახლდათ.

დასავლეთში კი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობამ პაპოცეზარიზმის⁴⁷ სახე მიიღო, როდესაც რომის პაპი ერთდროულად იყო როგორც ეკლესიის პირველიერარქი, ასევე საერო მონარქი. ამრიგად, საქრისტიანოში დაირღვა ქრისტეს უმთავრესი პრინციპი: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა“; რაც გულისხმობდა სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯნულობის პრინციპს, რამდენადაც ისინი სრულიად სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენენ.

ამას მოჰყვა ეკლესიის დამძიმება ამქვეყნიური ინტერესებით, მისი გადაგვარება და უმწვავესი რეაქცია რეფორმაციის (პროტესტანტიზმის) სახით დასავლეთში (იხ.), რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა ეკლესიის გამოყოფით სახელმწიფოსგან ევროპასა და აშშ-ში.

46. ცეზაროპაპიზმი – ამ სახელწოდებით მოიხსენიება მმართველობის სტილი, როდესაც საერო ხელისუფალი (ცეზარი, კეისარი) ეკლესიის მმართველის (პაპი, პატრიარქი) ფუნქციების უზურპირებას ახდენს.

47. პაპოცეზარიზმი – ნიშნავს პირიქით: საეკლესიო ხელისუფალის მიერ საერო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

1.4. „დიდი განხეთქილება“

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებები და სქიზმები⁴⁸ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის (და ასევე მხოლოდ აღმოსავლეთის ფარგლებშიც) არ იყო სიახლე. 1054 წლამდე რომა და კონსტანტინეპოლს შორის მომხდარი (ისტორიკოსთა გამოთვლით) ხუთივე განხეთქილება ყოველთვის შერიგებით სრულდებოდა. ბოლო ასეთი განხეთქილება IX ს-ში კონსტანტინეპოლის ეკლესიის პატრიარქ ფოტიოსისა და რომის პაპ ნიკოლოზ I-ის დროს მოხდა, რომელიც ასევე მალევე ამოიწურა (შერიგებით დასრულდა).

რატომ აღმოჩნდა ეს მორიგი განხეთქილება საბედისწერო? პარადოქსია: თუკი მანამდე არსებული უთანხმოებები/განხეთქილებები უმეტესად დოგმატური (ანუ ეკლესიური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი) საკითხებით იყო გამოწვეული და რომელიც ყოველთვის შერიგებითა და ურთიერთგარკვევით სრულდებოდა, ჩვენ არ შეგვიძლია იგივეს თქმა ამ ბოლო განხეთქილების წარმომშობ მიზეზებზე.

სინამდვილეში ამ ტრაგიკული შედეგის გამომწვევი გარემოება იმ დაგროვილი უკმაყოფილებისა თუ პროტესტის გამოხატულება იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იზრდებოდა. ურთიერთსიძულვილი კი თანდათან ძლიერდებოდა ორივე მხარის მიერ საკუთარი ძალაუფლების გაზრდისთვის გაწეული არცთუ ისე დელიკატური ძალისხმევის გამო. მაგალითად, ისტორიკოსი მ. პოსნოვი ასახელებს რვა ისტორიკოსს, რომლებიც ე.წ. ეკლესიათა განყოფის მთავარ მიზეზად, არც მეტი არც ნაკლები, ძალაუფლებისათვის ბრძოლას ასახელებენ (იხ. დამოწმებულ ლიტერატურაში: პოსნოვი, გვ. 559). სარწმუნოებრივ-დოგმატურ საკითხებზე კამათი მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო.

ეს დაპირისპირება შემდეგი მიზეზით დაიწყო: სამხრეთ იტალიაში არსებობდა კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესია-მონასტრები. დაპირისპირება იმით დაიწყო, რომ ამ ეკლესია-მონასტრებშიც ლათინურმა წესებმა იწყო გავრცელება. ამის საპასუხოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიქაელ კერულარიოსმა კონსტანტინეპოლში არსებულ ლათინურ ეკლესიებს

48. სქიზმა – იგივე განხეთქილება.

მოსთხოვა ბერძნული წესების აღსრულება და როცა უარი მიიღო, მათი დახურვის ბრძანება გასცა. მიქაელი და მისი თანამოაზრენი ამ ეტაპზე ექვა-რისტიაში უფუარი პურის გამოყენების ლათინურ პრაქტიკას აკრიტიკებდნენ. გაჩაღდა პოლემიკა.

ვითარებაში გასარკვევად პაპი კონსტანტინეპოლში აგზავნის სამ ლეგატს⁴⁹ კარდინალ ჰუმბერტის ხელმძღვანელობით. ისტორიკოსთა მითითებით, ეს არჩევანი არ იყო წარმატებული, რადგან ჰუმბერტი გამოირჩეოდა შეუპოვარი და კონფრონტაციული ხასიათით. სამწუხაროდ, მსგავსი სულისკვეთება ჰქონდა კონსტანტინეპოლის იმჟამინდელ პატრიარქსაც, მიქაელ კერულარიოსს.

როგორც მოსალოდნელი იყო დიალოგი მათ შორის არ შედგა. იმედგაცრუებული კარდინალი ჰუმბერტი 1054 წლის 16 ივლისს „განკვეთის აქტს“ კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის სახელობის საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველში დებს. ამის შემდეგ ლეგატებმა კონსტანტინეპოლი დატოვეს. პასუხად პატრიარქმა კერულარიოსმა 1054 წლის 20 ივლისს მოიწვია საეკლესიო კრება და მასზე გამოიტანა განჩინება კარდინალი ჰუმბერტისა და მისი თანამოაზრეების ანათემაზე გადაცემის შესახებ, რაც ავტომატურად მათ ეკლესიიდან განკვეთასაც გულისხმობდა. ამის შემდეგ კონსტანტინეპოლში პატრიარქის დავალებით, აქტიურად იწყება მუშაობა ლათინთა⁵⁰ წინააღმდეგ სარწმუნოებრივი (მათ შორის დოგმატური) ხასიათის ბრალდებების შემცველი თხზულებების შექმნისთვის.

ეკლესიის ისტორიკოსი ა. ლებედევი პატრიარქ მიქაელ კერულარიოსის ანტილათინურ ბრალდებებზე შემდეგს წერს: „თუნდაც რომ მრავალი ამ ბრალდებათაგან სამართლიანი ყოფილიყო, რისი თქმაც არანაირად არ შეიძლება, ამ შემთხვევაშიც კი ქრის-

49. ლეგატი – აღმოსავლეთში ჩატარებულ საეკლესიო კრებებზე და ასევე სხვა საკითხების გასარკვევად რომის პაპები საკუთარ წარმომადგენლებს აგზავნიდნენ. სწორედ ლეგატებად იწოდებოდნენ ისინი.

50. ლათინები – ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესიის საზღვრებში მცხოვრებ ქრისტიანებს. „კათოლიკები“, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიყენებთ მათ მიმართ ამ პერიოდში არ გამოიყენებოდა.

ტიანული სულის თანახმად მას გაგებითა და დუმილით უნდა აევლო გვერდი მათთვის; მაგრამ ამას ვერ დაუშვებდა კერულარიოსი. მან ასო აიყვანა დოგმატის დონემდე; საკითხები, რომლებიც ყურადღების ღირსიც არ იყო, უდიდეს დანაშაულად წარმოაჩინა, მნიშვნელოვანი აურია უმნიშვნელოში“ (ლებედევი, გვ. 198). იქვე ისტორიკოსი მიუთითებს, მაგალითად, ამავე საუკუნის სხვა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეებზე (ანტიოქიის პატრიარქი პეტრე, წმ. თეოფილაქტე ბულგარელი, წმ. გიორგი მთაწმინდელი), რომელთათვისაც მიუღებელი იყო მიქაელ კერულარიოსის ინტრიგები. იგივე შეიძლება გვეთქვას წმ. სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველზეც, რომელიც ბრიტანელი ისტორიკოსის, სტივენ რანსიმენის თქმით, „კამათებისას გამოირჩეოდა თავისი შემრიგებლური განწყობით. მართალია ისიც პოლემიკობდა ლათინებთან, მაგრამ აშკარად მათთან ურთიერთგაგებისკენ მიისწრაფვოდა“ (რანსიმენი, გვ. 166). რაც შეეხება წმ. სვიმეონის მოწაფეს, ნიკიტა სთიფატს, მართლმადიდებელი თეოლოგის, ო. კლემანის თქმით, მან „უკიდურესობამდე მიიყვანა თავისი მასწავლებლის მსჯელობები“ (კლემანი, გვ. 469).

საჭიროა მკაფიოდ აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთგანკვეთები აღსრულდა კონკრეტულ პიროვნებებს შორის და არა მთლიანად ეკლესიებს შორის, რადგან თვით ბერძნული მატრიანეებიც კი არ იცნობენ ამ განკვეთას: როცა 1089 წელს იმპერატორმა ალექსი კომნენმა სთხოვა იმპერიის კანცელარიას, მოეძებნათ ორ ეკლესიას შორის განხეთქილების დამადასტურებელი დოკუმენტები (რადგან პაპმა ურბან II-მ ოფიციალური შეკითხვა გაუგზავნა იმის თაობაზე, თუ რატომ არ იხსენიებდნენ მას ბიზანტიელები ლიტურგიისას), ვერანაირი საბუთი ვერ იპოვეს. ამის საპირისპიროდ, ლათინური მხრიდან უხვად მოიპოვება ინფორმაცია იმათ შესახებ, ვინც პროცესის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ. რომაული მხრიდან განკვეთის აქტი გულისხმობდა მხოლოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქს, ბულგარეთის მთავარეპისკოპოს ლეონ ოქრიდელს და ვინმე კონსტანტინეს (ლათინური ლიტურგიის შეურაცხყოფელს), ხოლო კონსტანტინეპოლის მხრიდან განკვეთის განჩინებაში იხსენიებოდნენ მხოლოდ კარდინალი ჰუმბერტი, დანარჩენი ორი ლეგატი და მათი შესაძლო პოლიტიკური შთამაგონებლები.

მართლმადიდებელი თეოლოგი, მღვდელი იოანე ერიქსონი საინტერესო შემაჯამებელ შეფასებას გამოთქვამს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის მომხდარ ამ უკანასკნელ სკიზმაზე:

„ბოლო წლებში 1054 წლის განხეთქილება იშვიათად განიხილება როგორც წმინდა თეოლოგიური უთანხმოების შედეგი. ისტორიკოსები მეტწილად საუბრობენ უკიდურესად ხისტი ბუნების ადამიანების, ჰუმბერტისა და კერულარიოსის დაპირისპირებაზე – ხისტი ბუნებისანი კი ისინი ნამდვილად იყვნენ. ალბათ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არც კათოლიკურ და არც მართლმადიდებლურ ეკლესიებს არ მოუხდენიათ თავისი შესაბამისი გმირების კანონიზაცია. მეორეს მხრივ, თანამედროვე თეოლოგები მიუთითებენ არა იმდენად დაპირისპირებაზე, რამდენადაც გაუგებრობათა მთელ წყებაზე – გაუგებრობები კი ნამდვილად იყო. 1054 წლის ლათინები გამოირჩეოდნენ ბერძნული ენისა და საერთოდ ბერძნული თეოლოგიური ტრადიციის ძალზედ მწირი ცოდნით, ხოლო ბერძნები კი მეტისმეტად იყვნენ დაკავებული იმდროინდელ სომეხ და ებრაელ თეოლოგებთან პოლემიკით იმისათვის, რომ სათანადოდ შეეფასებინათ ლათინთა პოზიციები“.

J. Erickson. The Challenge of Our Past: Studies in Orthodox Canon Law and Church History. New-York, 1991, 149-150

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიროვნული ანათემებიც⁵¹ კი ორივე მხრიდან გაუქმდა 1965 წლის 7 დეკემბერს, როდესაც ვატიკანის მეორე კრების დახურვის წინ გამოქვეყნდა პაპ პავლე VI-სა და მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქ ათენაგორას ერთობლივი განცხადება ეკლესიის ხსოვნიდან 1054 წლის ტრაგიკული მოვლენის წარბოცვის შესახებ. (საერთოდ, კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში ვატიკანის მეორე კრება (1963-65 წწ.) მართლაც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან სწორედ ამ კრების წყალობით კარდინალურად შეიცვალა და გადაფასდა

51. ანათემა – ეკლესიისგან განკვეთა. ზოგჯერ მისი სინონიმებია „შეჩვენება“, „დაწყევლა“.

კათოლიკური ეკლესიის სწავლება სხვა რელიგიებისადმი, ადამიანის უფლებებისადმი და ზოგადად თანამედროვე სამყაროსადმი დამოკიდებულია. ამ კრების შემდეგ გატარდა ასევე ლიტურგიკული რეფორმა...)

ამგვარი გახლდათ ვითარება, რომელიც ძალიან მოკლედ გადმოვეცით წინამდებარე ნაშრომში⁵². ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულმა ამ შეხლა-შემოხლამ სრულიად მოულოდნელი და ხანგრძლივი შედეგი გამოიწვია: ორი ქრისტიანული ეკლესიის ერთმანეთისგან გარეგნული გახლეჩვა. მაგრამ პარადოქსი მდგომარეობს შემდეგში: რეალურად განხეთქილება ეკლესიებს შორის არ მომხდარა, მათ უბრალოდ განხეთქილებაში მყოფებად აღიქვეს თავი.

მსოფლიო პატრიარქი ათენაგორა (+1972) ეკლესიათა გაერთიანების იმედს შემდეგი სიტყვებით გამოთქვამდა:

„...მომავალი ღვთის ხელშია. ღვთის ნება მარადისობაში მყოფობს. იგი მაშინ იჭრება დროში, როდესაც ეს დრო მომწიფებულია და როდესაც მას შეუძლია მისი მიღება. ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ დროის მომწიფებას. რამდენი რამ აღსრულდა, რაც მანამდე შეუძლებლად გვეჩვენებოდა! იერუსალიმში შეხვედრა, პაპი კონსტანტინეპოლში, ჩემი მომლოცველობა რომში... ერთობა მიიღწევა. და ეს იქნება სასწაული. ახალი სასწაული ისტორიაში... როდის? ჩვენ არ შეგვიძლია ეს ვიცოდეთ. მაგრამ ჩვენ უნდა ვემზადებოდეთ ამისთვის. ვინაიდან სასწაული თავად ღმერთს ჰგავს – იგი გარდაუვალია! (...) ღვთისმეტყველთა შორის მოლაპარაკებები საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ ამას მხოლოდ პოზიციათა ურთიერთგაუცხოვებამდე მივყავდით. მე ამ თემაზე მთელი ბიბლიოთეკა მაქვს. რატომ ხდებოდა ასე? იმიტომ რომ ადამიანები ხელმძღვანელობდნენ შიშისა და გამოწვევის

52. ვრცლად ამ თემაზე იხ. ჩვენი სტატია სათაურით: „ბოლო ორი განხეთქილების შესახებ რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის“ // კრებულში „აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009.

გრძნობით, საკუთარი თავის დაცვის ან სხვისი დამორჩილების სურვილით. ღვთისმეტყველება არ იყო საიდუმლოს მიმართ უანგარო მსახურება, იგი გადაქცეული იყო იარაღად. თვით ღმერთი გადააქციეს იარაღად“.

*О. Клеман. Беседы с Патриархом Афинагором.
Брюссел 1993, 363-5*

ისტორიკოსები ბიზანტიელთა ამგვარი აღქმის (განწყობის) გაღვივებისა და გამძაფრების სხვადასხვა მიზეზებზეც მიუთითებენ. ესენია, მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელთაც თან სდევდა სამწუხარო ექსცესები და რომელთა პატიებაც ბერძნებმა ვერ შეძლეს; რომის პაპთა ჰეგემონისტური მიდრეკილებები; ერთობის მიღწევის უშედეგო მცდელობები აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქრისტიანოებს შორის; ბერძნების შთაბეჭდილება, რომ თურქული საფრთხის წინაშე (რაც ბიზანტიის დაცემაში გამოიხატა) ისინი დასავლეთმა მიატოვა; ბერძენთა გარემოში იტალიელ ვაჭართა წარმატებული კონკურენცია; კულტურული პროცესები დასავლეთში, რამაც შვა ახალი სქოლასტიკური თეოლოგია, რაც გაუგებარი იყო აღმოსავლელი ქრისტიანებისთვის და სხვა.

ამ ტრაგედიაში არ შეიძლება მხოლოდ ერთი რომელიმე მხარის დადანაშაულება. ამას კარგად აცნობიერებდა, მაგალითად, რომის პაპი იოანე-პავლე II. იგი თავის ცნობილ ენციკლიკაში „*Ut Unum Sint*“ – (ლათ.) „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ“ (1995 წ.) საუბრობს რა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საკუთარი პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაცემა და რომ ქრისტიანული ერთობის დარღვევაში ორივე მხარე დამნაშავეა, შემდეგ გაბედულ სიტყვებს ამბობს: „კათოლიკურმა ეკლესიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ მის წიაღში არიან ისეთებიც, რომლებიც ამახინჯებენ ღვთის განგებას“ (§ 11).

ამ ფაქტის, ასევე ინკვიზიციის, ყმაწვილთა კასტრაციის და სხვა უღირსი მოვლენების გამო იოანე-პავლე II-მ 2000 წლის 12 მარტს კათოლიკური ეკლესიის სახელით საჯარო სინანული გამოთქვა.

2. წერილობითი წყაროები

2. 1. ძველი აღთქმა

ქრისტიანულ რელიგიაში ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ერთობლიობას ბიბლია ეწოდება. სიტყვა „ბიბლია“ ბერძნულია და ნიშნავს „წიგნებს“ (მხოლოდ რიცხვში „ბიბლოს“). რაც შეეხება სახელწოდებას „ძველი აღთქმა“, ის პირველივე საუკუნეში არსებობდა. ეს გამოთქმა ჯერ კიდევ პავლე მოციქულს აქვს გამოყენებული (2 კორ. 3:14).

ძველი აღთქმის წიგნთა რაოდენობა (აქვე ავლნიშნავთ, რომ წიგნები ეწოდება არა მხოლოდ ძველ აღთქმაში შემავალ წიგნებს, არამედ ახალი აღთქმის ეპისტოლეებსაც⁵³) სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის გამოცემულ ბიბლიაში სხვადასხვაა. პროტესტანტული ეკლესიების გამოცემებში მასში მხოლოდ 38 წიგნია, ხოლო მართლმადიდებლურ და კათოლიკურ გამოცემებში გარდა ამ 38-ისა, არის კიდევ 12 წიგნი.

ამ სხვაობის ისტორიული მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის ავტორებმა თარგმნეს ასევე ის წიგნებიც, რომლებსაც ებრაელები არ მიიჩნევდნენ კანონიკურად. ძველი აღთქმის ეს ბერძნული თარგმანი ცნობილია სამოცდაათთა თარგმანის (ბერძნულად, სეპტუაგინტა) სახელწოდებით, რადგან გადმოცემის თანახმად, იგი ალექსანდრიაში ითარგმნა 70 (უფრო ზუსტად 72) მთარგმნელის მიერ.

„იესო პალესტინელი იუდეველი იყო, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა. ამიტომ თანამედროვე დასავლელი ადამიანებისთვის მისი პიროვნება და მისი სწავლება ზოგჯერ გაუგებარია. თუმცა ხშირად ისე ხდება, რომ ძალიან ადვილია ქრისტეს სიტყვების გაგება ჩვენთვის. ამ მხრივ დასაფასებელია, მაგალითად, მარკ ტვენის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „მე მალეღვებს არა ის ადგი-

53. ეპისტოლე – ასე ეწოდებოდა ძველბერძნულად წერილს. ძველქართულად კი „წერილს“ (მიმიწერის წერილს) „წიგნი“ ეწოდებოდა.

ლები ბიბლიაში, რომლებიც არ მესმის, არამედ ის ადგილები, რომლებიც სრულიად გასაგებია!“

Джон Янг. Христианство. Пер с Англ., М., 2001, 16

მართალია, ეს 12 წიგნიც ქრისტიანული ეკლესიების ბიბლიის გამოცემების ნაწილია, მაგრამ ისინი არაკანონიკურ წიგნებად მიიჩნევა. „არაკანონიკურად“ მოიხსენიება ისეთი წიგნები, რომლებიც, მართალია, სასარგებლოა ადამიანის დარიგებისთვის, მაგრამ ამ წიგნებისთვის უცხო არ არის მათი ავტორების პიროვნული აზრები, რომლებიც ყოველთვის უშეცდომოდ არ არის. კანონიკურად კი მიჩნეულია ისეთი წიგნები, რომლებშიც, ქრისტიანთა რწმენით, ღვთის სიტყვაა გადმოცემული, ანუ როგორც პავლე მოციქული წერს, „ღვთივშთაგონებულია“ (2 ტიმ. 3:16).

ძველი აღთქმის წიგნები ძველ ებრაულ ენაზეა დაწერილი ძვ. წ. X-დან III ს-მდე. III ს-ში კი იგი ითარგმნა ბერძნულად, რომელიც სამოცდაათთა თარგმანის (ბერძ. სეპტუაგინტა) სახელით არის ცნობილი.

2. 2. ახალი აღთქმა

გამოთქმა „ახალი აღთქმა“ იერემიას ცნობილი წინასწარმეტყველებიდან იღებს სათავეს: „აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი და ახალ აღთქმას დავეუდებ ისრაელის ხალხს“ (იერ. 31:30).

ახალი აღთქმის წიგნები დაწერილია ახ. წ. I-II სს-ებში ძველ-ბერძნულ ენაზე (თუმცა მათეს სახარება თავდაპირველად ებრაელებისთვის ებრაულ ენაზე დაიწერა და მხოლოდ შემდეგ ითარგმნა ბერძნულად). VI ს-ში უკვე ბიბლიის მთლიანი ტექსტი ლათინურად ითარგმნა, რომელიც ცნობილია ვულგატას სახელით, რადგან იგი „ვულგარულ“, ასე ვთქვათ, უხეშ ლათინურზე ითარგმნა, რომელსაც ხალხი ყოველდღიურად იყენებდა იმისათვის, რომ ყველა ფენისთვის გასაგები ყოფილიყო ბიბლიის შინაარსი (სხვათა შორის, ახალი აღთქმის წიგნებიც თავდაპირველად ე. წ. „კოინეზე“ დაიწერა. ასე ეწოდებოდა ბერძნული ენის იმ ვარიანტს, რომელსაც ხალხი ასევე ყოველდღიური კომუნიკაციისთვის იყენებდა. ბიბლიის სირიულ თარგმანს კი ეწოდება „პეშიტო“

(ნიშნავს „უბრალოს“), რადგან ამ შემთხვევაშიც წმ. წერილი უბრალო, ხალხისთვის მისაწვდომ ენაზე ითარგმნა).

„მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებს ზოგჯერ სინოპტიკურ სახარებებს უწოდებენ. სიტყვა სინოპტიკური ნიშნავს „ერთი თვალით დანახულს“. თუკი ამ სამი სახარების შინაარსს ერთმანეთს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ბევრი მსგავსება არსებობს. მათ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, მკითხველი აუცილებლად მივა იმ დასკვნამდე, რომ სამივე წიგნი ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს. მეცნიერების აზრით, ყველაზე ადრე დაიწერა მარკოზის სახარება და მათემ და ლუკამ სწორედ ამ წყაროთი ისარგებლეს საკუთარი წიგნების დაწერისას. ისინი ხშირად არბილებენ მარკოზის მიერ გამოყენებულ იესოს ემოციების და გრძნობების გამომხატველ მკვეთრ სიტყვებს და მისი უხეში ბერძნული ენის დახვეწასაც ცდილობენ.

Q არის პირველი ასო იმ გერმანული სიტყვისა, რომელიც აღნიშნავს წყაროს (Quelle). ამ სახელწოდებით ბევრი მეცნიერი იმ უცნობ ლიტერატურულ ნაწარმოებს მოიხსენიებს, რომლითაც, მათი აზრით, მათემ და ლუკამ ისარგებლეს, როდესაც იესოს ცხოვრების ისეთი მოვლენები აღწერეს, რომლებიც მარკოზის სახარებაში არ გვხვდება. ერთ-ერთი ვერსიით Q დაიწერა დაახლ. ახ. წ. 50 წელს არამეულ ენაზე, თუმცა მისი ხელნაწერი ან პირი დღემდე არ არის აღმოჩენილი“.

ბ. ბაჩელიორი. ბიბლიის კარი. თბ., 1999, 108

ახალი აღთქმა აერთიანებს 27 კანონიკურ წიგნს: ოთხ სახარებას, რომლებიც მოგვითხრობს იესოს ამქვეყნიური ცხოვრების მისი მოძღვრების, ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების შესახებ. შემდეგი წიგნია „საქმე მოციქულთა“, რომელიც ქრისტეს ამაღლების შემდგომ მოციქულთა მსახურების შესახებ მოგვითხრობს. 21 ეპისტოლე კი უშუალოდ მოციქულთა მიერ დაწერილი წერილებია ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მთლიანი საკრებულოების მიმართ. მათში გადმოცემულია ქრისტიანობის რელიგიურ-ზნეობ-

რივი მოძღვრების ძირითადი პრინციპები. ახალი აღთქმის ბოლო წიგნია „იოანე მოციქულის გამოცხადება“ ანუ აპოკალიფსი, რომელიც ამ სამყაროს აღსასრულის წინა პერიოდის მოვლენებს აღწერს, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლითა და უკანასკნელი სამსჯავროთი დასრულდება.

ამრიგად, ბიბლია იწყება სამყაროსა და ადამიანის შექმნით და მთავრდება მისი (სამყაროს) აღსასრულით, რომლის შემდეგაც უნდა შექმნას ახალი სამყარო – ახალი ცა და ახალი მიწა.

2. 3. აპოკრიფული წიგნები

ბიბლიის კანონიკურ და არაკანონიკურ წიგნებთან ერთად არსებობს აგრეთვე აპოკრიფული წიგნებიც. სიტყვა აპოკრიფი (ბერძ. „აპოკრიფოს“) ნიშნავს „დაფარულს“, „საიდუმლოს“. აპოკრიფების ორ კატეგორიას გამოყოფენ:

1. აპოკრიფული ეწოდებოდა ისეთ წიგნს, რომელიც თავისი ღრმა შინაარსის გამო არ უნდა ყოფილიყო ყველასთვის ანუ რიგითი ადამიანებისთვის წასაკითხი. ასეთი სახის ლიტერატურა მხოლოდ მოძღვართათვის იყო განკუთვნილი, რომელთაც შეეძლოთ მათი ჯეროვანი გაგება.
2. აპოკრიფული წიგნების მეორე კატეგორიას კი, მათი ზღაპრული ხასიათის გამო, წმ. ექვთიმე ათონელის ტერმონილოგიით, ეწოდებოდა „ნატყუარნი“.

ამგვარი ლიტერატურის წარმოშობის მიზეზად მიჩნეულია შემდეგი გარემოება: ბიბლიაში ბევრ რამეზე არ არის საუბარი, რის შესახებაც ნებისმიერი ადამიანი ისურვებდა რომ შეეტყო. ეს შეუძლებელიც არის, რადგან, როგორც იოანე მოციქული წერს, იესოს მიერ აღსრულებული ყველა მოვლენა, რომ აღწერილიყო, მთელი ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს (ინ. 21:25). ბიბლია მხოლოდ იმ ჭეშმარიტებას შეიცავს, რაც ადამიანის სულიერი გადარჩენისთვის არის აუცილებელი.

სწორედ ამ მიზეზით, ცნობისმოყვარე ადამიანებს სურვილი გასჩენიათ როგორმე ამოეცხათ ეს „ცარიელი ადგილები“ და ვინაიდან მათ ამისთვის არავითარი წყარო არ გააჩნდათ, საკუთარი

ფანტაზიით შეუთხზავთ სხვადასხვა ამბები. ისინი ხშირად თავისი შინაარსით ერეტიკულნი და, მაშასადამე, ოფიციალური ეკლესიისთვის მიუღებელი იყო.

თუმცა ყველა აპოკრიფზე ამის თქმა არ შეიძლება. ზოგიერთ აპოკრიფს ეკლესია არც განასხვავებდა კანონიკური თხზულებებისგან. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ, მაგალითად, უძველესი ქართული საეკლესიო კრებულები, რომლებსაც „მრავალთავები“ ეწოდება 30-ზე მეტ ასეთ თხზულებებს შეიცავენ. ისინი ამ კრებულებში ცნობილი საეკლესიო მამების თხზულებებთან ერთად იყო შეტანილი საეკლესიო ღვთისმსახურების დროს საკითხავად.

ცნობილია გიორგი ჭყონდიდელის თხოვნა წმ. ექვთიმე ათონელისადმი: „ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმინდაი ეკლესიაი არა შეიწყნარებს.“ ათონის მთაზე მოღვაწე წმ. ექვთიმე კი პასუხს უგზავნის საქართველოში, რომელშიც ასახელებს 11 თხზულებას, რომლებსაც, მისი სიტყვით, ეკლესია არ შეიწყნარებს.

ძველი აღთქმის წიგნებს მიაკუთვნებენ 115-მდე აპოკრიფს, ახალი აღთქმის წიგნებს კი 99-ს. უნდა აღინიშნოს, რომ აპოკრიფული ლიტერატურა არ გულისხმობს მხოლოდ ბიბლიურ თემებზე შექმნილ თხზულებებს. აპოკრიფული ნაშრომები არსებობს საეკლესიო მწერლობის სხვა ჟანრებშიც: ჰაგიოგრაფიაში,⁵⁴ ჰომილეტიკაში,⁵⁵ ეგზეგეტიკაში⁵⁶ და სხვა.

2. 4. წმ. გადმოცემა

ქრისტიანულ რელიგიის სარწმუნოებრივი მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს წმ. წერილი და წმ. გადმოცემა. ამ უკანას-

54. ჰაგიოგრაფია – ასე ეწოდება იმ ძეგლების ერთობლიობას, რომლებშიც წმინდანთა ცხოვრებებია აღწერილი.

55. ჰომილეტიკა – ამგვარად მოიხსენიება წმ. მამების მიერ წარმოთქმული ქადაგებების ერთობლიობა.

56. ეგზეგეტიკა – ეწოდება წმ. წერილის განმარტების მიზნით შექმნილ ლიტერატურას.

კნელში ხშირად მოიაზრება ხოლმე მსოფლიო საეკლესიო კრება-თა დადგენილებები და წმ. მამათა⁵⁷ ნაშრომები.

სინამდვილეში წმ. გადმოცემას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და იგი მოიცავს თავად ბიბლიასაც, მსოფლიო კრებათა დადგენილებებსაც, წმ. მამათა თხზულებებსაც, საღვთისმსახურო წიგნებსაც და ყველა იმ რელიგიურ ლიტერატურას, რასაც ეკლესია იყენებს. ამრიგად, წმ. გადმოცემა სარწმუნოებრივი მოძღვრების, საეკლესიო სტრუქტურის, კულტის, სულიერებისა და საეკლესიო ხელოვნების ერთიან სისტემას წარმოადგენს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

მაგრამ წარსულის მთელს ამ მემკვიდრეობას თანაბარი ღირებულება როდი აქვს. წმ. გადმოცემის ამ მრავალფეროვან ელემენტთა შორის უმთავრეს ადგილს იკავებს წმ. წერილი, მრწამსი (რწმენის სიმბოლო) და მსოფლიო კრებათა დადგენილებები. წმ. გადმოცემის დანარჩენ ნაწილს კი არ გააჩნია მსგავსი ავტორიტეტი. მაგალითად, იოანეს სახარებას უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე რომელიმე წმინდა მამის ნაწერს. ასევე, მაგალითად, ადგილობრივ საეკლესიო კრების დადგენილებაზე აღმატებული ძალა აქვს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებულ დადგენილებას და ა. შ.

3. რელიგიური პრაქტიკა

როგორც ნებისმიერ სხვა რელიგიაში ქრისტიანობაშიც ჩამოყალიბდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კულტი (რელიგიური პრაქტიკა), რომელიც საკუთარ თავში მოიცავს სხვადასხვა საღვთისმსახურო რიტუალს, საიდუმლოებებს, წეს-ჩვეულებებს, მარხვის პერიოდებს, დღესასწაულებს და სხვ.

57. წმ. მამები – ქრისტიანულ (ძირითადად, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ) ეკლესიაში ამგვარად იხსენიებიან ის საეკლესიო მოღვაწენი, რომლებიც ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. თუმცა არსებობენ სხვა საეკლესიო მწერლებიც (მაგ. კლიმენტი ალექსანდრიელი, ჰერმესი და სხვა), რომლებიც წმინდანებად არ არიან შერაცხულნი. შესაბამისად, ითვლება, რომ მათ, წმ. მამებთან შედარებით, უფრო ნაკლები ავტორიტეტი აქვთ.

საიდუმლო (ლათ. „საკრამენტუმ“) ეწოდება რიტუალურ მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც, ქრისტიანული რწმენის თანახმად, ადამიანი ღვთის მადლს (ენერგიას) იღებს. ამ საიდუმლოთა მატერიალურ ფორმებს მხოლოდ დამხმარე და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ნათლობის წყალი უფლის ქმედების გამომხატველია, რომელიც ადამიანს წმენდს და ასუფთავებს სულიერი ჭუჭყისგან.

სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიას სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს, როგორც საიდუმლოებათა რაოდენობის, ასევე მათი აღსრულების წესთან და შინაარსობრივ განსაზღვრებასთან/სტატუსთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება იმ შვიდი საიდუმლოს მოკლე აღწერილობა, რომლებსაც მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები აღასრულებენ (ამ საკითხზე სხვა ეკლესიათა დამოკიდებულების შესახებ კი იხ. ქვეთავში „მიმდინარეობები ქრისტიანობაში“).

3. 1. ნათლობის საიდუმლო

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოციქულების წარგზავნისას, იესო მათ შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „წადით და დაიმოწაფეთ ყველა წარმართი და ნათელი ეცით მათ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა და ასწავლეთ მათ, დაიცვან ყოველივე, რაც გამცნეთ თქვენ“ (მთ. 28:19-20). ქრისტიანული ტრადიციით, ნათლობით ადამიანი ეკლესიის წევრი ხდება. ეკლესიის სწავლებით, ამ საიდუმლოს საშუალებით ადამიანს ეტევა პირველქმნილი (ანუ ადამის მიერ ჩადენილი) ცოდვა. თვით რიტუალი აღესრულება წყალში სამგზის შთაფლვითა (გამონაკლის შემთხვევებში დაშვებულია წყლის გადავლება) და შესაბამისი ლოცვების წარმოთქმით.

„ნათლისღება პირველქმნილი ცოდვებისგან გვწმენდს, ხოლო ცრემლებით ნათლისღების შემდგომ ჩადენილი ცოდვები მოგვეტევა“

*წმ. იოანე სინელი. კიბე 7:12
(ექვთიმე ათონელის თარგმანის ნუმერაციით)*

3. 2. მირონცხების საიდუმლო

ნათლობის შემდეგ აღესრულება მირონცხების საიდუმლო, რომელიც გარეგნულად ნაკურთხი არომატული ზეთის (მირონის) ცხებით აღესრულება ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე (შუბლზე, თვალის ქუთუთოებზე, ცხვირზე, ბაგეებზე, ყურებზე, მკერდზე, ხელებზე და ტერფებზე). მირონცხების წინ მღვდელი კითხულობს ლოცვებს ახალმონათლულზე უფლის განსაკუთრებული მადლის გარდმოსავლენად.

3. 3. ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლო

ნათლობის მსგავსად, ევქარისტიის (სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს „სამადლობელ მსხვერპლს“) საიდუმლო დადგენილია უშუალოდ ქრისტეს მიერ. ჯვარცმის წინ, საიდუმლო სერობაზე მოციქულებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „მიიღეთ და ჭამეთ, ეს არის ხორცი ჩემი“. აიღო სასმისი და მადლობდა, მისცა მათ და თქვა: „სვით ამისგან ყველამ, რადგან ეს არის სისხლი ჩემი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატყვევებლად ცოდვათა“ (მათე 26:26-28).

ევქარისტიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოველი ქრისტიანი მორწმუნის ცხოვრებაში. მას ასევე უწოდებენ უსისხლო მსხვერპლშეწირვას, ძველ აღთქმაში დამკვიდრებული ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის ტრადიციის საპირისპიროდ.

ევქარისტიის საიდუმლოს შესასრულებლად აუცილებელ მასალას წარმოადგენს პური და ღვინო, რომელიც, ქრისტიანთა (უფრო ზუსტად კი მართლმადიდებელ, კათოლიკე და ლუთერანთა) რწმენით, წირვის განმავლობაში ქრისტეს ნამდვილ სისხლად და ხორცად გარდაიქმნება. ეკლესიაში წირვის დასასრულს მორწმუნეები ეზიარებიან. ეს აღესრულება შემდეგნაირად: სპეციალური თასიდან, რომელსაც ბარძიმი ეწოდება, მღვდელი მომცრო კოვზით აზიარებს მორწმუნეს (თუმცა კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში კოვზით ზიარება არ ხდება, იხ. „მიმდინარეობები ქრისტიანობაში“).

3. 4. სინანულის (აღსარების) საიდუმლო

ქრისტიანულ ეკლესიაში მორწმუნეთათვის გარკვეული პერიოდულობით აღსარების თქმა არის დადგენილი. თუკი ნათლობის საიდუმლოს მეშვეობით ადამიანს ადამის პირველქმნილი ცოდვა ეტევება, აღსარებით ადამიანს კონკრეტულად მისი პიროვნული ცოდვები ეპატიება. ამიტომ სინანულს წმ. მამები, გარკვეული აზრით, მეორე ნათლობასაც კი უწოდებდნენ.

აღსარების გარეგნული რიტუალი აღესრულება მღვდლის ან ეპისკოპოსის წინაშე მორწმუნის მიერ საკუთარი ცოდვების აღიარებითა და კონკრეტულად მისთვის საჭირო რჩევა-დარიგების მიღებით, რის შემდეგაც სასულიერო პირი შესაბამის ლოცვას კითხულობს.

ადრეულ ეკლესიაში არსებობდა საერთო აღსარების წეს-ჩვეულებაც. ამ დროს ტაძარში მყოფი მორწმუნეები ხმამაღლა, ყველას გასაგონად აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს. მაგრამ დღეს აღსარების რიტუალი ამ სახით აღარ აღესრულება. მორწმუნე ადამიანი აღსარებას სასულიერო პირის წინაშე განმარტოებით ამბობს: მართლმადიდებელ ეკლესიებში ეს შეიძლება იყოს ტაძრის რომელიმე კუთხე, ხოლო კათოლიკურ ეკლესიებში ამისთვის სპეციალური კაბინებია გამოყოფილი, რომელშიც სასულიერო პირსა და მორწმუნეს შორის ერთგვარი გამყოფი „კედელი“ მდებარეობს.

წმ. იოანე კასიანე რომაელს (VI ს.) ეგვიპტელ ბერთა შემდეგი მსჯელობა მოჰყავს ცოდვათა მიტევების სხვადასხვა გზებთან დაკავშირებით:

„...ნათლობისა და მოწამეობის საერთო მადლის გარდა, ცოდვათა მიტევება შესაძლებელია სინანულის მრავალი საქმით, რადგან ცხონება მოიპოვება არა მხოლოდ სინანულით, რომელზეც საუბრობს მოციქული პეტრე (საქ. 3:19), იოანე ნათლისმცემელი და თავად მაცხოვარი (მათ. 3:2), არამედ ასევე „ცოდვათა სიმრავლის“ დაფარვა სიყვარულსაც შეუძლია (1 პეტ. 4:8). სულის წყლულები ასევე იკურნება მოწყალებითაც, რადგან როგორც წყალი აქრობს ცეცხლს, ასევე იწმინდება მის მიერ ცოდვები (ზირ. 3:28). (...) ცოდვები იწმინდება ასევე სულიერი და სხეულებრივი

წუხილითაც (ფს. 24:18). ასევე ცოდვები განსაკუთრებით ნადგურდება საკუთარი ზნე-ჩვეულებების გამოსწორებით (ის. 1, 16-18). ზოგჯერ წმინდანთა ლოცვითაც იწმინდება ცოდვები (1 ინ. 5:16; იაკ. 5, 14-15). ასევე მოწყალებითა და რწმენის საქმეებით (იგავ. 15:27). ასევე სხვების ცხონებაში ხელის შეწყობით (იაკ. 5:20). ასევე ჩვენდამი მოყენებული წყენის პატივებით (მთ. 6:14). აი, რამდენი გზით შეიძლება უფლისგან წყალობის მიღება...”

*Преп. Иоанн Кассиан Римлянин. Собеседования
Египетских Отцов. М., 2003, 673-5*

„ერთ მონასტერში ორი ბერი ერთიდაიგივე ცოდვით დაეცა. როდესაც ყოველივე სულიერ მოძღვარს გაუმჟღავნეს, მან ისინი ცალ-ცალკე ოთახებში ჩაკეტა და ერთი წლის განმავლობაში ორივეს ერთნაირად აძლევდა წყალსა და პურს. როდესაც ეს დრო გავიდა, მამები უცნაური სურათის მომსწრენი გახდნენ: ერთს მწუხარე და ტანჯული სახე ჰქონდა, მეორეს კი მხიარული და ნათელი. გაუკვირდათ ბერებს. ჰკითხეს პირველ ძმას: „რა განწყობით ცხოვრობდი შენს სენაკში მთელი ამ დროის განმავლობაში?“ მიუგო უმცროსმა ბერმა: „მე გამუდმებით ვფიქრობდი იმ ბოროტებაზე, რაც ჩავიდინე და იმ ტანჯვაზე, რომელსაც ვიმსახურებ...“ მეორე ბერმა კი იგივე კითხვაზე შემდეგი უპასუხა: „მე გამუდმებით ვმადლობდი ღმერთს, რომ გამომიხსნა ამა ქვეყნის უწმინდურებისგან და ამ ანგელოზიბრივ ცხოვრებას დამაბრუნა. ვაცნობიერებდი რა ყოველივე ამას, განუწყვეტელი სიხარულით ვიყავი აღვსილი ამგვარი ღვთაებრივი მოწყალების გამო“. დიდხანს ბჭობდნენ მონასტრის უხუცესი მამები და ბოლოს თქვეს: „ორივეს სინანული თანაბარია ღვთის წინაშე“.

Древний Патерик. М., 1899, 84

3. 5. ქორწინების საიდუმლო

ამ საიდუმლოს აღსრულების დროს ახალდაქორწინებულნი იესო ქრისტეს წინაშე სამარადისო სიყვარულისა და ერთგულების დაცვის პირობას დებენ. ქრისტიანული ეკლესიის სწავლება საკმაოდ ვრცელ რჩევა დარიგებებს მოიცავს ცოლ-ქმრული ურთიერთობებისა და ბავშვების აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

ქრისტიანული რწმენის მიხედვით, ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით წყვილზე გადმოდის უფლის განსაკუთრებული მადლი, რომელიც მათ ეხმარება ცხოვრებისეული ტვირთის ერთად ზიდვაში. ქრისტიანთა რწმენით, სულიწმინდის ძალით ნაკურთხი ქორწინება არ მთავრდება მეუღლეთა სიკვდილით, არამედ მათი სულიერი ერთობა უფლის სასუფეველშიც გრძელდება. თუმცა უმთავრეს სათნოებად ღვთის წინაშე მაინც მეუღლეთა ურთიერთ-სიყვარული და პატივისცემა ითვლება და არა მხოლოდ ამ რიტუალის გარეგნული აღსრულება.

3. 6. მღვდლობის საიდუმლო

გამორჩეული კანდიდატის სასულიერო პირად (დიაკვნად, მღვდლად, ეპისკოპოსად) კურთხევის დროს აღესრულება მღვდლობის საიდუმლო. დიაკვნად და მღვდლად ხელდასხმა უნდა აღსრულდეს ეპისკოპოსის მიერ, ხოლო ეპისკოპოსად ხელდასხმა არანაკლებ ორი ეპისკოპოსის მიერ.

მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების სწავლებით, ადამიანის ცხოვრებისთვის აუცილებელია სასულიერო პირთა შუამდგომლობა უფლის წინაშე, რადგან ეკლესიის იერარქიის წარმომადგენლები მოციქულთა მემკვიდრეებად ითვლებიან. პროტესტანტული ეკლესიების აბსოლუტურ უმრავლესობას კი დაუშვებლად მიაჩნია მორწმუნესა და ღმერთს შორის ყოველგვარი შუამავლის არსებობა. მათი დოქტრინა ხშირად მღვდლობის საყოველთაო პრინციპზე მიუთითებს, რომლის თანახმადაც ქრისტეს ყველა მორწმუნე ითვლება მღვდლად.

3. 7. ზეთისცხების საიდუმლო

ეს რიტუალი სათავეს იღებს მოციქულთა დროიდან, რომლებიც ქრისტესგან მინიჭებული ძალით „მრავალ ადამიანს ათავისუფლებდნენ ეშმაკთაგან და კურნავდნენ მათ ზეთისცხებით“ (მარკ. 6:13). ეს საიდუმლო დღევანდელ ეკლესიაშიც ავადმყოფი ადამიანისთვის აღესრულება. იკითხება შესაბამისი ლოცვები და ავადმყოფს სპეციალურად ამ საიდუმლოსთვის დამზადებულ ზეთს უსვამენ სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც დაავადებულია. ითვლება, რომ ამ დროს ავადმყოფზე უფლის მაკურნებელი მადლი გადმოდის, რომელიც სხეულებრივი და ასევე სულიერი წყლულებს კურნავს.

ადრეულ ეკლესიაში ასევე საიდუმლოდ ითვლებოდა გარდაცვლილის დამარხვა და ბერად აღკვეცა. მაგალითად, ნეტარი ავგუსტინე (V ს.) აღრიცხავდა 13-მდე საიდუმლოს, რომელთა შორისაც იგი მოიაზრებდა მარხვასაც და პირჯვრის წერასაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მაგ., წმინდა იოანე ოქროპირის მითითებით, სხვა ადამიანის სიყვარულიც საიდუმლოა, უფრო მეტიც, ლიტურგიაა, რომელიც საჯარო ადგილებსა და გულის საკურთხეველში აღესრულება (ვრცლად იხ. მართლმადიდებელი თეოლოგიის სტატია: Ion Bria. *The Liturgy after the Liturgy* // კრებულში: *Orthodox Visions of Ecumenism*. Geneva, WCC Publication 1994, p. 219).

3. 8. ლოცვის წესი

ქრისტიანულ რელიგიაში სამი ტიპის ლოცვებს გამოყოფენ: სავედრებელი, სამადლობელი და ქება-დიდების. ქრისტიანის მიერ წარმოსათქმელი ლოცვები შედგება კანონიკური და თავისუფალი (საკუთარი) ლოცვებისგან. კანონიკურ ლოცვებში იგულისხმება თავად ქრისტეს მიერ წარმოთქმული ლოცვა (მამაო ჩვენო, იხ. მათე 6:9), ფსალმუნები და ეკლესიის მიერ დადგენილი სხვა ლოცვები (იხ. „ლოცვანის“ გამოცემები).

თავისუფალ ლოცვაში კი იგულისხმება ადამიანის გულში და გონებაში დაბადებული ყოველი ფიქრი ან განწყობა. როგორც წმ. ბასილი დიდი აღნიშნავს, ადამიანის ყოველი გრძნობა, რომელიც უფლისკენ არის მიმართული, უკვე ლოცვაა.

„ზოგჯერ ჩვენთვის ვფიქრობთ, რომ უფრო მეტად ადამიანებისთვის ვცხოვრობთ, ვიდრე უფლისთვის, რადგან ადამიანები მაშინვე პასუხობენ და აფასებენ ჩვენს ქცევებს, ღმერთი კი დუმს. მაგრამ ღმერთი დუმს ისევე, როგორც ჩვენ, როცა ვგრძნობთ სხვა ადამიანის არაგულწრფელ მომართვას. ღმერთიც დუმს, იმიტომ რომ არ ვართ გულწრფელნი და მთელი ჩვენი არსებით არ ვცხოვრობთ მისთვის. აი, როდესაც მისთვის ცხოვრებას ვიწყებთ, ის მაშინვე გვპასუხობს წყნარი სიხარულისა და სიმშვიდის გრძნობის მოვლენით.“

Л. Н. Толстой. Философский Д 9 ჰანაწერი

ქრისტიანობა, სხვა მონოთეისტური რელიგიების მსგავსად, ამტკიცებს რომ ღმერთი არ არის რალაც იდეა, არამედ ცოცხალი პიროვნება, ამიტომ ლოცვა დიალოგია და არა მონოლოგი. ღმერთი სხვადასხვაგვარად რეაგირებს ადამიანის ლოცვაზე: თუ ადამიანის სათხოვარი სასარგებლოა მისი ცხოვრებისთვის, ღმერთი დაუყოვნებლივ ასრულებს მორწმუნის გულწრფელ სურვილს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ღმერთი დაგვიანებით ან საერთოდ არ ასრულებს მორწმუნის სათხოვარს. ქრისტიანული სწავლებით, აქ მორწმუნეს მართებს სრულად მიენდოს უფალს, რადგან მან, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოვლად-კეთილმა არსებამ, ადამიანზე უკეთესად იცის, რა არის მისთვის სასარგებლო და რა საზიანო. სწორედ ამიტომ ამბობს მოციქული იაკობი:

„ითხოვთ და არ გექცევით, რადგან ბოროტს ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმანი დაიკმაყოფილოთ“ (იაკ. 4:3).

ადამიანებს ხშირად უჩნდებათ შეკითხვა: რა საჭიროა ლოცვა, ღმერთმა, როგორც ყოვლისმცოდნე არსებამ, ხომ ისედაც იცის ადამიანს რა ესაჭიროება, როდის და რამდენი? რასაკვირველია, იცის, მაგრამ ქრისტიანული სწავლებით, ადამიანს თავისუფალი ნება აქვს მინიჭებული, რომელშიც უფალი არასოდეს ერევა თუ ამის მიზეზს ჩვენ, ადამიანები არ მივცემთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანისთვის თავისუფალი ნების მინიჭებას ყოველგვარი აზრი ეკარგება, თავისუფლება კი უძვირფასესი საჩუქარია იმ სიკეთეთა შორის, რაც კი ღმერთმა ადამიანს უბოძა.

„ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძიეთ და იპოვით; აკაკუნეთ და გაგელებათ, რადგან ყველა ვინც ითხოვს, მიიღებს; და ვინც ეძიებს, იპოვის და ვინც აკაკუნებს, გაელება. ან ვინ არის თქვენს შორის კაცი, რომელსაც შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ან თევზი სთხოვოს და გველი მისცეს? თუ თქვენ, უკეთურებმა იცით კეთილი მისაცემელის მიცემა თქვენი შვილებისთვის, რამდენად უფრო მამა თქვენი ზეცათა მისცემს კეთილს იმათ, ვინც სთხოვს მას?“

იესო ქრისტე (მათე 7:7-11)

„რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ...“

იესო ქრისტე (იოანე 14:13)

„ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება“

იესო ქრისტე (მარკოზი 11:24)

„...თუკი შენ ფსალმუნთგალობასა და ლოცვას მჯდომარე აღასრულებ, მაგრამ ამას გულით და შესაბამისი განწყობით აკეთებ, მაშინ მოსაწონი იქნება უფლისთვის შენი ლოცვა. ხოლო თუ ვინმე ფეხზე მდგომი ლოცულობს, მაგრამ გაფანტული გონებით, მისი შრომა ყოვლად უსარგებლოა.“

წმ. ბარსანუფი დიდი (VI ს.). სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელო. შეკითხვა #506

უფალმა ადამიანს მისცა იმის ძალა, რომ ზემოქმედება მოახდინოს მასზე (ღმერთზე) – ეს ძალა ლოცვა და სინანულია (ლოცვის ანალოგიურ გაგებაზე მიუთითებს იუდაური მისტიკაც. იხ. შესაბამის ადგილას, ზოჰარის წიგნიდან მოყვანილი ნაწყვეტი, თავში „იუდაიზმი“). მაგალითად, ბიბლიაში მოთხრობილია წარმართული ქალაქის, ნინევიის მცხოვრებთა შესახებ, რომლებიც საკუთარი ურჯულოების გამო სრული განადგურება ემუქრებოდათ, თუმცა ნინევიელებმა ისეთი სინანული გამოხატეს, რომ უფალს გადაწყ-

ვეტილება შეაცვლევინეს: წინასწარმეტყველმა მათ შეატყობინა, რომ უფალმა გააუქმა დადგენილი სასჯელი მათი სინანულისა და ლოცვების გამო (იხ. იონას წიგნი III თავი).

„თუ საკუთარი სინდისი გკიცხავს როგორც უფლის მცნებების უგულვებელმყოფელს და თუ დაბნეული დგახარ ლოცვის დროს, როცა შეგეძლო გაუფანტავი მდგარიყავი, მაშინ არ გაბედო ღვთის წინაშე დგომა, რომ შენი ლოცვა არ გარდაიქმნეს ცოდვად („ლოცვა მისი ცოდვად შეერაცხენ მას“ (ფსალ. 108:7); „ვინც რჯულის მოსმენას ყურს არიდებს, მისი ლოცვაც კი სიბილწაა“ (იგავ. 28:9). ხოლო თუ შენ ცდილობ, მაგრამ ვერ ახერხებ გაუფანტავი გონებით ლოცვას, მაშინ აიძულე თავი, რამდენადაც გეყოფა ძალა, და გააგრძელე ლოცვა და გააბატონებ ღმერთი: რადგან არა უგულვებელყოფის გამო, არამედ უძლურების გამო არ გქონდა ძალა ღვთის წინაშე იმგვარად მდგარიყავი, როგორც საჭიროა“.

წმ. ბასილი დიდი (IV ს.).

(კრებულიდან: Что Такое Молитва Иисусова По Преданию Христианской Церкви. М., 1998, 114-5)

წმ. ამბროსი ხშირად იხსენებდა ხოლმე იესოს ლოცვის ძალმოსილებასთან დაკავშირებით შემდეგ შემთხვევას: „ერთ მღვდელს შოშია ჰყავდა, რომელსაც გამუდმებით ესმოდა მღვდლის მიერ წარმოთქმული იესოს ლოცვა. შოშიაც ხშირად იმეორებდა ხოლმე ამ სიტყვებს. ერთხელ მას ძერა დაესხა თავს, შოშიამ კი ჩვევის მიხედვით ამ დროს ლოცვის სიტყვები წარმოთქვა. და რა მოხდა? – ამ სიტყვების გაგონების შემდგომ ძერამ ვერც კი გაბედა მასთან შეხება. შოშიას ხომ არ ესმოდა ამ ლოცვის აზრი, მაგრამ ასეთმა ლოცვამაც კი გადაარჩინა იგი“.

Схиархимандрит Иоанн (Маслов). Преп. Амвросий: Богоносный Старец Оптинский. Винницкая Епархия, 2002, 175

3. 9. ტაძარი (საყდარი)

ტაძრად (ძვ. ქართულად „საყდრად“) იწოდება სასულიერო პირების (ეპისკოპოსის ან მღვდლის) მიერ ნაკურთხი შენობა, რომელიც მორწმუნე ადამიანების შესაკრებელ ადგილს წარმოადგენს, სადაც ღვთისმსახურება და სხვადასხვა სახის რიტუალები ტარდება.

თითოეული ტაძარი რომელიმე წმინდანის სახელზე იგება. ეს წესი ეკლესიის⁵⁸ ისტორიის ადრეული ხანიდან იღებს სათავეს, რადგან იმ დროს ტაძრებსა და სამლოცველოებს ამა თუ იმ წმ. მოღვაწის საფლავზე აგებდნენ ხოლმე, რომლებიც მათივე სახელს ატარებდა. დღეს ზოგიერთი ტაძრის საკურთხეველში ასევე ინახება იმ წმინდანის წმ. ნაწილები,⁵⁹ რომლის სახელზეც მოცემული ტაძარი აშენდა.

ტაძარი თავის არსებობას ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდში იწყებს, როცა მოსემ უფლის ბრძანებით მოძრავი კარავი მოაწყო. ეს კარავი სამი ნაწილისგან შედგებოდა: წმიდათაწმინდა, კარვის შუა ნაწილი და კარვის გარშემო შემოღობილი ადგილი. წმიდათაწმინდაში ებრაელები აღთქმის კიდობანს ასვენებდნენ, რომელშიც იუდაიზმის მთავარი სიწმინდეები: ათი მცნების ორი ქვის ფიქალი,⁶⁰ აარონის კვერთხი და ზეციური მანა⁶¹ ესვენა. მოგვიანებით სოლომონ მეფეც სამნაწილიან ტაძარს აშენებს იერუსალიმში.

თანამედროვე ქრისტიანული ეკლესიაც სამნაწილიანია: საკურთხეველი, შუა ტაძარი და კარიბჭე. საკურთხეველისა და შუა ტაძრის ერთმანეთისგან გამყოფ ზღუდეს კანკელი ეწოდება, რომელიც, როგორც წესი, ხატებით არის აღჭურვილი. თუმცა დღეს

58. ეკლესია – მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „ეკკალეო“, რაც ნიშნავს „მოვუწოდებ“, „მოვუხმობ“. ე. ი. ეკლესია წოდებულია, მოხმობილთა კრებულია.

59. წმ. ნაწილი – ასე უწოდებენ ქრისტიანულ ეკლესიაში გარდაცვლილი წმინდანის სხეულს ან მის რომელიმე ნაწილს.

60. „ფიქალი არს ქვის ფიცარი“ (სულხან-საბა).

61. მანა – ასე ეწოდებოდა თოვლის ფანტელებივით მოტკბო ნივთიერებას, რომელსაც უფალი უვლენდა ებრაელებს უდაბნოში მოგზაურობის დროს.

კათოლიკურ და პროტესტანტულ ტაძრებში კანკელი არ არსებობს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანკელის არარსებობა არ წარმოადგენს კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მიერ შემოღებულ სიახლეს, რადგან სწორედ ამგვარი იყო ტაძრები ძველი აღმოსავლეთის ეკლესიებშიც.

„...მეცხრე საუკუნემდე კონსტანტინეპოლის ტაძრებში შეკრებილ ხალხს შეეძლოთ იმის დანახვა, რაც საკურთხეველში ხდებოდა. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ვთქვათ, რომ საკურთხეველი მაშინ არ იყო დახშული ადამიანთა მზერისგან.“

Хью Уайбру. Православная Литургия. М., ББИ, 2000, 152

საკურთხეველშია განთავსებული ე. წ. წმინდა ტრაპეზი – ერთგვარი მაგიდა, რომელზეც აღესრულება უსისხლო მსხვერპლშეწირვა, ლიტურგია.⁶² ქრისტიანული ტაძრების არქიტექტურული გაფორმება არ არის ერთგვაროვანი. ტაძარს შეიძლება ჰქონდეს მოგრძო, ხომალდისებური ფორმა, რომელსაც ბაზილიკურ ტაძარს ეძახიან. ბაზილიკური ფორმის ტაძარი ამქვეყნიურ ზღვაში მოცურავე ხომალდის სიმბოლოა, რომელიც უფლის სასუფეველის ნაპირისკენ მიემართება. არსებობს ასევე ჯვრის ფორმის (ჯვარგუმბათოვანი) ტაძრებიც, რომლებსაც მომრგვალებული ან კუთხოვანი ფორმა აქვს და არსებობს ასევე აბსოლუტურად განსხვავებული არქიტექტურის ტაძრებიც.

3. 10. პილიგრიმოზა (მომლოცველობა)

ქრისტიანობაში თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს აგრეთვე წმინდა ადგილები. ასეთად პირველ რიგში მიჩნეულია ის ადგილები, სადაც იესო ქრისტეს მოუწია ამქვეყნიური მოღვაწეობა (ე.წ. პალესტინის სიწმინდეები). აგრეთვე ის ადგილები, სადაც უძველესი ქრისტიანული ტაძრები ან მონასტრებია შემორჩენილი. ამ

62. ლიტურგია – (ბერძნულად ნიშნავს „საერთო მსახურებას“) მთავარი ქრისტიანული ღვთისმსახურება. მას მეორენაირად წირვას უწოდებენ, რომლის დროსაც აღესრულება ზიარების რიტუალი.

მხრივ, განსაკუთრებით პოპულარულია ათონის წმ. მთაზე პილიგრიმოზა, რომელიც ბერების ერთგვარ რესპუბლიკას წარმოადგენს საკუთარი თვითმმართველობით. ასევე გავრცელებულია სასწაულმოქმედ ხატებთან და ქანდაკებებთან მომლოცველობაც (მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ადგილს წარმოადგენს საფრანგეთის ქალაქი ლურდი, სადაც უამრავი ადამიანი იკურნება სხვადასხვა დაავადებებისაგან, რაც, მათი რწმენით, ღვთიური სასწაულის შედეგია).

3. 11. მარხები და დღესასწაულები

ქრისტიანული ეკლესიის კალენდარზე ყოველ დღე იხსენიება წმინდანთა სახელები სატაძრო ღვთისმსახურების დროს. ქრისტიანულ რელიგიაში ყველაზე დიდ დღესასწაულებად ითვლება ქრისტეს აღდგომა და შობა. მთელი წლის მანძილზე დაწესებულია ოთხი ხანგრძლივი მარხვა (ქვემოთ მოცემულია იმ მართლმადიდებელ ეკლესიებში დადგენილი მარხვის თარიღები, რომლებიც ძველ სტილზე არიან (ანუ იულიუსის კალენდრით ხელმძღვანელობენ):

1. დიდი მარხვა – წინ უძღვის ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს. მარხვებს შორის ის ყველაზე ხანგრძლივია. იწყება აღდგომის წინ 49 დღით ადრე. დიდი მარხვის ხანგრძლივობა ყოველ წელს ერთი და იგივეა, ოღონდ მისი დასაწყისი და დასასრული მოძრავია (ამ თარიღებს მორწმუნეები საეკლესიო კალენდრის საშუალებით იგებენ).
2. საშობაო მარხვა – წინ უძღვის ქრისტეს შობის დღესასწაულს. გრძელდება 28 ნოემბრიდან 7 იანვრამდე.
3. მარიამობის მარხვა – წინ უძღვის ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს. ეს მარხვა ორკვირიანია და გრძელდება 14 აგვისტოდან 28 აგვისტომდე.
4. პეტრე-პავლობის მარხვა – წინ უძღვის მოციქულების პეტრესა და პავლეს მოსახსენებლად დაწესებული დღესასწაულს. ამ მარხვის ხანგრძლივობა ცვალებადია. იგი შეიძლება იყოს 9 დღიდან თვენახევრამდე. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი დასასრული უძრავია, დასაწყისი კი

მოძრავი, რომელიც უკავშირდება აღდგომის დღესასწაულს.

არსებობს აგრეთვე ერთდღიანი მარხვები. ესენია: ყოველი კვირის ოთხშაბათი (ქრისტეს 30 ვერცხლად გაყიდვის) და პარასკევი (ქრისტეს ჯვარცმის) დღე; ნათლისღების დღესასწაულის წინა დღე (18 იანვარი); წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე (11 სექტემბერი) და ჯვართამაღლების დღე (27 სექტემბერი). თუკი ისლამში და იუდაიზმში მარხვა საკვებისგან სრულ თავშეკვეებას გულისხმობს, ქრისტიანული წესის თანახმად მარხვის დროს ადამიანმა არ უნდა მიიღოს გარკვეული სახის საკვები: ხორცეული (ცხოველი, ფრინველი), რძის ნაწარმი და კვერცხი. დანარჩენი საკვები დაშვებულია. ქრისტიანული სწავლების თანახმად, მარხვა ადამიანს ეხმარება საკუთარ ცოდვილ ვნებებზე ბატონობაში, საკუთარი სურვილების შეზღუდვაში და მათ მართვაში.

„მე სულაც არ ვამცირებ მარხვის მნიშვნელობას, როდესაც გირჩევ, რომ ყოველთვის სათანადოდ იკმაყოფილებდე სხეულის მოთხოვნებს; სრულებითაც არა! მაგრამ თუ მარხვას თან არ ახლავს სულიერი ღვაწლი, მაშინ ყოველად უსარგებლოა ეს გარეგნული ღვაწლიც. სწორედ ამას გულისხმობდა უფალი, როცა ამბობდა, რომ ადამიანს ბილწავს არა პირიდან შესული, არამედ ის, რაც მის ბაგეთაგან გამოდის (მთ. 15:11).“

წმ. ბარსანუფი დიდი (VI ს.).

სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელო. შეკითხვა #210

„...არ ვარ მარხვის წინააღმდეგი. მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, როდესაც ყველა სხვა სათნოებას უგულვებელყოფთ და თქვენი ცხოვრებისთვის საკმარისად მიიჩნევთ მას, რომელსაც ყველაზე ბოლო ადგილი უკავია სათნოებათა შორის. სათნოებათაგან კი ყველაზე მთავარია: სიყვარული, სიმდაბლე და კეთილი საქმე, რომლებიც ქალწულებასაც კი აღემატება.“

წმ. იოანე ოქროპირი (IV ს.).

მათეს სახარების განმარტება, საუბარი 46:4

რაც შეეხება თევზს, იგი ზოგადად სამარხო საჭმელად ითვლება, მაგრამ მისი მიღება-არმიღების საკითხი მარხვის სიმკაცრეზეა დამოკიდებული. იგივე შეიძლება ითქვას ღვინოზეც.

გარდა ზემოთდასახელებულისა, ქრისტიანულ რელიგიაში ასევე მნიშვნელოვან დღესასწაულებად ითვლება იესო ქრისტეს ამაღლება (აღდგომიდან მე-40 დღე), ქრისტეს ნათლისღება (19 იანვარი), ქრისტეს ფერისცვალება (19 აგვისტო), ღვთისმშობლის ხარება (7 აპრილი), ბზობა (აღდგომამდე ერთი კვირით ადრე) და სხვა.

3. 12. ბერმონაზვნობა

ქრისტიანულ ეკლესიაში ბერმონაზვნობა წარმოიშვა IV ს-ში, ძირითადად, ეგვიპტეში. როდესაც ქრისტიანთა დევნა შეწყდა და ქრისტიანობა რომის იმპერიაში ლეგიტიმურ რელიგიად გამოცხადდა, ჭეშმარიტ რწმენასთან ნაკლებად დაკავშირებული მოტივებით მრავალი ადამიანი მოაწყო ეკლესიას, რადგან ეკლესიის მსახურნი უკვე გარკვეულ პრივილეგიებსაც იღებდნენ ქრისტიანი იმპერატორებისგან.

რომის იმპერიის მოსახლეობის ქრისტიანობაზე მასობრივად მოქცევამ შედეგად ის მოიტანა, რომ ქრისტიანთა ზნეობრივი სახე აღარ იყო უკვე იმგვარ სიმაღლეზე, როგორც ქრისტიანი მოწამეების ეპოქაში. ამიტომ ამგვარი მოღუწებული ქრისტიანობით უკმაყოფილო ზოგიერთმა მორწმუნემ ერიდან გასვლა დაიწყო, რათა მივარდნილ ადგილებში უფრო მეტად კონცენტრირებული სულიერი ცხოვრებით ქრისტეს მცნებები მთელი სიმკაცრითა და სისრულით დაეცათ.

მსოფლიო პატრიარქი ათენაგორა (+1967): „...საერთო-მართლმადიდებლურმა კრებამ აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი. დღეს უკვე აღარ არსებობს იმპერიის ეკლესია, მონაზვნობას უკვე აღარ აქვს უწინდელი ძალა და მნიშვნელობა. ამას გარდა, ბრწყინვალე მოძღვრები ვერ ხდებიან ეპისკოპოსები. ამიტომ ძალიან ახალგაზრდა ადამიანები დგებიან ცელიბატის უღლის ქვეშ იმისათვის,

რომ ეპისკოპოსები გახდნენ. რატომ არ უნდა იყვნენ ეპისკოპოსები ცოლიანები? ასეთი ეპისკოპოსები არსებობდნენ საუკუნეების განმავლობაში (...) მოციქული პავლე წერს, რომ პეტრესა და სხვა მოციქულებს თითოეულს ჰყავდა თავისი ცოლი.⁶³ ადამიანი, რომელიც ეკლესიის მსახურებას უძღვნის თავს, უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება, დაქორწინდეს თუ არა“

*О. Клеман. Беседы с Патриархом Афинагором.
Брюссель, 1993, 200*

ამრიგად, ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შემდგომ მოწამეობამ სხვა ფორმები მიიღო. ადრეულ ქრისტიანთა შეგნებაში არსებობდა სამი სახის მოწამეობა: თეთრი მოწამეობა, რომელიც რელიგიური მოსაზრებებით იმ მიწიერი სიამეებისგან თავის შეკავებაში მდგომარეობს, რაც ადამიანს უყვარს და რისკენაც მიილტვის. მწვანე მოწამეობის მიხედვით კი ქრისტიანი მოღვაწე მარხვითა და შრომით თავისუფლდება ცოდვილი გრძნობებისა და ბოროტი ზრახვებისგან. და ბოლოს, წითელი მოწამეობა – ეს საკუთარი რწმენის გამო სიკვდილია.

ბერობის ან მონაზვნობის მსურველი ადამიანები ტოვებდნენ საკუთარ სახლს, ქალაქს, მშობლებს, ნათესავ-მეგობრებს და უკაცრიელ ადგილებში მთელ ცხოვრებას თავისი სულისა და ასევე სხვა ადამიანების საცხოვრებლად ლოცვაში ატარებდნენ. როგორც მართლმადიდებლურ, ისე კათოლიკურ მონასტრებში, ბერებისთვის ლოცვის მნიშვნელოვანი ატრიბუტია ე. წ. სკვნილი (მსხვილ ძაფზე აგებული მრგვალი მარცვლებისგან შემდგარი პატარა ბაწარი), რომლის თითოეულ მარცვალს თითებით გადასწევენ ხოლმე შესაბამისი ლოცვის ყოველ წარმოთქმაზე.

„როგორ უნდა ვემსახუროთ ღმერთს, როცა ცხოვრება და მუშაობა ისეთ ადგილას მიწევს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ღმერთთან და რელიგიასთან და მით

63. პატრიარქი უნდა გულისხმობდეს პავლე მოციქულის შემდეგ სიტყვებს: „განა არა გვაქვს უფლება დავიმგზავროთ მორწმუნე ცოლი, როგორც დანარჩენმა მოციქულებმა, უფლის ძმებმა და კეფამ?“ (1 კორ. 9:5).

უმეტეს, არც განსაკუთრებული ასკეტური ღვაწლის (მაგ., ბერმონაზვნური ცხოვრება) საკუთარ თავზე ალება შეგვიძლია გასაგები მიზეზების გამო?“ – კითხულობთ თქვენ. დავიწყოთ იქიდან, რომ თითოეულ თქვენგანს ჰყავს ნათესავები, მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, თანამშრომლები, ანუ ადამიანები, რომლებთან ერთადაც ვცხოვრობთ. სწორედ მათ წინაშე უნდა იყოთ თქვენ ღვთის ჭეშმარიტი მორწმუნენი. თითოეული თქვენგანი, – სიტყვით, ქცევით, ურთიერთობით, – უკვე ემსახურება ღმერთს (...) სადაც არ უნდა მუშაობდეს მორწმუნე ადამიანი: სამზარეულოში, მაღაზიაში, ინსტიტუტში, – ნებისმიერ ადგილას, მამაკაცი იქნება იგი თუ ქალი, შეუძლია ემსახუროს ღმერთს. რას ნიშნავს ეს? ადამიანი, თავისი ცხოვრების წესით, თავისი ზნე-ჩვეულებით, კეთილსინდისიერებითა და სამართლიანობით, სხვებისადმი თანაგრძნობით და ა. შ. უკვე ემსახურება ღმერთს.

*Прот. Александр Мень. Прости Нас, Грешных.
Сборник Проповедей. М., 2004, 85, 53*

მართლმადიდებელ ეკლესიაში, ერთის მხრივ, არსებობს ე. წ. შავი სამღვდელოება, ანუ ბერები და მონაზვნები, რომლებსაც დაქორწინების უფლება არა აქვთ და მთელს სიცოცხლეს მონასტრებში ატარებენ და, მეორეს მხრივ, არსებობს ასევე თეთრი სამღვდელოება, რომელთა წარმომადგენლებიც დაქორწინებულნი არიან და ერში (ქალაქებისა და სოფლების ტაძრებში) მსახურობენ. კათოლიკური ეკლესიაში ამგვარი გამიჯვნა არ არსებობს, იქ სამღვდელოების ყველა წარმომადგენელი აუცილებლად დაუქორწინებელი უნდა იყოს (ცელიბატობა). რაც შეეხება პროტესტანტულ ეკლესიებს, იქ სამღვდელოება, როგორც ასეთი, არ არსებობს (იხ. ქვემოთ). თუმცა საყოველთაო ცელიბატობის პრინციპი ადრეულ ეკლესიაში არ არსებობდა. მოციქულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ცოლ-შვილი ჰყავდათ (მაგალითად, პეტრე). დაქორწინებული იყო ასევე ეკლესიის ზოგიერთი მამაც: წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. ილარიონ პიქტავიელი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ეპისკოპოსის შვილი იყო... ბიზანტიაში, მაგალითად, ბერ-მონაზვნობას ხალხში მეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ვიდრე თეთრ სამღ-

ვდელოებას, ბერები ხშირად იყვნენ ჭეშმარიტი სარწმუნოების, ქრისტიანული სამართლიანობისა და ზნეობის დამცველნი, რის გამოც, არცთუ იშვიათად, კონფლიქტი მოსდიოდათ როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებასთან.

3. 13. სათნოებათა შესახებ

ქრისტიანული სწავლების თანახმად, სათნოებათა შორის უპირველესი და უმთავრესი – თავმდაბლობაა. თავად მაცხოვარი სიმდაბლეს უფლის სასუფეველის დამკვიდრების უმთავრეს პირობად სახავდა:

„თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში, რადგან ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს უმცირესი, იგი უდიდესი იქნება ცათა სასუფეველში.“

იესო ქრისტე (მათეს სახარება 18:3-4)

თავმდაბლობის სათნოება არა მხოლოდ აღემატება სხვა სათნოებებს, არამედ მის გარეშე ყველა დანარჩენი სათნოება კარგავს თავის მნიშვნელობასა და ღირებულებას. უფრო მეტიც, წმ. მამათა სწავლებით, ეს ერთი სათნოებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევოს (!):

„თავმდაბლობა, საქმეთა გარეშეც, ბევრ შეცოდებებს გვპატიობს, და პირიქით, თავმდაბლობის გარეშე ღვაწლი (საქმეები) ყოვლად უსარგებლოა და ზიანის მომტანიც კი.“

წმ. ისააკ ასურის (VII ს.).

სამოღვაწეო თავნი. სიტყვა 46

იგივეს აღნიშნავდა ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში, სოლომონ ბრძენი: „თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება“ (ეკლესიასტე 10:4).

სათნოებების (ლოცვა, მარხვა, კეთილი საქმეები და სხვა) აღსრულება არ წარმოადგენს ქრისტიანული ცხოვრების მიზანს, ისინი მხოლოდ საშუალებებად განიხილება მთავარი სათნოების – თავმდაბლობა შესაძენად:

„ზოგიერთები სულიერი ნიჭების მისაღებად, სასწაულ-მოქმედებისა და სხვათა აზრების ამოცნობის უნარის მისაღებად ამაოდ ქანცავენ საკუთარ სხეულს, რადგან ამ საცოდავებმა არ იციან, რომ არა ღვაწლი, არამედ სიმდაბლეა ამგვარ წყალობათა მშობელი“.

*წმ. იოანე სინელი (VII ს.). კიბე ზეცისკენ 22:32⁶⁴
(სხვა მსგავსი მუხლები თავმდაბლობაზე:
კიბე 15:14; 25:15; 25:52; 26:146)*

„სანამ ადამიანი თავს არ დაიმდაბლებს, ვერ მიიღებს ჯილდოს თავისი ღვაწლისთვის. ჯილდო გვეძლევა არა ღვაწლის (საქმეების), არამედ თავმდაბლობის გამო. ვინც უგულვებელყოფს მეორეს, დაკარგავს პირველსაც (...) ამრიგად, საზღაური მოდის არა სათნოებებისა და მათი აღსრულებისთვის გაწეული შრომისთვის, არამედ ამ შრომის შედეგად წარმოქმნილი თავმდაბლობისთვის“.

წმ. ისააკ ასური (VII ს.). სამოღვაწეო თავნი. სიტყვა 34

ქრისტიანული ბერმონაზვნობის მამად აღიარებული წმ. იოანე სინელი კი უფრო შორს მიდის და თავმდაბლობის სათნოების ძალმოსილებაზე შემდეგ გაბედულ სიტყვებს ამბობს:

„თუკი სიამაყემ ზოგიერთი ანგელოზი ეშმაკად აქცია, მაშინ, უეჭველად, თავმდაბლობა შემძლეა ეშმაკი გადააქციოს ანგელოზად. ასე რომ, სასო არ წარიკვეთონ დაცემულებმა“.

*წმ. იოანე სინელი (VII ს.). კიბე ზეცისკენ 25:63
(მსგავსი აზრი: კიბე 23:12)*

-
64. წმინდა იოანე თავმდაბლობის ამოცნობის ერთ-ერთ კონკრეტულ კრიტერიუმსა და იმავდროულად მისი მიღწევის გზაზეც მიუთითებს: „ვისაც თავმდაბლობის მოპოვება გვსურს, საკუთარ თავს დავუკვირდეთ: თუ ვნახავთ, რომ მთელი სულითა და გულით გვინდა, მოყვასი ჩვენზე უკეთესი და პატივდებული იყოს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ახლოს არის ღვთის წყალობა“ (კიბე 25:32).

ძველ აღთქმაში მოღვაწე უფლის რჩეულნი, ასევე შემდგომ ქრისტეს მოციქულები და წმ. მამები თავმდაბლობის თვისებებად განიხილავენ უსამართლობის მოთმენის, სიყვარულის, სიწრფე-ლისა, სხვების პატივისცემისა და ზოგადად მიტევების უნარს:

მოთმენა:

„უსამართლო წყენის დათმენის გამო უფალი ჩადენილ ცოდ-ვებს გვპატიობს“ (წმ. იოანე ოქროპირი (IV ს.). მათეს სახარების განმარტება, საუბარი 9:2).

სიყვარული:

„გულითადად გიყვარდეთ ერთმანეთი, რადგან სიყვარული ფარავს ცოდვათა სიმრავლეს“ (1 პეტრ. 4:8).

გულწრფელობა:

„ყველა გულზვიადი ადამიანი სიბილწეა უფლის წინაშე. გჯე-როდეს, დაუსჯელი ვერ გადარჩება. სიწრფელითა და სიმართლით კი ცოდვები იწმინდება“ (იგავნი სოლომონისა 16:6)

სხვათა პატივისცემა:

„მშობლის პატივისმცემელი ცოდვათაგან განიწმინდება“ (სიბრძნე ზირაქისა 3:3).

მიტევება:

„მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: უფალო, რამდენგზის უნდა შემცოდოს მე ჩემმა ძმამ და რამდენგზის უნდა მივუტევო მას? შვიდგზის? უთხრა მას იესომ: არ გეუბნები შენ შვიდგზის, არამედ სამოცდაათჯერ შვიდგზის“ (მათეს სახარება 18:21-22).

„ჩემი ჭაბუკობისას ერთ ამხანაგს ვეჩხუბე. მივედი მამა ათანასესთან და ვუთხარი: „რა ვქნა, ვეჩხუბე კირი-ლეს და არ შემიძლია მისი პატიება“. მამა ათანასემ მშვი-დად შემომხედა და მითხრა: „მამაო ჩვენოს“ წაკითხვისას იმ ადგილამდე რომ მიხვალ, სადაც ნათქვამია: „და მომიტე-ვენ ჩვენ თანანადებნი (ცოდვები) ჩვენნი“, ასე თქვი: „უფა-ლო ნუ მომიტევებ მე ჩემს თანანადებს, რადგან არ შემიძ-ლია კირილეს მივუტევო.“ მე ვუპასუხე: „არ შემიძლია ამის

თქმა: „ასე უნდა თქვა, სხვაგვარად არ შეიძლება.“ მაშინ შევეცადე ასე მეთქვა, მივედი იმ ადგილამდე და რომ ვერ შევძელი ამ სიტყვების წარმოთქმა, დავბრუნდი მამა ათანასესთან. „მამ, თუ არ შეგიძლია ამ სიტყვების წარმოთქმა, გამოტოვე.“ ამასაც შევეცადე და ვერ შევძელი, რადგან სწორედ ეს მიტევებაა ის ზღვარი, რომელიც ჩემს ცხოვრებასა და დაღუპვას შორის არსებობს.

ისევ დავბრუნდი მამა ათანასესთან. იგი მეუბნება: „რაო გეშინია, რომ დაიღუპები? მაშინ აი, ასე თქვი: „უფალო, მე ძალიანაც მინდოდა მეპატიებინა კირილესთვის, მაგრამ ვერ შევძელი. შენ ხომ შეგიძლია მომიტეო ჩემი საქციელი, რადგან მე მისი გამოსწორება მსურდა.“ ეს რომ ვცადე, გამომივიდა და რომ დავინახე, როგორ თანდათან ვიძირებოდი ამ განცდებში, ვიგრძენი ჩემი სიბრაზის უაზრობა...”

*მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი (XX ს.).
საფეხურები. თბ., 2000, გვ. 66-7*

რა არის ამპარტავნება? აქ არ შევუდგებით წმ. მამათა სწავლების გადმოცემას ამ საკითხზე – მეტ-ნაკლებად მათი შინაარსი ყველა ადამიანისთვის ნაცნობია, როგორც წიგნებიდან, ასევე ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. მაგრამ წმ. მამების საკმაოდ ფაქიზი ანალიზით (მათთვის კი ადამიანის თითოეული სულიერი მოძრაობის ნამდვილი სახე იყო ცნობილი), სიამაყე და ამპარტავნებაა ასევე ზოგიერთი ის ქცევა, რომელიც ჩვენ უმნიშვნელოდ ან ჩვეულებრივ მანერად მიგვაჩნია. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი წერს:

„თუ შენ ფიქრობ რომ ესა თუ ის ქცევა სიკეთეს მოუტანს სხვას, მაგრამ მოხდება პირიქით, მაშინ ღმერთი, რომელიც შენს გულს უყურებს, არ განგსჯის, რადგან იცის, რომ სარგებლის მოტანა გასურდა და არა ზიანის. მაგრამ თუკი ვინმე წინასწარ გაგაფრთხილებს რომ ამგვარ ქცევას ზიანი მოჰყვება, მაგრამ შენი დაუდევრობით მაინც გააკეთებ ამას, მაშინ ეს სიამაყე და თვითნებობაა.“

*წმ. ბარსანუფი დიდი (VI ს.).
სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელო. შეკითხვა #325*

4. დოგმატური მოძღვრება

ქრისტიანობის ძირითადი დებულებები ეფუძნება ბიბლიას (ძველ და ახალ აღთქმას), მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებსა და წმ. მამათა ნაშრომებს. ქრისტიანული რწმენის დოგმატური ფორმულირებები ჩამოყალიბდა როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში წარმოქმნილი ერესების საწინააღმდეგო რეაქცია. ქრისტიანული სწავლების საფუძველს წარმოადგენს მრწამსი, რომელიც პირველ (325 წ.) და მეორე მსოფლიო (381 წ.) კრებებზე შემუშავდა. იგი 12 მუხლისგან შედგება და იწყება სიტყვით „მწამს...“

1. მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;
2. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა;
3. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა;
4. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატეს დროს, და ივნო, და დაეფლა;
5. და აღდგა მესამესა დღესა წერილის თანახმად;
6. და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა;
7. და კვალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, რომლის სუფევას არ ექნება დასასრული;
8. და სული წმინდა, უფალი და სიცოცხლის მომნიჭებელი, რომელი მამისგან გამოდის, მამასთან და ძესთან ერთად თაყვანის-იციმება და იდიდება, რომელიც დამოწმებულია წინასწარმეტყველთა მიერ;
9. ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია;

10. ვალიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატევებელად ცოდვათა;
11. მოველი აღდგომასა მკვდრეთით;
12. და მომავალ მარადიულ ცხოვრებას. ამინ.

ქრისტიანული მრწამსი

4. 1. სამყაროს შექმნა

ქრისტიანობის ერთ-ერთ მთავარ დოგმატს წარმოადგენს სწავლება ღვთის, როგორც შემოქმედის შესახებ. ქრისტიანული სწავლებით, ღმერთმა, როგორც უსასრულო არსებამ, ასევე უსასრულო ხილული და უხილავი სამყარო შექმნა არა საკუთარი არსიდან, არამედ არაფრისგან. სწორედ ამ აქტში ვლინდება ღვთის ერთ-ერთი თვისება – ყოვლადძლიერება, რადგან ჩვენ ადამიანებს იმისათვის რომ რაღაც შევექმნათ, შესაბამისი მასალა გვჭირდება. ღმერთმა კი ყოველგვარი წინასწარ არსებული მასალის გარეშე – არაფრისგან შექმნა სამყარო, რომლის უკიდურეს ზღვარს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ადამიანმა, მიუხედავად საკმაოდ შთაბეჭდავი თანამედროვე კოსმოსური მოგზაურობებისა.

რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო? ამ კითხვაზე პასუხად წმ. მამები აღნიშნავენ, რომ სრულყოფილი ღმერთი არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდა. მან თავისი „ჭარბი სიყვარულის“ გამო შექმნა სამყარო და გონიერი არსებები, რათა მათთვის თავისი სიყვარული და ნეტარება გაეზიარებინა.

ადამიანი კი უფლის ხატად და მსგავსად, ქმნილი სამყაროს გვირგვინად, შემოქმედებითი პროცესის მწვერვალად ითვლება, რადგან ამ ხილულ სამყაროში არცერთი ქმნილება არ არის (მის მსგავსად) გონიერი და უკვდავი სულის მქონე. ადამიანის შექმნის წინ წმ. სამების წევრები ერთმანეთში ბჭობენ (მიაქციეთ ყურადღება პირველი სიტყვის მრავლობით რიცხვს): „გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად...“ (შესაქ. 1:26). წმ. სამების წევრთა მსგავსი თათბირი ბიბლიურ თხრობაში არცერთი ქმნილების (ცის მნათობები, ცხოველები, ფრინველები...) შექმნის წინ არ გვხვდება. მამათა მითითებით, ეს აშკარა ნიშანია იმისა, რომ ადამიანი

უმალესი ქმნილებაა, რომელსაც მიეცა უკვდავება და თავისუფალი ნება.

4. 2. წმ. სამება

წმ. სამების შესახებ სწავლება ეკლესიამ ყველაზე ადრე ჩამოაყალიბა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სწორედ ამ საკითხთან გაჩნდა პირველი ერეტიკული (მცდარი) სწავლებები. ქრისტიანული სწავლებით, ძე ღმერთის მსგავსად სული წმინდაც მამის თანასწორი ღმერთია. იგი ისევე მარადიულია, როგორც მამა ღმერთი და როგორც ძე ღმერთი. ზოგჯერ წმ. სამების საიდუმლოს უკეთ გააზრებისთვის ეკლესიის მამები მატერიალურ ანალოგიებსაც იშველიებენ, როგორიცაა, მაგ., მზე, რომლისგანაც თანაბრად მომდინარეობს სითბოც და სინათლაც. ისევე როგორც მზის წარმოდგენა შეუძლებელია სითბოსა და სინათლის გარეშე, ასეთივე ერთიანობა არსებობს წმ. სამების წევრებს შორის. თუმცა წმ. მამათა ერთსულოვანი მითითებით, ამ ღვთაებრივი რეალობის ბოლომდე გაგება და წვდომა ადამიანს არ შეუძლია.

ალექსანდრიელი მღვდლის, არიოზის (256-336) მიმდევრები ასწავლიდნენ, რომ ძე ღმერთი მამა ღმერთმა შექმნა, რომ იყო დრო როცა ძე ღმერთი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე არიანელთათვის ძე ღმერთი თავისი სტატუსით მამა ღმერთზე, როგორც შეუქმნელ და მარადიულ არსებაზე, დაბლა იდგა.

ამ თვალსაზრისის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კამათი ძალიან გამწვავდა. ამ გარემოებამ შეაფუთა იმპერატორი კონსტანტინე, რადგან საეკლესიო განხეთქილებაში იმპერიის ერთიანობის ისედაც მყიფე ერთიანობის რღვევის საფრთხე დაინახა. მან 325 წელს სასწრაფოდ მოიწვია საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლთან ახლოს, ქალაქ ნიკეაში. ამ კრებას შემდგომში პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ეწოდა.

მწვავე დებატების შემდგომ კრებამ დაგმო არიანული სწავლება და მიიღო ე. წ. ნიკეის რწმენის სიმბოლო. მასში არიანული სწავლების საპირისპიროდ ქრისტეს შესახებ შემდეგი სიტყვები ჩაიწერა: „...ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმა-

რიტი ღვთისაგან შექმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა...“ (მრწამსი, მუხლი 2).

4. 3. ქრისტეს ღმერთკაცობრივი ბუნება

ნიკეის კრებამ გადაუწყვეტელი დატოვა საკითხი ქრისტეს პიროვნებაში ღვთაებრივი და ადამიანური საწყისების ურთიერთმიმართების შესახებ. სწორედ ამ საკითხის დაზუსტება-ჩამოყალიბებას მიეძღვნა მეორე, მესამე და მეოთხე მსოფლიო კრებები. მეოთხე მსოფლიო კრებამ (ქალკედონი, 451 წ.) მიიღო საღვთისმეტყველო ფორმულა, რომელსაც დღეს აღიარებს მართლმადიდებლური, კათოლიკური, ანგლიკანური და პროტესტანტული ეკლესიების უმრავლესობა. ფორმულის თანახმად, იესო ქრისტე არა მხოლოდ ერთარსია მამა ღმერთისა (ანუ აბსოლუტურად იგივე ღვთაებრივი არსის მქონე), არამედ ასევე ფლობს სრულ ადამიანურ ბუნებას, არის რა ამგვარად, სრული ღმერთი და სრული ადამიანი, სხვა სიტყვებით – ღმერთკაცი.

როგორც მიჩნეულია, აღმოსავლეთის ზოგიერთმა ეკლესიამ არ მიიღო ქალკედონის კრების ეს დადგენილება, რის გამოც ისინი არაქალკედონიტ ეკლესიებად იწოდებიან (მათ შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვეთავში „მიმდინარეობები ქრისტიანობაში“). თუმცა ამ ეკლესიათა განხეთქილებაში გასვლის რეალური მიზეზი უმეტესწილად პოლიტიკური და ეთნიკური ხასიათის იყო: ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ბერძნებისა (ბიზანტიელების) და ლათინების (რომაელების) დაქვემდებარებასა და მორჩილებაში ყოფნას. ამ ეპოქაში სწორედ კონსტანტინეპოლი (კერძოდ კი ბიზანტიის იმპერატორი) აკონტროლებდა აღმოსავლეთის მთელს საქრისტიანოს ზოგჯერ რომის პაპის ჩათვლითაც. ეს განსაკუთრებით მეხუთე მსოფლიო კრებაზე გამოჩნდა, როცა იმპერატორ იუსტინიანემ ქრისტიანული სამყაროს ხუთივე ეკლესიის მეთაური აიძულა ხელი მოეწერათ კრების დოკუმენტისთვის. რომის პაპის თანხმობის მისაღებად იმპერატორს მისი (პაპის) ციხეში გამომწყვდევაც დასჭირდა ექვსი თვით (იხ. იმპ. იუსტინიანეს პოლიტიკა სხვა ქრისტიანული ეკლესიებისადმი და ასევე წარმართებისადმი ქვემოთ წარმოდგენილ პასაჟებში).

„ქრისტიანული ეკლესიის სამღვდელოება სრულ მზადყოფნას გამოხატავდა იმგვარი სოციალური წესრიგის დასამყარებლად, რომელიც იმპერატორებს სურდათ და სწორედ ამიტომ, იოანე ეფესელის მსგავსი ადამიანისათვის ბუნებრივი იყო იმპერატორ იუსტინიანეს დავალების მიღება 542 წელს, ყოფილიყო ერთგვარი ინკვიზიტორი მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, რათა ძალადობით მოექცია ქრისტიანობაზე 70 ათასი ადგილობრივი წარმართი. იუსტინიანეს დროს წარმართული სალოცავების გაუქმების შემდგომ, მათი მარმარილოს სვეტები გამოყენებულ იქნა წმ. სოფიისა და სხვა ტაძრების ასაგებად, ხოლო ათენის აკადემიის დახურვა შეიძლება ჩაითვალოს წარმართული სამყაროს მიმართ უკანასკნელ დარტყმად. კანონი ასევე ითხოვდა ყველა წარმართის მონათვლას ჯარიმის გადახდის, ქონების კონფისკაციის, ან განდევნის მუქარის ქვეშ.“

*И. Мейендорф. Единство Империи и Разделения
Христиан. 2003, 25*

„მონოფიზიტური და ნესტორიანული ეკლესიები, მარონიტების მსგავსად, ვერ მოახერხებდნენ საკუთარი სუვერენობის შენარჩუნებას, თუკი მეშვიდე საუკუნეში ბიზანტია შეძლებდა ეგვიპტის სირიისა და ერაყის დაპყრობას. ეგვიპტელი კოპტებისათვის, სირიელი იაკობიტებისათვის და ერაყელი ნესტორია-ნელეებისათვის ამ პერიოდში მუსლიმური სამყაროს მხრიდან დაპყრობა ნიშნავდა ბიზანტიური ზეწოლისგან განთავისუფლებას (...) ნესტორიანელებს, მონოფიზიტებს და მონოთელიტებს ისლამი მათ საშინაო საქმეებში დაუკითხავი ჩარევისგან დაცვის გარანტიას აძლევდა.“

Хасан Бил Талал. Христианство в Арабском Мире //
Страницы #3, 2002, 400-401

4. 4. კაცობრიობის გამოსნა

ქრისტიანული სწავლების თანახმად, ვინაიდან კაცობრიობაში ცოდვა ერთი ადამიანის (ადამის) მიერ შემოვიდა, კაცობრიობის ხსნა ასევე ერთი ადამიანის მიერ უნდა განხორციელებულიყო (ამიტომ იწოდება იესო ქრისტე ხშირად მეორე ადამად ქრისტიანულ ლიტერატურაში). მაგრამ იესო რომ მხოლოდ ადამიანი ყოფილიყო, იგი ვერ შეძლებდა კაცობრიობის ცოდვების საკუთარ თავზე აღებას. მისი სიკვდილი არ იქნებოდა საკმარისი სასყიდელი მთელი ქვეყნიერების ცოდვებისთვის (1 ინ. 2:2). მხოლოდ ღმერთს შეუძლია სიკვდილი ხსნის იარაღად გამოიყენოს. ამისათვის საჭირო იყო ღმერთი ადამიანად ქცეულიყო, რადგან ღმერთს არ შეუძლია სიკვდილი. ამიტომ ღვთის განკაცების საიდუმლო იგივე ხსნის საიდუმლოა. ეს არის ქრისტიანობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სხვა რელიგიებისგან.

„ბიწიერება არ არის ისეთი ძლიერი, რომ კეთილი ძალის დაძლევა შეეძლოს და ჩვენი ბუნების უგუნურება არ არის ღვთაებრივ სიბრძნეზე უფრო აღმატებული და უფრო მტკიცე. შეუძლებელიც კია, რომ უკუღმართობა და ცვალებადობა იმაზე უფრო ძლიერი და მუდმივი იყოს, რაც ყოველთვის ერთიდაიგივეა და გამყარებულია სიკეთეში. ღვთის დადგენილება ყოველთვის და აუცილებლად დაურღვეველია, ხოლო ჩვენი ბუნების უკუღმართობა კი თვით ბოროტებაშიც არ არის მტკიცე. განუწყვეტლად მოძრავი (არსება)... გაივლის რა ბიწიერების გზას და მიაღწევს რა ბოროტების უკიდურეს საზღვარს, იგი თავისი ბუნების გამო ვერ იპოვის სიმშვიდეს და შემდეგ იგი აუცილებლად დაიწყებს თავის მოძრაობას სიკეთისაკენ... ბოროტების საზღვრის იქით იწყება სიკეთის გზა და ამიტომ ჩვენი ბუნების განუწყვეტელი მოძრაობა საბოლოოდ კვლავ დაუბრუნდება სიკეთეს...“

*წმ. გრიგოლ ნოსელი. კაცისა აგებულებისათვის.
თავი XXI*

შემთხვევა წმ. სილუანეს (XX ს.) ცხოვრებიდან, როდესაც მასთან ერთი ბერი მივიდა, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: „ღმერთი დასჯის ყველა უღმერთოს. ისინი მარადიულ ცეცხლში დაიწვებიან.“ ამაზე აღელვებულმა წმ. სილუანემ ჰკითხა: „მითხარი გეთაყვა, თუ შენ სამოთხეში იქნები და იქიდან დაინახავ, თუ როგორ იტანჯება ვინმე ჯოჯოხეთის ცეცხლში, შეძლებ მშვიდად ყოფნას?“ მან უპასუხა: „რას იზამ, თვითონ არიან დამნაშავენი“. წმ. სილუანემ კი მწუხარე სახით მიუგო: „სიყვარულს ასე არ შეუძლია“.

Преп. Силуан Афонский. Часть 1, глава 2

„მოწყალება და მართლმსაჯულება ერთ სულში – ეს იგივეა, როცა ადამიანი ერთ სახლში თავყვანს სცემს ღმერთსაც და კერპსაც. მოწყალება ეწინააღმდეგება მართლმსაჯულებას. მართლმსაჯულება არის სწორი საზომის დაცვა, ვინაიდან თითოეულს მიაგებს იმას, რისი ღირსიცაა და მიგების დროს არ უშვებს გადახრას არც ერთ მხარეს, ან მიკერძოებას. ხოლო მოწყალება კი არის მადლით აღძრული მწუხარება და იგი ყველასაკენ თანაგრძნობით იხრება: ვინც ბოროტების ღირსია, მას არ მიაგებს ბოროტებას, და ვინც სიკეთის ღირსია, მას უფრო მეტად აღავსებს სიკეთით... როგორც ქვიშის მარცვალი ვერ ინარჩუნებს წონასწორობას დიდი წონის ოქროს წინაშე, ასევე ღვთის მართლმსაჯულების მოთხოვნები ვერ ინარჩუნებს წონასწორობას ღვთის მოწყალების წინაშე“

წმ. ისააკ ასურის (VII ს.).

სამოღვაწეო სიტყვანი. სიტყვა 89

„...მე არ მჯერა ცხოვნების ფორმალისტური, იურიდიული იდეისა. უკვე კათოლიკური ეკლესიაც კი უარყოფს ამას, უშვებს რა, რომ პროტესტანტებიც შესაძლოა გადარჩნენ, ანუ მოიაზრებს რა ცხოვნებას არა ეკლესიის გარეთ, არამედ ერთგვარ საიდუმლო ეკლესიაში. მახარებლებთანაც, მოციქულ პავლესთანაც და იოანეს გამოცხადებაშიც

ცხონების ეს საიდუმლო საოცარი სიდიადით განიჭვრიტება... ფარისევლებს და მწიგნობრებს, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ ყველაფერი ღვთის შესახებ, მაგრამ არ იცნობდნენ თავად ღმერთს, ქრისტე შემდეგს ეუბნებოდა: „...მეზვერეები და მეძაგები თქვენზე წინ შევლენ სასუფეველში“ (მათ. 21:31). ზოგიერთი ადამიანისათვის არ არსებობს ამაზე უფრო რთული აზრი გასაგებად, მაგრამ აზრი სრულიად ნათელია და გაუგებარია რატომ იშვშუნებიან ეს ადამიანები, რატომ ბრკოლდებიან და დრტვინავენ, ფიქრობენ რა, რომ ეს აზრი ასუსტებს მართლმორწმუნეობას, იმის მაგივრად, რომ უხაროდეთ ასეთი დამაბრმავებელი ქვეყნარტების გამო (...) თუკი ღმერთი საკუთარ თავს შემოსაზღვრავდა ცხონების მხოლოდ იმ გზებით, რომლებიც გასაგებია ადამიანური გონებისათვის, მაშინ ყველა ჩვენთაგანი უცილობლად დაიღუპებოდა. მაგრამ ადამიანთა საბედნიეროდ ეს ასე არ არის. უზენაესის კანონები ჩვენეულ, ადამიანურ გაგებაზე ფართოა, უფრო სწორად ღრმა. ვინაიდან გადამრჩენელი ღმერთია, ხოლო ჩვენ, ადამიანები, უბადრუკი ქმნილებები ვართ და ღვთის წინაშე „მთელი ჩვენი სიმართლე ჭუჭყიან სამოსელს ჰგავს“ (ისაია 64:6):

*Архиепископ Иоанн Сан-Францисский. Собрание
Сочинений в Двух Томах. том I, 1999, 230, 347-8*

ქრისტე ჯვარზე მოკვდა როგორც ადამიანი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ სძლია სიკვდილს და ჯვარციმიდან მესამე დღეს ახალი, თვისობრივად განსხვავებული სხეულით აღდგა, რომელიც ადამს ემოსა ცოდვით დაცემამდე (ამგვარ სხეულს შეუძლია დახურულ კარებში გასვლა, როგორც ეს ქრისტემ გააკეთა, იგი თავისუფალია ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან და ა.შ). ქრისტიანული სწავლებით სწორედ ასეთი სხეულით შეიმოსება კაცობრიობა საყოველთაო სამსჯავროს შემდეგ.

ქრისტიანული რელიგიის აბსოლუტური სიახლე და უნიკალობა, რაც ღვთის განკაცებისა და ჯვარცმის საიდუმლოში მდგომარეობდა, პავლე მოციქულმა ერთ ფრაზაში გამოთქვა: „ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ელინთათვის უგუნურებას...“ (1 კორ. 1:23).

4. 5. ხატების თაყვანისცემა

ქრისტიანული ეკლესიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სწავლებას წარმოადგენს მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილება ხატების თაყვანისცემის შესახებ. ხატი (ბერძ. „ეიკონ“ – „გამოსახულება“, „ხატება“) ეს არის წმინდანთა და ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან, საკრალურ მოვლენათა გამოსახულება სხვადასხვა სახის მყარ ზედაპირზე, რომელზეც არსებობს შესაბამისი წარწერა.

კათოლიკური და მართლმადიდებლურ ეკლესიებში დამკვიდრებულია ხატების თაყვანისცემა. ხატზე შეიძლება იყოს გამოსახული როგორც პიროვნებები (ქრისტე, მარიამი ან რომელიმე წმინდანი) ასევე ქრისტეს ცხოვრებიდან რომელიმე მოვლენა (აღდგომა, ამალღება, ფერისცვალება და სხვ.).

ლვთისა და მარიამ ღვთისმშობლის თაყვანისცემასთან ერთად ქრისტიანულ ეკლესიაში ადრეული პერიოდიდანვე განვითარდა წმინდანთა კულტიც. წმინდანებად მოიხსენიებიან ის ადამიანები, რომლებმაც თავისი განსაკუთრებული ზნეობრივი სიწმინდითა და რელიგიური მოღვაწეობის გამო უფლის განსაკუთრებული მადლი მიიღეს. ქრისტიანებს სწამთ, რომ წმინდანები შუამდგომლობენ უფალსა და ცოდვილ კაცობრიობას შორის. წმინდა მოღვაწეებად მიიჩნევიან ძირითადად ასკეტური წესით მცხოვრები ადამიანები. თუმცა ეკლესია ზოგჯერ იმ ადამიანების კანონიზაციასაც⁶⁵ ახდენს, რომლებიც მართალია არ იყვნენ სასულიერო პირები, თუმცა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკუთარი ერის ცხოვრებაში (საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ასეთებად მიიჩნია მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ.).

„ავგაროზმა, ედესელთა ქალაქის მეფემ, მხატვარი მიაველინა, რომ მას უფლის ხატის მსგავსება გამოესახა, მაგრამ როდესაც მხატვარმა ვერ შეძლო ეს (უფლის პირისახისგან გამომკრთალი ბრწყინვალეების გამო), მაშინ თვით უფალმა საკუთარ ცხოველმყოფელ პირისახეს ზედ

65. კანონიზაცია – ასე ეწოდება ეკლესიის მიერ რომელიმე ადამიანის წმინდანად შერაცხვას (აღიარებას).

დაადო სამოსელი, გადაბეჭდა სამოსზე თავისი გამოხატულება და ასე გაუგზავნა იგი ამის მოსურნე ავგაროზს.“

*წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებელი
სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. თბ., 2000,
თავი 89: „ხატთა შესახებ“.*

ასევე ადრეული ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია ლუკა მახარებელი, როგორც პირველი ხატმწერი, რადგან მან პირველმა შექმნა ღვთისმშობლის ხატი. ამრიგად, ხატების შექმნისა და მათდამი თაყვანისცემა არ ყოფილა უცხო ქრისტიანული რელიგიისთვის, თუმცა ცნობილი არიან ისეთი წმ. მამებიც, რომლებიც არამართებულად მიიჩნევდნენ ხატების თაყვანისცემას – ასეთი იყო, მაგალითად, IV ს-ში მოღვაწე წმ. ეპიფანე კვიპრელი.

მართალია, ხატმებრძოლები⁶⁶ უარყოფდნენ ხატებს, მაგრამ ისინი არ იყვნენ წინააღმდეგნი ხატებისა, როგორც რელიგიური ფერწერისა, რომელიც ემოციურ-მხატვრულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. მათთვის მიუღებელი ხატის მხოლოდ მისტიკური და რელიგიური ასპექტები იყო (ე. ი. მის წინაშე ლოცვა, როგორც სულიერ სამყაროსთან დამაკავშირებელ საშუალებასთან). მაგრამ ხატთაყვანისმცემლები, პირველ რიგში, სწორედ ამ მისტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ და შესაბამის ანალოგიებსაც იმოწმებდნენ სხვა საიდუმლოებების სახით, რომლებშიც მორწმუნენი მატერიალური საგნების საშუალებით ღვთაებრივ ენერგიებს იღებენ (წყალი ნათლობისას, პური და ღვინო ევქარისტიაში).

მეშვიდე მსოფლიო კრების ეპოქაში ხატმებრძოლების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის მიხედვით, ხატების თაყვანისცემა იგივე კერპთაყვანისმცემლობა იყო. მაგრამ ამგვარი მოსაზრება ხატის დანიშნულების ელემენტარული გაუგებრობა იყო, რადგან ქრისტიანები თაყვანს სცემენ არა თავად ხატს, როგორც ნივთს, არამედ იმ წმ. მოღვაწეს, რომელიც გამოსახულია მასზე. უფრო გასაგები რომ გავხადოთ, შეიძლებოდა ხატის შედარება ფანჯარასთან: ადამიანი ფანჯრის მეშვეობით იღებს სინათლეს. ფანჯრის განადგურება შესაძლებელია, სინათლისა არა. ამიტომ,

66. ხატმებრძოლები – ამგვარად მოიხსენიებოდნენ ადამიანები, რომლებიც ხატების თაყვანისცემის მოწინააღმდეგნი იყვნენ.

მორწმუნენი ეთაყვანებიან არა ფანჯარას, არამედ იმ სინათლეს, რომელიც ამ ფანჯრის მეშვეობით შემოდის.

განსხვავებით მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიებისგან პროტესტანტული ეკლესიებში არ არსებობს წმინდანთა თაყვანისცემის პრაქტიკა. მათი სწავლების თანახმად ადამიანს არ ესაჭიროება შუამავალი ღვთის წინაშე.

ჯვრის კულტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ რელიგიიში. იგი ყველა ქრისტიანული მიმდინარეობისთვის მთავარი რელიგიური სიმბოლოა. ჯვარი ამშვენებს ქრისტიანულ ტაძრებს, სასულიერო პირთა სამოსელს, ქრისტიანულ საფლავებს და ა. შ. მას ატარებენ აგრეთვე მორწმუნენი ყელსაბამის თუ სამაჯურის სახით. ჯვრის გარეშე არცერთი ქრისტიანული რიტუალი არ ტარდება.

ეს სიმბოლო ქრისტიანულმა ეკლესიამ მიიღო ქრისტეს მოწამებორივი სიკვდილის სამახსოვროდ. არსებობს სხვადასხვა მოყვანილობის ჯვრები ოთხქიმიანი, რვაქიმიანი და ა.შ.

გარდა ხატებისა და ჯვრებისა, ადრეულ ეკლესიაში, კატაკომბურ⁶⁷ პერიოდში, არსებობდა მინიშნებითი გამოსახულებებიც, ე. წ. დიაგრამები, სადაც სიმბოლურ ენაზე და ძალზედ კომპაქტურად გადმოიცემოდა სულიერი შინაარსები. მაგალითად, თევზის გამოსახულება ქრისტეს სიმბოლო იყო: ბერძნული სიტყვების „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი“ (ბერძ. „ისუს ხრისტოს, თეონ იოს, სოტერ“) (iesouz Cristoz, Qeou Uios, Swter) პირველი ასოები ქმნის ბერძნულ სიტყვას „იხთის“ – ნიშნავს თევზს. ასევე ქრისტეს სიმბოლოდ ითვლებოდა კრავის გამოსახულებაც.

4. 6. ანგელოზები

ხილული სამყაროს შექმნამდე ღმერთმა ანგელოზთა სამყარო შექმნა. ანგელოზი (ბერძ. „ანგელოს“ – მაუწყებელი, წარგზავნილი) უხორცო, მოაზროვნე და თავისუფალი ნების მქონე არსებაა, რომელიც ხშირად უფლის მსახურადაც მოიაზრება. მაგალითად,

67. კატაკომბები – ვრცელი მიწისქვეშა გამოქვაბულები, სადაც რომის იმპერიაში დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ თავს.

პავლე მოციქული მათ როგორც უფლის, ასევე ადამიანების „მსახურ სულეს“ უწოდებს (ებრ. 1:14).

ხატებზე და ფრესკებზე ანგელოზები, როგორც წესი, გამოსახულია ახალგაზრდა უწვერული ფრთოსანი (ფრთები – სისწრაფის სიმბოლო) ჭაბუკების სახით, რომლებიც ხშირად დიაკვნის შესამოსელში არიან გამოწყობილნი (მსახურების – სიმბოლო). თუმცა ეკლესიის ისტორიაში ასევე არსებობს მოწმობები, როდესაც ანგელოზები სრულიად სხვა გარეგნობითაც ეცხადებოდნენ ადამიანებს, მაგ., ოთხსახიანი თავით, ცეცხლოვანი მახვილის სახით, უჩვეულო ცხოველების (სფინქსი, ქიმერა, კენტავრი) სახით და სხვა.

უძველეს ქრისტიანულ ტრაქტატში „ზეციური იერარქიის შესახებ“, რომელიც დაწერა უცნობმა ავტორმა დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმით, ანგელოზები სამ ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში კი სამი წოდების ანგელოზს მოიცავს. ე. ი. ანგელოზები სულ 9 დასად იყოფა. იერარქიულად პირველი (უმაღლესი) კატეგორიის ანგელოზები არიან: სერაფიმები, ქერუბიმები და საყდარნი. მეორე კატეგორიის ანგელოზებს ეწოდებათ: მეფეებანი, ძაღნი და უფლებანი. მესამეს: საწყისნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

გარდა ამისა, საკუთრივ მთავარანგელოზთა 7 სახელია ადამიანთათვის გამჟღავნებული: მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი, ურიელი, იეგუდიელი, სელაფიელი და ვარაქიელი. ამათგან პირველი ოთხის სახელი ბიბლიაში იხსენიება, ხოლო დანარჩენების სახელები წმ. გადმოცემის კუთვნილებაა.

დიონისე არეოპაგელის თანახმად, საეკლესიო იერარქიაც ამ ანგელოზური იერარქიის მიხედვით არის მოწყობილი (ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები). ანგელოზთა რაოდენობის შესახებ ზუსტად არსად არაფერია ნათქვამი. მათზე ზოგადად არის ნათქვამი, რომ ბევრნი არიან (დან. 7:10).

ქრისტიანულ რელიგიაში ასევე არსებობს მფარველი ანგელოზის გაგება, რომელსაც უფალი თითოეულ ადამიანს უდგენს მისი ამქვეყნად მოვლინებისთანავე. იესო ბავშვებს გულისხმობდა, როდესაც ამბობდა: „მათი ანგელოზები ცაში მარად ხედავენ ჩემი ზეციური მამის პირისახეს“ (მთ. 18:10). მეორეს მხრივ, ქრისტიანული სწავლებით, თითოეულ ადამიანის წინააღმდეგ მოქმე-

დებს ასევე დემონი, რომელიც ყოველგვარ ბოროტ აზრებს შთა-
აგონებს მას და ცდილობს რაც შეიძლება მეტად დაამძიმოს მისი
სული სხვადასხვა სახის ცოდვით, რათა მისი სული უუნარო გახა-
დოს უფლის სასუფეველში დამკვიდრებისთვის.

4. 7. ბოროტების წარმოშობა

წმ. წერილის თანახმად, ანგელოზური (უხილავი) სამყაროს
შექმნის შემდეგ, სანამ ჩვენი ხილული სამყარო შეიქმნებოდა, ად-
გილი ჰქონდა გრანდიოზულ კატასტროფას. ანგელოზთა ნაწილი
ღმერთს დაუპირისპირდა. ამის გამო ისინი ზეციდან იქნენ განდევ-
ნილი, რის შემდეგაც ისინი ყოველგვარი სიწმინდისა და სიკეთის
მოძულეებად იქცნენ. ანგელოზთა ამ ნაწილის მეთაურად დასახე-
ლებულია ლუციფერი (ნიშნავს „სხივოსანს“, რადგან ეს ანგელოზი
იერარქიულად საკმაოდ ახლოს იმყოფებოდა უფლის ბრწყინვა-
ლებასა და დიდებასთან). ამ ანგელოზებს სხვადასხვა სახელით
მოიხსენიებენ: დემონი, სატანა, ეშმაკი.

ეს ანგელოზები საკუთარი თავისუფალი ნებით გადაიქცნენ
ბოროტ სულებად. უფალმა ნების თავისუფლება მიანიჭა გონიერ
არსებებს (ანგელოზებსა და ადამიანებს), რათა თითოეულმა მათ-
განმა სიკეთეში საკუთარი თავის გამოწრთობით მთელი თავისი
არსებით და საბოლოოდ გაითავისოს იგი, რის შემდეგაც გონიერ
არსებას უბრალოდ აღარ შეუძლია, უფრო სწორედ, აღარ სურს
ბოროტების ჩადენა (თუმცა კი, თავისუფალი ნების ძალით, კვლავ
შეუძლია ბოროტებისკენ გადახრა).

სიკეთეში თანდათანობითი განმტკიცებითა და ზრდით ანგე-
ლოზებს იმგვარი სრულყოფილებისთვის უნდა მიეღწიათ, როდეს-
საც არსება მაქსიმალურად ემსგავსება ღმერთს. სწორედ ამისთ-
ვის არიან ადამიანები მოწოდებულნი, რომლებიც ღმერთმა თავის
ხატად და მსგავსად შექმნა (შეს. 1:27). წმ. მამათა განმარტებით,
ადამიანში ჩადებულია ღვთის ხატება, რომელიც უფალთან მსგავ-
სების მიღწევის ღვთაებრივ პოტენციალს ითვლება. ადამიანის
ცხოვრების ამ მიზანზე ქრისტეც მიუთითებდა როცა ამბობდა:
იყავით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს.

სწორედ ეს გარემოება (თავისუფლება) გახდა ანგელოზთა ერთი ნაწილის დაცემის მიზეზი. კერძოდ, საეკლესიო სწავლება ამპარტავნებას ასახელებს, რომლის წინაშეც სუსტი აღმოჩნდა ლუციფერად წოდებული ანგელოზი. მან ღმერთთან გატოლება და მის ადგილას მყოფობა მოისურვა. ეკლესიის მამები სატანას განუკუთვნებენ ისაია წინასწარმეტყველის წიგნიდან შემდეგ სიტყვებს: „გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები... მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო“ (ის. 14:13-14). წმ. წერილის მინიშნებით, ლუციფერმა ანგელოზთა ერთი მესამედი მიიმხრო.

„ცოდვა, გენა და სიკვდილი საერთოდ არ არსებობს ღმერთთან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ქმედებებს და არა არსებებს. ცოდვა არის თავისუფალი ნების შედეგი. იყო დრო, როცა ცოდვა არ არსებობდა, და დადგება დრო როცა იგი შეწყვეტს არსებობას. გენა არის ცოდვის შედეგი. რაღაც მომენტში მან დაიწყო არსებობა, მაგრამ მისი ბოლო უცნობია... სიკვდილი მხოლოდ მოკლე დროით იმეფებს ბუნებაზე, შემდეგ იგი სრულიად გაუქმდება.“

*წმ. ისააკ ასური (VII ს.). 26-ე სიტყვა სირიული
ორიგინალიდან. (იხ. ნაშრომი:*

*И. Алфеев. Таинство Веры. Введение в Православное
Догматическое Богословие. глава 11)*

ამ მოვლენის შემდგომ ხილული სამყარო ბოროტისა და კეთილის ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა, თუმცა ეს ორი ძალა არ არის თანაბარი, რადგან ღვთის ყოვლის შემძლეობა უსასრულოდ აღემატება დემონთა ძალებს. ამის გამო დემონებს არ შეუძლიათ რაიმე მოიმოქმედონ უფლის ნების გარეშე. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს იოხის წიგნში. სატანა მხოლოდ მას შემდეგ იწყებს იოხის წინააღმდეგ მოქმედებას, როცა ამის ნებართვას ღმერთი აძლევს: „უთხრა უფალმა სატანას: „აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები“ და გავიდა სატანა უფლისგან“ (იოხი 1:12).

სწორედ ამიტომ ამბობენ მოციქულები, რომ ღმერთი არასოდეს არ დაუშვებს ადამიანზე ისეთ განსაცდელს, რომლის ატანაც

მას არ შეუძლია. თვით სატანის ბოროტ ქმედებებსაც კი ღმერთი ადამიანის სასარგებლოდ – მისი თანდათანობითი გამოწრთობისა და სრულყოფისთვის (ანუ პედაგოგიური დანიშნულებით) იყენებს.

წმ. მამათა ხატოვანი გამოთქმით, თუ ღმერთი რაიმეს ამსხვრევს, ღმერთი ამ ნამსხვრევებისგან შესანიშნავ მოზაიკას აკეთებს. წმ. იოანე ოქროპირი კი შემდეგს აღნიშნავს:

„...ღმერთი ყოველივეს ისე განაგებს, რომ თვით დაბრკოლებებიც კი საქმის წარმატებას უწყობს ხელს.“

წმ. იოანე ოქროპირი.

საუბრები დაბადების წიგნზე, საუბარი 28:5

ქრისტიანული სწავლების თანახმად ბოროტებას არ გააჩნია თავისი საკუთარი არსი – ის მხოლოდ სიკეთის ნაკლებობაა, ისევე როგორც სიბნელე არ არსებობს – ის მხოლოდ სინათლის არ არსებობაა. ამრიგად ბოროტებას არ აქვს მარადიული საწყისი და ღვთაებრივი ბუნების თანაფარდი ძალა. ამიტომაც ზოგიერთი წმ. მამა ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს, რომლის მიხედვითაც ოდესმე ბოროტება საერთოდ აღარ იარსებებს.

4. 8. ესქატოლოგიური სწავლება

ბერძნული სიტყვა „ესხატა“ ნიშნავს უკანასკნელს. ესქატოლოგია ეს არის ღვთისმეტყველების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეიცავს სწავლებას „უკანასკნელი ჟამის“ ანუ სამყაროს აღსასრულის შესახებ (ადამიანთა გარდაცვალება, საყოველთაო სამსჯავრო, უფლის სასუფეველი, ჯოჯოხეთი).

ქრისტიანული ესქატოლოგიური სწავლების საფუძველი ახალ აღთქმაშია მოცემული. იესოს მითითებით უკანასკნელ სამსჯავროზე ადამიანთა განკითხვის ძირითადი კრიტერიუმი იქნება მათი მზრუნველი თუ ინდიფერენტული დამოკიდებულება სხვა ადამიანის მიმართ.

„...მაშინ ეტყვის მეუფე, ვინც მის მარჯვნივ არის: მოდიოთ კურთხეულნი მამისა ჩემისა, დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული, რადგან მშვიოდა და მო-

მეცით მე საჭმელი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ მე, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ მე, უძლური ვიყავი და მომხედეთ მე, საპყრობილეში ვიყავი და მოხვედით ჩემთან...“

მათეს სახარება, 25:34-36

„...იცით, მე ძალიან მაოცებს ასევე უკანასკნელ სამსჯავროსთან დაკავშირებით წარმოთქმული ქრისტეს სიტყვები... ყურადღება მიაქციეთ რა შეკითხვებს სვამს ღმერთი? იგი არ ეკითხება ადამიანებს იმის შესახებ თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ უფლის რწმენისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულების მიმართ. იგი კითხულობს: „შემოსე შიშველი? დააპურე მშვიერი? მოინახულე ავაღმყოფი? ერთი სიტყვით, ღმერთი ადამიანს ეკითხება: იყავი თუ არა ადამიანი?“

Митрополит Антоний Сурожский. О Встрече.

Клин, 1999, 69

თუმცა ზოგიერთი მართლმადიდებელი თეოლოგი საწინააღმდეგო მოსაზრებასაც გამოთქვამს განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანთა ცხოვრებასთან დაკავშირებით:

„კათოლიკე და სხვა არამართლმადიდებელმა ქრისტიანებმა შეიძლება ამ ქვეყნად დიადი მოწყალების საქმეებიც აღასრულონ და საკუთარი თავიც კი გაიღონ მსხვერპლად სხვა ადამიანისთვის. ამის გამო მათ ღმერთმა, შეიძლება გარკვეული მისაგებელიც მისცეს, მაგრამ საკუთარ თავს არა (შეგახსენებთ, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით, სამოთხის ნეტარება ღმერთში ყოფნას და ღვთის ჭვრეტას გულისხმობს). უფლის გარეთ ყოფნა კი ჯოჯოხეთის ტანჯვის საიდუმლოდ რჩება.“

Архим. Рафаил (Карелин).

Вызов Новомодернизма. М., 1999, 38

„ძმებო, ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ჩვენ არ ვიქნებით დადანაშაულებულნი იმის გამო, რომ არ ვსასწაულთ-ვმოქმედებდით, რომ არ ვღვთისმეტყველებდით, რომ არ გვექონდა მისტიკური ხილვები. მაგრამ აუცილებლად მოგვიწევს ღვთისათვის პასუხის მიგება იმის თაობაზე, რომ არ ვინანიებდით საკუთარ ცოდვებს“.

წმ. იოანე სინელი. კიბე ზეცისკენ 7:70

(ექვთიმე ათონელის თარგმანში ამ

მუხლის ნუმერაციაა 7:91)

ქრისტიანული ასკეტიკის ისეთი მწვერვალიც კი, როგორიც წმ. იოანე სინელი (VII ს.) გახლდათ, რელიგიური რიტუალების აღსრულებასა და ადამიანთა მიმართ სიყვარულს შორის, ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას: „ხშირად ხდება, რომ როდესაც ლოცვაზე ვდგავართ, ჩვენთან ძმები მოდიან და დგება აუცილებლობა ორიდან ერთის არჩევისა: ან მივატოვოთ ლოცვა ან ყურადღება არ მივაქციოთ მათ და ამით გავანაწყენოთ ისინი. მაგრამ სიყვარული აღემატება ლოცვას, რადგან ლოცვა არის კერძო სათნოება, სიყვარული კი ყოვლისმომცველი სათნოებაა“

წმ. იოანე სინელი. კიბე ზეცისკენ, 26:69

ქრისტე ასევე მიუთითებს, რომ არავითარი ფასი არ აქვს ადამიანის მიერ ღვთისადმი შეწირულ მსხვერპლს თუ იგი ერთგვარ ბოღმასა და შურს ატარებს თავის გულში სხვა ადამიანების მიმართ: „...ჯერ შეურიგდი შენს ძმას და შემდეგ მიდი და შესწირე უფალს შენი ძღვენი“ (მთ. 5:24).

ქრისტიანული რწმენის თანახმად თუ ადამიანი ღმერთს დაემსგავსება მისი მცნებების დაცვით, მაშინ მისთვის სიკვდილი არა მხოლოდ ამ ქვეყნიური ცხოვრების დასასრული იქნება, არამედ დასაწყისი ახალი სიცოცხლისა უფლის სამკვიდროში. ჯოჯოხეთი არ წარმოადგენს უფლის მიერ მოფიქრებულ სასჯელს ცოდვილი ადამიანებისთვის. ქრისტიანული სწავლებით, ამგვარი მდგომარეობა საიქიოში ადამიანის ამ ქვეყნად ეგოისტური ცხოვრების, ანუ ღვთისგან და ადამიანთაგან გაუზოგების შედეგია. არ

არსებობს ადგილი, სადაც ღმერთი არ იყოს, თვით ჯოჯოხეთშიც კი, მაგრამ ცოდვებით დამძიმებული ადამიანის სული უფლის სიყვარულს ტანჯვად აღიქვამს. სწორედ ამას გულისხმობს, ქრისტიანული ასკეტიზმის სხვა ცნობილი წარმომადგენელი.

„გენაში ტანჯულნი სიყვარულის მათრახით იგვემე-
ბიან! და როგორი მწარეა და მტანჯველი ეს სიყვარულის
გვემა! ვინაიდან გრძნობენ რა, რომ შესცოდეს სიყვარუ-
ლის წინაშე, ამის გამო უდიდეს ტანჯვას განიცდიან...
სიყვარული თავისი ძალით ორგვარად მოქმედებს: იგი
ტანჯავს ცოდვილებს... და სიხარულს ანიჭებს მათ, ვინც
თავისი ვალი აღასრულა. და ვფიქრობ, გენის⁶⁸ ტანჯვა
არის სინანული“.

წმ. ისააკ ასური. სამოღვაწეო სიტყვანი, სიტყვა 18

„შვილებო! უკანასკნელი ჟამია“ (1 ინ. 2:18) წერდა იოანე მოციქული ჯერ კიდევ ახ. წ. I ს-ის დასასრულს. პირველი ქრისტიანების ცხოვრება ესქატოლოგიური მოლოდინით იყო განმსჭვალული. ახალი აღთქმა მუდმივი სიფხიზლისკენ მოუწოდებს ქრისტიანებს: „იფხიზლეთ, რადგან არ იცით დღე, არც ჟამი, როცა ძე კაცისა (იესო ქრისტე) მოვა“ (მთ. 25:13). ქრისტე მიუთითებდა სამყაროს აღსასრულის ნიშნებზეც: ომები, მიწისძვრები, ცრუ მესიათა გამოჩენა, სიყვარულის დაკლება ადამიანურ ურთიერთობებში და სხვა (მთ. 24:6-12). მაგრამ ყველა ეს ნიშანი ამა თუ იმ ხარისხით ყველა ეპოქაში შეინიშნებოდა ქრისტიანობის დაარსებიდან დღემდე. მაგრამ ეკლესია აგრძელებს არსებობას აგერ უკვე 2000 წელია და იგი მუდმივად „უკანასკნელ ჟამს“ ცხოვრობს. უკანასკნელი ჟამი ქრისტიანული ეკლესიისთვის არის არა ამა თუ იმ ხანგრძლივობის დროის მონაკვეთი, არამედ ის ახალი ერა, რომელიც ქრისტეს ამ ქვეყნად მოსვლით დაიწყო.

68. გენა (გეჰენა) – ჯოჯოხეთის სინონიმი.

4. 9. დამოკიდებულება სხვა რელიგიებისადმი

როგორია ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება მისი საზღვრების მიღმა მყოფი ადამიანების მიმართ (იქნებთან ისინი წარმართები თუ სხვა რელიგიის მიმდევრები)? ჯერ კიდევ ძველი აღთქმა მიუთითებს იმ ადამიანებზე, რომლებიც რჩეული ერის მიღმა იმყოფებოდნენ, თუმცა ღვთისმოშიშ ებრაელებზე არანაკლებად მოსაწონნი იყვნენ უფლისთვის. ასეთები იყვნენ, მაგ., იობი (იხ. ბიბლია, წიგნი იობისა 1:1); მელქისედეკი, რომელსაც მოციქული პავლე უწოდებს ღვთის ძის მსგავსს და მარადიულ მღვდელს (ებრ. 7:3); იათორი, მიდიამელი (ე. ი. არაიუდეველი) მღვდელი, მოსეს სიმაღრი (გამოს. 2:16) და სხვა.

პავლე მოციქული ბრძანებს, რომ წარმართებს საკუთარი სინდისის მოთხოვნების დაცვით შეუძლიათ გადარჩენა და უფლის წყალობის მიღება. იმის გამო, რომ იუდეველთა მსგავსად, დაწერილი რჯული არ ჰქონდათ წარმართებს, მოციქულის მიერ „ბუნებით რჯულად“ წოდებული სინდისი თავად მათ ბუნებაში ჩადო ღმერთმა: „როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებითი რჯულის მიხედვით ცხოვრობენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავიანთი თავის რჯული არიან. ისინი აჩვენებენ, რომ რჯულის საქმე გულებში უწერიათ, რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები“ (რომ. 2:14).

„...წარმართებს, რამდენადაც მათთვის აღსარება უცნობი იყო, ასეთი წესი ჰქონდათ: გადიოდნენ ზღვის სანაპიროზე, თავიანთ ცოდვებს ზღვის ტალღებს უყვებოდნენ და სწამდათ, რომ ტალღები მათ ცოდვებს წაიღებდა.“

*კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ქადაგება სიონის
საკათედრო ტაძარში. 22 ივლისი 2001 //
გაზ. „მადლი“ #7-8 2001, 2*

იესო ქრისტე თავისი ამქვეყნიური მოღვაწეობის დროს წარმართებში ზოგჯერ ისეთ რწმენას ხედავდა, რომელსაც თვით ებრაელებშიც კი ვერ პოულობდა: „და როცა ეს გაიგონა იესომ, გაუკვირდა და უთხრა მათ, ვინც მიჰყვებოდა: ამინ გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც ვერ ვიპოვე ასეთი რწმენა“ (მათ. 8:10).

საქმე მოციქულთას წიგნი ასევე მოგვითხრობს კორნელიოს ასისტავის შესახებ, რომელიც იყო წარმართი, მაგრამ რომელზეც მოციქული ამბობს, რომ მისი ლოცვები შესმენილ იქნა უფლის მიერ (საქმ. 10:31). სწორედ ამ უცნაური ფაქტის გამო პეტრე მოციქული აღფრთოვანებული ღალადებს: „ჭეშმარიტად მიუკერძოებელია უფალი, რადგან ყველა ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის“ (საქ. 10,35).

მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამდნენ შემდგომში ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი წმინდანებიც. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (V ს.), მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ წარმართ ფილოსოფოსთა ცდომილებების შესახებ საუბრობდა, საქებათ სიტყვებს არ იშურებს მათ მიმართ. იგი ერთ-ერთი თავისი მოწაფისათვის დაწერილ პოემაში (სათაურით „სათნოების შესახებ“) იმაზე მიუთითებს, თუ როგორ შეუძლია ქრისტიანს საკუთარი თავის აღზრდა წარმართ ფილოსოფოსთა ცხოვრებაში არსებული მაგალითებით.

ასევე წმ. ბასილი დიდმა, როგორც ცნობილია, წარმართთა ქველი საქმეების აღწერას მთელი ტრაქტატი მიუძღვნა შემდეგი სათაურით „ახალგაზრდებს იმის შესახებ, თუ როგორ მივიღოთ სარგებლობა წარმართული თხზულებებისგან“.

წმ. იოანე დამასკელის თქმით კი „გარეშე“ (ანუ არაქრისტიანულ) სიბრძნეში მართალია არის რაღაც მიუღებელი, მაგრამ მათგან შესაძლებელია „წმინდა ოქროს“ გამორჩევა, რომლისგანაც „უდიდესი ძლიერების შეძენას შევძლებთ“ (იხ. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. თავი 90).

ასევე წმ. იოანე ოქროპირი (IV ს.), მაგალითად, შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის მრევლს: „თუ წმ. წერილიდან ვერ სწავლობთ, მაშინ იძულებული ვარ წარმართებისგან მოგიყვანოთ მაგალითები“ (И. Златоуст. Творения. т. 7, გვ. 201).

წმ. მაქსიმე აღმსარებლის (VI ს.) თქმით, ხშირად წარმართებსა და ბარბაროსებს კეთილი არჩევანის გაკეთებაში სულიწმინდა ეხმარება, რომელიც მათში სინდისის სახით არის წარმოდგენილი: „...მრავალს აღმოვაჩენთ უკიდურესად ბარბაროსულ და მომთაბარე ადამიანთა შორის, რომლებიც კეთილ-მშვენიერებას განიკუთვნებენ და

ძველთაგანვე მათ შორის გაბატონებულ მხეცურ კანონებს უკუაგდებენ. აი, ამგვარად არის ყველაში სულიწმინდა“.

*წმ. მაქსიმე აღმსარებელი (VI ს.).
საღვთო წერილის სხვადასხვა სირთულის შესახებ.
კითხვა 15*

შესაძლოა, წმ. მაქსიმე ეყრდნობა სახარების სიტყვებს, რომელთა მიხედვითაც ქრისტეს ეწოდება „ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“ (ინ. 1:9).

„ყველაფერი, რაც კი ოდესმე კარგი უთქვამთ ფილოსოფოსებსა და კანონმდებლებს, ყოველივე ეს მათ მიერ გამოთქმულია ლოგოსის (ღვთის, დ.თ.) ჭკრეტის შედეგად, რომელიც არის ქრისტე“

წმ. იუსტინე ფილოსოფოსი (III ს.). აპოლოგია 2:10

„ელინებისათვის ფილოსოფია ისეთივე მიმყვანებელი იყო ქრისტესთან, როგორც რჯული იუდეველთათვის“

კლიმენტი ალექსანდრიელი (III ს.). სტრომატები 3:14

ამრიგად, როგორც თანამედროვე თეოლოგები სამართლიანად მიუთითებს, სწორედ იმის გამო, რომ ეკლესიის მამათა უმრავლესობა ანტიკურ (წარმართულ) ფილოსოფიას განიხილავდა როგორც ქრისტიანული ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, ამიტომ „ძველი ქრისტიანული ტაძრების კარიბჭეებში მოწამეებისა და წმინდანების გვერდით გამოსახული იყო სოკრატე, პლატონი და არისტოტელე...“ (Алфеев И. Таинство Веры: Введение в Православное Догматическое Богословие. Клион, 2000, Гл. I).

ამიტომაც სრულიადაც არ არის გასაკვირი მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება წარმართი მოაზროვნეებისადმი. მაგალითად, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. გრიგოლ ნოსელი წარმართ ლიბანიოსში (რომელიც მათი მასწავლებელი იყო ანტიკურ ფილოსოფიაში), ისევე როგორც ყველა სხვა არაქრისტიანში, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს ხედავდნენ და არა მტერს, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება, როდესაც გაეცნობა ხსენებულ წმ. მამებსა და

ლიბანიოსს შორის მიმოწერას. სწორედ ამგვარი მიდგომა გამოხატავდა ადრეული ქრისტიანული ეკლესიის ჭეშმარიტ სულს და ეს კარგად უნდა გვახსოვდეს თუ გვსურს ვიყოთ ამ ეკლესიის ნამდვილი შვილები.

გთავაზობთ წმ. ბასილი დიდისა და ლიბანიოსის მიმოწერის ნიმუშებს, საიდანაც ნათლად იგრძნობა მათ შორის არსებული უღრმესი პატივისცემა და ურთიერთ-დაფასება (მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ლიბანიოსი ქრისტიანობის დაუძინებელი მტრის, იმპერატორ იულიანე განდგომილის მასწავლებელი და მეგობარი გახლდათ).

ლიბანიოსს ბასილი:

„ბევრი შეგვხვდა შენი სიტყვების მშვენიერებით გაკვირებული. ისინი მიყვებოდნენ, რომ იხილეს რალაც დიდებული სანახაობა. ყველა ესწრაფვოდა ერთგან შეკრებას; ქალაქში არაფერი ჩანდა, გარდა ლიბანიოსისა და მის მოსასმენად შემოკრებილიყო ყველა ასაკის მსმენელი; არავის არ უნდოდა მოკლებოდა ამ გამოსვლაზე დასწრებას, არც პატივით განებივრებულებს, არც ჯარისკაცებსა და არც მღვდლებს. ქალებიც კი მოვიდნენ იქ. რისთვის იყო ასეთი მოსწრაფება ან ვისმა სიტყვამ მოიყვანა ამდენი ხალხი? ესეც მითხრეს, რომ ამ კაცის სიტყვა ისეთი განსაცვიფრებელია, რომ ძნელია მისი წარმოდგენა. ნუდაგზარდება ჩემთვის ამ სიტყვების გამოგზავნა, რომ მეც შენი სიტყვების მაქებელი ვიქნე, რადგან თუკი უმიზეზოდაც ვაქებ ლიბანიოსს, ახლა ქების მიზეზსაც მოვძებნიდი.“

ბასილის ლიბანიოსი:

„ახლა მივხვდი, რომ თუ ბასილისაგან ვიქებ, ყველაფერს შევძლებ. როდესაც შენი განჩინება მივიღე, ლალად დავიწყე სიარული, როგორც გაამაყებულმა და ყოველივეს არარად მივიჩნევდი. ასევე მინდა შენს მიერ შემთვრალეობის შესახებ დაწერილი სიტყვის წაკითხვა. მჭევრმეტყვე-

ლური საუბრის სურვილი არ მაქვს, ვიდრე არ წავიკითხავ
შენს სიტყვას. ის განმსწავლის მეტყველების ხელოვნებაში“.

*ნ. ქაჯია. ბასილი კესარიელის თხზულებათა
ძველი ქართული თარგმანები, გვ. 258-259
(წმ. ეფრემ მცირის მიერ შესრულებული აღნიშნული
ეპისტოლეების ძველი ქართული თარგმანები
ახალქართულად გადმოიღო ზურაბ ჟაშმა).*

„არა ისეთი ძალით, როგორც საღვთო ერში, მაგრამ
საღვთო სულის გამოვლინება წარმართებშიც ხდებოდა,
რომლებიც არ იცნობდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, რადგან მათ
შორისაც კი პოულობდა ღმერთი თავის რჩეულ ადამი-
ანებს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ქალწული წინასწარ-
მეტყველები – სიბილები, რომლებმაც თავისი ქალწულო-
ბა, მართალია, უცნობ ღმერთს შესწირეს, მაგრამ მაინც
ღმერთს, სამყაროს შემოქმედსა და ყოვლისმპყრობელს,
სამყაროს განმგებელს, როგორადაც იგი წარმართებს
ჰყავდათ წარმოდგენილი. ასევე წარმართი ფილოსოფოსე-
ბი, რომლებიც, მართალია საღვთო ნათელს მოკლებულნი
წყვდიადში დაეხეტებოდნენ, მაგრამ ეძებდნენ რა ჭეშმა-
რიტებას, რომელიც ღვთისათვის დიდად მოსაწონია, შეეძ-
ლოთ ღვთისათვის მოსაწონი ამ ძიების გამო არ ყოფილიყ-
ვნენ უთანაზიარო საღვთო სულთან, ვინაიდან ნათქვამია:
„წარმართები, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ, ბუნებით
რჯულს და ღვთისთვის სათნო საქმეებს აღასრულებენ“.

წმ. სერაფიმ საროველი. საუბარი მოტოვილოვთან //
ჯვარი ვაზისა #4, 1992

წარმართ წინასწარმეტყველ სიბილებთან დაკავშირებით
ასევე დავიმოწმებდით მეორე საუკუნის მოღვაწეს, წმ. თეოფი-
ლე ანტიოქიელს, რომელსაც, მართალია, უკიდურესად უარყო-
ფითი დამოკიდებულება გააჩნდა ზოგადად ანტიკური სიბრძნის
მიმართ, მაგრამ უშუალოდ სიბილინურ ტექსტებს ჭეშმარიტ წი-
ნასწარმეტყველებებს უწოდებს (იხ. ამ წმ. მამის ჩვენამდე მოღწე-
ული ერთადერთი ნაშრომი სათაურით „ავტოლიკესადმი“, წიგნი 2,

თავები 31, 36 // კრებული: „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ ტ. 1, თბ., 1990).

„...ზოგიერთი ქრისტიანი ფიქრობს, რომ თითქოს არსებობს ღვთაებრივი მადლის რაღაც ხილული სამეფო, რომლის საზღვრებს იქითაც სრული უდაბნო და სულიერი სიცარიელე იწყება. საეჭვოა, რომ ეს ასე იყოს. ქრისტე ისეთი მრავალფეროვანი გზით აძლევს ადამიანებს საკუთარ მადლს, რომ ჩვენ ამის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია (...) ავიღოთ თუნდაც პავლე მოციქულის სიტყვები, რომლის მიხედვითაც წარმართები უფლის რჯულით ხელმძღვანელობენ, რომელიც მათ გულებშია ჩაწერილი; იუდეველები მოსეს საშუალებით მიღებული რჯულით, ხოლო ქრისტიანები ქრისტეს რჯულით (რომ. 2:14 და შემდგ.). წარმართები არ იცნობდნენ ქრისტეს, მაგრამ მათ ამის ისტორიული შესაძლებლობაც კი არ ჰქონიათ. ადამიანის მარადიულ ცხოვნებას ვერ დააყენებთ ეჭვის ქვეშ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი, მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში დაიბადა იმ ეპოქაში, როდესაც იქ ჯერ კიდევ არცერთი ქრისტიანი მისიონერი არ იყო მისული. ამ შემთხვევაში ადამიანის სულიერი გადარჩენა გეოგრაფიითა და ისტორიით იქნებოდა შემოსაზღვრული და არა მგონია ასე მარტივად აზროვნებდეს ღმერთი...“

Митрополит Антоний Сурожский.

О Встрече. Клин 1999, 168

ამ საკითხზე საწინააღმდეგო პოზიცია კი ასეთია:

„პროფესორი ოსიპოვი წარმართთა მიერ ქრისტეს მართლწმენის არქონის ობიექტურ მიზეზებზე საუბრობს. მაგრამ ყველა ობიექტური მიზეზის უკან უფლის განგება დგას, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს და, ასე ვთქვათ, მართავს ამ მიზეზებს. ასე რომ, ყველა ობიექტური მიზეზი ერთ სუბიექტურ მიზეზამდე შეიძლება დავიყვანოთ – ადამიანის უუნარობამდე იწამოს ქრისტე, როგორც ღმერთი

და მაცხოვარი. ამიტომ რა გარემოშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მაინც ვერ შეძლებდნენ ქრისტეს აღიარებას.“

*Архимандрит Рафаил (Карелин). Какое Соглашение
Между Христом и проф. А. И. Осиповым.
Крест св. Нины, 2002, 27-28*

რაც შეეხება სხვა რელიგიებისადმი ქრისტიანობის დამოკიდებულებას: VII საუკუნიდან, ისლამის წარმოშობისთანავე, სხვა რელიგიების მიმართ ქრისტიანული ეკლესიის თავდაპირველი ლოიალობა და ზომიერება წარსულს ჩაბარდა. თავიდან ქრისტიანული საზოგადოების რეაქცია დიალოგისთვის მზადყოფნაში გამოიხატა, თუმცა ამან ძალიან მალე მიიღო სამხედრო თავდაცვისა და კონტრშეტევის სახე. ამ პერიოდში ბიზანტიაში ანტიისლამური თხზულებების მთელი სერია შეიქმნა (მაგ., იხ. წმ. იოანე დამასკელის (VIII ს.) მკვეთრად კრიტიკული ნაწერები ისლამის წინააღმდეგ).

ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, პოლემიკის ღვარძლმა ოდნავ იკლო და თანაარსებობის გარკვეული ფორმაც გამოიძენა (იხ. ქვემოთ მუსლიმებსა და ქრისტიანული ეკლესიის ცნობილ მოღვაწეებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ).

„როდესაც წმ. ფრანჩესკო ასიზელი (XIII ს.) მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ეგვიპტეში ჩავიდა (თუმცა როგორც ცნობილია, წმ. ფრანჩესკო მაინცდამაინც დიდი მხარდამჭერი არ იყო ჯვაროსნული ლაშქრობებისა, რადგან არაძალადობას ანიჭებდა უპირატესობას), იგი მუსლიმებმა დააპატიმრეს და სასტიკად სცემეს. ეგვიპტის სულთანმა ალ-მალიკმა ჰკითხა, იყო თუ არა იგი ჯვაროსნების მიერ გამოგზავნილი „მზვერავი“. ფრანჩესკომ უპასუხა, რომ ის მართლაც იყო მაუწყებელი, ოღონდ უფლის ჭეშმარიტების მაუწყებელი. შემდეგ წმინდანი ქრისტეს სიყვარულის შესახებ იწყებს საუბარს და აღნიშნავს, რომ მას ასევე სურს სულთანისა და მისი მსახურთა სულების გადარჩენა.

სულთანი ძალზედ განცვიფრდა წმ. ფრანჩესკოს სიმამაცის გამო. სულ ცოტა ხნის წინ მუსლიმებმა სასტი-

კად დაამარცხეს ქრისტიანი ჯვაროსნები, ახლა კი ერთი მათგანი აცხადებს, რომ მუსლიმებმა ქრისტიანობა უნდა მიიღონ. მაგრამ წმ. ფრანჩესკოსგან მომავალმა უსაზღვრო სიყვარულმა შეძრა სულთანი და როგორც იმ დროის ერთი ავტორი წერს, „სასტიკი მხეცი მშვიდ და კეთილგანწყობილ არსებად გადაიქცა“. მიუხედავად ამისა, სულთანის მრჩევლებზე სულაც არ მოუხდენია მსგავსი შთაბეჭდილება წმინდანის სიტყვებს, ისინი მისთვის თავის მოკვეთას ითხოვდნენ, როგორც ამას მუსლიმური რჯული ითხოვდა.

ამის შემდეგ წმ. ფრანჩესკო და მისი თარჯიმანი რამდენიმე დღე დარჩნენ მუსლიმთა შორის და ბოლოს წმ. ფრანჩესკო და სულთანი გულთბილი სიტყვებით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. ადრეულ ფრანცისკანულ ლიტერატურაში მოიპოვება ერთი ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ სულთანმა ალ-მალიკმა სიკვდილის წინ ქრისტიანობა მიიღო (...) ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წმ. ფრანჩესკოს არ დაუწყია შეტევა არც მუსლიმური რელიგიის და არც მუჰამედის წინააღმდეგ. მას არ ჭერია ერთ ხელში ყურანი და მეორეში კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, რათა განექიქებინა მათი რელიგიური სწავლება. მისი ერთადერთი მიზანი იყო უფლის სიყვარულის ჩვენება ყველა ადამიანისთვის, რასაც ყოველთვის უფრო მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე გაუთავებელ საღვთისმეტყველო კამათებს“.

*F. Rega, Author of the book: „St Francis and
The Conversion of the Muslims“, December 2007 //*
<http://members.aol.com/fmrega7/francisandconversion.htm>

არქიეპისკოპოსი ანასტასი ერთ-ერთ თავის ნაშრომში ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, წმ. გრიგოლ პალამას (XIV ს.) მაგალითს იმოწმებს (რომელიც ჯერ ათონის მთაზე უბრალო ბერად მოღვაწეობდა, ხოლო მოგვიანებით ქალაქ თესალონიკის არქიეპისკოპოსი გახდა) თუ როგორ კეთილგანწყობასა და პატივისცემას ავლენდა იგი მუსლიმ თეოლოგებთან დიალოგის დროს:

„წმ. გრიგოლ პალამა ყველანაირად ცდილობს არ შეურაცხჰყოს მოსაუბრეთა რელიგიური გრძნობები. მართალია, შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ პატივისცემა და ურთიერთდაფასების განწყობა მათ შორის შენარჩუნებული იყო. „დასასრულს მუსლიმი ლიდერები წამოდგნენ, პატივის მიგებით გამოემშვიდობნენ თესალონიკის არქიეპისკოპოსს და გაემგზავრნენ“ (To the Atheist Chionai, 246). ზოგჯერ კი, როცა წმ. გრიგოლი ამჩნევდა, რომ თანამოსაუბრენი რთულ მდგომარეობაში იყვნენ, იგი მყისვე თავაზიანობითა და დელიკატურობით ცდილობდა უხერხული სიტუაციის განმუხტვას თავისი მოხდენილი იუმორით: „მე ისინი კვლავ გავამხიარულე და თავაზიანი ღიმილით მივუგე იმამს: „ამ საკითხზე რომ ერთი შეხედულება გვქონოდა, მაშინ რწმენაც ხომ ერთი გვექნებოდა?“ (Letter to David the Disypatos). ასე რომ, ორი განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელთა შორის ისეთი მეგობრული ატმოსფერო იყო შენარჩუნებული, რომ დიალოგის მონაწილე ერთმა მუსლიმმა თავისი იმედი შემდეგი სიტყვებითაც კი გამოხატა: „აუცილებლად დადგება დღე როდესაც ჩვენ თანხმობას მივალწევთ“ (Letter to David..., 233).

*Archbishop Anastasios (Yannoulatos). Facing the World:
Orthodox Christian Essays on Global Concerns.
Geneva, WCC, 2003, 110*

განსხვავებული რწმენის ადამიანებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით ასევე საინტერესოა წმ. ბასილის შემდეგი სიტყვები:

„...არ უნდა ვითხოვდეთ მათგან ბევრს, რადგან ჩვენთან გაერთიანების მოსურნე ძმებს მხოლოდ ნიკეის მრწამსის აღიარებას უნდა ვთავაზობდეთ და თუ ისინი ამაზე თანახმა იქნებიან, ჩვენ ასევე უნდა ვთხოვოთ მათ, რომ სულიწმინდას არ უწოდებდნენ ქმნილებას (...) მეტს არაფერს უნდა ვითხოვდეთ მათგან, რადგან დარწმუნებული ვარ, მათთან უფრო ხანგრძლივი ურთიერთობებისა და კამათის სულისგან თავისუფალი ერთობლივი მსჯელო-

ბის შედეგად, თუკი საჭირო იქნება სიცხადისათვის კიდევ რაიმეს დამატება, ღმერთი ამასაც მოგვანიჭებს...“ (PG 32, 528A). წმ. ბასილის ამ სიტყვებთან დაკავშირებით მისი შემოქმედების მკვლევარი, არქიეპისკოპოსი ვასილი კრივოშინი შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ეს ტექსტი ძალზედ მნიშვნელოვანია. მტკიცედ ითხოვს რა ძირითად დოგმატურ საკითხებზე თანხმობას, წმ. ბასილი დიდი ასევე იმასაც უშვებს, რომ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა შესაძლებელია გაერთიანების შემდგომ „კამათის სულისგან თავისუფალი ერთობლივი მსჯელობის შედეგად“, ამასთანავე თავად ფაქტი გაერთიანებისა ამას ძალზედ შეუწყობს ხელს“.

Архиеп. Василий Кривошеин. Экклезиология Св. Василия великого // Страницы #3:3, 1998, 348

„ერთხელ წმ. მაკარი დიდი თავის მოწაფესთან ერთად ნიტრიის მთისკენ მიემართებოდა. მან მოწაფეს უთხრა, რომ წინ წასულიყო. და, აი, წინ მიმავალი ერთ ქურუმს გადაეყარა, რომელიც ხის ყუთით ხელში სადღაც ძალიან მიიჩქაროდა. მაკარის მოწაფემ მას მიაძახა: „სად მიიჩქარი, დემონო?“ ამით განრისხებულმა ქურუმმა სასტიკად სცემა იგი და ცოცხალმკვდარი დააგდო ძირს. მცირე მანძილის გავლის შემდეგ ქურუმი წმ. მაკარი დიდს შემოხვდა გზაზე. წმინდანი კი ასე მიესალმა მას: „გაგიმარჯოს, შრომისმოყვარე ადამიანო“. ქურუმმა მას გაკვირვებით ჰკითხა: „რას ხედავ ჩემში კეთილს, რომ ასე მესალმები?“ „ასე იმიტომ მოგესალმე, რომ გხედავ სადღაც საქმიანად მიმავალს“. ქურუმმა შემდეგი უპასუხა: „შენი ამგვარი მოსალმების გამო მომიღბა მე გული და მივხვდი, რომ მართლაც უფლის დიადი მსახური ხარ! მეორე წყეულმა ბერმა კი, არ ვიცი ვინ იყო, შეურაცხყოფა მომაცენა, რისთვისაც სათანადო საზღაური მივაგე“. ამ სიტყვებით ქურუმი ფეხებში ჩაუვარდა წმ. მაკარის და ეუბნება: „არ მოვშორდები მანამდე, სანამ ბერად არ აღმკვეცავ ქრისტიანული წესით“. ისინი ერთად მივიდნენ იმ ადგილამდე, სადაც ნაცემი მოწაფე იწვა და

რადგან მას სიარული არ შეეძლო, ხელით მიიყვანეს ეკლესიაში. როდესაც სხვა ბერებმა დაინახეს, წმ. მაკარი კერპთმსახურ ქურუმთან ერთად მოდიოდა, ძალიან გაუკვირდათ. ქურუმი ჯერ ქრისტიანად მოინათლა, შემდეგ კი ბერობის აღთქმაც დადო მონასტრის ძმების წინაშე. ამ მაგალითმა კი დიდი გავლენა მოახდინა სხვა კერპთაყვანისმცემლებზე, რომელთა ნაწილმა ასევე მიიღო ქრისტიანობა. წმ. მაკარი დიდმა კი შემდეგი განაცხადა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით: „ამაყი და ბოროტი სიტყვა კეთილ ადამიანებსაც ბოროტებისკენ მიაქცევს, ხოლო კეთილ და მდაბალ სიტყვას შეუძლია თვით ბოროტი ადამიანიც კი სიკეთისკენ მოაბრუნოს“.

Епископ Игнатий. Отечник. СПб., 1903, №12, 312

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეღწევით ქრისტიანობა განვითარებულ რელიგიებს გადაეყარა: ზოროასტრიზმს, მანიქეველობას, ჩინურ ბუდიზმს. რელიგიების შეხვედრა მეტად რთულ გარემო პირობებში მიმდინარეობდა.

„მრავალ ადამიანს შეუძლია იყოს ეკლესიის წევრი, თუმცა გარეგნულად შესაძლოა არ იყვნენ ასეთები; შესაძლოა არსებობდეს უხილავი კავშირები, მიუხედავად გარეგნული იზოლაციისა. ღვთის სული იქ ქრის, სადაც მას სურს (ინ. 3:8) და როგორც წმ. ირინეოს ლიონელი (II ს.) წერს, სადაც ღვთის სულია იქ არის ეკლესიაც (Irenaeus. Haer. 3, 24:1). ჩვენ ვიცით სად არის ეკლესია, მაგრამ არ შეგვიძლია დაზუსტებით თქმა, თუ სად არ არის იგი“.

Епископ Каллист (Уэр). Православная Церковь. М., 2001, 319

საწინააღმდეგო პოზიცია:

„თუკი ეკლესიის საზღვრები უცნობია, მაშინ მათი გაფართოება მთელი სამყაროს მასშტაბით შეიძლება. ყველა ადამიანში მოიპოვება რაღაც კარგი (თუნდაც უმცირესი დოზით) და, მაშასადამე, გამოდის, რომ ამის ძალით ყველა

ადამიანი უკვე ნაწილობრივ ეკლესიაშია. ამრიგად, „მგლებიც მაძღრები გამოდიან და ცხვრებიც დაუზიანებელი“.

Архим. Рафаил (Карелин).

Вызов Новомодернизма. М., 1999, 61-2

სხვა რელიგიების მიმართ შესაძლოა ქრისტიანობა იყოს კრიტიკული, მაგრამ ამ რელიგიის მიმდევრებისადმი – ქრისტეს მაგალითის მიხედვით, – მისი პოზიცია მხოლოდ პატივისცემა და სიყვარულია, ვინაიდან ადამიანი ყოველთვის ღვთის ხატად რჩება. ქრისტიანი თავისი რწმენის დასამოწმებლად თავიდანვე მოვალე იყო დიალოგი წარემართა სხვა მრწამსის ადამიანებთან. წმ. მამების თეოლოგია მეტწილად ანტიკური სამყაროს რელიგიებთან და ფილოსოფიურ სისტემებთან უშუალო თუ ირიბი დიალოგის ნაყოფია. ამრიგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ქრისტიანობა განსხვავებულ რელიგიათა და კულტურათა ჰარმონიული თანაარსებობისა და ყველა ადამიანის სინდისის თავისუფლების მომხრეა.

„ღმერთის გამოგონება არავის არ შეუძლია და ამიტომაც ყველა რელიგია, რომელიც ღმერთზე საუბრობს, საუბრობს ღმერთის უშუალო განცდიდან გამომდინარე. ეს გამოცდილება შეიძლება ძალიან არასრული იყოს, მაგრამ ის რეალურია... ვფიქრობ, დედამიწაზე არ არსებობს ერთი ადამიანიც კი, რომელიც არ დაცემულა მუხლებზე ცოცხალი ღმერთის წინაშე, რომლის სიახლოვეც მან იგრძნო. თუმცა შემდგომ როგორ გამოხატავს იგი თავის ამ გამოცდილებას გონების საშუალებით, როგორ ფორმებს მისცემს მას, როგორ განმარტავს მას, აი, აქ შეიძლება დაიწყოს გადახრები, შეცდომები... მაგრამ საწყისი გამოცდილება ყოველთვის რეალურია“.

Митрополит Антоний Сурожский.

О встрече. Клин, 1999, 85

5. მიმდინარეობები ქრისტიანობაში

ამჟამად ქრისტიანობა რამდენიმე მიმართულებად არის დაყოფილი. ამათგან ეკლესიათა ხუთი მთავარი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს: მართლმადიდებლური, კათოლიკური, პროტესტანტული, ე. წ. ნესტორიანული და მონოფიზიტური ეკლესიები.

ამ დაყოფილობის მიზეზით, ქრისტიანობის, როგორც ერთიანი რელიგიის დოქტრინის, კულტისა და ორგანიზაციული მოწყობის შესახებ საუბარი საკმაოდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. თუმცა არსებობს გარკვეული პრინციპები და ნიშან-თვისებები, რომელიც საერთოა ყველა ქრისტიანული ეკლესიისთვის. დოგმატიკაში ამგვარ საერთო პრინციპს წარმოადგენს წმ. სამების შესახებ სწავლება, რომელსაც ყველა ქრისტიანული ეკლესია აღიარებს ზოგიერთი მარგინალური პროტესტანტული მიმდინარეობების გარდა (იხ. ქვემოთ).

აგრეთვე თითქმის ყველა ქრისტიანული ეკლესია აღიარებს ქრისტეს, როგორც კაცობრიობის ცოდვების გამომსყიდველს ჯვარზე გაღებული მსხვერპლით. ასევე ქრისტეს აღდგომასა და სულის უკვდავებას.

ქრისტიანთა უმრავლესობას აუცილებლად მიაჩნია საიდუმლოებების (საკრამენტების) აღსრულება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საიდუმლოებებთან დაკავშირებით ქრისტიანულ ეკლესიათა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ზოგიერთი პროტესტანტული ეკლესია მხოლოდ ნათლობისა და ზიარების საიდუმლოს აღიარებს, მრავალმა პროტესტანტულმა ეკლესიამ კი საერთოდ უარყო საიდუმლოს გაგება, გამოაცხადა რა ისინი, არც მეტი არც ნაკლები, უბრალო წეს-ჩვეულებებად.

სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიები ასევე ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავისი ორგანიზაციული მოწყობითაც. მხოლოდ რომის კათოლიკური ეკლესიასა და აღმოსავლეთის (ნესტორიანულ) ეკლესიას აქვთ მართვის ერთიანი სტრუქტურა. მართლმადიდებლური და მონოფიზიტური სამყარო კი ორგანიზაციულად დაყოფილია რამდენიმე ადგილობრივ ეკლესიად, რომლებსაც თითოეულს თავისი ლიდერი ჰყავს, რომელიც პატრიარქის, კათალიკოსის, მიტროპოლიტის ან არქიეპისკოპოსის წოდებას აქვს.

პროტესტანტიზმი კი დაყოფილია არა მხოლოდ ორგანიზაციული თვალსაზრისით, არამედ დოქტრინალური სწავლებითაც. პროტესტანტიზმის ყველაზე მსხვილი მიმდინარეობებია: ანგლიკანობა, ლუთერანობა, კალვინიზმი, მეთოდიზმი, ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელობა, ადვენტიზმი და სხვ. (იხ. ქვემოთ).

5. 1. აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია

ქრისტიანობის ერთ-ერთი დომინანტური მიმდინარეობაა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია. პირველ ათასწლეულში ეს ეკლესია ქალკედონის მსოფლიო კრებაზე ჩამოყალიბებული ქრისტოლოგიური დოგმატის მიღების შემდეგ საკუთარ თავს „მართლმადიდებელს“ (ბერძ. „ორთოდოქსოს“) უწოდებდა იმ ეკლესიების საპირისპიროდ, რომლებმაც არ აღიარეს ამ კრების ეს დოგმატი (ე. წ. ნესტორიანული და მონოფიზიტური ეკლესიები). მაგრამ 1054 წლის განხეთქილების შემდეგ, რომელიც რომის კათოლიკურ ეკლესიასა და კონსტანტინეპოლის ეკლესიას შორის მოხდა, ზედწოდება „მართლმადიდებელი“ აღმოსავლეთის ეკლესიამ შეინარჩუნა, თუმცა დღევანდელი რომის ეკლესიის საღვთისმსახურო ტექსტებში ზოგჯერ კათოლიკური ეკლესიაც მართლმადიდებელად იწოდება. და პირიქით, მართლმადიდებელი ეკლესიაც ოფიციალურად „კათოლიკურ (კათოლიკე) ეკლესიად“ იწოდება (იხ. მაგალითად, მრწამსის სიტყვები: „ერთი, წმიდა, კათოლიკე...“).

მართლმადიდებლურ სამყაროში არ არსებობს მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობა. ადგილობრივი ეკლესიები მთლიანად დამოუკიდებელნი (საეკლესიო ენით, ავტოკეფალურები) არიან საკუთარი ეკლესიების მართვაში. თითოეული მათგანი თანასწორუფლებიანია, მიუხედავად იმისა თუ როგორ იწოდება მოცემული ეკლესიის საჭეთმპყრობელი: პატრიარქად, კათოლიკოსად, მიტროპოლიტად თუ არქიეპისკოპოსად.

ამჟამად აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიად იწოდება 15 ავტოკეფალური და 5 ავტონომიური ეკლესიისგან შემდგარი გაერთიანება:

1. კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესია (მსოფლიო საპატრიარქო);
2. ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესია;
3. ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია;
4. იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია;
5. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
6. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;
7. სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
8. რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
9. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
10. კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია;
11. ელადის (საბერძნეთის) მართლმადიდებელი ეკლესია;
12. ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
13. პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
14. ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესია;
15. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია.

სწორედ ასეთი თანმიმდევრობით მოიხსენიება თითოეული ამ ეკლესიის მეთაური ყველა იმ ლიტურგიაზე, რომელსაც უშუალოდ ამ ეკლესიის მეთაურები აღასრულებენ ყოველ კვირა დღეს.

გარდა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიებისა, არსებობს ასევე 5 ავტონომიური ეკლესია: სინას მთის ეკლესია (ემორჩილება იერუსალიმის საპატრიარქოს), ფინეთისა და კრეტის ეკლესიები (კონსტანტინეპოლის საპატრიარქო), უკრაინისა და იაპონიის ეკლესიები (მოსკოვის საპატრიარქო). ავტონომიური ეკლესიები მხოლოდ ნაწილობრივ ინარჩუნებენ თვითმმართველობას და არ გააჩნიათ ისეთივე დამოუკიდებლობა, როგორც ავტოკეფალურ ეკლესიებს.

ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, მაკედონიისა და უკრაინის (კიევის საპატრიარქო) მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, საკუთარი თავი ავტოკეფალურ ეკლესიებად გამოაცხადეს, თუმცა სხვა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიები არ აღიარებენ მათ ასეთად.

მართლმადიდებელ ეკლესიებს არ აქვთ ერთიანი საეკლესიო კალენდარი. მათი უმრავლესობა ახალ სტილზე (ანუ გრიგორიანულ კალენდარზეა გადასული), ხოლო ძველ სტილს (ანუ იული-

უსის კალენდარს) ჯერ კიდევ იყენებენ რუსეთის, იერუსალიმის, საქართველოს და სერბეთის ეკლესიები.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე ძველ ეკლესიებად ითვლება იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და კონსტანტინეპოლის ეკლესიები (საპატრიარქოები). IV მსოფლიო კრებაზე კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიიღო „მსოფლიო პატრიარქის“ ტიტული, თუმცა ამ ტიტულს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და არავითარ იურისდიქციულ ძალაუფლებას არ გულისხმობს. „მსოფლიო პატრიარქს“ არ აქვს უფლება სხვა ავტოკეფალური ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევისა, განსხვავებით რომის პაპისგან, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებული კათოლიკური ეკლესიის მართვის უფლება აქვს პირდაპირი დაქვემდებარების გზით.

მართლმადიდებლები აღიარებენ წმ. წერილს (ბიბლიას) და წმ. გადმოცემას. ასევე შვიდ მსოფლიო კრებას, რომლებიც პირველ ათასწლეულში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქრისტიანოს ერთიანობის ხანაში ჩატარდა. ამის შემდგომ, დასავლეთის კათოლიკურ სამყაროში ჩატარებულ საეკლესიო კრებებში მართლმადიდებელი ეკლესია არ მონაწილეობდა.

მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებით, ცხონებისთვის მორწმუნეს ესაჭიროება სასულიერო პირის დახმარება და ხელმძღვანელობა. როგორც მიჩნეულია, საეკლესიო იერარქიას საწყისი თავად მოციქულებმა დაუდეს. ამ იერარქიის მადლმოსილება კი განპირობებულია ხელდასხმის უწყვეტობით საუკუნეთა მანძილზე.

ამჟამად მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს სამ საფეხურიანი იერარქია: დიაკონი – მღვდელი – ეპისკოპოსი (ამ უმაღლეს საფეხურს განეკუთვნება ასევე არქიეპისკოპოსის, მიტროპოლიტისა და პატრიარქის ტიტულები). სამღვდლო ხარისხი მართლმადიდებელ ეკლესიაში მხოლოდ მამაკაცებს ენიჭებათ, რადგან ქალების სასულიერო პირად კურთხევას არ მიიჩნევს გამართლებულად, თუმცა ცალკეული მართლმადიდებელი თეოლოგები (მაგალითად, ეპ. კალისტოს უერი) ამ წესში ვერაფერს ხედავენ საეკლესიო ტრადიციის საპირისპიროს.

მართლმადიდებლები თავყვანს სცემენ ღვთისმშობელს, ანგელოზებსა და წმინდანებს. საღვთისმსახურო პრაქტიკა მართლმა-

დიდებელ ეკლესიაში პომპეზურია და საკმაოდ ხანგრძლივი პროტესტანტული ეკლესიების ღვთისმსახურებასთან შედარებით. აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთა საერთო რაოდენობა 184 მილიონია.

მეძველწესები (სტაროვერები)

ქრისტიანობაში ეს მიმდინარეობა წარმოიშვა XVII ს-ის შუა ხანებში, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას გამოეყო. განხეთქილების მიზეზი კი იმ საეკლესიო რეფორმის მიუღებლობა იყო, რომელიც რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა განახორციელა. რეფორმა გულისხმობდა საღვთისმსახურო წიგნების ტექსტების ჩასწორებასა და ზოგიერთი წეს-ჩვეულების გადახედვას. ამ რეფორმის მიზანი იყო რუსული საღვთისმსახურო წიგნების ბერძნულ საღვთისმსახურო წიგნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ასე რომ, ეს რეფორმა არ ეხებოდა დოგმატურ საკითხებს. ამიტომ მართლმადიდებელ და მეძველწესეთა ეკლესიის დოქტრინალური მოძღვრება საერთოდ არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სხვაობა მხოლოდ მათ რელიგიურ პრაქტიკაშია. თუმცა არც რელიგიურ წეს-ჩვეულებებშია ძალზედ მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ ორ ეკლესიას შორის. მაგალითად, მეძველწესებმა შეინარჩუნეს ორი თითით პირჯვრის წერის ტრადიცია (ნიკონმა სამი თითით პირჯვრის წერის წესი შემოიღო). ასევე მეძველწესები მხოლოდ რვადაბოლოებიან ჯვარს იყენებენ, უარყოფენ რა ექვს და ოთხდაბოლოებიან ჯვრებს. მეძველწესენი ლიტურგიას შვიდ სეფისკვერზე აღასრულებენ, განსხვავებით მართლმადიდებლებისგან, რომლებიც ხუთ სეფისკვერს იყენებენ. მეძველწესენი ალილუიას ორჯერ წარმოთქვამენ ღვთისმსახურების დროს, მართლმადიდებლები სამჯერ და სხვა ამგვარი წვრილმანი საკითხები.

ნიკონის რეფორმის მოწინააღმდეგეთათვის მიუღებელი აღმოჩნდა არა თავად ტექსტების ჩასწორების იდეა (რამდენადაც უფრო ნაკლები მასშტაბის ამგვარ ჩასწორებები მანამდეც განხორციელებულა), არამედ ის ფაქტი, რომ ტექსტები სწორდებოდა ბოლო დროს დაბეჭდილი საღვთისმსახურო წიგნების მიხედვით. ვინაიდან ბერძნებს საკუთარი სტამბები არ გააჩნდათ, ეს ბერძნუ-

ლი წიგნები, ძირითადად, ვენეციაში და იტალიის სხვა ქალაქებში იბეჭდებოდა. ამრიგად, ამ საღვთისმსახურო წიგნების დასავლური წარმოშობა ექვს იწვევდა რეფორმის მოწინააღმდეგეებში. ისინი ამ წიგნების კათოლიკური გავლენის საფრთხეზე მიუთითებდნენ.

მიუხედავად იმისა, საფუძვლიანი იყო თუ არა ამგვარი შიშები, ეს რეფორმა ძველი რუსული ტრადიციების ხელყოფად იქნა აღქმული მორწმუნეთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელსაც დეკანოზი ამბაკუმი ხელმძღვანელობდა. ზემოთ აღნიშნული ძველი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებასთან ერთად, მეძველწესეებმა (სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც) ყველა ის ორთოგრაფიული ჩასწორებაც უარყვეს, რომელიც ასევე ამ რეფორმის ნაწილი იყო. მაგალითად, მათ შეინარჩუნეს სიტყვა „იესოს“ ძველი რუსული ფორმა: Исус, ნაცვლად ახალი ვარიანტისა: Иисус, განაცხადეს რა, რომ მეორე ასო „ი“ ეშმაკისგანაა.

დღეს მსოფლიოში 2 მლნ.-ზე მეტი მეძველწესე ცხოვრობს. მათი უმრავლესობა რუსეთში ცხოვრობს. მეძველწესეები არიან ასევე უკრაინაშიც, ლიტვაში, ლატვიაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, რუმინეთში, პოლონეთში და საქართველოშიც. ისინი ცხოვრობენ ასევე აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში და ავსტრალიაშიც.

დღეს მეძველწესეთა ეკლესია არ წარმოადგენს ერთ მთლიანობას. მოგვიანებით მასშიც მოხდა დაყოფები, რომელთაგან ყველაზე მსხვილი მიმდინარეობებია ე. წ. პოპოვცებისა და ბესპოპოვცების ეკლესია (რუს. „პოპ“ – მღვდელი). შესაბამისად პირველ ეკლესიას ჰყავს სასულიერო პირები, მეორენი კი უარყოფენ ამ ინსტიტუტს. თავის მხრივ ამ ორი მიმდინარეობასაც აქვს სხვადასხვა წვრილი განშტოებები, რომელთა ჩამოთვლა და აღწერას აქ არ შეეუდგებათ.

5. 2. არაქალკედონური ეკლესიები

ა) ნესტორიანობა

ამ ეკლესიის დამფუძნებლად მიჩნეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი, რომელიც პატრიარქის ტახტზე 428-431 წლებში იმყოფებოდა. გავრცელებული აზრის თანახმად, ნესტო-

რიანელები თვლიდნენ, რომ იესო ქრისტე იშვა როგორც ჩვეულებრივი ადამიანი – იესო ქრისტე, მასში მხოლოდ შემდეგ ჩასახლდა ძე ღმერთი. გამოდიოდა, რომ ქრისტეში არსებობდა როგორც ძე ღვთისა, ასევე ძე კაცისა. ამავე მიზეზით ისინი მარიამს უწოდებდნენ არა ღვთის მშობელს, არამედ ქრისტეს (ადამიანის) მშობელს.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (ეფესო, 431 წელი) ნესტორიანიზმის სახელით ცნობილი სწავლება ერესად (მწვალებლობად) გამოცხადდა. თუმცა დღეს ბოლომდე გარკვეული არ არის, მართლა ამგვარ შეხედულებებს გამოთქვამდა საკუთრივ პატრიარქი ნესტორი თუ მისი შეხედულებები არასწორად გადმოსცეს, ან ისინი რეალურად სხვას ეკუთვნოდა, რადგან მის პირად ნაწერებში აღმოჩენილია სრულიად ორთოდოქსული შეხედულებები ამ საკითხზე. მსგავსი თვალსაზრისი საკმაოდ დამაჯერებლად გამოთქვეს დასავლელმა მეცნიერებმა (მათ შორის ყველაზე ცნობილი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ბეთიუნ ბეკერია). მსგავსი შეხედულებებია ასევე გამოთქმული რამდენიმე რუსული წარმოშობის საკმაოდ კომპეტენტური ისტორიკოსისა თუ ბიზანტოლოგის ნაშრომშიც (იხ., მაგ., პოსნოვის (გვ. 377-401), კარტაშევის (გვ. 293-323) და მეიენდორფის (გვ. 180) წიგნები ამავე სახელმძღვანელოში „ქრისტიანობის“ ბოლოს ჩამოთვლილ ლიტერატურაში).

ასეა თუ ისე, ეს ეკლესია ამ დროიდან (V ს.) ნესტორიანულ ეკლესიად იწოდებოდა და ამ ერეტიკულ სწავლებასაც ნესტორიანიზმის სახელი დაერქვა.

ბ) მონოფიზიტობა

როგორც მიჩნეულია, აღმოსავლეთის ზოგიერთ ეკლესიას ამგვარი სახელი (მონოფიზიტური) ეწოდათ მათ მიერ 451 წელს ქალკედონში ჩატარებული მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების უარყოფის გამო. ამ დადგენილების (დოგმატის) მიხედვით ქრისტეს ორი – ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება ჰქონდა (ბერძ. „*დიო*“ – ორი, „*ფიზის*“ – ბუნება). მათ, დიოფიზიტურის საპირისპიროდ, მონოფიზიტ ქრისტიანებსაც უწოდებდნენ (ბერძ. „*მონო*“ – ერთი). თუმცა დღეს მათ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ ამ ზედწოდების (მონოფიზიტური) მიმართ და საკუ-

თარ თავს მოიხსენიებენ ან მართლმადიდებელ ან სამოციქულო ეკლესიად (მაგ., სომხური სამოციქულო ეკლესია).

მონოფიზიტთა უმრავლესობა უფრო მეტად ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას უსვამდნენ ხაზს, ვიდრე ადამიანურს, თუმცა სრულებით არ უარყოფდნენ ქრისტეში ადამიანური ბუნების არსებობასაც. ამიტომ მთლად სწორი არ არის, როდესაც მათ მონოფიზიტურ ეკლესიებად იხსენიებენ (ბერძ. *მონო* – ერთი, *ფიზის* – ბუნება). რასაკვირველია, მონოფიზიტიზმი თავისი წმინდა ფორმითაც არსებობდა და ამგვარი სწავლების შემოქმედი კონსტანტინეპოლელი სასულიერო პირი – ევტიქი იყო. ამრიგად, ქალკედონის კრების ანათემა უფრო მეტად, ასე ვთქვათ, უკიდურესი მონოფიზიტებისკენ, ე. წ. ევტიქიანელებისკენ იყო მიმართული, ვიდრე აღნიშნული ეკლესიებისადმი, თუმცა ეს ზღვარი ხშირად იყო წაშლილი ამ ეპოქის ეკლესიათა შორის არსებული ურთიერთდაპირისპირების დროს.

არაქალკედონური ეკლესიები, სულ ხუთია: იაკობიტური ეკლესია, სირიული ეკლესია ინდოეთში, კოპტური ეკლესია ეგვიპტეში, სომხური და ეთიოპიური ეკლესია. არაქალკედონური ეკლესიის წევრთა რიცხვი დაახლ. 27 მილიონამდე აღწევს.

5. 3. რომის კათოლიკური ეკლესია

რომის კათოლიკურ ეკლესიას ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობებთან შედარებით. რომში პირველი ქრისტიანები უკვე ახ. წ. 50 წელს გამოჩნდნენ. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანული სამყარო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფილი. ეს განხეთქილება ფორმალურად 1054 წელს მოხდა (იხ. ზემოთ).

მთავარ დოგმატურ განსხვავებად მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ითვლებოდა ე. წ. ფილიოკვეს საკითხი: დასავლეთის საქრისტიანოში „მრწამსის“ ტექსტში, იქ სადაც ნათქვამია, რომ სულიწმინდა გამოდის მამისაგან, ჩამატებულია გამოთქმა „და ძისაგან“ (ლათ. *filioque*). ეს კი ზოგიერთი პოლემიკოსის მიერ ზოგჯერ მიუღებლად აღიქმებოდა აღმოსავლეთში, რადგან მიიჩნეოდა, რომ ამით წმ. სამებაში ორი საწყისის

(მამისა და ძის) შესახებ სწავლება იმკვიდრებდა თავის ადგილს, რაც უხეშ ერესად ფასდებოდა.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი: „ისინი (რომაელები, დ.თ.) არ თვლიან ძეს სულიწმინდის მიზეზად, რადგან იცინან, რომ მამა არის ერთადერთი მიზეზი ძისა და სულისა – პირველის მიმართ შობილობით, ხოლო მეორის მიმართ გამომავლობით, – და მხოლოდ განმარტავენ, რომ სული ძის მეშვეობით გამოდის, აღნიშნავენ რა ამით ბუნების ერთიანობას და უცვლელობას“ (წერილი მარინე კვიპრელისადმი, PG 91,136 A-B).

*Жан-Клод Ларше. Преп. Максим Исповедник –
Посредник Между Востоком и Западом. М., 2004, 97*

შემორჩენილია, მაგალითად, აღმოსავლელი წმ. მამის, მაქსიმე აღმსარებლის წერილი, სადაც იგი თავის თანამოძმე ეპიკოპესებს განუმარტავს, რომ რომაელებს არ შემოაქვთ ორი საწყისი წმ. სამებაში, რადგან აღმოსავლეთში გავრცელებული გამოთქმა „ძის მეშვეობით“ არსობრივად იდენტურია გამოთქმისა „და ძისაგან“.

სხვათა შორის, არც საქართველოს ეკლესიის უდიდეს მნათობს, წმ. გიორგი მთაწმინდელს მიაჩნდა მიუღებლად, ან, მით უმეტეს, ერესად ფილიოკვე. ამას ადასტურებს წმ. ათანასე დიდის რწმენის სიმბოლოს მისეული (ძველი ქართული) თარგმანი, რომელშიც სათანადო ადგილას წმ. გიორგი წერს: „სულიწმინდა არის მამისაგან და ძისა... გამოსვლით“ (იხ. ე. კოჭლამაზაშვილისა და ა. ლამბაშიძის გამოკვლევა: ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი // კრებული „მრავალთავი“ #18, 1999).⁶⁹

სხვა მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს განსაწმენდელის (სალხინებლის) საკითხი. აქ კი მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ცალსახაა: არ არსებობს არანაირი მესამე ადგილი სა-

69. სხვა დამატებითი არგუმენტების შესახებ დაინტერესებულმა მკითხველმა იხ. ჩვენი სტატია: „filioque – მოხსნილი პრობლემა“ // კრებულში: „აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“, თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009.

მოთხესა და ჯოჯოხეთს შორის, თუმცა აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციის თანახმად (აქ მართლმადიდებლური და კათოლიკური სწავლება ერთმანეთს სრულად ემთხვევა) მიცვალებულთათვის აღვლენილი ლოცვებითა და მათ სახელზე გაღებული მოწყალე-ბით შესაძლებელია ჯოჯოხეთში მათი ტანჯვის შემსუბუქება და უფლის სასუფეველში „გადასვლა“.

„ისინი, ვინც ღვთის მადლსა და ერთგულებაში კვდებიან, მაგრამ არასრულყოფილად არიან განწმენდილნი, თუმცა კი გარკვეულია მათი საუკუნო ცხოვნება, სიკვდილის შემდეგ ექვემდებარებიან განწმენდას, რათა მიიღონ საკმარისი სიწმინდე ზეციურ სიხარულში შესასვლელად. ეკლესია განსაწმენდელს უწოდებს რჩეულთა ამ საბოლოო გაპატიოსნებას, რომელიც სრულიად განსხვავებულია წარწყმედილთა სასჯელისაგან. ეკლესიამ დაადგინა განსაწმენდელის შესახებ დოგმატური სწავლება ფლორენციისა და ტრიდენტის საეკლესიო კრებებზე. საეკლესიო ტრადიცია, იღებს რა საფუძველს საღვთო წერილის ზოგიერთი ადგილიდან (შდრ. მაგალითად, 1 კორ. 3:15; 1 პეტ. 1:7), მოგვითხრობს განმწმენდი ცეცხლის შესახებ: რაც შეეხება ზოგიერთ მსუბუქ დანაშაულს, უნდა ვირწმუნოთ, რომ სამსჯავრომდე არსებობს განმწმენდი ცეცხლი. მართლაც, იგი, რომელიც არის ჭეშმარიტება, ადასტურებს, რომ თუკი ვინმე გმობს სული წმინდას, არ ეპატიება არც ამ ცხოვრებაში, არც მომავალში (მთ. 12,31). ამ მტკიცებიდან გამომდინარეობს, რომ ზოგიერთი დანაშაული შესაძლოა ამ ცხოვრებაშივე იყოს მიტევებული, მაგრამ ზოგიერთი – მომავალ ცხოვრებაში. ეს სწავლება ეყრდნობა მიცვალებულთათვის ლოცვის პრაქტიკასაც, რომელზედაც საღვთო წერილი ასე მოგვითხრობს: „ამიტომაც მოითანა მაკაბელმა მკვდართათვის გამოსასყიდი მსხვერპლი, მათ სალხინებლად (განსაწმენდად, დ.თ.)“ (2 მაკაბ. 12:46)“.

*კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო. ლათინური წესის
კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია
ამიერკავკასიაში, თარგმანი იტალიურიდან,
თბ., 1997, § 1030-32, გვ. 235*

მესამე საკითხი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას მართლმადიდებლურისგან განასხვავებს, ეხება სწავლებას პაპის ძალაუფლების შესახებ (მასში იგულისხმება XIX ს-ში კათოლიკური ეკლესიის მიერ გამოცხადებული დოგმატები პაპის პრიმატისა და უცდომელობის შესახებ). ამ სწავლების თანახმად, ქრისტიანულ სამყაროში პაპს უზენაესი საეკლესიო ძალაუფლება აქვს და ასევე უცდომლად ითვლება მისი მსჯელობები დოგმატურ და ზნეობრივ საკითხებზე, როგორც პაპის ტახტზე მჯდომი საეკლესიო პირი (და არა როგორც, მაგალითად, მეცნიერი, მწერალი, მქადაგებელი, აღმინისტრაციული პირი).

ამ სწავლების მართებულობას ეჭვის ქვეშ აყენებენ მართლმადიდებელი თეოლოგები და მიუთითებენ, რომ პირველ ათასწლეულში არც პაპის უფლებამოსილებების შესახებ სწავლებას და არც მის პრაქტიკულ განხორციელებას აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან მიმართებაში არ ჰქონია იმგვარი ხასიათი, როგორც ეს შემდგომში, განსაკუთრებით XIV-XV სს-ებიდან ჩამოყალიბდა (დღეს კი მიღწეულია შეთანახმება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები გაერთიანდებიან, ეს უნდა მოხდეს იმ სახით, როგორც ეკლესიის განუყოფელ პერიოდში, ანუ პირველ ათასწლეულში იყო).

მართლმადიდებელი თეოლოგები ასევე მიუთითებენ იმ ისტორიულ ფაქტებს, როდესაც რომის პაპები შეცდომებს უშვებდნენ თუნდაც მხოლოდ დოგმატურ საკითხებზე მსჯელობისას (ამ მხრივ ყველაზე ნათელი პაპი ჰონორიუსის მაგალითია, რომელიც მეექვსე მსოფლიო კრებამ დაგმო ერეტიკული შეხედულებების გამოთქმისთვის. აღმოსავლური საეკლესიო შეგნებისთვის უცდომლად ითვლება კრებითი აზრი (საეკლესიო კრება) და არა ერთი პიროვნების შეხედულებები, რა საეკლესიო თანამდებობაც არ უნდა ეკავოს მას.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს გამოთქმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, საეკლესიო ტრადიციის უწყვეტად შენარჩუნების თვალსაზრისით, ის გახლავთ, რომ ყველა საეკლესიო კრების პირველსახე იერუსალიმის მოციქულთა კრება უნდა იყოს, რომელიც კარგად ასახავს საკუთარ თავში მოციქულთა ერთსულოვნებას. როდესაც გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა წარმოიშვებოდა, იკრიბებოდნენ მოციქულები და პრესვი-

ტერები „საქმის განსახილველად“ (საქ. 15:6) და მსჯელობდნენ „მთელს ეკლესიასთან ერთად“ (საქ. 15:22).

მისასალმებელია, რომ რომის კათოლიკურმა ეკლესიამ გამოთქვა სურვილი პაპის ძალაუფლების შესახებ სწავლების გადახედვისა. ამ მხრივ, საყურადღებო და იმედის მომცემია, ქრისტიანთა ერთობის ხელშემწყობი პონტიფიკალური საბჭოს ხელმძღვანელის, კარდინალ ვალტერ კასპერის განცხადება, რომელიც მან 2005 წლის 22-29 მაისს იტალიის ქალაქ ბარში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე გააკეთა: კათოლიკური ეკლესია თანახმაა ხელახლა განიხილოს საკუთარი სწავლება პაპის განსაკუთრებული მისიის შესახებ ეკლესიაში, რომელიც გულისხმობს მის ძალაუფლებას ყველა ეპისკოპოსზე და მის უცდომელობას რწმენისა და ზნეობის საკითხებში, რაც დღემდე ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებად რჩება ეკლესიათა დიალოგის გზაზე. კასპერის თქმით, შესაძლებელია ამ დოგმატების იმგვარად განმარტება, რომ ისინი მისაღები იყოს სხვა ეკლესიებისთვისაც (Джованни Бенси. Диалог Церквей требует жертв. Католики готовы пересмотреть догмат о непогрешимости Папы Римского // www.religion.ng.ru/printed/society/2005-06-01/1_dialog.html).

კათოლიკური ეკლესიის სწავლების სხვა განსხვავებებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ მათი უმეტესი ნაწილის შეცვლა ან შერბილება არ განიხილება აუცილებლად. ამგვარი განსხვავებების არსებობა სრულიად კანონიერია საეკლესიო ტრადიციის ისტორიული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რადგან არც ადრეულ ეკლესიაში იყო სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიის კანონიკურ-დისციპლინარული სწავლება თუ ადათ-წესები ერთგვაროვანი.

ასეთ საკითხებად ითვლება, მაგალითად, უფუარი პურის გამოყენება ევქარისტიულ საიდუმლოში (რომლებსაც კათოლ. ეკლესიაში სხვადასხვა ზომის მრგვალი ფირფიტის ფორმა აქვს) განსხვავებით აღმოსავლეთის ეკლესიების ტრადიციისგან, რომლის თანახმადაც ევქარისტიულ პურში საფუარს იყენებენ. ასევე სამღვდელოების მიერ წვერის პარსვის ჩვეულება, ცელიბატობა,⁷⁰

70. ცელიბატობა – სასულიერო პირთა დაუქორწინებლობის პრინციპი.

სატაძრო ღვთისმსახურების დროს ორლანის გამოყენება და სხვა მსგავსი საკითხები).

კათოლიკები და მართლმადიდებლები, განსხვავებით პროტესტანტებისგან, აღიარებენ წმ. გადმოცემის ავტორიტეტს, თუმცა კათოლიკურ ეკლესიაში წმ. გადმოცემის შინაარსი რამდენადმე განსხვავებულია: თუკი მართლმადიდებლები მხოლოდ პირველ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს აღიარებენ (რომლებიც 325-787 წლებში ჩატარდა), კათოლიკებისთვის მსოფლიო კრების სტატუსი აქვს 21 საეკლესიო კრებას (აღმოსავლეთში ჩატარებულ 7 მსოფლიო კრებას + დასავლეთში ჩატარებული 14 საეკლესიო კრება, რომლებსაც მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს). აღნიშნული გარემოების გამო ხშირად აღნიშნავენ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ახალი დოგმატები და ასევე სხვა ხასიათის საეკლესიო პრინციპები დაუმატა მანამდე არსებულ მოძღვრებას.

კათოლიკური აღმსარებლობის ქრისტიანები მსოფლიოში დაახლოებით 970 მილიონია. ეს არის მსოფლიოს ქრისტიანთა დაახლ. 50%.

5. 4. ადრეული პროტესტანტული ეკლესიები

ქრისტიანობაში პროტესტანტული მიმდინარეობა ყველაზე ბოლოს წარმოიშვა (პირველი ოთხი ძირითადი განაყოფის შემდგომ). XVI ს-ში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმაციის პროცესი დაიწყო, როდესაც რამდენიმე ქრისტიანულმა ეკლესიამ უარყო კათოლიკური ეკლესიის დოქტრინალური, საკულტო და ორგანიზაციულ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები. ამგვარად, ამ ეკლესიათა კრებითი სახელი გახლავთ „პროტესტანტიზმი“ ევროპის დომინანტი (რომის კათოლიკური) ეკლესიის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტის შესაბამისად.

ამრიგად, პროტესტანტიზმი წარმოიშვა არა როგორც ერთი კონკრეტული აღმსარებლობა, არამედ სხვადასხვა ადგილას წარმოქმნილ მიმდინარეობათა და მოძრაობათა ერთობლიობა. ამ პროტესტანტულ ჯგუფებს შორის კი, არსებობდა როგორც განსხვავებები, ასევე მსგავსებები. უპირველესად აღსანიშნი გარემო-

ება ის გახლავთ, რომ პროტესტანტიზმი აღიარებს ბიბლიის უზენაეს ავტორიტეტს როგორც რწმენის ფუნდამენტს (განსხვავებით კათოლიკური ეკლესიისგან, რომელიც უზენაეს ავტორიტეტად და მსოფლიოს მსაჯულად რომის პაპს აღიარებდა).

რაც შეეხება წმ. გადმოცემას, მას პროტესტანტები, როგორც წესი, არ აღიარებენ. ასევე ზოგადი პროტესტანტული პრინციპის თანახმად, ადამიანის ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ უფლის მიმართ პირადი რწმენით და არა სამღვდელოების დახმარებით. პროტესტანტებს არ სწამთ წმინდანთა შუამდგომლობის უფლის წინაშე. ამ მიზეზით ისინი არ აღიარებენ ხატების თაყვანისცემის პრაქტიკას.

პროტესტანტული კონფესიებისა⁷¹ და დენომინაციების⁷² უმრავლესობა აღიარებს მხოლოდ ორ საიდუმლოს: ნათლობასა და ზიარებას, რადგან მათი მტკიცებით, ახალ აღთქმაში მხოლოდ ამ ორი საიდუმლოს აღსრულება დააწესა ქრისტემ. სხვადასხვა პროტესტანტული ეკლესია სხვადასხვაგვარად განმარტავს ზიარების საიდუმლოს შინაარსს. მათ უმრავლესობას არ სწამს პურისა და ღვინის ქრისტეს რეალურ ხორცად და სისხლად გარდაქმნისა, ამ რიტუალს მხოლოდ ქრისტეს ანალოგიური ქმედების გახსენების (მოხსენიების) მნიშვნელობა ენიჭება.

ღვთისმსახურება პროტესტანტულ ეკლესიებში ძალიან გამარტივებულია. ღვთისმსახურებად ითვლება მხოლოდ ბიბლიის კითხვა და ქადაგება, ასევე ზიარება.

ამჟამად, პროტესტანტიზმის სამი მთავარი მიმდინარეობის გარდა, რომლებიც რეფორმაციის გარიჟრაჟზე, XVI ს-ში წარმოიშვა (ანგლიკანობა, ლუთერანობა, კალვინიზმი), არსებობს სხვა უამრავი კონფესია, მაგალითად, მეთოდისმი, ორმოცდაათიანელობა, ბაპტიზმი, ადვენტიზმი და სხვა (ადგილის სიმცირის

71. კონფესია – იგივე აღმსარებლობა. ასე ეწოდება ერთ რომელიმე მიმართულებას რომელიმე რელიგიის ფარგლებში. ამრიგად, კონფესია უფრო ვიწრო მნიშვნელობის ტერმინია ვიდრე რელიგია.

72. დენომინაცია – ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანებისა თუ ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციული გაფორმების სტადიაზე იმყოფება. ზოგჯერ ეს სახელწოდება „კონფესიის“ სინონიმდაც გამოიყენება.

გამო წინამდებარე სახელმძღვანელოში მხოლოდ კლასიკურ პროტესტანტულ ეკლესიებს მიმოვიხილავთ).

პროტესტანტ მორწმუნეთა საერთო რაოდენობა დაახლ. 728 მილიონია. ეს ქრისტიანთა საერთო რაოდენობის 38 %-ია. პროტესტანტები აბსოლუტურ უმრავლესობაში არიან ჩრდ. ევროპის ქვეყნებში (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ისლანდია). ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ პროტესტანტები დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებშიც (დიდი ბრიტანეთი (53 %), შვეიცარია (42 %), გერმანია (37 %), ნიდერლანდები (28 %). პროტესტანტები ასევე მრავლად არიან აშშ-ში (51 %), კანადაში (32 %) და ავსტრალიაში (40 %). სხვა ქვეყნებში პროტესტანტები უმცირესობაში არიან.

ა) ლუთერანული ეკლესია

ამ ეკლესიამ თავისი სახელწოდება მისი დამაარსებლის – მარტინ ლუთერის სახელის მიხედვით შეიძინა. ეკლესიის დაფუძნების თარიღად მიიჩნევენ 1517 წლის 31 ოქტომბერს, როცა მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გამოაკრა 95 თეზისისგან შემდგარი ფურცლები, სადაც გაკრიტიკებული იყო რომის კათოლიკური ეკლესია და მისი მსახურები, ძირითადად, ინდულგენციებით ვაჭრობის გამო.

ლუთერანული სარწმუნოების მთავარი დოქტრინალური დებულების თანახმად, მორწმუნე მხოლოდ უფლის მოწყალებითა და ქრისტეს მიმართ პიროვნული რწმენით გადარჩება. ლუთერანები რწმენის ერთადერთ წყაროდ წმ. წერილს მიიჩნევენ და არ აღიარებენ წმ. გადმოცემას. ლუთერანებიც მხოლოდ ორ – ნათლობისა და ზიარების საიდუმლოს აღასრულებენ. სხვა პროტესტანტულ ეკლესიათაგან განსხვავებით, ლუთერანული ეკლესია აღიარებს ევქარისტიაში პურისა და ღვინის ქრისტეს ნამდვილ სისხლად და ხორცად გადაქცევას და არ მიაჩნია იგი მხოლოდ სიმბოლურ ქმედებად.

პროტესტანტიზმის ეს მიმდინარეობა უარყოფს ხატებს, როგორც რელიგიური დანიშნულების (მის წინაშე ლოცვა) ნივთებს, მაგრამ ლუთერანულ ტაძრებში არსებობს ბიბლიურ თემებზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები. განსხვავებით სხვა პროტესტანტული ეკლესიის მსახურთაგან, ლუთერანი სასულიერო პირები სპეციალური სამღვდელო შესამოსლით დადიან.

45. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: ის, ვინც გაჭირვებულს დაინახავს და, მიუხედავად ამისა [მასზე ზრუნვის ნაცვლად], ინდულგენციის შეძენას ამჯობინებს, რომის პაპისგან შენდობას კი არ მიიღებს, არამედ ღვთის რისხვას დაითევს.

48. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპს ინდულგენციების გაცემასა და ფულის ამოღებაზე მეტად გულმხურვალე ლოცვა სურს თავისთვის (მთარგმ. შენიშვნა: აქ და მომდევნო თეზისებში ლუთერი ფიქრობს, რომ იცავს პაპის ჭეშმარიტ აზრს. ერთდროულად ეს იმისკენაც მოუწოდებს, რომ პაპებისთვის უკეთ ცნობილი გახდეს ინდულგენციებით მოვაჭრეთა შავზნელი საქმიანობა).

49. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპისეული ინდულგენცია სასარგებლოა, თუ მასზე იმედებს არ ამყარებენ, მაგრამ ის უკიდურესად საზიანოა თუ მისი წყალობით ღვთისმოშიშებას კარგავენ (მთარგმ. შენიშვნა: ლუთერი არ უარყოფს ინდულგენციებს, თუმცა ძალიან უმნიშვნელო როლს მიაკუთვნებს მათ. მთავარი მისთვის გულწრფელი მონანიებაა. ინდულგენცია სხვა არაფერია თუ არა განებივრებულ და გულქვა ქრისტიანების სასჯელთა შემსუბუქება. მაგრამ თუ ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ ქრისტიანული სიყვარულის საქმეში, მაშინ მით უფრო არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ ინდულგენციებზე).

50. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპმა რომ იცოდეს ინდულგენციების გამყიდველთა გამომძალველობის შესახებ, იგი უმაღლესი წმინდა პეტრეს ტაძრის ფერფლად ქცევას ამჯობინებდა, ვიდრე მის შენებას თავისი სამწყსოს ტყავით, ხორციითა და ძვლებით. (...)

მთარგმნ.: არ შეიძლება იმის თქმაც თითქოს ლუთერი ამ „თეზისებში“ აბსოლუტურად გამორიცხავდა ეკლესიისა და სამღვდელოების როლს. ლუთერი როცა ქადაგებდა – ადამიანს მორჩილება მართებს ღვთისადმი, – იქვე მიუთითებდა იმასაც, რომ ეს მორჩილება მათ მღვდლის დახმარების გარეშე არ შეუძლიათ (იხ. მე-7 თეზისი).

ნაწყვეტები ნაშრომიდან: გურამ კუტალია. მარტინ ლუთერის თეზისები. თბ., 1998, გვ.52

ლუთერანული აღმსარებლობის მქონე მორწმუნეთა საერთო რაოდენობა 76 მილიონია. გერმანიაში წარმოქმნილმა ლუთერანობამ სხვა ქვეყნებიც მოიცვა, კერძოდ, დანიაში, შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიაში და ისლანდიაში ისინი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. ლუთერანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს ასევე ესტონეთსა და ლატვიაში. სხვა ქვეყნებში ისინი უმცირესობას წარმოადგენენ.

ბ) კალვინისტური ეკლესია

ეს მიმდინარეობა წარმოიშვა XVI ს-ის 30-იან წლებში, საფრანგეთში ჟან კოვენის მიერ (მისი გვარის ლათინიზირებული ფორმაა – კალვინუს). XVI ს-ის ბოლოს კალვინიზმს შეერია მასთან ახლოს მდგომი მიმდინარეობა – ცვინგლიანობა, რომლის დამფუძნებელიც გახლდათ შვეიცარიელი რელიგიური მოღვაწე ულრიხ ცვინგლი.

ლუთერის სიკვდილის შემდეგ ეკლესიის რეფორმის პროცესს კალვინი (1509-1564) ჩაუდგა სათავეში. კალვინიზმის ძირითადი დოქტრინალური დებულებები სხვადასხვა ვარიაციებით მოცემულია რამდენიმე „აღმსარებლობაში“: გალიკანურ (1559 წ.), ბელგიურ (1561 წ.), ვესტმინსტერულ (1647 წ. და სხვა აღმსარებლობებში. კალვინიზმის ყველაზე მეტად დამახასიათებელია სწავლება წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ, რომლის თანახმად, ღმერთმა ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე წინასწარ განსაზღვრა ადამიანთა ერთი ნაწილი გადასარჩენად, მეორე კი დასაღუპად (თუმცა მოგვიანებით ზომიერმა კალვინისტებმა ცოტა შეარბილეს ეს სწავლება). მაგრამ რამდენადაც უფლის სიბრძნე მიუწვდომელია, არავის შეუძლია იცოდეს საკუთარი ხვედრი.

ადამიანმა უნდა აღასრულოს კეთილი საქმეები, მაგრამ ეს კალვინიზმში განიხილება არა ადამიანის ცხოვნების საშუალებად, არამედ იმის ნიშნად, რომ იგი უფლისგან არის გამორჩეული. ასევე კალვინისტური სწავლებით, ამქვეყნიური მატერიალური კეთილდღეობა აშკარა ნიშანია ადამიანის უფლისგან კურთხეულობისა.

კალვინის სწავლებით, ევქარისტიული საიდუმლოს დროს პურში და ღვინოში ქრისტე რეალურად მყოფობს, ოღონდ არა ფიზიკურად (ხორცისა და სისხლის სახით) არამედ სულიერად, უხილავად.

კალვინისტი სასულიერო პირები არ განსხვავდებიან შესამოსლით ერისკაცებისგან. მათ ტაძრებში არც ხატებია და არც ფერწერის ნიმუშები. ღვთისმსახურების დროს არ ანთებენ სანთლებს.

კალვინიზმში სამი მიმდინარეობა არსებობს: რეფორმატული, პრესვიტერიანული და კონგრეგაციონალური ეკლესიები. კალვინიზმის ამ სამი მიმდინარეობის დოქტრინა თითქმის ერთი და იგივეა.

რეფორმისტებისა და პრესვიტერიანელების საერთო რაოდენობა 59 მილიონია, კონგრეგაციონალისტებისა კი მხოლოდ 3 მილიონი. რეფორმატორული ეკლესიები გავრცელებულია, ძირითადად, შვეიცარიაში და ნიდერლანდებში. პრესვიტერიანობა შოტლანდიაში სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული. პრესვიტერიანელთა მნიშვნელოვანი კონცენტრაციაა ასევე ჩრდ. ირლანდიაში, აშშ-ში, მექსიკაში და ბრაზილიაში. კონგრეგაციონალიზმს თავისი მომხრეები ჰყავს, ძირითადად, ინგლისსა და აშშ-ში. ისინი მცირე რაოდენობით სხვა ქვეყნებშიც სახლობენ.

გ) ანგლიკანური ეკლესია

ანგლიკანობის წარმოშობის თარიღად ითვლება 1534 წელი, როდესაც ინგლისის მეფე ჰენრი VIII-მ საკუთარი თავი ინგლისის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად გამოაცხადა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რომის პაპმა მეფეს ეკატერინა არაგონელთან განქორწინების უფლება არ მისცა. მეფის ამგვარი ქმედება კი რომის კათოლიკური ეკლესიისგან გამოყოფას ნიშნავდა, მაგრამ არა კათოლიკურ დოქტრინასა და საღვთისმსახურო პრაქტიკაზე უარის თქმას. საკუთარი დოქტრინის ფორმირება თანდათანობით მოხდა ანგლიკანურ ეკლესიაში.

თუმცა ანგლიკანობა მაინც უფრო მეტად კათოლიკურ ეკლესიასთან დგას ახლოს თავისი დოქტრინით, კულტითა და საეკლესიო წყობით, ვიდრე სხვა ნებისმიერი პროტესტანტული მიმდინარეობასთან.

მთავარ ავტორიტეტად ანგლიკანებისთვის წმ. წერილი ითვლება, მაგრამ არც საეკლესიო გადმოცემას უარყოფენ მთლიანად. ისინი მხოლოდ პირველი ოთხი მსოფლიო კრების დადგენილებებს აღიარებენ. ანგლიკანურმა ეკლესიამ უარყო ხატების თაყ-

ვანისცემა და მონაზვნობის ინსტიტუტი. რაც შეეხება საეკლესიო იერარქიას, ის თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული.

ანგლიკანთა საერთო რაოდენობა 71 მილიონამდეა, მათგან 25 მილიონი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ანგლიკანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს ავსტრალიაში, კანადაში და აშშ-ში (აქ ანგლიკანურ ეკლესიას ეწოდება ეპისკოპალური ეკლესია, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ დაუშვა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირთა, – როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა, – სასულიერო პირად კურთხევა). სხვა ქვეყნებში ანგლიკანები უმცირესობაში არიან.

ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ამ ეკლესიათა უმაღლესი იერარქები იკრიბებიან სხვადასხვა საეკლესიო საკითხების განსახილველად. ამ შეხვედრებს ეწოდება ლამბეტის კონფერენციები, რომელიც ანგლიკანურ ეკლესიაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტატუსი აქვს.

6. ქრისტიანობა საქართველოში

ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართლის პირველმა მეფემ, ფარნავაზმა მთავარ ღვთაებად „არმაზი“ გამოაცხადა. ეს იგივე ძველი ქართველების მთვარის ღვთაება იყო, მხოლოდ ამჯერად იგი სხვა ღვთაებების თვისებებითაც აღჭურვის და სახელიც არმაზი უწოდეს, რაც ხეთურად „მთვარეს“ ნიშნავს.

არმაზის ქანდაკება აღმართულ იქნა მცხეთის პირდაპირ მდგარ მაღალ მთაზე, რომელსაც არმაზის მთა ეწოდა. ეს იყო სპილენძისგან ჩამოსხმული მეომარი მამაკაცი ოქროს აბჯრითა და მუზარადით, რომელსაც თვალების მაგივრად ძვირფასი ქვები ჰქონდა ჩასმული და ხელში მახვილი ეყარა. სადღესასწაულო მსვლელობებში სამეფო ოჯახიც იღებდა მონაწილეობას, პირუტყვთან ერთად არმაზის ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ აგრეთვე ბავშვებსაც.

არმაზის მთის მოპირდაპირე მთაზე აღმართულ იქნა ასევე ზადენის კერპიც. არმაზის გვერდით სხვა ღვთაებების ქანდაკებებიც იდგა, რომლებსაც ძველი ქართველები სხვადასხვა ძალების განსახიერებად მიიჩნევდნენ...

ქართველ ტომებში გავრცელებული იყო ბარბალეს კულტიც, რომელიც ითვლებოდა ღვთაებად, თუმცა მას ანგელოზსაც უწოდებდნენ. სვანები მას ძროხების ღმერთად მიიჩნევდნენ. ამასთანავე ხალხს ღრმად სწამდა, რომ ძროხების დამაკება-განაყოფიერება ღვთაება ბარბალეზე იყო დამოკიდებული. (...) ამ ღვთაებას ასევე ქალებისთვის ნაყოფიერების მინიჭებაც მიეწერებოდა. ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ დღეობაზე აცხობდნენ ხორცისგულიან და ყველისგულიან კვერებს. მაგრამ თანდათან, ქრისტიანობის ზეგავლენით დამყარდა რწმენა-წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ბარბალობას მარხვაა და ამ მარხვის გატეხა ცოდვაა, თუმცა წარმართული ტრადიცია – ბარბალეს სახელზე ცხიმიანი შესაწირავების დამზადება საბოლოოდ მათში მაინც ვერ აღმოიფხვრა (...) ქართველ ტომებში არსებობდა მზის კულტიც (...) გავრცელებული იყო ასევე ცეცხლის დღეობები, მაგ., ჭიაკოკონობა და მისთანანი, რომლებიც ავი სულების საწინააღმდეგო წეს-ჩვეულებებია, რადგან ცეცხლი მიიჩნეოდა ყოველგვარი უწმინდურებისგან განმწმედ ძალად.

*ვერა ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი
სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 2006, გვ. 11, 25, 67, 90*

ივერიის მიწაზე ქრისტიანობის პირველ შემომტანად საეკლესიო გადმოცემა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს ასახელებს. სხვა ტრადიციით საქართველოში ასევე იქადაგა მოციქულმა სვიმონ კანანელმა, რომელიც აფხაზეთში, სოფელ კომაწშია დაკრძალული და მოციქულმა მატათამ, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქადაგებდა (დაკრძალულია გონიოში, ბათუმთან ახლოს).

საქართველოში ქრისტიანული რწმენის გამავრცელებლად და განმამტკიცებლად კი ითვლება უცხო ქვეყნის შვილი – ნინო კაბადოკიელი. მან, სხვებთან ერთად, მძიმე სენით შეპყრობილი ქართლის დედოფალი ნანაც განკურნა სასწაულებრივად, რის შედეგადაც დედოფალი ქრისტიანობაზე მოიქცა. წმ. ნინომ თავად მეფე მირიანსაც უქადაგა ქრისტიანობა, მაგრამ ახალი რელიგიის მიღება მეფეს არ სურდა. გადმოცემის თანახმად, ერთხელ ნადი-

რობაზე წასულ მეფეს ტყეში სრულიად ჩამოუბნელდა, შედეგად მან და მისმა ამაღამ ტყიდან გზა ველარ გაიკვლია. მეფე ბევრს ევედრებოდა თავის წარმართულ ღვთაებებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ განათდა იქაურობა, როცა მან „ნინოს ღმერთს“ მიმართა. ამის შემდეგ მეფეც ქრისტიანი ხდება და თავის სამეფოშიც სახელმწიფო რელიგიად აცხადებს ქრისტიანობას, რომელიც, ისტორიკოსთა აზრით, არა უგვიანეს 337 წელს უნდა მომხდარიყო.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში არ გულისხმობდა წარმართული წეს-ჩვეულებების მთლიან და უეცარ აღმოფხვრას, უფრო მეტიც, ამგვარი წეს-ჩვეულებები დღესაც შემორჩენილია ამა თუ იმ სახით საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, ძირითადად, საქართველოს მთაში.

„პაგანიზმის (წარმართობის) გამოვლენაა, მაგალითად, ის, რომ ქსნის ხეობის ერთ სოფელში წმ. გიორგი მამრია, მეორეში – მდედარი და დღეობაზე მათი დროშებიც მათი სქესის მიხედვით ეწყობა. პაგანიზებულია სოფელ ალმატის წმ. ბარბარესა და ნეკრესის წმ. გიორგის სასიყვარულო ურთიერთობა, რომელსაც რიტუალური გამოხატულებაც ჰქონდა (კახეთი). პაგანიზმის გამოვლენაა საქართველოს ბერვ კუთხეში გავრცელებული ჩვეულება „საღმრთოს“ (საღვთო, სახვთო) სახელწოდებით, როდესაც ცალკეული ადამიანი, ოჯახი ან მთელი საგვარეულო, ზოგჯერ სოფელიც კი, შეუთქვამს ამა თუ იმ ქრისტიან წმინდანს საკლავს, ხარი იქნება თუ ცხვარი, ან მამალი, რომელთაც შეწირვამდე ეკლესიის გარშემო შემოატარებენ. სამაგიეროდ წმინდანისგან სამაგიეროს მოელიან. ეს ყოფითი მომენტი წმინდაწყლის პაგანიზმია, მაგრამ სოფლის ცნობიერებაში იგი სავსებით უთავსდება ქრისტიანობას, რამდენადაც სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის რიტუალი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ გააუქმა, ეკლესიის გალავანში ხდება. თუმცა ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ ქრისტიანულ მომენტს ამ ჩვეულებიდან: მსხვერპლი არ იწირება ცოდვის გამოსასყიდად, ანუ მას სოტერიოლოგიური (გამომსხნელი, მაცხოვრებელი, დ.თ.) ფუნქცია არ აკისრია, არამედ

სამადლობელია, რომელიც წინასწარ ან პოსტ ფაქტუმ შეიწირება. ქრისტიანობამ გააუქმა სისხლიანი მსხვერპლი...”

ზ. კიკნაძე, „წარმართობა“ საქართველოში // რელიგიები საქართველოში. თბ., 2008, გვ. 68-69

დასავლეთ საქართველოში (ეგრისის სამეფო) რომთან უფრო მჭიდრო კავშირისა და გეოგრაფიული სიახლოვის გამო ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა. მაგალითად, 325 წელს ნიკეაში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებას უკვე ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილოსი.

ქართლის ეკლესია თავისი დაფუძნების დროიდანვე ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო. 466 წლიდან კი ავტოკეფალიას იღებს მისგან, ამ დროიდან კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია მცხეთაშია განთავსებული.

V ს-დან ქართველი საეკლესიო მოღვაწეები უკვე საერთაშორისო ასპარეზზე ჩანან. მაიუმის ეპისკოპოსმა პეტრე იბერმა (411-491) და მასთან ერთად მოღვაწე იოანე ლაზმა იერუსალიმში ააგეს ქართველთა მონასტერი და შექმნეს ასევე თეოლოგიური სკოლა.

VI-VII ს-თა მიჯნაზე გვაქვს დოკუმენტური ცნობები საქართველოს ეკლესიის იერარქების რომის პაპთან და იერუსალიმის პატრიარქთან მიმოწერისა. ქართლის ეკლესია პირველად დოგმატურ პოლემიკაში ჩაება ქ. დვინში (სომხეთი) 506 წელს ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე, რომელშიც ქართლიდან მონაწილეობდა 24 ეპისკოპოსი. კრებამ მხარი დაუჭირა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შემარიგებელ დოკუმენტს (სახელად „ჰენოტიკონი“), რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა ზენონმა გამოსცა 482 წელს. მთელი VI საუკუნე ქართლის ეკლესიისთვის არის პერიოდი შემრიგებლური პოზიციიდან აშკარა დიოფიზიტობისკენ სწრაფვისა. VII ს-ის დამდეგს კი კირიონ ქართლის კათალიკოსი მკაფიოდ გამოხატავს თავის არჩევანს ცალსახად დიოფიზიტური მრწამსის სასარგებლოდ, რამაც დიდი საეკლესიო განხეთქილება გამოიწვია საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის (604-609 წწ.)

VI ს-ში საქართველოში შემოდის 13 ასურელი ბერი წმ. იოანე ზედაზნელის მეთაურობით. სწორედ მათ სახელთან არის და-

კავშირებული საქართველოში ბერ-მონაზვნული (სამონასტრო) ცხოვრების დასაწყისი. მათი დაარსებულია ზედაზნის, დავით გარეჯის, წილკნის, შიომღვიმის, მარტყოფის და სხვა მონასტრები.

როდესაც ხატმებრძოლებამ ბიზანტიის იმპერია მოიცვა (VIII ს.), საქართველო ერთადერთ ქვეყნად რჩებოდა, სადაც ეს მწვალებლობა არ იყო გავრცელებული. ასე რომ, ისტორიულ წყაროთა ცნობით, გუთების ეპისკოპოსი იოანე საქართველოში ჩამოდის, რათა აქ დაესხათ ხელი მისთვის (ანუ ეკურთხათ) მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს, რადგან ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის ერესს საეკლესიო იერარქიის თითქმის ყველა წარმომადგენელი იზიარებდა და ამ აქტის კანონიერად აღმსრულებელი არავინ ჩანდა.

VI ს-დან დასავლეთ საქართველოში ეკლესია ორი სამიტროპოლიტოსგან შედგებოდა – ფაზისისაგან და სევასტოპოლისისგან, რომლებიც კონსტანტინეპოლს ემორჩილებოდნენ. ამ დროიდან კი აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესია ავტოკეფალურია, რომელსაც კათოლიკოსი მართავს. მხოლოდ 1008 წელს მეფე ბაგრატ მესამემ (975-1014) შეძლო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. გაერთიანების შემდგომ სახელწოდება „საქართველო“ პირველად რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე იქნა გამოყენებული (1105 წ.).

ალსანიშნავია წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც დაფუძნდა გელათის აკადემია. მემკვიდრეობის თქმით, ამ მონასტერმა საუკეთესო კულტურული ძალები შემოიკრიბა როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან. გარდა გელათის აკადემიისა საქართველოში მოქმედებდა აგრეთვე სხვა ლიტერატურული ცენტრებიც იყალთოს აკადემიისა და ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კომპლექსის სახით.

ქართველები სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ აგრეთვე ქვეყნის გარეთაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, 488 წელს პირველი ქართული მონასტერი იერუსალიმში დააარსა ცნობილმა ქართველმა ეპისკოპოსმა პეტრე იბერმა. უნდა აღინიშნოს ასევე საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი ისეთი სასულიერო-კულტურული ცენტრები, როგორებიცაა: ათონის ივერთა მონასტერი (საბერძნეთი), შავი მთა (ანტიოქიის მახლობლად),

რომელზეც ქართველთა სამონასტრო კომპლექსი XI ს-ში ფუძნდება, პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთი), ქართული მონასტერი ყოფილა სინას მთაზეც.

საქართველოს ეკლესიისთვის გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა 1103-1105 წლებს შორის ჩატარებული საეკლესიო კრებას, რომელიც მეფე დავით აღმაშენებელმა მოიწვია რუის-ურბნისის ეპარქიაში. კრებამ, მაგ., აკრძალა მოკლე დროში სასულიერო პირის იერარქიული დაწინაურება; ქრთამით ხელდასხმის ჩვეულება (სიმონია);⁷³ საერო მღვდლების ბერად კურთხევა; ეკლესიაში მონოფიზიტთა ნათლისღების გარეშე შემოერთება და სხვა.

1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი. აღმოსავლეთ საქართველო ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ იმ პირობით, რომ მისი შინაგანი პოლიტიკური წყობა, სამეფო ხელისუფლება და ეკლესიის ავტოკეფალია ხელუხლებელი დარჩებოდა.

რუსეთზე ორიენტაციის აღება მეფე ერეკლე II-ს არ აპატია ირანის შაჰმა აბას I-მა, რომელმაც 1795 წელს მიწასთან გაასწორა თბილისი.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო ანექსირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ. 1811 წელს კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების უხეში დარღვევით, გაუქმებულ იქნა რუსეთის მიერ. ამ აქტით რუსეთმა თავისივე ხელმოწერილი შეთანხმების – გეორგიევსკის ტრაქტატის ის პუნქტები დაარღვია, რომელშიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობისა და მონარქიის ხელშეუხებლობის პირობა იყო დადებული. რუსეთმა დაარღვია ასევე ტრაქტატის ის პირობაც, რომელიც ქართველების დაცვას გულისხმობდა მათ ტერიტორიაზე გარეშე მტრის შემოჭრის შემთხვევაში.

73. სიმონია – ასე ეწოდება ქმედებას, როცა ვინმე სამღვდლო ხარისხის მოპოვებას ფულით ან სხვა მატერიალური საშუალებით (ქრთამით) ცდილობს. ტერმინი „სიმონია“ მომდინარეობს ბიბლიაში ნახსენები სიმონ გრძნეულის სახელის მიხედვით, რომელიც მოციქულებს ფულის სანაცვლოდ სული წმინდის ნიჭის მიღებას სთხოვდა.

ამ დროიდან კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ, ხოლო ეკლესიაში ყველა მნიშვნელოვან საკითხს რუსეთის სინოდი⁷⁴ წყვეტდა.

1917 წლის 25 თებერვალს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. დაიწყო იმპერიის რღვევის პროცესი. ამ გარემოებით ისარგებლა საქართველოს ეკლესიამაც და იმავე წლის 25 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია. კრებაზე მიღებულ იქნა „საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებანი“, ასევე კათოლიკოს პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი. თუმცა რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1943 წელს აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

„საქართველოს ეკლესიის პირველი კრება (1917 წლის 8-17 სექტემბერი) საეკლესიო ცხოვრების განახლებისა და რეფორმაციის სულით იყო აღბეჭდილი (...) დეკანოზი კორნელი კეკელიძე კრებაზე მოხსენებით გამოვიდა. მასში მკაფიოდ და გაბედულად იყო ნათქვამი შემდეგი: ბევრი რამ, რაც ხალხს მართლმადიდებელი ეკლესიის არსება ჰგონია, არ არის მართლმადიდებლობა; ის, რისი ძირძველობაც თითქოს სადავო არ უნდა იყოს, სინამდვილეში ახალია და რალაც გაუგებრობათა შედეგი; ის, რაც მორწმუნეთა საზოგადოების დიდ ნაწილს ზოგჯერ დოგმატის რანგში აჰყავს, რეალურად მეორეხარისხოვანი მოვლენაა და ცვალებადობის კანონს დაქვემდებარებული. ასეთია: 1. ტიპიკონი ანუ საეკლესიო ღვთისმსახურების წესი და რიგი; 2. საღვთისმსახურო წიგნების მოძველებული და მრევლისთვის გაუგებარი ენა; 3. სამღვდელთა გარეგნობა (სპეციალური შესამოსლის ტარებისა და წვერის მოშვების სავალდებულო წესები). თითოეულ ამ საკითხზე მოხსენებაში სერიოზული წყაროთმცოდნეობითი ანალიზი იყო გატარებული, პასუხები ამომწურავად და მართლმადიდებელი სარწმუნოების პოზიციიდანაა გაცემული, ამასთანავე მარტივად, ლაკო-

74. სინოდი – ამგვარად ეწოდება საეკლესიო ენაზე თითოეული ადგილობრივი ეკლესიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

ნურად და პოპულარულად, რაც ავტორის ცოდნის სიღრმესა და პროფესიონალიზმზე მიგვანიშნებს.

კ. კეკელიძის მოხსენებაში მსჯელობა იყო: (1) წირვა-ლოცვის შემოკლების შესახებ (მთავარი არგუმენტი: ამგვარი პრაქტიკა არ იყო სიახლე საეკლესიო ისტორიაში. მაგალითად, მეტად გრძელი და ვრცელი იაკობ მოციქულის წირვის წესი შეამოკლა წმ. ბასილი დიდმა, ხოლო ამ უკანასკნელის წირვა კი შეამოკლა წმ. იოანე ოქროპირმა); (2) საღვთო და სამღვდლო წიგნების თანამედროვე ენაზე დაბეჭდვის შესახებ (მთავარი არგუმენტი: ქრისტიანული რწმენა იმით განსხვავდება მაგიური შელოცვებისგან, რომ მისი ღვთისმსახურების აზრი გასაგები უნდა იყოს ადამიანისთვის); (3) ერში სასულიერო პირების ანაფორის გარეშე სიარულის შესახებ (კ. კეკელიძის მთავარი არგუმენტი, როდესაც მას მონაზვნების გარეგნობის შესახებაც ჰკითხეს: „ღვთისმშობლისა და წმ. ნინოზე უმაღლესი ქალწული მე სხვა არ მეგულება. თუ ივინი დაიარებოდნენ იმავე სამოსით, სხვა მათი თანამედროვენი, ჩვენი მონაზვნებიც და მით უმეტეს მამაკაცი ბერებიც, უფლებამოსილნი არიან ისევე ჩაიცვ-დაიხურონ, როგორც სხვებმა. მით უფრო რომ სარწმუნოება გარეგნობაში არ გამოიხატება“); (4) სამღვდელოების მიერ თმების შეკვეცისა და წვერის გაპარსვის დასაშვებობის შესახებ (მთავარი არგუმენტი: მოციქულების დროს გრძელი თმების ტარება სირცხვილად ითვლებოდა. პავლე წერდა: „თუ მამაკაცი გრძელ თმას მოუშვებს ეს მისთვის სახელის გატეხვაა“ (1 კორ. 11:14). ასევე წმ. მამები მას წარმართების ჩვეულებად მიიჩნევდნენ. VI მსოფლიო კრების 21-ე და 42-ე კანონები თმების შეკვეცის ვალდებულებას უდგენდა მღვდლებსა და ბერებს. დამოწმებულია სხვა კანონებიც).

იმდროინდელი პრესა („სახალხო საქმე“ #54, 1917, 19.IX) და ისტორიკოსი ევსევი ნიკოლაძე, რომელიც აღნიშნული კრების მონაწილე იყო, გვაუწყებენ, რომ დეკანოზ კ. კეკელიძის დებულებები და რეკომენდაციები კრებამ, მცირეოდენი დამაზუსტებელი კითხვა-პასუხის შემდეგ, ერთ-

სულოვნად გაიზიარა და დაადასტურა (ე. ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 249):

ნ. პაპუაშვილი. კ. კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი // ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი #1, 2008, 447

საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საეკლესიო ცხოვრების რეფორმის (რაც ნაწილობრივ გაატარა კიდეც, იხ. შესაბამისი პასაჟები), ასევე ეკუმენური და ინტერკონფესიური მისწრაფებები გამოავლინა. ახლად არჩეულმა პატრიარქმა, კირიონ II-მ ეპისკოპოლები გაუგზავნა არა მარტო მართლმადიდებელ პატრიარქებს, არამედ სომეხთა კათალიკოსს რომის პაპსა და დასავლეთ ევროპის სხვა საეკლესიო მოღვაწეებს და მათ ეკლესიათა დაახლოების სურვილი გაუზიარა (ამ საკითხზე ვრცლად იხ. ქვემოთ დასახელებულ ბიბლიოგრაფიაში ვ. კიკნაძისა და ნ. პაპუაშვილის ნაშრომები).

მომდევნო პატრიარქმა ლეონიდე ოქროპირიძემ მხარი დაუჭირა, მაგალითად, ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის იდეას და პაპის წარმომადგენლებს ყოველმხრივი თანადგომა აღუთქვა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კავკასიაში ყველაზე მეტად ავლენდა კეთილგანწყობას კათოლიკე მისიონერების მიმართ.

„საქართველოში წარგზავნილ მისიონერთა პირველი ჯგუფი ხუთი პადრესა⁷⁵ და ორი კათოლიკე ძმისგან შედგებოდა. სამეფო კარმა და თბილისის ეპისკოპოსმა მისიონერები პატივით მიიღო და მათ ორი სახლი უბოძა. ერთი წირვა-ლოცვის აღსასრულებლად, მეორე კი – საცხოვრებლად. რაც მთავარია, პადრებს ნებართვა მისცეს შეუზღუდავად აღესრულებინათ ღვთისმსახურება. თბილისში მისიონის დაარსებას ქართველი ხალხი ფრიად კეთილად

75. პადრე – მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „პატერ“, რომელიც ნიშნავს „მამას“. ასე მიმართავენ მღვდელს კათოლიკურ ეკლესიაში.

შეხვდა. მისიონერებმა ქრისტიანული რწმენის გავრცელებას, ხალხის მკურნალობასა და აღზრდა-განათლებას მოჰკიდეს ხელი (...) ყველა დროის მისიონერთა ერთსულოვანი აღიარებით, ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები, რომლებიც ოდესმე ჰყოლია საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას, იყვნენ სომხები. მართალია, ზოგჯერ ქართველებიც დევნიდნენ კათოლიკებს, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, ისიც მხოლოდ ბერძნებისა და განსაკუთრებით, სომხების შეგულისებით. უფრო ხშირად კი ქართველები იცავდნენ კათოლიკებს, რასაც ქვემოთ მოტანილი საბუთიც ამტკიცებს (ქვემოთ მ. თამარაშვილის ნაშრომიდან დამოწმებულია ერთ-ერთი პადრეს წერილი, რომელშიც ქართველი მეფის მიერ კათოლიკების სომხებისგან დაცვაზეა საუბარი, დ.თ.). (...) სომხები, რუსებთან შეთანხმებით, კვლავ თავგამოდებით ებრძოდნენ რომის ეკლესიის არსებობას საქართველოში. მათი ერთობლივი ძალისხმევით, მაგალითად, კაპუცინელი ბერების რიცხვი საოცრად შემცირდა და 1823 წლისთვის საქართველოში მხოლოდ სამი კაპუცინი იყო. რუსეთის მთავრობა საქართველოში დაფუძნების დროიდან გამუდმებით ეძებდა გზებს მისიონერების თავიდან მოსაშორებლად. იგი ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას...”

*გ. თორაძე, ნ. თორაძე. საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. რეცენზენტები:
ეპისკოპოსი ათანასე ჩახვაშვილი და პროფ. ზაზა აბაშიძე
(წიგნს სხვა რეკვიზიტები არ აქვს), გვ. 274 და 277*

„1923 წელს საკათალიკოსო საბჭომ, პატიმრობაში მყოფ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას კურთხევით, ახალი სტილის კალენდარზე გადასვლა გამოაცხადა, რაც 1927 წელს საეკლესიო კრებამაც დასტურყო. შემცირდა და გამარტივდა ღვთისმსახურების წესები, სამღვდელთა პირთა ყოფა-ცხოვრების რეგლამენტი და სხვა. მართალია განჩინებები კალენდარულ რეფორმასა და სხვა ცვლილებების შესახებ მრევლმა კომუნისტების შემოტა-

ნილ სიახლეებად აღიქვა, რის გამოც ისინი ცხოვრებაში ვერ დაინერგა, მაგრამ ფაქტია, რომ სასულიერო და საერო საზოგადოების ელიტარული ნაწილი მაშინ რეფორმებისა და ეკუმენური მოძრაობის მხარეზე იდგა:

ნ. პაპუაშვილი. საქართველოს ეკლესია XIX ს-დან დღემდე // რელიგიები საქართველოში. თბ., 2008, გვ. 166

სხვათა შორის დემოკრატიულ ორგანიზაციულ წყობასთან სიახლოვე საქართველოს ეკლესიისთვის არ ყოფილა უცხო ისტორიის მანძილზე. ანტიმონარქიული და რესპუბლიკანური მსოფლმხედველობით გამოირჩეოდა ზოგიერთი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეც.

„დღეს იქნებ ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ რესპუბლიკანიზმის იდეურ სულისჩამდგმელად და სტრუქტურული პირველნიმუშის ერთ-ერთ შემქმნელად საქართველოში XI საუკუნის მონასტრები გამოდიან. მხედველობაში გვაქვს რეფორმა, რომელიც ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, გიორგი ათონელმა განახორციელა. სამონასტრო მართვა-გამგებლობაში მან ძმობის უფლებები გააფართოვა, შექმნა განსაკუთრებული ორგანო – „სავანის ძმათა კრება“ და მამასახლისის „ზემოით დადგინების“ წესი არჩევითობით შეცვალა, საერთოდ შეზღუდა მისი ხელისუფლება და ის მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქციით შემოფარგლა (ანალოგიური რეფორმის გატარება დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიაში წმინდა ფრანცისკ ასიზელს მე-13 საუკუნეში უცდია).“

ავთო ჯოხაძე. 800 წლოვანი ბატონყმობის მარწუხებში // ჭკუა ვაისაგან. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 1994 გვ. 30-31

ივანე ჯავახიშვილი ძველი ბერების დემოკრატიული სულისკვეთების სხვა მხარეზეც მიგვითითებს. მისი სიტყვით,

„თავდაპირველად ბერმონაზონნი საეკლესიო სამონასტრო ცხოვრებაში დემოკრატიული აზრების მიმდევარნი და

განმახორციელებელნი იყვნენ: ჩამომავლობასა და წოდებრიობას უარყოფდნენ... თუმცა მოგვიანებით „წოდებრივი და საპატრიონუმი აზროვნება“ ეკლესიაშიც გაბატონდა.

*ივ. ჯავახიშვილი. თხზულ. თორმეტ ტომად.
ტ. VIII, თბ., 1977, 54*

2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის დაიდო „კონსტიტუციური შეთანხმების“ ხელშეკრულება, რომლითაც სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიენიჭა სხვადასხვა სახის შეღავათები და პრივილეგიები.

საქართველოს მოსახლეობის 83% თავს მიიჩნევს მართლმადიდებელ ქრისტიანად. დღესდღეობით მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს 35 ეპარქია, მათ შორის არის დასავლეთ-ევროპის ეპარქია.

1977 წლიდან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ხელმძღვანელობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

დღესდღეობით საქართველოს რამდენიმე ქალაქში ფუნქციონირებს სასულიერო აკადემია-სემინარია (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). სხვადასხვა ეპარქიებში მოქმედებს სასულიერო გიმნაზიები და საკვირაო სკოლები.

ისლამი

1. ისლამის წარმოშობა და გავრცელება

1. 2. ისლამი როგორც აბრაამისტული რელიგია

არაბული სიტყვა „ისლამი“ ნიშნავს უფლისადმი „მორჩილებას, მიწოდებას“. ისლამი ისტორიულად ყველაზე გვიან წარმოშობილი მსოფლიო რელიგიაა, რომლის დამფუძნებლად ითვლება მუჰამედი. თუმცა, მუჰამედი სულაც არ მოიაზრებდა საკუთარ თავს ახალი მსოფლიო რელიგიის დამფუძნებლად. ყურანში სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, რომ მუჰამედი მოწოდებულია არა ახალი სიტყვის სათქმელად, არამედ ადამიანებისთვის ერთი ჭეშმარიტი ღვთის მიმართ რწმენის „შესახსენებლად“, ამ რწმენის „აღსადგენად“ თავისი თავდაპირველი ფორმით (იხ. ყურანი 46:9).

როგორ ასაბუთებენ მუსლიმები საკუთარი რელიგიის გამორჩეულობის შესახებ შეხედულებას? ყურანში ვკითხულობთ: „არ ყოფილა აბრაამი⁷⁶ არც იუდეველი და არც ქრისტიანი, არამედ იყო ერთი ღმერთის⁷⁷ თაყვანისმცემელი, მუსლიმი“ (ყურანი 3:67).

ამრიგად, აბრაამი მიჩნეულია მუსლიმად, მისი რწმენა კი ცხადდება მუსლიმთა რწმენად. ყურანში ამგვარი სიტყვებიც გვხვდება: „ჭეშმარიტად, უფლის წინაშე ერთადერთი რელიგია – ისლამია“ (3:19). აქ კი სიტყვა „ისლამში“ იგულისხმება საკუთარი თავის ყველაზე გულწრფელი მიწოდება უფლისადმი. ყურანის თანახმად, უფლის რჩეულთა შორის, ყველაზე უკეთ, სწორედ აბრაამმა გამოავლინა ამგვარი დამოკიდებულება ღვთისადმი.

76. ყურანში აბრაამს „იბრაჰიმი“ ეწოდება.

77. სიტყვა „ღმერთის“ არაბული ეკვივალენტი „ალლაჰი“, („ალილაჰი“). შესაძლოა, ეს სახელწოდება წარმოშობილი იყოს ძველ აღთქმაში ნახსენები ღმერთის ერთ-ერთი სახელისგან „ელოჰიმი“. ძველ აღთქმაში ღმერთი აგრეთვე სხვა სახელებითაც მოიხსენიება: ცაბაოთ, ადონაი, იეჰოვა).

„უფალმა აბრაამი გამოირჩია თავის მეგობრად“ (ყურანი 4:125). ეპითეტი „უფლის მეგობარი“ მხოლოდ აბრაამის მიმართ არის გამოყენებული ყურანში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებულია გამოთქმა „მონა ღვთისა“.

შეიძლება ითქვას, რომ მუჰამედის რელიგიური თვითიდენტიფიკაცია სწორედ იმის გაცნობიერებით იწყება, რომ აბრაამი, რომელიც არც იუდეველია და არც ქრისტიანი, უკვე იყო ერთი ღმერთის მორწმუნე ანუ მონოთეისტური რელიგიის ფუძემდებელი (მოსეს ათი მცნებისა და სახარებისეული ნეტარებების წარმოქმნამდე). ასეთი რელიგიური შეგნების გარეშე, ალბათ, ისლამიც არ იარსებებდა, რადგან წარმართი არაბების მიერ მრავალღმერთიანობის უარყოფასა და ერთი ღმერთის თაყვანისცემის მიღებას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა მონოთეისტურ იუდაიზმზე ან ქრისტიანობაზე გადასვლა. მე-7 საუკუნისთვის კი (ისლამის წარმოშობის დრო) ორივე რელიგიას უკვე ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საკმაოდ მდიდარი სულიერი მემკვიდრეობა.

ისლამი, იუდაიზმისა და ქრისტიანობის მსგავსად, აბრაამისტული რელიგიაა, ანუ საკუთარ თავს ძველი აღთქმის ერთ-ერთი პატრიარქის, აბრაამის რწმენის მემკვიდრედ მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც (ისლამის შეფასებით) იუდეველებმა და ქრისტიანებმა დაამახინჯეს აბრაამის რწმენა, ღმერთი მუჰამედს შემდეგს ავალებს: „დაიცავი აბრაამის რელიგია, რომელიც ჭეშმარიტი რწმენა იყო (ყურანი 16:123).

А. Мюллер. История Ислама. М., 2004, გვ. 35

თუმცა არაბი მუსლიმები საკუთარ თავს მიიჩნევენ აბრაამის არა მხოლოდ სულიერ მემკვიდრეებად (მსგავსად ქრისტიანებისა), არამედ საკუთარ სისხლისმიერ წინაპრადაც (იუდეველთა მსგავსად) თვლიან ისმაილს, აბრაამისა და აგარის ვაჟს. სწორედ ამიტომ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანულ ლი-

ტერატურაში მუსლიმები ხშირად იწოდებოდნენ აგარიანებად,⁷⁸ ისმაილიტებად⁷⁹ ან სარკინოზებად.⁸⁰

ისლამური რელიგია თავისი რიცხოვნობით (1.5 მილიარდი) მეორე ადგილზე დგას ქრისტიანობის (2.1 მილიარდი) შემდეგ. ტრადიციულად იგი გავრცელებულია ატლანტის ოკეანიდან ინდონეზიამდე, ამჟამად კი იგი წარმოდგენილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და აქტიური საკრებულოებით ევროპასა და აშშ-ში.

არაბეთის ნახევარკუნძულზე მუჰამედის დაბადებამდეც იყვნენ ე. წ. „მონოთეისტი“ მქადაგებლები. მაგალითად, მუსალაიმი, საჯაჰი, ალ-ასვადი, იბნ საიდი, რომლებიც არაბებს კერპთაყვანისმცემლობის უარყოფისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, მონოთეისტური რელიგია მათ მხოლოდ მუჰამედის ქადაგებების შედეგად მიიღეს.

F. Rahman. Islam. Chicago 1979, p. 34

1. 3. ისლამადელი არაბეთი

მუჰამედი დაიბადა მექაში. ქალაქი მდებარეობდა არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, უდაბნო ადგილას. ამ დროს მექა მნიშვნელოვანი სავაჭრო და რელიგიური ცენტრი იყო. ამ ქალაქზე გადიოდა აფრიკიდან პალესტინასა და მესოპოტამიაში მიმავალი საქარავნო გზები. ასეთი ადგილმდებარეობის გამო, მექაში ყოველწლიურად ეწყობოდა ყველაზე დიდი ბაზრობა არაბეთის მასშტაბით. აქ იკრიბებოდნენ ვაჭრები თითქმის ყველა არაბული ტომიდან, რომლებიც, მართალია, ერთმანეთის

78. აგარიანი – აბრაამის მხევლისა და ისმაელის დედის, აგარის შთამომავალი; არაბი მუსლიმების საერთო სახელი.

79. ისმაილიტები – 1) აბრაამის პირველი ვაჟის, ისმაელის შთამომავლები; 2) მუსლიმთა საერთო სახელწოდება; 3) ერთ-ერთი ისლამური სექტის, ისმაილიტ-მუღიდეების, ასასინების (ქართ. – ალმუთელების) სახელწოდება.

80. სარკინოზი – არაბი მუსლიმების საერთო სახელწოდება ძველქართულად.

წინააღმდეგ განუწყვეტლივ იბრძოდნენ, მაგრამ ბაზრობის თვეს ერთმანეთში დროებით ზავდებოდნენ.

ეს თვე არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ მომლოცველობის თვეც იყო, რომელიც მექის ცენტრში მდგარ სიწმინდესთან აღესრულებოდა, რომელსაც ეწოდებოდა „ქააბა“⁸¹ ამ სწორკუთხა ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია მეტეორიტული წარმოშობის შავი ქვა – ეს იდუმალეებით მოსილი ზეციური ნივთი, რომელსაც თავყვანს სცემდა ყველა არაბული ტომი. ამასთანავე თითოეულ ტომს მთავარი ღვთაებაც ჰყავდა, რომელიც ითვლებოდა ტომის მფარველად.

მექაში მთავარ ღვთაებად ითვლებოდა „ჰუბალი“ – წვიმისა და ჭექა-ქუხილის მბრძანებელი (ალბათ, სწორედ უდაბნო/უწყლო ადგილების გამო მიაჩნდათ იგი მთავარ ღვთაებად). ეს კერპიც, შავ ქვასთან ერთად, ხსენებული ნაგებობის შიგნით ესვენა. მას გარს ერტყა სხვა არაბული ტომების კერპებიც. ამრიგად, მექაში თითოეულ ტომს ჰყავდა წარმოდგენილი თავისი ღვთაება.

1. 4. მუჰამედი

ყურანი, როგორც ღვთიური გამოცხადება, ისლამის საფუძველთა საფუძველია, თუმცა ამ რელიგიის წარმოშობის რეალური ისტორია უპირველეს ყოვლისა, მისი დამფუძნებლის, მუჰამედის პიროვნებით არის განპირობებული. ყურანში მუჰამედი წარმოდგენილია, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის ერთადერთი მისია⁸² ადამიანებისათვის ღვთაებრივი გამოცხადების გადაცემაში მდგომარეობს.

მუსლიმურ ისტორიოგრაფიაში მუჰამედს ენიჭება წარგზავნილის (მოციქულის) განსაკუთრებული როლი, რომელიც ორი ეპოქის ერთმანეთთან დამაკავშირებელია – წინასწარმეტყველთა ისტორიისა, რომლის დამავგირგვინებლადაც ითვლება მუჰამედი

81. ქააბა (ალ-ქააბა) – არაბულად ნიშნავს „უფლის სახლს“, რომელიც, მუსლიმთა რწმენით, ააგო ადამმა, აღადგინა აბრაამმა, კერპებისაგან კი გაწმინდა მუჰამედმა.

82. მისია – მოწოდება, დავალება, წარგზავნა რაღაც მიზნისთვის.

და ისლამის ისტორიისა, რომლის დამფუძნებლადაც მოგვევლინა იგი.

ისლამთმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, ცდილობს რა ალგვიწეროს მუჰამედის ისტორიული სახე, ძირითადად, ეყრდნობა მისი ცხოვრების შესახებ იმ ცნობების კრიტიკულ ანალიზს, რომლებიც დაცულია ყურანში, რელიგიურ გადმოცემაში, მუსლიმ ისტორიკოსთა ნაწერებსა და უშუალოდ მუჰამედის ცხოვრების აღწერილობებში. ამ მხრივ, როგორც თავად მუსლიმური, ასევე დასავლური კომენტარებით აღჭურვილი ყურანი წარმოადგენს ყველაზე სანდო წყაროს, მაგრამ იგი შეიცავს საკმაოდ მწირ ინფორმაციას ისლამის დამფუძნებლის შესახებ.

მართალია, კრებული, რომლის სახელწოდებაა „სუნა“ (ამ კრებულის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) და მასზე დაფუძნებული მუჰამედის ცხოვრების აღწერილობები უმდიდრეს მასალას გვაწვდის, მაგრამ, სამწუხაროდ, მათში ერთმანეთშია არეული ისტორიული რეალიები და ლეგენდარული ხასიათის მონათხრობები. მუჰამედის პირველი ბიოგრაფია შედგენილია იბნ ისჰაკის (გარდ. 767 წ.) მიერ, ჩვენამდე მიღწეულია იბნ ჰიშამის (გარდ. 834 წ.), გადამუშავებული ვერსიით.

ქალაქ მექის ერთ-ერთ ღარიბ ოჯახში იშვა ბიჭუნა, რომელსაც სახელად მუჰამედი უწოდეს. მუსლიმური ტრადიციის თანახმად, იგი დაიბადა 570 წ. მას განგებამ წილად არგუნა ყოფილიყო ახალი მსოფლიო რელიგიის – ისლამის დამფუძნებელი. არც თუ ისე დიდი ზომის მუსლიმური სახელმწიფო სწორედ ამ რელიგიის საფუძველზე საოცრად მოკლე ისტორიულ მონაკვეთში ძლევამოსილ იმპერიად – სახალიფოდ გადაიქცა, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორიები მოიცვა ირანისა და თვით ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილების ჩათვლით.

მუჰამედის მამა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე გარდაიცვალა, ხოლო დედა – მამინე, როცა მას 6 წელი შეუსრულდა. იგი აღსაზრდელად ბიძამ წაიყვანა. მუჰამედი, ჭაბუკობიდანვე დაჰყვებოდა მას საქარავნო მოგზაურობებში. როგორც მუჰამედის ბიოგრაფი იბნ ჰიშამი მოგვითხრობს, ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, ასურელმა ქრისტიანმა ბერმა ახალგაზრდა მუჰამედში მომავალი წინასწარმეტყველი განჭვრიტა.

გარკვეული პერიოდის შემდგომ, მუჰამედმა თავისი სავაჭრო საქმიანობა მექაში მცხოვრებ ერთ მდიდარ ქვრივთან, ჰადიჯასთან დაიწყო, რომელზეც დაქორწინდა კიდევ 25 წლის ასაკში. სანამ ჰადიჯა ცოცხალი იყო, მუჰამედს სხვა ცოლი არ შეურთავს, თუმცა არაბული ადათ-წესები ამის ნებას იძლეოდა. მუჰამედს შეეძინა რამდენიმე შვილი (მათ შორის იყო მისი საყვარელი ასული ფატიმა). დანარჩენები ყრმობაშივე გარდაიცვალნენ.

მუჰამედის შესახებ მისი მეუღლე აიშა გადმოგვცემს: „ის არასდროს არავის განსჯიდა და არ ადანაშაულებდა. უხეშობაზე არასდროს არ პასუხობდა უხეშად, მოქმედებდა მისთვის დამახასიათებელი სიკეთითა და კეთილშობილებით. იგი შორს იყო ყოველგვარი ბოროტებისგან, არასდროს არ ბრაზდებოდა, როცა უსამართლობა პირადად მას ეხებოდა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა სხვათა ღირსების შელახვას. იგი ყველა სულიერის წინაშე იჩენდა პატივისცემას (...) აბუ ბასრ ალ-გიფარი გვიაზიშობდა: მედინაში სტუმრად მუჰამედთან გაეჩერდი. იმ ღამეს მე შვიდი ცხვრის ნაწველი რძე შევსვი, მაგრამ მას ჩემი უზრდელობისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მუჰამედმა იმ ღამეს მშვიერი დაიძინა. მას არც გაბრაზება და არც უკმაყოფილება არ გამოუხატავს. ვიხილე რა ასეთი მაღალი ზნეობის ადამიანი, მუჰამედის ხასიათით გაკვირვებულმა მეორე დღესვე მივიღე ისლამი“.

*ქართული მუსლიმური ჟურნალი „რწმენის წყარო“
#1, 2007, გვ. 12*

საქარაგნო მოგზაურობების დროს მუჰამედი ინტერესით ისმენდა იუდეველთა და ქრისტიანთა საუბრებს. მუჰამედს უყვარდა ქალაქ მექის გარეთ მთებში განმარტოება და რელიგიულ ზნეობრივ საკითხებზე ფიქრი. ერთ-ერთი ასეთი განმარტოების დროს მას ეწვია მისტიკური ხილვა (გამოცხადება). ამ დროისთვის მუჰამედი 40 წლის იყო. მას გამოქვაბულში ეძინა, უცებ ვილაცის ხმა გაიგონა: „წაიკითხე“ მუჰამედმა უპასუხა: „კითხვა არ ვიცი“. მაგრამ უცნობმა ხმამ ორჯერ გაიმეორა იგივე მოთხოვნა. როცა მუჰამედმა იკითხა „რა უნდა წავიკითხო?“ მაშინ გაისმა ყურანის პირვე-

ლი სიტყვები: „წაიკითხე! შენი უფლის სახელით...“ ამ სიტყვების გამეორების შემდეგ მას გამოეღვიძა. გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ მას კიდევ მოესმა: „მუჰამედ, შენ უფლის მოციქული უნდა იყო. მე ჯიბრაილი⁸³ ვარ.“ როდესაც მუჰამედმა ჰორიზონტზე გაიხედა, დაინახა ანგელოზი⁸⁴ ადამიანური გარეგნობით, რომელმხარესაც არ უნდა შეტრიალუბულიყო, ანგელოზი მის წინ იდგა.

შეშინებული მუჰამედი სახლში დაბრუნდა და ლოგინში ჩაწვა. ამჯერად უკვე საკუთარ სახლში, მას კვლავ მოესმა იგივე ხმა სიზმარში, რომელიც დაჟინებით უმეორებდა, რომ ამიერიდან მას წინასწარმეტყველის მისია ეკისრებოდა და რომ უფლის გამო მომავალში დიდი განსაცდელების დათმენა მოუწევდა (ყურანი 74:1-7). როცა მუჰამედმა თავის მეუღლეს, ჰადიჯას გაუმხილა ყოველივე, მან პირველმა უთხრა შემდეგი სიტყვები: „ვფიცავ მათ, ვისი მფარველობის ქვეშაც ჰადიჯას სულია, რომ შენ ჩვენი მოდგმის წინასწარმეტყველი იქნები.“ ამის შემდეგ ჰადიჯა მიემართება თავის ბიძაშვილთან, რომელსაც ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული და როცა ყოველივეს აუწყებს მას, ისიც დაუდასტურებს უფლის მიერ მუჰამედის გამორჩევას: „თუ ყველაფერი მართალია, რაც შენ მიამბე, ჰადიჯა, მაშინ მას ნამდვილად ანგელოზი გაბრიელი გამოცხადებია, რომელიც ასევე ხშირად ევლინებოდა მოსეს. ჩვენი წინასწარმეტყველი იქნება იგი და გადაეცე, რომ სულიერად განმტკიცდეს.“

ასე დაიწყო მუჰამედის წინასწარმეტყველური მსახურება.

1. 5. ქადაგება მექაში

დაახლოებით 610 წლისთვის მუჰამედი იწყებს ქადაგებას თანატომელების წინაშე. თავისი პირველი ქადაგებებისას იგი აღნიშნავდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი – ალაჰი, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სხვა ღმერთები; რომ

83. ჯიბრაილი – არაბული სახელწოდება გაბრიელისა, რომელიც უმაღლესი რანგის ანგელოზებს მიეკუთვნება. ითვლება მუჰამედის მფარველ ანგელოზად.

84. ანგელოზი – ზეციური არსება, უხორცო, გონიერი, მოაზროვნე ძალა; შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის.

ლმერთს არ შეიძლება ჰყავდეს შვილები და რომ მხოლოდ მას ერ-
თადერთს შეშვენიის თაყვანისცემა. მუჰამედი ქადაგებდა ლმერთის
ყოვლადღლიერების შესახებაც, რომ სამყარო სწორედ მისი შექმ-
ნილია, ყოველივე ხდება მისი ნებით და ემორჩილება მის ძალაუფ-
ლებას; ლმერთი მოწყალეა და კეთილი, იგი უხვად აჯილდოებს
მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც კეთილი საქმეებით ამკობენ
საკუთარ ცხოვრებას, მაგრამ მას ასევე ძალუძს განრისხება იმ
ადამიანების გამო, რომელთაც არ სწამთ ლმერთის და ა.შ.

„არა არს ლმერთი, თვინიერ მისისა, მარად ცოცხა-
ლისა, მუდმივად არსებულისა. არასოდეს წაართმევს მას
თვლელა, არცა ძილი. მისია ყოველი, რაც ცათა შინაა და
რაც ქვეყანასა ზედაა. და ვინ არის, ვინც მის წინაშე შუამდ-
გომლობას გაბედავს, ისე თუ მისი ნება არ იქნა, რომელმაც
იცის ყველაფერი, რაც მათზე უწინ იყო და რაც იქნება მათ
შემდეგ. ხოლო ისინი ვერაფერს მისწვდებიან მისი ცოდნი-
საგან იმის გარდა, რასაც თვით ინებებს.“

„ისინი, ვინც ხარჯავს ქონებას ალაჰის გულისთვის და
უკან არ გაჰყვებიან იმას, რაც დახარჯეს – დაყვედრებითა
და გაავეებით – მათი სასყიდელი მათ უფალთანაა. შიში არ
ექნეთ, არ ინალვლონ. კეთილი სიტყვა და პატიება უმჯო-
ბესია მოწყალებაზე, რომელსაც შემდეგ დაცინვა მოჰყვე-
ბა. ალაჰი დაუჭირებელია და სულგრძელი.“

„ალაჰისაა ყოველი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა
ზედაა. გინდ ამჟღავნებდეთ, გინდ ფარავდეთ, ალაჰი იმის
მიხედვით განგსჯით, რაც გულში გაქვთ...“

ყურანი, 2:255,262,284

*(ყურანი. არაბულიდან თარგმნა პროფესორმა
გიორგი ლობჯანიძემ. თბ., კავკასიური სახლი 2006)*

მუჰამედი ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავდა, რომ
ყველაფერი, რასაც იგი ქადაგებს, არის არა საკუთრივ მისი, არა-
მედ უფლის სიტყვები; რომ ის მხოლოდ გადმოცემია (გამტარია)
ამ სიტყვებისა. ამის საილუსტრაციოდ იგი მიუთითებდა ძველი
ებრაელი წინასწარმეტყველების, აბრაამის, მოსეს, დავითის და
სხვათა მაგალითებზე, რომლებსაც ხშირად ახსენებს ყურანი, რო-

გორც უფლის რჩეულ ადამიანებს. მუჰამედის მითითებით, ისინიც მხოლოდ გადამცემნი იყვნენ იმ ჭეშმარიტებისა, რასაც ღმერთი უცხადებდა მათ.

მაგრამ მუჰამედის თანატომელებმა არ მოისურვეს ელიარე-ბინათ იგი უფლის რჩეულ ადამიანად და აგრძელებდნენ თავისი მრავალრიცხოვანი კერპების თაყვანისცემას. ისინი დასცინოდნენ მუჰამედს და ეშმაკისაგან შეპყრობილს უწოდებდნენ. თუმცა მალე მექის მოსახლეობის ნაწილმა დაიწყო მისი ყურადღებით მოსმენა. თავდაპირველად მათი რიცხვი ძალზედ მცირე იყო, სულ რაღაც რამდენიმე ათეული ადამიანი, მაგრამ ამან სერიოზულად შეაშ-ფოთა მუჰამედის მოწინააღმდეგეები, რის გამოც ისინი დაცინვი-დან მუქარაზე და მუჰამედის პირველი მიმდევრების დევნაზე გა-დავიდნენ. ამრიგად, მუჰამედის მრავალი მიმდევარი უკვე 615 წ. იძულებული იყო, თავშესაფარი ქრისტიანულ ეთიოპიაში ეძებნა. თავად მუჰამედს ამ დროისთვის ამგვარი საფრთხე არ ემუქრებო-და, რადგან იგი საკუთარი ბიძის მფარველობის ქვეშ იმყოფებო-და, რომელიც მაშინ გვარის მეთაურად ითვლებოდა.

„[არაბი] ვაჭრების ეს ფენა გარდა ქონების დაუნჯეზი-სა, არაფერზე ფიქრობდა. რელიგია და სარწმუნოება მათ-თვის მხოლოდ საქმეში წარმატების მიღწევის საშუალება იყო. თუ ისლამის ქადაგება მათ მატერიალურ ცხოვრებას არ დაემუქრებოდა, ისინი მუჰამედს ასე არ დაუპირისპირ-დებოდნენ“.

*ს. შაჰიდი. ცხოვრება მუჰამადისა.
სპარსულიდან თარგმნა ნ. ბართაიამ. თბ., 2008, გვ. 10*

1. 6. ისლამის ეპოქის დასაწყისი

620 წ., რომელმაც მუსლიმურ ტრადიციაში გლოვის წელის სახელწოდება მიიღო, გარდაიცვალა მუჰამედის ბიძა და მეუღლე ჰადიჯა. ამით მას ერთდროულად წაერთვა როგორც გვარტომობ-რივი მფარველობა, ასევე მორალური მხარდაჭერა. ამის შედეგად, მუჰამედისთვის დღითიდღე უფრო რთულდებოდა მექაში დარჩე-ნა. მან მახლობელ ქალაქებში დაიწყო ქადაგება, მაგრამ აქაც პირ-

ველ ხანებში მის ძალისხმევას არ ჰქონია წარმატება. მაგალითად, ერთ-ერთ ქალაქში იგი ცოცხალი ძლივს გადაურჩა განრისხებულ ბრბოს. და მაინც, ისლამისა და ყურანის შესახებ სულ უფრო მეტი ადამიანი გებულობდა ქალაქ მექის გარეთაც. მუჰამედი თანდათან დაუახლოვდა ქალაქ იასრიბის ზოგიერთ მოსახლეს, რომლებიც გაგებითა და პატივისცემით შეხვდნენ მას.

ქალაქ იასრიბის მოსახლეობა ძირითადად ორი არაბული ტომისგან შედგებოდა (თუ არ ჩავთვლით ამავე ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს), რომლებიც გამუდმებულ კონფლიქტში იყვნენ ერთმანეთში. ასეთ შემთხვევებში, არსებული ადათის მიხედვით, შესაძლებელი იყო განმსჯელის (ერთგვარი მოსამართლის) სახით მოეწვიათ მათ შორის განსაკუთრებული ავტორიტეტითა და პატივისცემით მოსილი ადამიანი. არჩევანი მუჰამედზე შეჩერდა: იასრიბის მოსახლეობამ თანხმობა განაცხადა ელიარებინათ მუჰამედი უფლის მოციქულად (წარმოგზავნილად). მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგად, მუჰამედმა თავის მიმდევრებთან ერთად საბოლოოდ გადაწყვიტა ქალაქ მექის დატოვება და იასრიბში გადასახლება.

ეს გადასახლება განხორციელდა თანდათანობით, რასაც თან ახლდა გარკვეული სირთულეებიც. მუჰამედი და პირველი მუსლიმები ძლივს ახერხებდნენ თავისი მდევნელებისაგან თავის დაღწევას, მექიდან გამოდიოდნენ შემოვლითი გზებით. ერთი პერიოდი გამოქვაბულებშიც მოუწიათ დამალვა. მუჰამედის გადასახლება იასრიბში, რომელიც, ყველაზე უფრო ზუსტი გათვლებით, 622 წლის 24 სექტემბერს მოხდა, ითვლება ისლამური წელთაღრიცხვის დასაწყისად, რომელიც მთვარის კალენდრის მიხედვით იანვარიშება.

იასრიბში დასახლების შემდეგ მუჰამედმა მუსლიმთა ახლად-ჩამოყალიბებულ თემს საკუთარი წესდება დაუდგინა, რომლითაც ისინი სამუდამოდ გაემიჯნენ არაბულ წარმართობას და რომელმაც საფუძველი დაუდო ისლამს, როგორც რელიგიურ-საზოგადოებრივ წყობას. მალე ქალაქმა იასრიბმა ახალი სახელწოდება შეიძინა – „მადინათ ან-ნაბი“ („წინასწარმეტყველის ქალაქი“). მოგვიანებით კი მას უბრალოდ „მედინას“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „ქალაქს“. მუჰამედის გადასახლებიდან ერთი წლის თავზე, მედინა-

ში ააგეს მეჩეთი, რომელიც შემდგომში მუსლიმთა ერთ-ერთ მთავარ სიწმინდედ იქცა.

მედინაში ცხოვრების დროს მუჰამედი რელიგიურ და სამართლებრივ კანონშემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აწარმოებდა შეიარაღებულ ბრძოლასაც არაბეთის წარმართულ ტომებთან, უპირველეს ყოვლისა მექელებთან. თუმცა, ალბათ, შეცდომა იქნება, თუ ჩვენ „მახვილის როლს“ გადაჭარბებულ მნიშვნელობას მივანიჭებთ ისლამის გავრცელების საქმეში, რადგან მუჰამედი, როგორც უფლის მოციქული, თავის რელიგიური მიზნების განხორციელებისას უპირატესობას მშვიდობიან და დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს ანიჭებდა.

თუკი 622 წ. მუჰამედი 150 მიმდევართან ერთად გადმოსახლდა მექიდან მედინაში, სულ რაღაც რვა წლის შემდეგ, იგი 10,000-მდე მუსლიმი მეომრით მიაღდა მექას. წარმართულმა მექამ ბრძოლის გარეშე დაყარა იარაღი. მექელთა უმრავლესობამ იმავე წელს მიიღო ისლამი. მუჰამედმა წარმართული სამლოცველო „ქაბა“ კერპებისგან განწმინდა, დატოვა მხოლოდ შავი ქვა, რომელიც ერთი ღმერთის ყოვლადძლიერების სიმბოლოდ მიიჩნევა.

მუჰამედი მედინაში დაბრუნდა და იქ განაგრძო ცხოვრება. მხოლოდ ერთხელ, 632 წ., მოილოცა მუჰამედმა მექა. ეს ვიზიტი ცნობილია „გამოსამშვიდობებელი მოლოცვის“ სახელით. ამ დროისთვის თითქმის ყველა არაბულ ტომს მიღებული ჰქონდა ისლამი, მუჰამედი კი უკვე გეგმავდა ისლამის გავრცელებას არაბეთის საზღვრებს მიღმა. იგი ემზადებოდა ექსპედიციისთვის სირიაში, მაგრამ ეს განახორციელეს მისმა მემკვიდრეებმა – „მართლმორწმუნე ხალიფებმა“. 632 წ. მუჰამედი გარდაიცვალა.

ირანის პრეზიდენტი, მოჰამად ხათამი (1997-2005 წწ.): „რენესანსის მემკთიანეები გვაუწყებენ, რომ ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროსთან იტალიელების ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად იტალიელებს ტოლერანტობის უნარი გამოუმუშავდათ. იტალიელებმა ისლამური ცივილიზაცია ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გაიცნეს და აღფრთოვანდნენ. ეს ცოდნა, უცხო კულტურის შეცნობა და თანმდევი აღფრთოვანება იყო ყველაზე წონადი ფაქტორი იტალიელებში ტოლერანტობის უნარის გამოუმუშავებისთვის.

ბედის ირონიაა, რომ ტოლერანტობის უნარს, რომელიც მუსლიმებისგან იქნა შეძენილი და წარმოადგენს მათთან ევროპელების ურთიერთობების შედეგს, ჩვენს დროში ევროპელები სთავაზობენ მუსლიმებს, როგორც ეთიკურსა და პოლიტიკურ რჩევას. ევროპელებში ტოლერანტული სულისკვეთების განვითარებაში მუსლიმური გავლენის ფაქტორი ცალსახაა, მასზე მეტყველებს ევროპული მწიგნობრობის ისტორიაც...

მოჰამად ხათამი. ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი. თბილისი 2005, გვ. 29

თავის სხვა წერილში მ. ხათამი შემდეგს აღნიშნავს: „აუცილებელია გამოვარკვიოთ, კონკრეტულად რომელი სახის ისლამზე გვინდა დავაფუძნოთ ჩვენი ყოფიერება (...) უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ისლამის მთელ ისტორიაზე, ჩვენ ვუპირისპირდებოდით სამ სხვადასხვა ისლამს. იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, ისლამის რომელი სახეობა გვინდა, ჩვენ უნდა მოვერიდოთ ფრაქციულ კინკლაობას, ისე, რომ შევძლოთ ჩვენი სამომავლო გზა გავკვალოთ ისლამის მართებული სახეობის საფუძველზე. ტრადიციულად ჩვენ საქმე გვქონდა რეგრესულ, ფსევდო და ჭეშმარიტ ისლამთან...“

მოჰამად ხათამი. ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი... გვ. 105

ისლამური ცივილიზაცია ხშირად აღიქმება როგორც ინდივიდუალური თავისუფლების მიმართ ფუნდამენტურად შეუწყნარებელი და მტრულად განწყობილი. მაგრამ სინამდვილეში ისლამისთვის (განსაკუთრებით მისი ტრადიციის შიგნით) საკმაოდ დამახასიათებელია მრავალსახეობა. ინდოეთში აქბარმა და ასევე სხვა იმპერატორებმა როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური ტოლერანტობის თეორიისა და პრაქტიკის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს. მსგავსი მაგალითები მოიძებნება ისლამური კულტურის სხვადასხვა განშტოებებშიც. თურქი იმპერა-

ტორები ხშირად უფრო შემწყნარებლები იყვნენ, ვიდრე მათი ევროპელი კოლეგები. ჩვენ მრავალ ასეთ მაგალითს გვაწვდის კაიროსა და ბაღდადის ისტორია. აი, ერთ-ერთი: დიდი იუდეველი მეცნიერი მაიმონიდი (XII ს.) იძულებული გახდა გამოქცეოდა ებრაელების მიმართ შეუწყნარებელ ევროპას (სადაც იგი იყო დაბადებული) და თავშესაფარი ტოლერანტულ კაიროში, სულთან სალადინთან (მუსლიმ მმართველთან, დ.თ.) ეპოვნა. ასეთი მაგალითი ბევრია. არსი კი ის არის, რომ „აზიურ ღირებულებათა“ ავტორიტარულობის სტერეოტიპის თანამედროვე დამცველები თავიანთ შეხედულებებს ტრადიციის ერთობ თვითნებურ ინტერპრეტაციებსა და მეტისმეტად მცირერიცხოვან ავტორებზე აფუძნებენ. თავისუფლების ფასეულობის შესახებ წარმოდგენა მხოლოდ ერთი კულტურისთვის როდია დამახასიათებელი“.

*ამარტია სენი.
კულტურა და ადამიანის უფლებები //
ჟურნ. „სოლიდარობა“ #6, 2008, გვ. 34*

2. ისლამის წერილობითი წყაროები

2. 1. ყურანი

პირველი სიტყვა, რომელიც მუჰამედს ზეციდან ეუწყა, იყო სიტყვა „წაიკითხე...“ („წაიკითხე! შენი უფლის სახელით, რომელმაც შექმნა ადამიანი მიწისგან. წაიკითხე! შენი გულუხვი უფლის გამო...“ ყურანი 96:1-5). სწორედ არაბული ზმნისგან „კარა‘ა“ („კითხვა“) მომდინარეობს სიტყვა „ალ-კურა‘ან“ – ყურანი.

ყურანი უპირველესი წყაროა ისლამისთვის, ისევე როგორც ბიბლია ქრისტიანობისთვის. ღმერთი მუჰამედს ყურანში გადმოცემულ შეხედულებებს 22 წლის განმავლობაში კარნახობდა (იხ. ყურანი 16:102). ყურანში ორჯერ არის აღნიშნული, რომ ღმერთმა საკუთარი გამოცხადება არაბულ ენაზე გადმოსცა (ყურანი 16:103; 26:195).

ყურანი დაყოფილია 114 ნაწილად, რომლებსაც „სურები“ ეწოდება. თავის მხრივ თითოეული სურა შედგება „აიებისაგან“, ანუ მუხლებისგან. ყურანის სურები ზომით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ყველაზე პატარა სურა სამი აიასგან შედგება, ხოლო ყველაზე დიდი – 286 აიასგან. განსხვავებული ზომებისაა თავად აიებიც: ყველაზე მოკლე აია ერთი სიტყვისგან შედგება, ხოლო ყველაზე გრძელი – 68 სიტყვისგან.

თითოეულ სურას თავისი სახელწოდება აქვს. მაგალითად, ყურანის ყველაზე დიდ (მეორე) სურას ეწოდება „ძროხა“, 24-ე სურას „სინათლე“, 35-ეს – „ანგელოზები“, 110-ე სურას კი, რომელიც სულ რაღაც სამი აიათისგან შედგება, ეწოდება „შეწევნა“. სურის სახელწოდება არა იმდენად მის შინაარსს ასახავს, რამდენადაც დაკავშირებულია მოცემული სურის ყველაზე დასამახსოვრებელ და გამოკვეთილ ფრაზასთან ან თემასთან/საკითხთან.

ყურანის სტილი განსხვავდება როგორც პროზისგან, ისევე პოეზიისგან. ტექსტი ძირითადად გარითმული პროზაა, რომელსაც არ გააჩნია ერთნაირი ზომები და რითმები. იშვიათი გამოწკლისის გარდა, სურა არ არის წარმოდგენილი ერთი მთლიანი შინაარსით. იგი შეიცავს ცალკეულ სიუჟეტებსა და ნაწყვეტებს, რომლებიც ხშირად მეორდება სურიდან სურაში, წარმოგვიდგებიან რა ოდნავ განსხვავებული ან შევსებული ფორმით. ფრაზების, სიუჟეტებისა და რჩევა-დარიგებების ხშირი გამეორება ყურანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა.

ყურანში ხშირად ვხვდებით, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი შინაარსის მუხლებს. მსგავსი წინააღმდეგობები გარკვეულ შემთხვევებში გადმოცემული მოვლენისა თუ შეხედულების სირთულეზე, არაერთმნიშვნელოვნობაზე მიუთითებს. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც გარკვეულ წეს-ჩვეულებებზეა საუბარი (მაგალითად, ლოცვის აღსრულების წესზე), მოგვიანო მუხლი აუქმებს ადრეულ მუხლებში გადმოცემულ დანაწესს. ამის შესახებ თავად ყურანშივე აღინიშნება: „როდესაც ვაუქმებთ რომელიმე წესს, ან მის დავიწყებას ვბრძანებთ, მაშინ სხვა, მასზე უკეთეს ან მის თანასწორ წესს ვადგენთ. განა არ იცი, რომ ღმერთი ყოვლის-შემძლეა?“ (ყურანი 2:106).

ყურანში ფართოდ არის ასახული იუდაური და ქრისტიანული ტრადიციების ელემენტები და გამოკვეთილია საკუთრივ ის-

ლამის მიმართება მათ სწავლებებთან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუჰამედმა ბევრი რამ გადმოიღო იუდაური და ქრისტიანული რელიგიებისგან. მუჰამედმა მათი იდეები და პრობლემები მთელი თავისი არსებით შეიგრძნო, შეითვისა და ახლებურად გაიაზრა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მუჰამედი იუდაიზმს არა იმდენად ძველი ალთქმის წიგნებით იცნობდა, რამდენადაც თალმუდისა⁸⁵ და მიდრაშის⁸⁶ ზეპირი გადმოცემების საშუალებით. ქრისტიანობას კი იგი, ძირითადად, აპოკრიფულ⁸⁷ ლიტერატურაში დაცული ხალხური გადმოცემებით იცნობდა. ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას მუჰამედის ზოგიერთი არაადეკვატური, ქრისტიანთა შეფასებით, ერეტიკული⁸⁸ წარმოდგენა იუდეველთა და ქრისტიანთა რწმენის შესახებ.

მუჰამედის სიცოცხლეში ყურანის ტექსტი ადამიანებს, ძირითადად, ზეპირი გზით გადაეცემოდათ, არსებობდა მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტთა ჩანაწერები. ყურანის ტექსტის პირველი ჩანა-

85. თალმუდი – იუდაიზმის დოგმატური, რელიგიურ-ეთიკური დებულებების კრებული (ჩამოყალიბდა ჩვ. წ.-ალ.-მდე მე-4 საუკუნიდან – ჩვ. წ.-ალ.-ით მე-5 საუკუნემდე). თალმუდი შეიცავს მიშნას (თორის განმარტებას) და ჰემარას (თავად მიშნას განმარტებას).

86. მიდრაში – ზეპირი თორის ნაწილი, რომელიც წერილობით თორასთან ერთად იუდაიზმის ტრადიციის კუთვნილებაა. შეიცავს წერილობითი თორის განმარტებებს.

87. აპოკრიფული ლიტერატურა – როგორც წესი, ამ სახელწოდებით მოიხსენიება ოფიციალური ეკლესიისთვის მიუღებელი, ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) მცდარი შეხედულებების შემცველი წერილობითი ძეგლები. „აპოკრიფულის“ სინონიმად ზოგჯერ გამოთქმა „არაკანონიკურსაც“ ხმარობენ. მისი ძველქართული ეკვივალენტია „დაუბეჭდავი“. ტერმინი „აპოკრიფი“ მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვისგან, რაც დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს.

88. ერესი (აქედან, ერეტიკული) – ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში მან ახირების, აკვიატებული აზრის მნიშვნელობა შეიძინა. სიტყვა მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან „ჰაირეო“, რაც პიროვნულ არჩევანს ნიშნავს. ქართული სინონიმებია „მწვალებლობა“, „წვალება“.

წერი წარმოიშვა წინასწარმეტყველ მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ხალიფი აბუ ბექრის (632-34) მეფობის დროს.

ყურანი, როგორც საღვთისმსახურო წიგნი, მუსლიმთა აზრით, ლეგიტიმურია მხოლოდ არაბულ ენაზე. თავდაპირველად ყურანის თარგმნა სხვა ენაზე აკრძალული იყო, თუმცა თვით მუსლიმური ისტორიოგრაფიის მიხედვით, უკვე მეშვიდე საუკუნეშივე გამოჩნდა ყურანის სპარსული თარგმანი. ამჟამად თავად მუსლიმები აქტიურად თარგმნიან ყურანს სხვადასხვა ენაზე, თუმცა ამ თარგმანებს არ ენიჭებათ არაბულენოვანი ყურანის თანაფარდი სტატუსი და მნიშვნელობა.

ისტორიული წყაროების თანახმად, ქართულად ყურანის თარგმნის რამდენიმე ვარიანტი უნდა არსებულებოდა. ცნობილი მწიგნობრისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით „ყურანი ქართულს ენაზედ უნდა იყოს ნათარგმნი მე-10 საუკუნეში და იქნებ, მე-9 საუკუნეშიც...“ მე-19 საუკუნეში ყურანის ქართული თარგმანი (ფრანგულიდან) შეუსრულებია ცნობილ ქართველ მწერალს, პეტრე მირიანაშვილს. მისი თარგმანი 1906 წ. გამოსცა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ. (ყურანი მუჰამადისა. თარგმნილი პეტრე მირიანაშვილის მიერ. თბილისი 1906).

მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო ფიქრი ყურანის ახალ, უშუალოდ არაბული ორიგინალიდან თარგმნის შესახებ. ყურანის რამოდენიმე სურა ქართულ ენაზე მართლაც გამოაქვეყნა პროფესორმა აპოლონ სილაგაძემ.

ყურანის სრული ქართული თარგმანი კი არაბული ორიგინალიდან განაზოგადილა პროფესორმა გიორგი ლობჯანიძემ (ყურანი. თბ., კავკასიური სახლი 2006).

2. 2. სუნა

სუნას წარმოქმნის მიზეზები. მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმური სამყაროს მმართველები იყვნენ მისი მემკვიდრეები – ხალიფები. არაბულად სიტყვა „ხალიფა“ ნიშნავს „მონაცვლეს, მოადგილეს“. ხალიფები არ ითვლებოდნენ ღვთაებრივი გამოცხადების მაუწყებლად (მუჰამედის მსგავსად), არა-

მედ მოწოდებულნი იყვნენ ეზრუნათ მორწმუნეთა მიერ ყურანის მოთხოვნების დაცვისთვის. პირველი ოთხი ხალიფა მუჰამედის უახლოესი გარემოცვიდან იყო. ამიტომ ისინი „მართლმორწმუნე ხალიფებად“ იწოდებიან. ისინი 632 წლიდან 661 წლამდე ცვლიდნენ ერთმანეთს. მათ შემდეგ მუსლიმური სამყაროს მმართველები ომეიანთა დინასტიის ხალიფები იყვნენ (661-750). ამ პერიოდში არაბმა მუსლიმებმა დაიპყრეს მესოპოტამია, სირია, პალესტინა, ირანი, ეგვიპტე, ჩრდილოეთ აფრიკა, შუა აზია, ინდოეთის ნაწილი, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო (ჯერ აღმოსავლეთი, შემდეგ კი დასავლეთ საქართველო).

აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობის შედეგად წარმოიშვა უზარმაზარი მუსლიმური სახელმწიფო – სახალიფო. მომთაბარე არაბებს ყველა დაპყრობილ ქვეყანაში მრავალსაუკუნოვანი კულტურა ხვდებოდათ, იქნებოდა ეს სირიული, კოპტური, ბიზანტიური, ირანული თუ ინდური. ამ ხალხებს აგრეთვე გაცილებით რთული ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, სოციალური და სამართლებრივი წყობა ჰქონდათ, ვიდრე არაბებს. ბუნებრივია, მუსლიმები ასეთ გარემოში მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ მოსაგვარებლად კი სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა ყურანი.

ამრიგად, მუსლიმებმა გააცნობიერეს სახელმწიფოებრივი, ქონებრივი, ოჯახური და ცხოვრების ყველა სხვა სფეროსთვის საჭირო ნორმების შემუშავებისა და ჩამოყალიბების აუცილებლობა. ეს კი ძალიან რთული იყო მხოლოდ ყურანზე დაყრდნობით. ამავდროულად ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მუსლიმთა ღრმარწმენით, აუცილებელი იყო თვით უმნიშვნელო სიახლის დასაბუთებაც ავტორიტეტული რელიგიური წყაროდან. საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრის თანახმად, ყურანის ტექსტი ერთხელ და სამუდამოდ იყო მოცემული, რომელშიც ერთი ასოც კი არ უნდა შეცვლილიყო. მოიძებნა ამგვარი გამოსავალი: გაცნობიერდა კიდევ ერთი ავტორიტეტის არსებობა – თავად მუჰამედის, უფლის მოციქულის, რომელიც არა მხოლოდ ღმერთის სახელით ლაპარაკობდა, არამედ საკუთარ მსჯელობებსაც გამოთქვამდა ხოლმე სხვადასხვა საკითხზე ახლობლებისა თუ მეგობრების წრეში.

ასე წარმოიშვა „სუნა მოციქულისა“ (შემოკლებით „სუნა“) – გამონათქვამებისა და მაგალითების კრებული მუჰამედის ცხოვ-

რებიდან. სიტყვა „სუნა“ არაბულად ნიშნავს „გზას, მიმართულებას“. განმარტავს და ავსებს რა ყურანს, სუნა წარმოადგენს მეორე წყაროს ისლამის სარწმუნოებისთვის, ერთგვარ „წმ. გადმოცემას“. ყურანთან ერთად სუნას შესწავლაც მუსლიმური რელიგიური განათლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ მადრასების⁸⁹ ძირითადი სასწავლო პროგრამა სწორედ ამ წმ. წიგნების შესწავლას გულისხმობს.

სუნას სტრუქტურა და შინაარსი. სუნა შედგება ჰადისებისგან (არაბ. „ჰადით“), რაც ქართულად ნიშნავს „გადმოცემას, მოთხრობას“. ჰადისი ყოველთვის ორი ნაწილისგან შედგება: ძირითად ტექსტში მოთხრობილია მუჰამედის მიერ სხვადასხვა სიტუაციაში გამოთქმული შეხედულება ან ქცევა. მეორე ნაწილში კი, რომელიც წინ ერთვის ძირითად ტექსტს, გადმოცემულია იმ ადამიანების სახელები, რომლებმაც თაობებს უწყვეტად შემოუნახეს მოცემული ჰადისის ტექსტი. თუმცა ყველა ჰადისი არ ფასდებოდა ერთნაირად.

ჰადისების შემომნახველად, უპირველეს ყოვლისა, ითვლებოდნენ მოციქულ მუჰამედის ნათესავები, მეგობრები და მოწაფეები. ზოგ შემთხვევაში კი უბრალოდ მუჰამედის თანამედროვე ადამიანები. აუცილებლად ითვლება, რომ ჰადისები უშუალოდ მუჰამედის სიტყვებისა და ქცევის ამსახველი იყოს, რომელიც ჩაწერილი და გადმოცემულია მუჰამედის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების მიერ. ჰადისებად მიიჩნევა ის ტექსტები, რომლებიც შემონახულია მუსლიმთა პირველი სამი თაობის მიერ.

А. Журавский. Ислам. М., 2004, гл. 22

განსხვავებით ყურანისგან, რომელშიც მუსლიმთა რწმენით, ღმერთი საუბრობს, ჰადისებში თვით მუჰამედის შეხედულებებია გამოთქმული. თუმცა არსებობს ასზე მეტი ჰადისი, ე. წ. „წმ. ჰადისი“, რომლებშიც, მუსლიმთა რწმენით, ღვთის სიტყვებია გადმოცემული. მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ ენიჭებათ ყურანის თანაფარდი მნიშვნელობა.

89. მადრასა – უმაღლესი მუსლიმური სასწავლებელი.

სუნა, ძირითადად, რელიგიურ-იურიდიული ხასიათისაა. იგი ადგენს სამართლებრივ ნორმებსა და ადათ-წესებს რიტუალური სიწმინდის, საკვების მიღებისა და ზოგადად მუსლიმთა მორალური სტანდარტის შესახებ. ყურანში გადმოცემული ზოგიერთი გაურკვეველი აზრი ასევე ზუსტდებოდა ჰადისების საშუალებით. არსებობს ისტორიული ხასიათის ჰადისებიც, რომლებშიც დაცულია სხვადასხვა მონათხრობი მუჰამედისა და მისი თანამოღვაწეების ცხოვრებიდან.

მიიჩნევა, რომ ყველა სანდო (ავთენტური) ჰადისი ნამდვილად მუჰამედის დროიდან მომდინარეობს. მაგრამ ჰადისების უმრავლესობა მოგვიანო წარმოშობისაა. ამ კატეგორიის ჰადისების მიზანი იყო არა მუჰამედის ცხოვრებიდან შესაბამისი მონაკვეთების თაობებისთვის უცვლელად შემონახვა, არამედ ისლამის მისადაგება ცვალებადი ცხოვრებისეული პირობებისა და ახალი კულტურული გარემოსადმი. არაბებისთვის ჰადისები საკმაოდ ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ახალი იდეებისა თუ წეს-ჩვეულებების გათავისების პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ჰადისები სხვადასხვა ერების კუთვნილ რელიგიურ-კულტურული ინფორმაციის ლეგიტიმაციას ახდენდა თვით ისლამის შიგნით.

იუდაიზმის, ზოროასტრიზმის, ქრისტიანობისა და აგრეთვე ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მრავალი შეხედულება დამკვიდრდა ჰადისებში, როგორც თავად მუჰამედის გამონათქვამები.

შუა საუკუნეების ისლამური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია ცოდნის შეძენისათვის წამოწყებული მოგზაურობების სიყვარული. ერთ-ერთი ჰადისი, მაგალითად, აცხადებს, რომ ახალი ცოდნის მოსაპოვებლად ჩინეთამდე წასვლაც კი ღირს. ასეთი მოგზაურობების მთავარი მიზანი ხშირად სწორედ ახალი ჰადისების შექმნა და ჩამოყალიბება იყო. მსგავსი ქმედება უფლისთვის სათნო (მოსაწონ) საქმიანობად ითვლებოდა. ამრიგად, არაბი მუსლიმებისთვის ახალ ჰადისებთან ერთად ახალი კულტურული ჰორიზონტებიც იხსნებოდა.

ასეთი სიახლეები მუსლიმ სამართალმცოდნეთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის აღმოჩნდა მიუღებელი, უმრავლესობის აზრით კი, მათ გარეშე შეუძლებელია ცხოვრების

ცვალებად პირობებთან ნორმალური თანაარსებობა. დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ თუ რა დოზით და რომელ საკითხებთან მიმართებაში იყო დასაშვები მსგავსი სიახლეები.

D. Waines. An Introduction to Islam. Cambridge 1996, p. 56

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ არაბული კულტურა მხოლოდ ამგვარი კომპილაციური გზით შეიქმნა, დავივივიწყებთ რა არაბული სამყაროს ისეთ ცნობილ და თვითმყოფად მოაზროვნეებს, როგორებიც არიან, მაგალითად, იბნ სინა (ავიცენა 980-1037) და იბნ რუშდი (ავეროესი 1126-1196), რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღმ. და დას. ფილოსოფიური აზრის გავითარებაში. ხოლო დიდი ირანელი მოაზროვნე, მათემატიკოსი, ასტრონომი და პოეტი, ომარ ხაიამი (1040-1123) დეკარტის ერთ-ერთ გენიალურ წინამორბედად ითვლება და როგორც თანამედროვე მათემატიკის ისტორიკოსები ირწმუნებიან ევროპის მათემატიკური აზროვნება ექვს საუკუნეს მოიცავდა, დროულად რომ გასცნობოდა ხაიამის ტრაქტატებს. ფილოსოფიის დარგში კი ომარ ხაიამი ავიცენას გზის გამგრძელებლად გვევლინება.

„ვირებში თუ ხარ, შენაც უნდა ტლინკები ჰყარო,
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო!
ვირებში თუმცა მუდამ ვირად მომქონდა თავი,
მაინც გამიგეს, არაბული ტაიჭი ხარო!“

ავიცენა

ირანული პოეზია. თბ., 1977, გვ. 291

„თანამედროვე მეცნიერების ბუნებაში გარკვევა განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენთვის, მუსლიმებისთვის, ვისაც ერთხელ უკვე გვყავდა მსოფლიო დონის ნაყოფიერი მეცნიერები, დღეს კი ჩამოვრჩებით დასავლეთს. ჩვენ ჩამოგვაქვეითეს დასავლეთის თანამედროვე ცივილიზაციის პასიური მომხმარებლების დონემდე. მაგრამ თუ ჩვენს რაციონალურობასა და გონებას მოვიშველიებთ, გვექნება იმის საშუალება, რომ თავი დავაღწიოთ ახლანდელ

მეორეხარისხოვან სტატუსს და თავად შევძლოთ გავლენა მოვახდინოთ კაცობრიობის ბედ-ილბაღზე“.

მოჰამად ხათამი.

ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი... გვ. 113

2. 3. შარიათი და ფიკჰი

ჩვენ ვისაუბრეთ ისლამის ორ ძირითად წყაროზე: ყურანზე და სუნაზე. მაგრამ არსებობს მესამე ძეგლიც, რომლის ცოდნის გარეშეც ჩვენ ვერ შევიქმნით ადეკვატურ წარმოდგენას ისლამზე. ეს არის შარიათი (არაბ. „შარია“ – ნიშნავს „სწორ გზას“) და ფიკჰი (არაბ. „ფიკჰ“ – ნიშნავს „ცოდნას“). იგი თავის მხრივ ეფუძნება ყურანსა და სუნას. მუსლიმური სამართლებრივი ტრადიცია არასოდეს მიჯნავდა მკაცრად ფიკჰსა და შარიათს. ფიკჰი უფრო თეორიულ ნაწილად მიიჩნევა მუსლიმური რელიგიური სამართლისა, შარიათი კი კონკრეტული კანონების კრებულად.

საერთოდ, მუსლიმური სამართლის მთავარი ნიშან-თვისება მისი რელიგიური ხასიათია. ისლამის რჯულს ტოტალური ხასიათი აქვს, რადგან იგი მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს. როგორც უნივერსალური ნორმატიული სისტემა, იგი ახდენს შემდეგი სფეროების რეგლამენტაციას: რელიგიური დოგმატიკა; ადამიანის დამოკიდებულება ღმერთთან; ადამიანის დამოკიდებულება ადამიანთან და სოციალურ-ეკონომიკური წყობა.

შარიათის კრებულში ერთმანეთის გვერდი-გვერდ გვხვდება იურიდიული, რელიგიური და ეთიკური ხასიათის კანონები. ზოგიერთი თანამედროვე მუსლიმური სახელმწიფოს (მაგ., საუდის არაბეთი, ირანი, პაკისტანი) კონსტიტუციებში აღნიშნულია, რომ მათი კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს შარიათი. დღესაც კი ამგვარი კანონმდებლობა რამადანის თვეში მუსლიმის მიერ მარხვის საჯარო დარღვევა ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. თუმცა შარიათს მსგავსი დომინანტური ადგილი არ უჭირავს, მაგ., ისეთ სეკულარულ მუსლიმურ ქვეყნებში, როგორიც თურქეთია.

ფიკჰი ჰადისების პარალელურად ყალიბდებოდა. საერთოდ სამართლის სფეროში შექმნილი პირველი კრებულები, ეს იყო თემატურად შერჩეული ჰადისების კრებულები და არა საკუთ-

რივ სამართლებრივი გამოკვლევები და კომენტარები. ფიკჰის შექმნის მეთოდოლოგია ინტენსიურად ყალიბდებოდა VIII-IX საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში, მუსლიმთა შორის მტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ მუჰამედის გარდაცვალებასთან ერთად სამართალშემოქმედებაც შეწყდა. ამიტომაც ფიკჰი, ძირითადად, განმარტებითი ხასიათისაა.⁹⁰

3. რელიგიური პრაქტიკა

3. 1. ისლამის ხუთი საყრდენი

ისლამური სარწმუნოების თანახმად, ღმერთმა ადამიანს ცხოვნებისთვის აუცილებელი რელიგიური ვალდებულებების აღსრულება დაუდგინა. ასეთი მაცხოვრებელი ვალდებულება სულ ხუთია, რომელთაც მუსლიმურ სამყაროში ხუთ საყრდენს უწოდებენ. ესენია: დამოწმება; ლოცვა; მოწყალება; მარხვა და მომლოცველობა (პილიგრიმოზა).

ა) დამოწმება

ისლამის პირველ საყრდენად ითვლება ე. წ. დამოწმება. მუსლიმი ვალდებულია დაამოწმოს ორი უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება: ღმერთის ერთადერთობა და მუჰამედის წინასწარმეტყველური მისია. ამას კი იგი აღასრულებს შემდეგი ფორმულის წარმოთქმით: „არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა, ხოლო მუჰამედი მისი მოციქულია“.

ისლამის ადრეულ ეპოქაში მუსლიმები ამ ლოცვითი შეძახილით გამოყოფდნენ საკუთარ თავს სხვა რჯულის ადამიანებისგან, პირველ რიგში კი, წარმართებისგან. ეს ფრაზა მეომრული შეძახილის სახითაც იყო გავრცელებული. აქედან მოდის „შაჰიდის“ ცნება, რაც ნიშნავს ბრძოლაში დაღუპულ მეომარს ბაგეებზე „შაჰადით“. ამ უკანასკნელი ტერმინით აღინიშნება დამოწმების ზემოთაღნიშნული სიტყვები (ყურანში სიტყვა „მოწამე“, არაბულად ჟღერს როგორც „ალ-შუჰადა“ (4:69).

90. აიათოლა – ფიკჰის საკითხებზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლების მქონე პირი. ეს წოდება გავრცელებულია შიიტთა შორის, განსაკუთრებით ირანში.

ბ) ლოცვა

ისლამის მეორე საყრდენად ითვლება ნამაზი.⁹¹ მუსლიმები დღის განმავლობაში მკაცრად დადგენილი განრიგის მიხედვით ლოცულობენ. განრიგი კი ამგვარია: 1. დილის ლოცვა მზის ამოსვლის წინ; 2. შუადღის ლოცვა მზის მიერ თავისი ზენიტის გადასვლის შემდეგ; 3. ნაშუადღევს ლოცვა მზის ჩასვლის წინ; 4. საღამოს ლოცვა მზის ჩასვლის შემდეგ (თუმცა მანამდე სანამ სრულიად დაბნელდება); 5. ღამის ლოცვა დაბნელების შემდგომ.

არ შეიძლება ლოცვა ზუსტად შუადღეს და ზუსტად მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს. გარდა ამ სავალდებულო ხუთჯერადი ლოცვისა, მორწმუნეს შეუძლია დამატებითაც ილოცოს დღის განმავლობაში. ლოცვის დაწყების წინ მუსლიმმა აუცილებლად უნდა გაიხადოს ფეხსაცმელი და შედგეს ხალიჩაზე. პირისახით მუსლიმთა მთავარი სიწმინდისკენ, – ტაძარ „ქააბასკენ“ უნდა შეტრიალდეს. თუმცა თავდაპირველად, როდესაც მუჰამედი მექაში ცხოვრობდა, მუსლიმები ლოცვის წინ პირისახით იერუსალიმისკენ დგებოდნენ. მაგრამ მედინაში გადასახლებისთანავე ერთ წელიწადში, მუჰამედმა, იუდეველებისა და ქრისტიანებისგან გამოსარჩევად, აღნიშნული წესი დაუდგინა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმი დღემდე ერთ-ერთ წმინდა ადგილად ითვლება მუსლიმებისთვის (პირველ რიგში, იმიტომ, რომ მუჰამედმა იმოგზაურა ამ ქალაქში. ასევე იმ ფაქტის გამოც, რომ იერუსალიმში მოღვაწეობდა, ძირითადად, ისლამური სამყაროს მიერ ერთ-ერთ წინასწარმეტყველად მიჩნეული – იესო ქრისტე).

ლოცვის წინ აგრეთვე დადგენილია განწმენდის რიტუალის შესრულება. ერთმანეთისგან განარჩევენ შინაგან და გარეგან განწმენდას. შინაგანი განწმენდა აღესრულება სინანულით, მოწყალების გაცემით, მარხვით და ზოგადად ღვთისმოშიში ცხოვრებით, გარეგანი განწმენდა კი გულისხმობს პირისახისა და ხელების დაბანას. შარიათის თანახმად, განბანვა უნდა შესრულდეს წყლით, მაგრამ თუ ამის საშუალება არ არის, ამის გაკეთება ნებადართულია სუფთა ქვიშითაც ან სპეციალური ქვით. მუსლიმი ლოცვას იწყებს დამოუკიდებლად ან მუეზინის მოწოდების შემდეგ, რომე-

91. ნამაზი – ეწოდება კერძო ლოცვას, რომელსაც მუსლიმები დღე-ში ხუთჯერ ალასრულებენ.

ლიც მინარეთიდან მელოდიური ხმით ყველა მუსლიმს მოუხმობს ლოცვისკენ. ამ დროს მუეზინი თვითონაც პირით ქააბასკენ დგება, უჭირავს რა ცერა და საჩვენებელი თითით ყურის ბიბილოები.

რიტუალური ლოცვა შეიძლება აღსრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად, თუმცა პარასკევი დღის ლოცვა მეჩეთში უნდა აღსრულდეს.

მეჩეთი (არაბ. „მასჯიდ“), რომელსაც ზოგჯერ მიზგითსაც უწოდებენ წარმოადგენს სამლოცველო სახლს. თუმცა კოლექტიური ლოცვის აღსრულება დაშვებულია ნებისმიერ ადგილას, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაფერისია ამ რიტუალისთვის. მეჩეთში აუცილებლად უნდა იყოს გამავალი წყალი განბანვისთვის. მეჩეთების უმრავლესობას აქვს ერთი ან რამოდენიმე მინარეთი. ეს არის კოშკის მსგავსი ნაგებობა, საიდანაც მუეზინი მოუწოდებს მუსლიმებს ლოცვისკენ. მინარეთის იდეა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ქრისტიანულ სამრეკლოსთან. მინარეთი შეიძლება იყოს კვადრატული, ცილინდრული ან სპირალური ფორმის მაღალი ან დაბალი კოშკი.

განსხვავებით ქრისტიანული ტაძრისგან, მეჩეთში არ არის არა მხოლოდ ხატები და ქანდაკებები, არამედ ასევე არ გვხვდება არავითარი გამოსახულება, იქნება ეს ანგელოზების, ადამიანების თუ ცოცხალი ბუნებისა. მეჩეთის კედლები შეიძლება მორთული იყოს სხვადასხვა ორნამენტებითა და წარწერებით ყურანიდან.

ისევე როგორც ინდივიდუალური ლოცვის დაწყების წინ, მუსლიმები მეჩეთში შესვლის წინაც იხდიან ფეხსაცმელებს. მლოცველები დგებიან მწკრივებად. ქალები სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ან მამაკაცების უკან დგანან. ერთ-ერთი მამაკაცი მლოცველი, როგორც წესი, იმამი⁹² (თუმცა ის შეიძლება არც იყოს იმამი) დგას მლოცველთა წინ, მათკენ ზურგით და წარმართავს კოლექტიურ ლოცვას. იმამის მოვალეობის შესრულება ნებისმიერ მუსლიმს შეუძლია, რომელმაც იცის ყურანის კითხვა.

92. იმამი – ლოცვითი შეკრებების ხელმძღვანელი, მუსლიმთა თემის მეთაური (მუსლიმთა უმაღლეს სასულიერო პირს შეიხი ეწოდება, მაგრამ მას შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ერქვას: იმამი, ახუნდი, მოლა და ხოჯა). მუფთი კი ეწოდება ყურანსა და შარიათის კანონებში განსწავლულ ღვთისმეტყველს.

თუმცა, დიდი მეჩეთების იმამებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება.

ისლამის რელიგიურ სიმბოლოს წარმოდგენს ნახევარმთვარე. ამჟამად, ნახევარმთვარე ფიგურირებს ზოგიერთი მუსლიმური ქვეყნის (აზერბაიჯანი, თურქეთი, ალჟირი, პაკისტანი და სხვ.) დროშებსა და გერბებზე.

გ) მოწყალება

ისლამის მესამე საყრდენია მოწყალების საქმე. მუსლიმი ღვთისმეტყველები მოწყალებას განიხილავენ როგორც ცოდვებისგან განმწმენდელ ქმედებას. მიჩნეულია, რომ ეს აქტი აგრეთვე ლეგიტიმურს ხდის მუსლიმის მიერ საკუთრების ფლობას. ყველა ზრდასრული და შრომისუნარიანი მუსლიმი ვალდებულია გასცეს მოწყალება, რასაკვირველია, თუ მას საკუთრების გარკვეული მინიმუმი აქვს. ყურანის მიხედვით კი მოწყალება ეკუთვნის მას, ვინც ღარიბია და უქონელი (9:60), სხვა სიტყვებით, მოწყალებას იღებს ის, ვისაც თავად არ შეუძლია მისი გაცემა. მოწყალება შეიძლება გაიცეს ფულადი სახსრებიდან, ძვირფასი ლითონების, პირუტყვის ან მიწის ნაკვეთზე მოწეული სხვადასხვა ნაყოფის სახით.

დ) მარხვა

ისლამის მეოთხე საყრდენი რამადანის (რამაზანის) თვეში მარხვის შენახვაა. რამადანი მუსლიმური კალენდრის მეცხრე თვეს ეწოდება. ამ თვის ყოველ დღეს, გათენებიდან დაღამებამდე მორწმუნეები თავს იკავებენ საკვების მიღებისგან, ღამის განმავლობაში კი მათ შეუძლიათ საკვების ორჯერ ზომიერად მიღება – მზის ჩასვლის შემდეგ და მზის ამოსვლამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რამადანის ღამეები თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში, – ეს არის გულითადი სტუმარმასპინძლობისა და მზიარულების ჟამი.

მარხვის დაცვა სავალდებულოა ყველა ზრდასრული მუსლიმისთვის. ამ ვალდებულებისგან თავისუფლებიან მხოლოდ ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ მისი დაცვა საპატიო მიზეზით (შორეული მოგზაურობა, ომი, ტყვეობა, ავადმყოფობა); თავისუფლებიან ასევე მოხუცები, ფეხმძიმე და მეძუძური დედები. რა თქმა უნდა, მარხვის დაცვა-არდაცვა პირადი საქმეა, მაგრამ მისი

საჯარო და დემონსტრაციული დარღვევა მუსლიმურ ქვეყნებში მკრეხელობად ითვლება და ისჯება შესაბამისი კანონით (თუმცა ამგვარი კანონები არ არსებობს ისეთი სეკულარული მუსლიმური სახელმწიფოების კანონმდებლობაში, როგორიც არის, მაგალითად, თურქეთი, განსხვავებით ირანისგან, სადაც ისლამს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი აქვს).

გარდა სავალდებულო მარხვისა (რამადანის თვე) ისლამის რელიგია აგრეთვე ნებაყოფლობითი მარხვისკენაც მოუწოდებს მის მიმდევრებს. მარხვის დღეებად ითვლება, მაგალითად, მუჰარამის თვის მე-10 დღე და მომლოცველობის თვის (ეწოდება ზულ-ჰიჯა) მე-9 დღეს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია აგრეთვე ე. წ. გამომსყიდველობითი მარხვები, რომელიც მორწმუნემ დარღვეული მარხვის სანაცვლოდ უნდა დაიცვას.

ე) მომლოცველობა

ისლამის მეხუთე საყრდენია მომლოცველობა (პილიგრი-მოზა). მუსლიმმა მორწმუნემ სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა მოილოცოს წმ. ტაძარი „ქააბა“, ქალაქ მექაში. მაგრამ თუ ვინმეს ფიზიკურად არ ძალუძს ამ ვალდებულების აღსრულება, დაშვებულია საკუთარი თავის ნაცვლად ვინმეს გაგზავნა. მუსლიმს, რომელიც მომლოცველობას აღასრულებს, მწვანე ჩაღმის ტარების უფლება ეძლევა.

მექაში პილიგრიმოზის დასასრულს იწყება სამდღიანი დღესასწაული, რომელსაც არაბულად „იდ ალ-ადჰა“, თურქულად კი „ყურბან ბაირამ“ ანუ მსხერპლშეწირვის დღესასწაული ეწოდება. ამ დღეებში, როგორც წესი, მსხვერპლად იწირება ცხვარი, ხარი ან აქლემი. დღესასწაულზე აგრეთვე მიღებულია წინაპართა და ნათესავთა საფლავების მონახულება.

ისლამში არსებობს ორი მთავარი დღესასწაული: მომლოცველობის დასასრული და რამადანის მარხვის დასასრული. თუმცა, მუსლიმები სხვა სამახსოვრო დღეებსაც აღნიშნავენ. ესენია: მუჰამედის დაბადების დღე, მუჰამედის გადასახლება მექადან მედინაში, მუსლიმთა მიერ მექის აღების დღე და სხვა.

3. 2. ჯიჰადი

მართალია, ხუთ საყრდენთა შორის არ იხსენიება, მაგრამ ისლამის მიმდევართათვის მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს აგრეთვე „ჯიჰადი“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ძალისხმევას, გულმოდგინებას“. ხშირად ეს სიტყვა მხოლოდ „წმინდა ომის“ მნიშვნელობით გაიგება. თავდაპირველად „ჯიჰადში“ მართლაც მოიაზრებოდა ბრძოლა ისლამის დასაცავად და მისი გავრცელებისთვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ცნების მნიშვნელობა არსებითად გაფართოვდა. მუსლიმი თეოლოგები ერთმანეთისგან განასხვავებენ მცირე ჯიჰადს – ბრძოლას ურწმუნოების წინააღმდეგ და დიდ ჯიჰადს – ბრძოლას საკუთარი ცოდვების წინააღმდეგ ანუ სულიერი სრულყოფისთვის.

მუჰამედის სიტყვებიდან, „ჩვენ დავბრუნდით მცირე ჯიჰადიდან, რათა შევუდგეთ დიდ ჯიჰადს“, მუსლიმმა ღვთისმეტყველებმა განავითარეს დებულება „დიდი ჯიჰადისა“, „სულის ჯიჰადისა“, რაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, გულისხმობს საკუთარ სულიერ და ზნეობრივ სრულყოფას. მცირე ჯიჰადი გამოცხადდა ურწმუნოებთან ბრძოლად. „სულის ჯიჰადს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სუფი მისტიკოსები (სუფიზმის შესახებ იხ. ქვემოთ).

თანამედროვე სამყაროში მხოლოდ ზოგიერთი მუსლიმი ფუნდამენტალისტი⁹³ აცხადებს ჯიჰადის მიზნად ისლამის გავრცელებას მთელს მსოფლიოში. ფართო გაგებით კი, დღეს ჯიჰადი განიმარტება, როგორც ძალისხმევა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მისაღწევად; როგორც ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის განსამტკიცებ-

93. ფუნდამენტალისტი – რელიგიურ ფუნდამენტალიზმში იგულისხმება სწორხაზოვანი რელიგიური იდეოლოგია, რელიგიური ცნობიერების ერთი ტიპი, რომელიც წმ. წერილის ტექსტების პირდაპირ, ზედმიწევნით და ერთმნიშვნელოვან გაგებას ითხოვს და გამორიცხავს ტექსტის მრავალმხრივ ინტერპრეტაციას. რელიგიური ფუნდამენტალიზმი ეწინააღმდეგება აზრის მრავალფეროვნებას და მკაცრად ითხოვს წარსულის ტრადიციებისკენ დაბრუნებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის დომინირების აღდგენას.

ლად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის განსახორციელებლად და კონკრეტული ამოცანების (ბრძოლა მოსავლისათვის, ნიადაგის ეროზიასთან, წერათხვის გავრცელების და სხვ.) გადასაჭრელად.

*ენციკლოპედიური ცნობარი „ისლამი“
თბ., 1999, სტატია „ჯიჰადი“*

„რწმენისთვის ებრძოლეთ მტერს, მაგრამ პირველი არ დაესხათ თავს, რადგან ღმერთს უსამართლონი არ უყვარს. მოკალით თქვენი მტრები და გამოდევნეთ იქიდან, საიდანაც გამოგდევნეს თქვენ, ვინაიდან განდგომილება ხოცვა-ჟლეტაზე უარესია. თუ თავს არ დაგესხნენ, ბრძოლა არ გაუმართოთ მათ წმ. ტაძრების მახლობლად. თუ კი თავს დაგესხნენ მაშინ ამოხოცეთ ისინი. ასეთია ურჯულოთა სასჯელი. თუკი თავიანთ ცდომილებას მიატოვებენ – ღმერთი სულგრძელი და მწყალობელია მათ მიმართ. ეომეთ მათ მანამ, ვიდრე განსაცდელის შიში აგიტანდეთ და ყოველი თავყანისცემა ერთადერთი ღვთის იქნება..“ (სურა 2:186-190). ამ სიტყვების ციტირების შემდეგ სოლოვიოვი წერს: „ამ მოწოდების გაცხარებული ტონის მიუხედავად, სიტყვები „არაფრის გეშინოდეთ, ბოლომდე ებრძოლეთ მტრებს, ვიდრე ისლამი არ განმტკიცდება“ – ცხადად აჩვენებენ, რომ მუჰამედისთვის საღვთო ომი დროებითი, აუცილებელი რელიგიურ-პოლიტიკური ღონისძიება იყო და არავითარ შემთხვევაში – მუდმივი რელიგიური პრინციპი. ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია, რაიმე ეჭვი დაგვრჩეს მას შემდეგ, როცა იმავე სურაში, რამდენიმე აიას შემდეგ ვკითხულობთ: „არანაირი იძულება სარწმუნოებაში...“ (2:257). მუჰამედს, რასაც მექაში ამბობდა, ის აზრი არც მედინაში შეუცვლია. „ჩვენ ვუწყით ურჯულოთა გამონათქვამები. მაგრამ ძალა არ დაატანოთ მათ“ (50:44). საღვთო ომების მიზანია არა ურჯულოთა ისლამზე მოქცევა, არამედ მხოლოდ ისლამისადმი მორჩილება. ამრიგად, აქ წინააღმდეგობა მოჩვენებითია და მუჰამედის მოძღვ-

რების რჯულთშემწყნარებლობა მთლიანად უთავსდება საღვთო ომების იდეას“

ვ. სოლოვიოვი. მუჰამედი. ცხოვრება და რელიგიური მოძღვრება. თბ., 2005, გვ. 88

3. 3. სხვა ადათ-წესები

ჩამოთვლილი ვალდებულებების გარდა, არსებობს სხვა ადათ-წესებიც, რომელთა დაცვაც ევალებათ მუსლიმებს. მაგალითად, ბავშვთა წინადაცვეთა,⁹⁴ თავშეკავება ალკოჰოლური სასმელებისგან, ღორისა და კურდღლის ხორცის მიღებისგან და სხვა.

მუსლიმებს აქვთ უფლება ოთხი ცოლის ყოლისა, თუკი ამის ეკონომიკური შესაძლებლობა არსებობს. ნებადართულია მუსლიმი მამაკაცის დაქორწინება ქრისტიან ან იუდეველ ქალთან, მაგრამ წესის თანახმად, მუსლიმი ქალი მხოლოდ მუსლიმ მამაკაცზე უნდა დაქორწინდეს.

„ღმერთთან მიმართებით, რწმენის მთავარი საქმეა ლოცვა, მოყვასთან მიმართებით – მოწყალება, საკუთარ ბუნებასთან მიმართებით – თავშეკავება ანუ მარხვა.“

ვ. სოლოვიოვი. მუჰამედი. ცხოვრება და რელიგიური მოძღვრება. თბ., 2005, გვ. 61

4. დოგმატური მოძღვრება

4. 1. ისლამის ხუთი ჭეშმარიტება

ყურანისა და სუნას თანახმად ყველა მუსლიმი ვალდებულია, აღიაროს რწმენის ხუთი დოგმატი: ა) ერთი ღმერთის რწმენა; ბ) ანგელოზებისა და დემონების არსებობის რწმენა; გ) ღვთივგა-

94. წინადაცვეთა – რიტუალი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის იუდეველად ან მუსლიმად გახდომის გარეგნულ ნიშანს. სასქესო ორგანოს წინა ნაწილის, ჩუჩის მოჭრა, რაც პირველად აბრაამმა აღასრულა (შესაქმის წიგნი 17:10-11).

მოცხადებული წმ. წერილების რწმენა; დ) წინასწარმეტყველთა და მოციქულთა რწმენა; ე) განკითხვის დღის რწმენა.

ა) ერთი ღმერთის რწმენა

ისლამში რწმენის უპირველეს საგანს ღმერთის ერთადერთობა წარმოადგენს (მონოთეიზმი). ყურანში, მსგავსად ბიბლიისა, ღმერთი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც ყოვლისშემძლე და მრისხანე, მეორეს მხრივ კი – როგორც მოწყალე და მოსიყვარულე არსება. ღმერთი თავისი არსით მიუწვდომელია, მაგრამ იგი თავად აუწყებს ადამიანებს საკუთარ ნებას გამოცხადების მეშვეობით.

ყურანში ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, რომ სამყარო ღვთის მიერ არის შექმნილი. თუმცა, არ არის გადმოცემული სისტემატური თხრობა შესაქმნის (სამყაროს შექმნის) შესახებ, როგორც ამას, მაგალითად, ბიბლიის პირველ წიგნში ვხვდებით. აღნიშნულ საკითხზე ყურანისეული თხრობა გარკვეულ ნაწილებში ემთხვევა ბიბლიურ თხრობას, ზოგიერთ ნაწილში კი ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ყურანის მიხედვით ადამიანი უფლის რჩეული ქმნილებაა, ის მისი მონაცვლეა დედამიწაზე. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ იგი ღვთის ქმნილებაა, ადამიანი ღმერთზე დამოკიდებული არსებაა, რომლისგანაც განუწყვეტლივ ლეზულობს სასიცოცხლო ძალებს (როგორც სულიერს, ასევე ფიზიკურს). მართალია ყურანი არ საუბრობს ღვთის მიერ ადამიანის თავის ხატად და მსგავსად შექმნის შესახებ, მაგრამ არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, რომ ისლამი პრინციპულად უარყოფს ადამიანის ღმერთთან მსგავსების იდეას.

ხშირად მიუთითებენ, რომ ისლამი ღმერთს წარმოგვიდგენს მხოლოდ როგორც მრისხანე და მომთხოვნ არსებად, რომლის მიმართაც ადამიანს მხოლოდ შიში და მორჩილება მართებს. თუმცა ისლამის კრიტიკოსთა შორის რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება ყურანის ის ადგილები, სადაც ცალსახად აღინიშნება ღვთის გულმოწყალება და მისი სიყვარული თავისი ქმნილების მიმართ.

ბ) ანგელოზთა და დემონთა არსებობის რწმენა

ისლამის თანახმად, გარდა ადამიანებისა, არსებობენ აგრეთვე ორი სახის გონიერი არსებები – ანგელოზები, ჯინები. ანგელო-

ზი უფლის ნების მაუწყებლად და განმხორციელებლად ითვლება უნილავ და ხილულ სამყაროებში. ყურანის თანახმად, ღმერთმა ისინი ცეცხლისგან, ჰადისების თანახმად კი სინათლისგან შექმნა. ისინი უფლის ტახტის გარშემო მკვიდრობენ და ქება-დიდების საგალობლებს უგალობენ ღმერთს. ანგელოზთა შორის არიან სამოთხისა და ჯოჯოხეთის მცველნი. არსებობენ ასე ვთქვათ „დაბალი რანგის“ ანგელოზები, რომლებსაც ჯინებს უწოდებენ. ჯინი შეიძლება იყოს კეთილიც და ბოროტიც.

ანგელოზების მოვალეობაა ადამიანების დაცვა ამ ქვეყნად, მათ ცხოვრებაზე დაკვირვება და მათი ყოველი ქცევის აღნუსხვა (თვით უმნიშვნელო ქმედებების ჩათვლით). ანგელოზებს შეუძლიათ ადამიანებთან ადამიანური სახით გამოცხადება. ყურანში არ არსებობს ანგელოზების დასებად დაყოფის გაგება, თუმცა განსაკუთრებულად იხსენიება „ღმერთთან დაახლოებული“ ანგელოზების კატეგორია (ყურანი 4:172).

სწორედ ამ უმაღლესი რანგის ანგელოზებს მიეკუთვნება ჯიბრაილი (ქრისტიანული ტრადიციით, გაბრიელი), რომელიც სამჯერ იხსენიება ყურანში საკუთარი სახელით. იგი მუჰამედის მფარველ ანგელოზად ითვლება. ღმერთთან დაახლოებულ ანგელოზად ითვლება მიქაელიც. ყურანში აგრეთვე იხსენიება განკითხვის დღის ანგელოზი, სიკვდილის ანგელოზი და სხვა.

ყურანის თანახმად, დაცემულმა ანგელოზმა იბლისმა⁹⁵ (მეორე სახელწოდებით, შაითანმა) შეაცდინა ადამი. ანგელოზი იბლისი მიჩნეულია ბოროტი სულების – ჯინებისა და შაითანების მეთაურად. უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ბოროტი სულები ჯოჯოხეთში მკვიდრდებიან სამარადისოდ (ყურანი 38:84-85).

გ) ღვთივგამოცხადებული წმ. წერილების რწმენა

ჭეშმარიტების გაცხადების მიზნით, უფალი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში აუწყებდა ადამიანებს საკუთარ ნებას (მცნებებს, დადგენილებებს, წინასწარმეტყველებებს), რომელიც წმინდა წიგნების სახით გადაეცემოდათ თაობებს. მუსლიმური ტრადიციის თანახმად, ღმერთმა ოთხი წმინდა წერილი უბოძა ადამი-

95. შესაძლოა, ეს არაბული სიტყვა დემონის აღმნიშვნელი ძველი ბერძნული სიტყვისგან „diabolos“-სგან მომდინარეობს.

ანებს: თორა – მოსეს, ფსალმუნი – დავითს, სახარება – იესოს და ყურანი – მუჰამედს. ამ წიგნებშია გადმოცემული ღვთაებრივი ჭეშმარიტება ბოროტისა და კეთილის გასარჩევად (ყურანი 5:43-47). ყველა ღვთივგამოცხადებული წიგნი არსებითად იდენტურია თავისი შინაარსით, ყოველი მომდევნო წმ. წერილი ადასტურებს მანამდე არსებული წმინდა წერილების ჭეშმარიტებას. თუმცა, ყურანში ისიც არის ნათქვამი, რომ იუდეველებმა და ქრისტიანებმა ნაწილობრივ დაამახინჯეს საკუთარი წმინდა წიგნები (2:75); რომ იუდეველებმა გააღმერთეს უზაირა (შესაძლოა იგულისხმებოდეს ბიბლიური ეზდრა), ქრისტიანებმა კი იესო (9:30); რომ ქრისტიანებმა ირწმუნეს სამღმერთიანობა (5:73), და სხვა.

„ამბობენ იუდეველნი: უზაირა ძე არის ალაჰისაო, და ამბობენ ნაზარეველნი: მესია ძე არის ალაჰისაო. ეს სიტყვები მათი ბაგეებიდან იმეორებენ იმათ სიტყვებს, რომლებიც უწინ იყვნენ ურწმუნონი. ალაჰიმც განგმირავს მათ! რაოდენ ღრმად სცდებიან ისინი! ირჩევენ თავიანთ მწიგნობრებსა და ბერ-მონაზვნებს მეუფეებად, ალაჰის გარეშე და ასევე ალ-მასიჰ იბნ მარიამს. მაშინ როცა ნაბრძანები ჰქონდათ მხოლოდ, რომ დამონებოდნენ ერთადერთ უფალს.“

ყურანი, 9:30-31

(ყურანი. არაბულიდან თარგმნა პროფესორმა გიორგი ლობჯანიძემ. თბ., კავკასიური სახლი 2006)

მუსლიმი თეოლოგები იმ შეხედულების საფუძველზე, რომ მანამდე არსებული ყველა წმ. წერილი დამახინჯებული და დაზიანებულია, მიუთითებენ ყურანის უპირატესობაზე, რომელიც თავისი სრულყოფილების გამო ყველა წმ. წერილზე მაღლა დგას. ამიტომ, თუკი იუდეველებსა და ქრისტიანებს თავისი წმ. წიგნების თავდაპირველი შეურყვნელი მოძღვრების ერთგულად დარჩენა სურთ, მაშინ მათ სწორედ ყურანის სიბრძნე უნდა გაიზიარონ (ყურანი 5:15). თუმცა, როგორც ყურანი, ასევე შარიათი, კრძალავს „წმ. წერილის ხალხის“ (ანუ იუდეველებისა და ქრისტიანების) ძალდატანებით მოქცევას ისლამზე.

დ) უფლის მოციქულთა და წინასწარმეტყველთა რწმენა

მოციქულნი (წარგზავნილნი) და წინასწარმეტყველნი უფალთან მოსაუბრე განსაკუთრებულ ადამიანებად მიიჩნევიან. ყველა წინასწარმეტყველს საერთო რწმენა ჰქონდა და ყოველი მათგანი იმ ერის ენაზე ლაპარაკობდა, რომლის წინაშეც იყო წარგზავნილი. იმისათვის, რომ ადამიანებმა ირწმუნონ მათზე დაკისრებული მისიის ჭეშმარიტება, უფალი მათ აშკარა ნიშნებითა და სასწაულებით მოსაგვს (ყურანი 7:101).

ისლამის თეოლოგიის მიხედვით, მუჰამედი ბოლო წინასწარმეტყველია, რომელიც აგვირგვინებს კაცობრიობის ისტორიაში წინასწარმეტყველთა ეპოქას. ამ ეპოქას კი, დასაბამი ადამმა დაუდო. ყურანში სულ 28 წინასწარმეტყველი სახელდება. მათ შორის კი განსაკუთრებით არის გამოყოფილი უფლის 6 რჩეული: 1. ადამი; 2. ნოე; 3. აბრაამი; 4. მოსე; 5. იესო და 6. მუჰამედი.

აქვე, საკითხის მნიშვნელობის გამო, ორი სიტყვით შევჩერდებით ისლამის მიერ იესოს დახასიათებაზე. ყურანში იესოს განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება, რომელიც იხსენიება როგორც „ისა“. იგი მუჰამედის წინამორბედ წინასწარმეტყველად ითვლება. ყურანი უარყოფს იესოს ღვთაებრივ ბუნებას და მას მხოლოდ წინასწარმეტყველად აღიარებს. ხშირად მცდარად არის მიჩნეული, რომ თითქოს მუჰამედი წმინდა სამების წევრებად მამა ღმერთს, იესოს და მარიამს მოიაზრებდა. მაგრამ მუჰამედი ცალსახად უარყოფდა იესოსა და მარიამის ღმერთობის იდეას. ამას მოწმობს ყურანის ეს აიატ: „და თქვა ღმერთმა: იესო, ძეო მარიამისა! განა ეუბნებოდი შენ ადამიანებს: „მიმიღეთ მე და ჩემი მშობელი დედა, როგორც ორი ღმერთი?...“ (5:116). მუჰამედი ასევე წმ. სამებას, როგორც სამ ღმერთს ისე მოიაზრებდა: „ურწმუნო იქმნენ ისინი, ვინც თქვა: ალაჰი ერთი სამთაგანიაო. მაშინ როცა არა არს ღმერთი, გარდა ალაჰისა“ (5:73).

„ო, წიგნის მქონენო, ნუ გადააჭარბებთ თქვენს რწმენაში და ალაჰზე ნურაფერს იტყვით, გარდა ჭეშმარიტებისა. რადგან ალ-მასიჰ ისა იბნ მარიამი ალაჰის მოციქულია და სიტყვაა მისი, რომელიც მან მარიამს შთაუწერა, და სულია მისგან გამომავალი. ირწმუნეთ ალაჰისა და მისი მოციქულებისა და ნუ იტყვით – სამია! თავი დაანებეთ ამ-

გვარ საუბარს, უკეთესი იქნება თქვენთვის! რადგან ალა-
ჰი ერთი ღმერთია და მეტისმეტად დიდია იგი იმისათვის,
რომ ჰყავდეს ძე“

ყურანი 5:171

*(ყურანი. არაბულიდან თარგმნა პროფესორმა გიორგი
ლობჯანიძემ. თბ., კავკასიური სახლი 2006)*

ისლამსა და ქრისტიანობას შორის ამგვარ განსხვავებულ
ხედვებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა
ცნობილმა მუსლიმმა თეოლოგმა, ალი მერადიმ. მისი მითითებით,
მართალია, ყურანი ეჭვით უყურებს ქრისტიანობის ზოგიერთ
დებულებას, მაგრამ იმავდროულად იგი გახსნილია ქრისტი-
ანობისადმი, გამოხატავს რა ჭეშმარიტების ერთობლივი ძიების
სურვილს ქრისტიანებთან ერთად. ალი მერადის აზრით, ისლამის
ამგვარი ღიაობა ყურანში ყველაზე მეტად სწორედ ქრისტოლო-
გიურ საკითხებთან მიმართებაში ვლინდება: „...ყურანის მთავარი
მიზანია არა საბოლოო პასუხების მოცემა, არამედ მორწმუნეთა
აღძრვა ღვთაებრივ ჭეშმარიტებებზე ფიქრისთვის. სხვა სიტყვე-
ბით, მუსლიმთა მხრიდან ზედმეტი თავდაჯერებულობის ნიშანი
იქნებოდა იმის თქმა, რომ მათთვის გაცხადებულია საბოლოო
ჭეშმარიტება იესო ქრისტეს შესახებ...“ (Христиане и Мусульмане:
Проблемы Диалога. М., 2000, გვ. 237).

ყურანში ასევე ნათქვამია, რომ ქრისტე არავის გაუკრავს
ჯვარზე, რომ მას არ განუცდია ფიზიკური სიკვდილი, რადგან ეს
ძალზედ დამამცირებელია უფლის რჩეული ადამიანისთვის, ამი-
ტომ, ღმერთმა იესოს მიმართ თავისი განსაკუთრებული სიყვა-
რულის გამო, დაიცვა იგი ჯალათებისგან და სიკვდილის გარეშე
აღამალლა ზეციურ სასუფეველში (3:55; 4:157-158). ყურანისთვის
უცხოა კაცობრიობის ცოდვისგან გამოსყიდვის გაგება, ამიტომ
სრულიად კანონზომიერია ქრისტეს ჯვარცმისა და შესაბამისად
მისი შემდგომი აღდგომის უარყოფაც. ასეთია ყურანისეული ხედ-
ვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი მიზანია არა ქრისტეს დაკ-
ნინება და მისი ღირსების დამცრობა, არამედ ქრისტიანებისთვის
იმის მითითება, რომ მათ მცდარი, დამახინჯებული წარმოდგენა
აქვთ ქრისტეს შესახებ.

ისლამური რელიგია ღრმა პატივისცემით იხსენიებს მრავალ
ქრისტიან მოღვაწეს (ყურანი 5:82 და სხვა). ყურანის მიხედვით,

ქრისტიანები, რომლებიც საკუთარი რწმენის შესაბამისად ცხოვრობენ, ცხონდებიან და სამოთხეში შევლენ (ყურანი 57:27), მაგრამ უფლისთვის უფრო მოსაწონი იქნება, თუკი ისლამს მიიღებენ (3: 65-71; 4:171). ისლამი აგრეთვე უღრმესი პატივისცემითა და მოწიწებით მოიხსენიებს იუდეველთა მიერ წმინდანებად აღიარებულ ნოეს, აბრაამს, მოსეს, დავითს და სხვ.

ე) განკითხვის დღის რწმენა

სწორედ საშინელი სამსჯავროს დადგომის გარდაუვალობის შესახებ ქადაგებით დაიწყო მუჰამედმა თავისი რელიგიური მოღვაწეობა. არა იმდენად ერთი ღმერთის ქადაგება, რამდენადაც ამგვარი ესქატოლოგიური⁹⁶ პათოსი აღიზიანებდა და არ ასვენებდა მუჰამედის წარმართი თანატომელების შეგნებას. მძაფრი რეაქცია გამოიწვია აგრეთვე მუჰამედის შეხედულებამ უფლის მიერ ყველა გარდაცვლილის აღდგომის შესახებ საყოველთაო სამსჯავროს დადგომამდე (ყურანი 17:49-50).

ყურანში სამყაროს აღსასრულის მოახლოების ხუთი ნიშანია დასახელებული: 1. მიწიდან ამოვა მოლაპარაკე მხეცი (27:82); 2. ცა წარმოშობს კვამლს, რომელიც მოეფინება ადამიანებს (44:10-11); 3. მთვარე დაიფერვლება (54:1); 4. გოგის და მაგოგის⁹⁷ ერები გათავისუფლდებიან, რომლებიც დედამიწაზე გაავრცელებენ ურჯულოებას (18:94; 21:96); 5. იესო მეორედ მოვა (43:61). მუსლიმურმა ტრადიციამ ამ სიას შემდგომში სხვა ნიშნებიც დაუმატა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია დაჯალის (ანტიქრისტეს⁹⁸ ანალოგი) მოსვლა.

96. ესქატოლოგია – (ბერძ.) მოძღვრება სამყაროს აღსასრულის შესახებ.

97. გოგი და მაგოგი – ბიბლიურ ესქატოლოგიაში ამ სახელებით აღინიშნება ის ორი ერი, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ გავრცელდება დედამიწაზე. „იოანეს გამოცხადების“ თანახმად, ისინი ზეციური ცეცხლით განადგურდებიან საყოველთაო სამსჯავროს წინ.

98. ანტიქრისტე – ამ სახელით მოიხსენიება ქრისტიანობაში ბოროტებით აღსავსე ის ადამიანი, რომელიც ქვეყნის აღსასრულის წინ მსოფლიოს მმართველი გახდება, მაგრამ რომლის ხელმწიფებაც შეიმუხრება ქრისტეს მეორედ მოსვლით.

„ისლამს ხშირად საყვედურობენ სამოთხისეული ნეტარების ხორციელი სიამოვნებების სახით წარმოდგენისთვის (წარმტაცი ბუნება, ლამაზი ასულები და სხვა). ამ ბრალდებას სათანადოდ განმარტავს და აბათილებს (ქრისტიანი) რელიგიური ფილოსოფოსი, ვ. სოლოვიოვი, რომელიც მიუთითებს, რომ ამგვარი აზრი მხოლოდ და მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა და საიქიო ყოფიერების „კონკრეტული მდგომარეობის ამა თუ იმ წარმოდგენას არა აქვს პრინციპული და დოგმატური მნიშვნელობა. თუკი იერუსალიმის დანგრევით დანაღვლიანებული მორწმუნე ქრისტიანისთვის ღვთის საუფლო წარმოდგენილია, როგორც იდეალური ქალაქი, როგორც ზეციდან მოვლენილი იერუსალიმი, მაშინ ბუნებრივია, რომ უდაბნოებით გარემოცული არაბისთვის მარადიული ნეტარების ადგილად ისახება მდინარეებით დარწყულებული ბაღი. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ბიბლიური წარმოდგენაც ამქვეყნიურ-მიწიერ სამოთხეზე – ოთხი მდინარით გარშემორტყმულ ბაღზე. ყურანში ნათლად არაფერია ნათქვამი მომავალი ცხოვრების ქვეყნა სიამოვნებებზე: არსად არ ჩანს, რომ „წმინდა მეუღლეების“ დანიშნულებაა ფიზიოლოგიური ურთიერთობა“

ვ. სოლოვიოვი. მუჰამედი. ცხოვრება და რელიგიური მოძღვრება. თბ., 2005, გვ. 67

„ემშვენიერება ხალხს ხორციელი სიყვარული ქალებისა, შვილებისა, ოქრო-ვერცხლის მათა, დარახტული ცხენებისა, საქონლისა და ნახნავ-ნათესისა. ეს არის წუთისოფლის სახსარი. ალაჰის წიალ კი უკეთესი სამკვიდროა.“

ყურანი, 3:14

(ყურანი. არაბულიდან თარგმნა პროფესორმა ვიორჯი ლობჟანიძემ. თბ., კავკასიური სახლი 2006)

4. 2. წინასწარგანსაზღვრულობის (ბედისწერის) რწმენა

ესენია ხუთი მთავარი დოგმატი ისლამური სარწმუნოებისა. არსებობს კიდევ ერთი დებულება ისლამში, რომელსაც ხშირად მეექვსე დოგმაცად უწოდებენ – რწმენა წინასწარგანსაზღვრულობისა (ბედისწერისა). ეს სწავლება ყურანს ეფუძნება. შესაძლოა, მუჰამედი ამ მოძღვრებაში ნუგეშს პოულობდა, როდესაც იგი არაბეთის ზოგიერთ დასახლებაში საკუთარი რელიგიური მოძღვრების გავრცელების წარუმატებლობას ხედავდა. ამ სწავლებიდან ასევე პირველმა ხალიფებმაც მიიღეს გარკვეული სარგებელი: თუკი ყველაფერი უფლის მიერ არის წინასწარ განსაზღვრული და დადგენილი, მაშინ მათი მმართველობაც ასეთად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ყურანში ადამიანის თავისუფალ ნებაზეც არის საუბარი, სადაც ხაზგასმულია, რომ ღმერთი არავის აიძულებს (განუსაზღვრავს) ბოროტების ჩადენას. ადამიანებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ სწორსა და მცდარს შორის და ამ არჩევანის გამო პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. ღვთაებრივი ბედისწერის რწმენა, მუსლიმთა განსაზღვრებით, ოთხ რამეს გულისხმობს: 1. ღმერთმა ყველაფერი იცის. მან იცის რა მოხდა და რა მოხდება; 2. ღმერთს აღნუსხული აქვს რა მოხდა და რა მოხდება; 3. რაც ღმერთს სურს, მოხდება, ხოლო რაც არ სურს, არ მოხდება; 4. ღმერთია ყველაფრის შემქმნელი.

დავა ბედისწერისა და ნების თავისუფლების შესახებ მუსლიმურ წრეებში გამწვავდა მე-8-9 სს-ში. მუსლიმი მოაზროვნეები, რომელთა შეხედულებითაც ადამიანი თავის მოქმედებათა შემოქმედია, იწოდებიან კადარიტებად, ხოლო ისინი, რომლებიც უარყოფენ ნების თავისუფლებას და ცნობენ აბსოლუტურ ბედისწერას, ცნობილი არიან ჯაბრიტების სახელით.

5. მიმდინარეობები ისლამში

5. 1. სუნიზმი და შიიზმი

ყველა სხვა რელიგიის მსგავსად ისლამიც არ არის ერთგვაროვანი. დროთა განმავლობაში მასში ჩამოყალიბდა სხვადასხვა

სახის მიმდინარეობა, საღვთისმეტყველო სკოლა, ფილოსოფიურ-მისტიკური სწავლება და სექტა⁹⁹. ჩვენ მხოლოდ მთავარ მიმდინარეობებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ დადგა საკითხი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი მემკვიდრე. ვინაიდან მუჰამედი უკანასკნელ წინასწარმეტყველად ითვლება, ამიტომ მისი მემკვიდრე სხვა წინასწარმეტყველი ვერ იქნებოდა. ამის გამო, ავტორიტეტულ პირთა ჯგუფმა მუსლიმური სახელმწიფოს მმართველად და მუჰამედის „მონაცვლედ“ (არაბ. „ხალიფა“) აბუ ბექრი აირჩია (ხალიფები არა მარტო საერო, არამედ რელიგიურ მეთაურებადაც ითვლებოდნენ). მაგრამ ქალაქ მედინის მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა არ აღიარა აბუ ბექრი ხალიფად. მათი აზრით, მუჰამედის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მხოლოდ მისი უახლოესი ნათესავი – ალი (მუჰამედს ვაჟი არ დარჩენია), რომელსაც ცოლად ჰყავდა მუჰამედის ქალიშვილი ფატიმა. დროთა განმავლობაში ეს მცირე ჯგუფი გავლენიან ძალად გადაიქცა და შეიძინა სახელწოდება „ალის პარტია“ (არაბ. „ში'ა ალი“), რომელთაც შემოკლებით შიიტები ეწოდებათ.

შიიტთა აზრით, ხალიფას დანიშვნის დროს მემკვიდრეობითობის პრინციპს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, მაგრამ მორწმუნეთა უმრავლესობის აზრით, ხალიფები პიროვნული ღირსებების მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულნი. სწორედ ამ უკანასკნელი პრინციპით იქნა გამორჩეული პირველი სამი ხალიფა: აბუ ბექრი, ომარი და ოსმანი. როდესაც მეოთხე ხალიფას არჩევის დრო მოვიდა, შიიტებმა თავის მიზანს მიაღწიეს და ალი გამოაცხადეს ხალიფად, მაგრამ 661 წ. ამ ორ პარტიას შორის მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის დროს, ალი მოკლეს. ალი მოწამედ გამოაცხადეს და იქვე დაკრძალეს. ეს საფლავი (ქ. ნაჯაფი) შიიტთათვის დღემდე წმინდა ადგილია.

ამ მკვლელობის შემდეგ მუსლიმური სამყარო ორ ნაწილად გაიყო: სუნიტებად და შიიტებად. სუნიტები (სრული სახელწოდებით, „სუნას ხალხი“) წარსულშიც და დღესაც უმრავლესობაში

99. სექტა – ჩაკეტილი რელიგიური თუ არარელიგიური ჯგუფი, რომელიც კონფლიქტშია გარემომცველი სამყაროს ღირებულებებთან. სიტყვა ლათინურია და „გამოყოფას“, „მოკვეთას“ ნიშნავს.

არიან. აღიარებენ ოთხივე ხალიფის მმართველობის ლეგიტიმურობას, რომლებსაც „მართალ (მართლმორწმუნე) ხალიფებად“ მოიხსენიებენ. შიიტები კი უკანონოდ მიიჩნევენ პირველი სამი ხალიფის მმართველობას. შიიტებმა არ ირწმუნეს სუნას ის ვერსია, რომელიც პირველი სამი ხალიფის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს. მათ საკუთარი სუნა შეიმუშავეს, რომელსაც არაბულად „ბიდა“ – „სიახლე“ ეწოდება.

შიიტები მხოლოდ ხალიფა ალის და მისი შთამომავალი იმამების ხელისუფლების კანონიერებას აღიარებენ, მაგრამ შემდგომში შიიტებს შორისაც მოხდა შიდა განხეთქილება. მათი აზრი გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ ალის რომელი შთამომავლები უნდა მიეჩნიათ უფლებამოსილ იმამებად. ერთი ნაწილი ასეთად მხოლოდ შვიდ იმამს აღიარებს, მეორე ნაწილი კი თორმეტს.

ამრიგად, რელიგიური განხეთქილება ისლამში თავდაპირველად განპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზით, რომელიც სახალიფოს პოლიტიკური ძალაუფლების კანონიერებასთან დაკავშირებულმა პოლემიკამ გამოიწვია. თუმცა ამ დაპირისპირებამ თანდათანობით რელიგიური განზომილება შეიძინა.

სუნიტები თანამედროვე მუსლიმური სამყაროს 84%-ს შეადგენენ, შიიტები კი 16%-ს. შიიტები უმრავლესობაში სამ ქვეყანაში არიან – ირანში, აზერბაიჯანსა და ერაყში. ყველა დანარჩენ მუსლიმურ ქვეყანაში ისინი უმცირესობაში არიან.

5. 2. ვაჰაბიზმი

ვაჰაბიზმი – ეს არის რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში. აღმოცენდა მე-18 საუკუნეში, ცენტრალურ არაბეთში. სახელწოდება მიიღო მისი დამფუძნებლის იბნ აბდ ალ-ვაჰაბის მიხედვით.

ვაჰაბიტებმა თავისი მოღვაწეობა დაიწყეს ისლამის „გაწმენდის“ ლოზუნგით. ვაჰაბი თავის მოძღვრებას „სუფთა ისლამს“ უწოდებდა. ვაჰაბიტები უარყოფენ ყველანაირ სიახლეს, რომელსაც არ მოეპოვება პირდაპირი საფუძველი ყურანში. ვაჰაბიტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე ჯიჰადს (არაბ. „ლაზავათ“) – შეიარაღებულ ბრძოლას წარმართებისა და იმ მუსლიმთა წი-

ნააღმდეგ, რომლებმაც შეცვალეს და უარყვეს ისლამის თავდაპირველი პრინციპები. ვაჰაბიტები ასევე გმოზენ ფუფუნებასა და მომხვეჭელობას, კრძალავენ მათრობელა სასმელებს, თამბაქოს, სიმღერას, ცეკვას და სხვა.

ყოველივე ამის გამო, ვაჰაბიზმში ხშირია ფანატიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებები. ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგიის საფუძველია. გარდა საუდის არაბეთისა, ვაჰაბიტები ცხოვრობენ სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ბოლო დროს ვაჰაბიზმი გავრცელდა აგრეთვე კავკასიის რეგიონშიც, კერძოდ, დაღესტანში და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში.

„ევროპელი მუსლიმები სრულად და ნათლად ვიზიარებთ შემდეგ საერთო ევროპულ ღირებულებებს: ა) კანონის უზენაესობას; ბ) ტოლერანტობის პრინციპებს; გ) დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ფასეულობებს (...) არ არის მართალი, მუსლიმურ სამყაროში დემოკრატიის ნაკლებობა ისლამს დააბრალო; ისლამის სახელით ადამიანის უფლებების დარღვევა ცოდვაა“

*ევროპელ მუსლიმთა დეკლარაცია 2006 წ.
§ 1.4 და 3.7 // ჟურნ. სოლიდარობა #2, 2006*

„ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელებისას დაშვებულმა ხარვეზებმა დიდი გასაქანი მისცა ევროპაში მოღვაწე რადიკალურ ისლამურ ჯგუფებს, რომელთა საქმიანობის ხასიათი ბოლო ოცი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ადრე ისინი მათი წარმოშობის ქვეყნებში, ძირითადად, ისლამური ქვეყნების შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ცდილობდნენ, ამჟამად მათი მიზანი ანტიდასავლური ხასიათის საერთაშორისო ჯიჰადის წარმოებაა“

ბ. კომახია. მუსლიმები დასავლეთ ევროპაში // ჟურნ. სოლიდარობა #8, 2006 გვ. 34

ამერიკელი პოლიტოლოგი ს. ჰანტინგტონი შემდეგს წერს: „მუსლიმებს აშინებთ დასავლეთის სიძლიერე და

ყველანაირად ეწინააღმდეგებიან როგორც მთლიანად მას, ასევე იმ საშიშროებას, რასაც იგი უქმნის მათ საზოგადოებასა თუ შეხედულებებს. მათთვის დასავლური კულტურა არის მატერიალისტური, კორუმპირებული და ამორალური... ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ მასთან ბრძოლის აუცილებლობას ცხოვრების საკუთარი წესის დასაცავად“

გ. მირსკი. პოლიტიკური ისლამი და დასავლური საზოგადოება // ჟურნ. არჩევანი #2, 2007, გვ. 44

მე-20 ს-ის დასაწყისში ირანში არსებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ ძალებთან ალიანსი „დასავლური ტიპის სახელმწიფოებრიობის შექმნას ისახავდა მიზნად (ამ მოვლენას ვნათლავთ „ევროპეიზაციად ევროპელთა წინააღმდეგ“), მაგრამ რომელშიც, ირანის ტრადიციებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებდა შიიტური ისლამი და სამღვდელოება“.

გიორგი სანიკიძე. შიიზმი და სახელმწიფო ირანში. თბ., 2005, გვ. 194

6. ისლამური მისტიციზმი: სუფიზმი

არაბული სიტყვა „სუფ“ ნიშნავს „მატყლს“. ერთ-ერთი ვერსიით, ამგვარი სახელწოდება მათ იმიტომ დაერქვათ, რომ ტრადიციულად სუფიები შალის ტანსაცმლით დადიოდნენ. სუფიზმი მე-8 ს-ში წარმოშობილი ასკეტურ-მისტიკური ხასიათის სწავლებაა ისლამში. მისი გაზიარება ისლამის ყველა მიმართულების მიმდევარს შეუძლია, რომლებიც ერთგვარ საძმოებსა და ორდენებში¹⁰⁰ ერთიანდებიან. სუფიზმს შემუშავებული აქვს თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული საშუალებები, რომელთა მიზანია ადამიანს დაეხმაროს ღმერთთან უშუალო ურთიერთობის დამყარებაში. სუფი მისტიკოსები ამას ქეშმარიტების შემცენებას

100. ორდენი – ბერების საზოგადოება, რომელსაც გარკვეული წესდება აქვს.

უწოდებენ. ჭეშმარიტებად განიხილება მდგომარეობა, როდესაც სუფი მიწიერი სურვილებისგან თავისუფლებას აღწევს და ექსტაზის საშუალებით ამყარებს შინაგან ურთიერთობას ღმერთთან. სუფიზმი საკმაო ხანი კანონგარეშე მოძრაობად ითვლებოდა. შემდგომ, ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში სუფიები სახალიფოს კარზე პრივილეგიებულ მდგომარეობაშიც კი იყვნენ.

„ეცადე არვის ესროლო ღვარძლის ლოდი და გუნდა,
გული საკუთარ ნალველში ამოგეგუდოს თუნდა.
მუღამ ეცადე, სიხარბე რომ დაიოკო შენი.
უნდა ჯვარს ეცვა, მაგრამ სხვას ვნება უნდა აშორო უნდა!“

*(თარგმანი მ. თოდუასი)
ომარ ხაიამი
ირანული პოეზია. თბ., 1977, გვ. 303*

რიგ ქვეყნებში სუფიზმი ისლამური ტრადიციის დომინანტურ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ისლამური სამყაროს სხვა ნაწილებში სუფიზმის მიმართ შეიძლება არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები არსებობდეს. ზოგიერთი ისლამური მიმდინარეობის (მათ შორისაა ვაჰაბიტებიც) შეფასებით, სუფიზმმა დაამახინჯა ისლამი ქრისტიანული და ინდუისტური ელემენტების შემოტანით, ხოლო სუფიების ზოგიერთი ადათ-წესი და რიტუალი საერთოდ ანტიისლამურ მოვლენად ცხადდება. მაგალითად, გარდაცვლილი სულიერი მოძღვრების საფლავებზე ლოცვა, ექსტაზური ცეკვები და ღმერთთან შერწყმის სუფიური კონცეპცია. თუმცა, სუფიზმის უდიდესი წარმომადგენელი, ალ-ღაზალი (1058-1111) თვლიდა, რომ სუფიზმი ისლამის არსი იყო.

სუფიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: სიგლახაკის ქადაგება; გარემომცველი სამყაროს მოჩვენებითობისთვის ხაზგასმა; ყოველივე მიწიერის უარყოფა, ანუ შინაგანი განდევილობა; უფლის ნებისადმი ცალსახა მინდობა; ყურანის ალეგორიული განმარტება.

მშვენიერს ვუთხარ: დამანახე სახე ფარული,
ნუ მემალები, მაგრძნობინე მეც სიყვარული.
გაიღიმა და მიპასუხა: სხვებს მე არ ვგავარ,
მე ფარდის იქით ხილული ვარ, აქეთ – ფარული (...)
ჰე, ქრისტიანო, გულწარმტაცო, ბაგეფაქიზო,

ნუ მიფრთხი, მინდა შენც ჩემდამი რტვობით აღივსო,
ხან ჩემს სველ თვალებს ნაგუბარი ცრემლი შეაშრო,
ხან ჩემს მშრალ ბაგეს შენი სველი ბაგე აღირსო“

(ლექსის თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

აბუ საიდი

ირანული პოეზია. თბ., 1977, გვ. 283, 285

სუფიურ საძმოებში მასწავლებლებს ეწოდებათ მურშიდები, მწირებს¹⁰¹ – დერვიშები, მოწაფეებს – მურიდები. სუფიზმის ას-კეტური სისტემის საფუძვრებია: 1. „შარიათი“, ამ ეტაპზე მოწაფე იწყებს უფლის მცნებებისა და კანონების გაცნობიერებას; 2. „ტარიკათის“ ეტაპი გულისხმობს შეიხის მითითებების დაცვასა და სათანადო რიტუალების შესრულებას; 3. ეტაპი „მარიფათი“, რაც გულისხმობს უფლის შემეცნებას გულით და არა გონებით; 4. „ჰაკიკათი“ – ამ ეტაპზე სუფია აღწევს ჭეშმარიტების სრულ შემეცნებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სუფიური პოეზია, რომელმაც უაღრესად თავისებური სიმბოლიკა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ღმერთი იქცა მშვენიერ სატრფოდ, რომლისგანაც პოეტი უმოწყალოდ არის განშორებული, ხოლო თვით პოეტი იქცა თავდავიწყებულ მიჯნურად, რომლის ერთადერთ სურვილს სატრფოსთან შერწყმა წარმოადგენს (მსგავსი სიმბოლოებია გამოყენებული, მაგალითად, ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში, ქებათა ქებაში, სადაც ღმერთი ლამაზი ქალის სახით არის წარმოდგენილი, რომელსაც ჭაბუკი, ღვთის მაძიებელი სული, გულანთებული ეტრფის და ეძებს). სულიერი ექსტაზის სიმბოლოდ სუფიურ პოეზიაში იქცა ღვინო, ვინაიდან მისტიკურ-რელიგიური ექსტაზი სიმთვრალის მდგომარეობის ანალოგიურია, რომელსაც ასევე გამოჰყავს ადამიანი ამქვეყნიური რეალობიდან. ამიტომ როდესაც სუფი პოეტების შემოქმედებას ვეცნობით, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეს ალევორიულობა. სუფიური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლები არიან ომარ ხაიამი, აბუ საიდი, ანსარი და სხვ.

101. მწირი – 1) წმინდა ადგილების მომლოცველი; 2) ზოგადად: უქონელი და გლახაკი.

სუფიზმის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ინათა ჰანა (1882-1927) შემდეგი სიტყვებით მიმართავს უფალს: „სიყვარულო ჩემო, სად აღარ გეძებდი, მიწაზე, ზეცაში... ხმამალა გიხმოვდი მინარეთიდან... მაგრამ ვერ-სად გიპოვნე. ბოლოს კი, ჩემს გულში აღმოვაჩინე, მარგალიტის თვალივით დამალული“.

Мудрость Суфиев. Пер. с Персид., СПб., 2001, გვ. 58

7. ისლამი საქართველოში

საქართველოში ისლამი შემოვიდა არაბების ბატონობის პერიოდში (VII-IX სს.). როდესაც მე-7 საუკუნის შუა ხანებში არაბმა სარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრიმ დაიპყრო სომხეთი და ქართლ-კახეთი. მან თბილისს „დაცვის სიგელი“ გადასცა, რაც გულისხმობდა ზავის დადებას. ქართველებმა სრულ განადგურებას ამჯობინეს უომრად, წინააღმდეგობის გარეშე მორჩილება. სიგელის თანახმად ქართველებს ხარკი (ჯიზია) უნდა ეხადათ არაბებისთვის, მაგრამ ვინც მუსლიმურ სარწმუნოებას აღიარებდა, ის თავისუფლდებოდა ხარკისგან. ძველი ისლამური ტრადიციის თანახმად, მუსლიმთა ლაშქრობის დროს წარმართების (არაბ. „მუშრიკუნ“) მოქცევა სავალდებულო იყო, იუდეველებისა და ქრისტიანების (არაბ. „აჰლ ალ-ქითაბ“; რაც ნიშნავს „წმ. წერილის ხალხს“) გამუსლიმება კი არ მიიჩნეოდა აუცილებლად, თუკი ისინი თავს მუსლიმი ხელმწიფის ქვეშევრდომად აღიარებდნენ და გადასახადს გადაიხდიდნენ. თუმცა, გამუსლიმება არ გულისხმობდა ძალმომრეობას, რადგან ყურანი ნათლად აცხადებს: „არანაირი იძულება სარწმუნოებაში!“ (ყურანი 2:257).

არაბი მემკვიდრე (1086 წ.) აღწერს ესპანეთის ერთ-ერთი ციხესიმაგრის აღების ამბავს: „როცა ჩვენი მისვლა გაიგო, ქრისტიანი გამოვიდა ჩვენსკენ თავისი ციხესიმაგრიდან და შორიხლო დაბანაკდა ჩვენს მოლოდინში. ჩვენ გაუფგავნეთ მას წერილი, ვურჩევდით, ან მიეღო მუჰამედის სარწმუნოება, ან გადაეხადა გადასახადი, როგორც დააწესა ალაჰმა თავის წიგნში: „ებრძოლეთ ალაჰის ურ-

წმუნოებს, ვიდრე დამცირებულნი საკუთარი ხელით არ გაიღებენ გამოსასყიდს“. ქრისტიანმა თავხედურად უარყო ჩვენი წინადადება, აღშფოთდა და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად გაემზადა“.

*ისტორია/გეოგრაფიის სახელმძღვანელო,
VII კლასი, გვ. 225*

იოანე საბანისძე აღნიშნავს, რომ არაბმა მუსლიმებმა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით „მრავალნი შეაცთუნნეს და გადადრიკნეს გზისაგან სიმართლისა (...) რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკვარებით“.

იოანე საბანისძე. აბოს წამება. თავი I

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა თბილისის საამირო, რომელიც მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთი). ეს ადმინისტრაციული წარმონაქმნი გახდა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოება ისლამის გავრცელების საქმეში. მაგრამ მეფე დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის გათავისუფლებისა (1122 წ.) და სამეფო ტახტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის შემდეგ საამირომაც შეწყვიტა თავისი არსებობა. გავრცელებული შიშის საპირისპიროდ, მეფე დავითმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა მუსლიმთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას. ამასთან დაკავშირებით, მე-12-13 საუკუნეების არაბი და თურქი ისტორიკოსები იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიკი და სიბტი იბნ ალ-ჯაუზი გვაუწყებენ შემდეგს: გამარჯვებულმა მეფე დავითმა დედაქალაქის მუსლიმ მოქალაქეებს გარკვეული პრივილეგიებიც კი მიანიჭა საგადასახდო თვალსაზრისით, მუსლიმთა უბნებში ღორის დაკვლა აიკრძალა, მუსლიმთათვის მოჭრილ მონეტებზე ალლაჰის, მუჰამედისა და ხალიფას სახელების ამოკვეთის ნებართვა გასცა. როგორც პროფ. ა. ბარამიძე აღნიშნავს, დავით აღმაშენებელი „მფარველობდა მუსლიმ სუფიებსა და პოეტებს, უგებდა მათ თავშესაფრებს, არ აკლებდა ნივთიერსა და მორალურ დახმარებას“. პროფ. კ. კეკელიძე კი მაჰმადიან ისტორიკოსთა გადმოცემებზე დაყრდნობით, წერს,

რომ მეფე დავითი პირველწყაროებიდან სწავლობდა ისლამს და ყოველ პარასკევს „შედიოდა მეჩეთში“, სადაც იგი ისმენდა ყურანის კითხვასა და იმამის ქადაგებას.

XII საუკუნის ერთი სირიელი ანონიმი ავტორი და XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი, მუჰამედ ალ-ჰამადი, აღნიშნავენ, რომ მეფე დავითს კამათი ჰქონდა განჯის ყადისთან¹⁰² ალაჰის სიტყვის შექმნილი თუ შეუქმნელი ბუნების შესახებ.

ქართველ მუსლიმთა პირველი გაერთიანებები შეიქმნა თბილისსა და დმანისში. სამხრეთ საქართველოს (აჭარა, ტაო-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი) ინტენსიურ ისლამიზაციას კი ადგილი ჰქონდა XVI-XVIII სს-ში. ამავე პერიოდში ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. ქართლის მეფეებს შორის არა ერთი და ორი პიროვნება გამხდარა მუსლიმი ნებაყოფლობით. მაგალითად, კონსტანტინე I, როსტომ ხანი, ვახტანგ V შაჰნავაზი, დავით იმამყულიხანი და სხვა. ქართველი მუსლიმების რიცხვს ის კახელებიც განეკუთვნებიან, რომლებიც შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა. მათი შთამომავლები დღესაც იქ ცხოვრობენ (ე. წ. ფერეიდნელი ქართველები).

ისლამურმა რელიგიურ-კულტურულმა სამყარომ თავისი კვალი საქართველოს კულტურულ ისტორიაშიც დატოვა. ქართულ ენაზე ნათარგმნია ისლამური სიტყვაკაზმული მწერლობის მრავალი ძეგლი, ასევე სპარსელ-აზერბაიჯანელ პოეტთა ნაწარმოებები. თარგმანების საშუალებით ქართულმა ლიტერატურამ შეიძინა ისეთი პირველხარისხიანი ლიტერატურული ძეგლები, როგორებიცაა, მაგალითად, „ვისრამიანი“, „როსტომიანი“ და „ქილილა და დამანა“. შედეგად ქართულმა ენამ ორგანულად შეითვისა ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვაც (ამაში დასარწმუნებლად სულხან-საბას ლექსიკონის გადახედვაც კმარა). გამუსლიმებულ ქართველთა შორის ზოგიერთი მშობლიურ ენაზე აგრძელებდა მოღვაწეობას, მაგალითად, მე-17 საუკუნის ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფი ფარსადან გორგიჯანიძე, პოეტი იასე და სხვა.

ვინაიდან სარწმუნოებას ეროვნულობისგან ყოველთვის ვერ მიჯნავდნენ (მაგალითად, ხალხური ცნობიერების დონეზე კათო-

102. ყადი – (არაბ.) მუსლიმი მსაჯული, მოსამართლე.

ლიკე უპირატესად ნიშნავდა ფრანგს, ქრისტიანი – ქართველს, მუსლიმი – ზოგადად თათარს და მისთ.), რუსეთის იმპერიის იდეოლოგიები ცდილობდნენ გაეგრძელებინათ მოსაზრება მუსლიმი ქართველების არაქართველებდ მიჩნევისა და ამით ქართული ეროვნული მთლიანობის დარღვევა-დასუსტებისთვის შეეწყოთ ხელი. საბედნიეროდ, ისეთი დიდი ქართველი მოაზროვნეები და პატრიოტები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი, თანამემამულეებს თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისკენ მოუწოდებდნენ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე წერილში „ოსმალის საქართველო“ წერს: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც“. სხვა ადგილას კი ილია, მაჰმადიანი ქართველების პრობლემის განხილვისას, აღნიშნავს, რომ „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“, ანუ ისტორიის მსვლელობისას ერთად ცხოვრების გამოცდილება. იაკობ გოგებაშვილმა კი მუსლიმი ბავშვებისათვის დედა ენის საგანგებო ვარიანტი შექმნა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ და ზაქარია ჭიჭინაძემ ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც ქართველ მუსლიმებთან მიმართებაში გამორიცხავდა სარწმუნოებრივ აქცენტებს.

აჭარელი და აფხაზი მუსლიმები, ძირითადად, სუნიტები არიან. აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანელთა შორის გავრცელებულია შიიზმი. თბილისის მეჩეთი არის აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმთა ცენტრი, სადაც, სხვათა შორის, ერთად ლოცულობენ შიიტები და სუნიტები.

საქართველოში ისლამის მიმდევრად თავს ნახევარ მილიონამდე, ანუ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10% მიიჩნევს. საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) დღეისათვის (2009 წ.) მოქმედებს 286 მეჩეთი და სამლოცველო. გარდა ამისა მიმდინარეობს 6 მეჩეთის მშენებლობა.

„ჩვენ რომ ნორმალური, ძლიერი, შეკრული და დაცული სახელმწიფო გვქონდეს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა რომ არ იყოს დარღვეული, რასაკვირველია, ასეთი რამეები [ზემოთ ავტორი საუბრობს აჭარაში მუსლიმური სამლოცველოების აღდგენა-აშენების შესახებ, დ.თ.] სულაც არ უნდა გვაწუხებდეს. უკლებლივ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, მისთვის მისაღები და სასურველი კონფესია და რწმენა მიიღოს, მაგრამ ახლანდელ უმძიმეს პირობებში, როდესაც საქართველოს ყველა მუშტრის თვალთ უყურებს და მის ხელში ჩაგდებას თუ არა, უკეთეს შემთხვევაში, გავლენის სფეროს მოპოვებას ლამობს, ქართველთა შორის ამდენი მეჩეთისა თუ სალოცავის აღდგენა-აშენება რა შედეგს მოგვითმის?“

თ. ფანჯიკიძე. მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები. თბ., 1999, გვ. 29

ბუდიზმი

1. ბუდიზმის წარმოშობა და გავრცელება

1.1. შესავალი

ბუდიზმი – მსოფლიო რელიგიებს შორის უძველესია. იგი წარმოიშვა ინდოეთში ძვ. წ. VI ს-ში. ეს რელიგია პრინციპულად განსხვავდება აბრაამიტული რელიგიებისგან. თანამედროვე ბუდიზმი შეიძლება შეფასდეს როგორც რელიგიად, ასევე კულტურად, ფილოსოფიად, იდეოლოგიად და ასევე უბრალოდ ცხოვრების წესად.

ბუდიზმი სწაფად გავრცელდა მთელს ინდოეთში. მან დიდი გავლენა მოახდინა ასევე ბრაჰმანიზმიდან (იხ. ქვემოთ) წარმოშობილ ინდუიზმზე, თუმცა შემდგომ ბუდიზმი სწორედ ინდუიზმმა განდევნა ინდოეთიდან და XII ს-ში ეს რელიგია უკვე პრაქტიკულად აღარ არსებობდა ამ ქვეყანაში.

ახ. წ. I საუკუნისთვის ბუდიზმი უკვე ორ მთავარ მიმდინარეობად არის დაყოფილი. მათი სახელწოდებებია ჰინაიანა და მაჰაიანა (იხ.).

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბუდიზმმა შექმნა და განავითარა არა მხოლოდ რელიგიური შეხედულებები, კულტი, ფილოსოფია, არამედ ასევე კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, განათლების სისტემაც კი – სხვა სიტყვებით, მთელი ცივილიზაცია.

ბუდისტური ლიტერატურა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ადრეული შრომები დაწერილია სანსკრიტულ,¹⁰³ პალიურ (სანსკრიტის დიალექტი), ბირმულ, ჩინურ, იაპონურ და ტიბეტურ ენებზე.

ტერმინ „ბუდიზმს“ არ გააჩნია სინონიმები. მაგრამ გამონაკლისი იაპონიაა, სადაც ამ რელიგიას „ბუკკე“-ს უწოდებენ. ბუდიზ-

103. სანსკრიტი – ძველი ინდური ენა (ამჟამად მკვდარ ენად მიიჩნევა).

მი, ძირითადად, გავრცელებულია ჩინეთში, ტაილანდში, იაპონიაში, ბირმაში, ვიეტნამში, კორეაში და შრი-ლანკაში.

1. 2. ინდოეთი ბუდიზმის გაჩენამდე

ბუდისტური შეხედულებების, ისევე როგორც ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების თითქმის ყველა მიმართულების ფესვები ვედებშია. ვედები ოთხ ნაწილად იყოფა. ყველაზე ადრეული ტექსტია რიგვედა (ძვ. წ. XV ს.), რომელიც ღვთაებებისადმი მიძღვნილი ჰიმნებისგან შედგება. იგივე ჰიმნები მეორდება ვედების მეორე ნაწილში – სამავედაში. იაჯურვედა შეიცავს მსხვერპლშეწირვის დროს წარმოსათქმელ ფორმულებს. უკანასკნელი კრებული კი – ათჰარვავედა, მაგიურ შელოცვებს მოიცავს. მთელი ეს კორპუსი (იგი თავისი მოცულობით, მაგალითად, ბიბლიას ექვსჯერ აღემატება) ადამიანისა და სამყაროს შესახებ იმგვარ ხედვას გადმოსცემს, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია მთელს ინდურ ცივილიზაციაში.

ინდურ ცივილიზაციაში ასევე მნიშვნელოვან ტექსტებად ითვლება უპანიშადები (მათი წარმოშობა თარიღდება ძვ. წ. 1000-500 წწ.). ძველი ბუდისტური ტრაქტატები ხშირად მიუთითებენ მკითხველს უპანიშადებში გადმოცემულ სწავლებაზე. არსებობს 108-მდე უპანიშადი, რომელთა უმრავლესობაში დიალოგების ფორმით არის გადმოცემული, ძირითადად, ვედების განმარტებები.

ბუდიზმის წარმოშობის დროს ინდოეთში ყველაზე გავლენიანი რელიგია ბრაჰმანიზმი იყო. მისი კულტი და ღვთისმსახურება გულისხმობდა მრავალი ღვთაების წინაშე მსხვერპლშეწირვასა და საკმაოდ რთული ხასიათის რიტუალების აღსრულებას, რომელიც წინ უძღოდა ფაქტიურად ყველა მოვლენას თუ ქმედებას.

ბრაჰმანული სისტემით, საზოგადოება იყოფოდა ვარნებად (წოდებებად, კასტებად): ბრაჰმანები (ქურუმები, რაც უმაღლესი წოდება იყო), კშატრიები (მეომრების წოდება), ვაიშები (ვაჭართა წოდება) და შუდრები (ამგვარად ეწოდებოდათ ყველა დანარჩენი ფენის მსახურებს).

ბუდიზმმა თავისი წარმოშობის დღიდანვე უარყო (1) მსხვერპლშეწირვის რიტუალები, რადგან ისინი არაქმედითად გამოაცხადა ზებუნებრივი სამყაროს წინაშე და (2) საზოგადოების კასტებად დაყოფა იმგვარად, როგორც ეს ბრაჰმანიზმში იყო მიღებული. ბუდიზმმა საზოგადოება მხოლოდ ორ ნაწილად დაყო: უმაღლეს კატეგორიად, რომელშიც შედიოდნენ ბრაჰმანები, კშატრიები და გაჰაპატები (მიწათმოქმედნი) და უმდაბლეს კატეგორიად, რომელშიც შედიოდნენ უმაღლესი წოდების ადამიანთა მსახურები.

იმ დროისთვის საკმაოდ ბევრი ასკეტი გამოდიოდა ასპარეზზე, რომლებსაც არავითარი ქონება არ გააჩნდა და სხვების დახმარებით ცხოვრობდა. სწორედ ასეთ ადამიანთა შორის ჩნდებოდა ახალი რელიგიები – ბუდიზმი, ჯაინიზმი და სხვა, რომლებიც არ აღიარებდნენ ბრაჰმანიზმს. მათთვის მთავარი ადამიანის შინაგან ცხოვრებაზე კონცენტრირება იყო და არა სხვადასხვა რიტუალების გარეგნული აღსრულება.

1. 3. ბუდას პიროვნება

ბუდისტური გადმოცემის თანახმად, ამ რელიგიის დამფუძნებლად ითვლება სიდჰარტა გაუტამა, რომელიც ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მაგადჰის სამეფოს მმართველის მემკვიდრე იყო.

სიდჰარტა გაუტამა განსაკუთრებულ ფუფუნებაში იზრდებოდა. ლამაზი ბალებით გარშემორტყმულ მდიდრულ სასახლეში ახალგაზრდა ჭაბუკს არანაირი სიამე არ აკლდა. ბრწყინვალე განათლების მიღების შემდეგ სიდჰარტა დაქორწინდა და ვაჟი ეყოლა.

მამას არ სურდა რომ მისი შვილი ამ სამოთხისეზური წალკოტის მიღმა გასულიყო და ამქვეყნიური ტანჯვით მოცული ადამიანები ეხილა, რათა მის შვილს ყოველივე ამის ხილვით თავი უბედურად ან შეწუხებულად არ ეგრძნო. მაგრამ 33 წლის ასაკში სიდჰარტა ფარულად ტოვებს მამისეულ სასახლეს.

ამის მიზეზი კი შემდეგი ცნობილი „ოთხი შეხვედრა“ გახლდათ. ერთხელ, როცა ბუდა 29 წლის იყო, მსახურთან ერთად სასახლისგან მოშორებით გავიდა. შედეგად მან იხილა ის, რაც მა-

ნამდე არასოდეს ეხილა: (1) ავადმყოფობა: წყლულებით მოცული მოხუცი ადამიანი; (2) სიბერე: წელში მოხრილი და კოჭლობით მიმავალი ბერიკაცი; (3) სიკვდილი: დაკრძალვის ცერემონიალი; და ბოლოს, (4) სულიერი გზა: უპოვარი ბერი, რომელსაც ყოველივე ამქვეყნიურისთვის ზურგი შეექცია და სულიერი სიმშვიდე განდევნილი ცხოვრებით ეპოვა. პირველმა სამმა შეხვედრამ მძიმე, შემადრწუნებელი ზეგავლენა მოახდინა მასზე. მასში გაჩნდა ღრმა თანაგრძნობისა და ამგვარი ტანჯვისგან გამოუვალობის შეგრძნება. თუმცა მეოთხე შეხვედრის წყალობით მასში ერთგვარი იმედი ჩაისახა, რომელიც მისთვის გარკვეული მითითება აღმოჩნდა ამქვეყნიური ტანჯვისგან თავის დაღწევისკენ.

ამიტომ როდესაც მამამ სიდჰარტას სასახლეში დაბრუნება მოსთხოვა, რათა მისი გარდაცვალების შემდგომ სამეფოს მმართველობა მას გაეგრძელებინა, ამ უკანასკნელმა მას შემდეგი შეუთვალა: დაბრუნდებოდა იმ პირობით თუ იგი (მამამისი) შეძლებდა დაუშრეტელი ჯანმრთელობის, მარადიული ახალგაზრდობისა და სულიერი სიმშვიდის მოცემას.

ამის შემდეგ გაუტამა შვიდი წლის მანძილზე ასკეტური წესით ცხოვრობს ულრან ტყეში იმ იმედით, რომ სულიერ სიმშვიდედა და ჭეშმარიტების შეცნობას სწორედ ამ გზით მიაღწევს. გადმოცემის თანახმად, სიდჰარტა ისე გაიწაფა ასკეტურ ღვაწლში, რომ შეეძლო ერთი კანაფის მარცვალის გარდა არაფერი ეჭამა მთელი დღის განმავლობაში და ბრაჰმანული წმინდა ტექსტები განუწყვეტილად ეკითხა.

მაგრამ ამგვარმა ცხოვრებამ მაინც არ მოუტანა სულიერი კმაყოფილება ახალგაზრდა განდევნილს. სიდჰარტა თანდათან ხვდება, რომ გადარჩენის ჭეშმარიტი გზა არ არის განდევნილურ ცხოვრებაში. ამ დროს იგი 35 წლის არის. იგი გადაწყვეტს, რომ ერთი ხის ძირას დაჯდეს და მანამდე არ მიატოვოს მედიტაცია, სანამ გასხივოსნებას არ მიაღწევს. 49 დღიანი დაძაბული კონცენტრაციის დროს მან მართლაც განიცადა უეცარი გასხივოსნება, რის შედეგადაც გაუტამას გადარჩენის (ხსნის) გზა ეუწყა. ამის შემდეგ სიდჰარტა გაუტამას ეწოდა „ბუდა“, რაც ნიშნავს „გასხივოსნებულს“. ბუდას ასევე უწოდებდნენ შაკია მუნს – ანუ ბრძენს შაკიას ტომიდან.

თავის პირველ ქადაგებაში ბუდა საუბრობს ორ უკიდურესობაზე, რომელიც ადამიანებს ხელს უშლის ხსნის გზაზე დადგომაში (იხ. უშუალოდ ბუდას სიტყვები):

„ჰოი, ბერებო, არსებობს ორი უკიდურესობა, რომლებსაც თავი უნდა მოარიდოს საერო ცხოვრებას განშორებული. როგორია ეს უკიდურესობები? ეს არის საკუთარი თავის მიცემა ვნებებისათვის, – რომელიც არაკეთილშობილური, სულმდაბალი, უმსგავსი და უმიზნო საქციელია. მეორე უკიდურესობა კი საკუთარი თავის თვითგვემა – ესეც მტკივნეულია და ასევე უმიზნო. ჰოი, ბერებო, ამ ორი უკიდურესობის თავიდან აცილებით სრულყოფილი და გონიერი ადამიანი ზომიერ გზას ირჩევს, რომელიც მას თვალებს აუხელს, გონებას გაუხსნის და სიმშვიდისკენ, გასხივოსნებისკენ და ნირვანასკენ¹⁰⁴ წაიყვანს. მაგრამ როგორია, ბერებო, ზომიერება? ეს რვასაფეხურიანი გზაა. ესაა – (1) მართალი სარწმუნოება, (2) მართალი გამგებლობა, (3) მართალი მეტყველება, (4) მართალი ქცევა, (5) მართალი ცხოვრება, (6) მართალი ფიქრები, (7) მართალი გულისთქმები და (8) მართალი ჭვრეტა (ვრცლად მათ შესახებ იხ. ქვეთავში „ოთხი ჭეშმარიტება“ დ.თ.); ამგვარია ზომიერი გზა. აი, ბერებო, უზენაესი ჭეშმარიტება ტანჯვის შესახებ: დაბადება – ტანჯვაა, სიბერე – ტანჯვაა, ავადმყოფობა – ტანჯვაა, სიკვდილი – ტანჯვაა, სიყვარული – ტანჯვაა, სიყვარულთან განშორება ტანჯვაა, ნანატრის ვერმიღება – ტანჯვაა, მოკლედ, ყველაფერი, რაც არსებობისადმი ჩვენს მიჯაჭვულობას განაპირობებს, ტანჯვაა... აი, ბერე-

104. ნირვანა – (სანსკ. „ჩაქრობა“) ნიშნავს სრულ სიმშვიდეს, რომელიც არც სიცოცხლეა და არც სიკვდილი, არამედ თავისებური ყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული. ამრიგად, რამდენადაც ადამიანი ვერ აღწევს თავს რეინკარაციულ წრებრუნვას ამქვეყნიური სიამეების მიმართ თავისი სურვილების (მიჯაჭვულობის) გამო, ანუ ზოგადად, არსებობის სურვილის გამო, ამიტომ საჭიროა ამ სურვილების „ჩაქრობა“ რვასაფეხურიანი გზის გავლით, რათა ადამიანმა ნირვანას მდგომარეობას მიაღწიოს.

ბო, უზენაესი ჭეშმარიტება ტანჯვის შეწყვეტის შესახებ: ეს არის სრული განთავისუფლება სურვილებისგან, მათი დათრგუნვა, ჩაქრობა და განდევნა. აი, ბერებო, უზენაესი ჭეშმარიტება იმ გზის შესახებ, რომელსაც ტანჯვის შეწყვეტისკენ მივყავართ: ეს რვასაფეხურიანი გზაა (მეორდება იგივე ჩამონათვალი, რაც ზემოთ, დ.თ.). აი, ბერებო, ამეხილა მე თვალები ამ ჭეშმარიტებაზე, რაზეც აქამდე არავის ჰქონდა წარმოდგენა. ასე გასხივოსნდა ჩემი გონება...”

Р. Пишель. Буда. Его Жизнь и Учение. Пер с нем., М., 2004, гл. 40

ტანჯვის მიზეზის აღმოჩენისა და მისგან თავის დაღწევის საშუალების შემეცნების შემდეგ იგი გადაწყვეტს სხვებსაც უქადაგოს ახალაღმოჩენილი ჭეშმარიტება. მაგრამ, ბუდისტური გადმოცემით, სიკვდილის ღმერთი, დემონი (სახელად მარა) ცდილობს შეეწინააღმდეგოს მას. მაგრამ ბუდა მისგან მოვლენილ ყველა დაბრკოლებასა და ცდუნებას უძლებს. ამის შემდეგ ბუდა წარმოთქვამს პირველ ქადაგებას, რომელიც ბუდიზმის რელიგიური სწავლების საფუძველია. მისი პირველი ქადაგების მსმენელი ხუთი მოწაფე და ორი ირემი იყო.

ამ ქადაგების წარმოთქმის შემდეგ (რომელიც ასევე „ოთხი ჭეშმარიტების“ შესახებ მოძღვრებასაც შეიცავდა), ბუდა თავის მოწაფეებთან ერთად, რომელთა რიცხვიც თანდათანობით იზრდებოდა, 40 წლის განმავლობაში ქადაგებდა და სასწაულთმოქმედებდა ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში.

80 წლის ასაკში, გარდაცვალების წინ, ბუდამ დამსწრეთ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჰოი, ბერებო, ახლა მე არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი გარდა იმისა, რომ ყოველი ქმნილება განწირულია განადგურებისთვის. მთელი ძალებით ესწრაფვოდეთ გადარჩენას“. ბუდას სიკვდილი ნირვანაში დიად გადასვლად მიიჩნევა. ბუდისტები თაყვანს სცემენ როგორც მისი გარდაცვალების, ასევე მისი შობისა და გასხივოსნების თარიღებს.

ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობა ბუდას შობისა და გარდაცვალების სხვადასხვა თარიღზე მიუთითებდა. ბოლო დროს ზოგიერთი აღმოსავლური ქვეყნის ბუდისტები ბუდას გარდაცვალების საერთო თარიღზე შეთანხმდნენ. ეს არის ძვ. წ. 544 წლის

მაისის სავესტეგარეობის დღე. ამრიგად, მათ 1956 წელს ფართოდ აღნიშნეს ბუდიზმის არსებობის 2,500 წლისთავი.

1. 4. ბუდიზმი ინდოეთის საზღვრებს მიღმა

ძვ. წ. VI ს-ში წარმოშობილმა ბუდიზმმა მაშინვე როდი მოიპოვა ფართო აღიარება. ის მხოლოდ ძვ. წ. III ს-დან იწყებს გავრცელებას სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიისკენ. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როცა ინდოეთის იმპერატორმა აშოკამ ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

როგორც ჩანს, ძვ. წ. III ს-ში ბუდიზმი უკვე დამკვიდრებული იყო ნეპალსა და შრი-ლანკაში. ახ. წ. I ს-ში კი მან ჩინეთში შეაღწია, სადაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი რელიგიად იქცა. I-II სს-ებში ბუდისტური სწავლება გავრცელდა ასევე ცენტრალურ და შუა აზიაში.

IV ს-ში ბუდიზმი ჩინეთიდან კორეაში გადადის, სადაც იგი X ს-დან სახელმწიფო რელიგია ხდება. VI ს-ში კი ეს რელიგია ჩინეთიდან და კორეიდან იაპონიაში შედის. ბუდიზმმა ჩინეთში შეღწევისას შეითვისა ამ ტერიტორიაზე მანამდე არსებული რელიგიური და ფილოსოფიური სწავლებების (დაოსიზმისა და კონფუციანიზმის) სხვადასხვა ელემენტი.

იაპონიაში ბუდიზმმა საკმაოდ მტკიცე პოზიციები დაიკავა. იგი ერთი პერიოდი (VIII ს.) სახელმწიფო რელიგიაც კი იყო აქ, მშვიდობიანად თანაარსებობდა რა ადგილობრივ იაპონურ რელიგიასთან – სინტოიზმთან.

ახ. წ. II ს-ში ბუდისტი მისიონერები ჩნდებიან ამჟამინდელი ვიეტნამის ტერიტორიაზე. ამავე პერიოდში ყალიბდება ბუდისტური თემები კამბოჯაში. V ს-ში ბუდიზმი ინდონეზიის ტერიტორიაზეც ვრცელდება, ხოლო XII ს-დან ლაოსში.

ნეპალის გავლით კი ბუდიზმი ტიბეტში შედის (VII ს.). აქ მან ბევრი ადათ-წესი შეითვისა უძველესი შამანური რელიგიისგან. XIII ს-ში ცდილობდნენ ბუდიზმის შეტანას მონღოლეთშიც, მაგრამ ამას არ მოჰყოლია წარმატება. აქ ბუდიზმის ტიბეტური ვარიანტი (იხ. ლამაიზმი) მხოლოდ XVI ს-ის ბოლოს მკვიდრდება.

ბუდისტ ბერთან, გაძანთან სტუმრობის დროს ერთმა სტუდენტმა მას ჰკითხა: „ქრისტიანთა ბიბლია თუ წაგიკითხავს?“ „არა, წამიკითხე.“ სტუდენტმა გადაშალა ბიბლია და მათეს სახარებიდან ქრისტეს შემდეგი სიტყვების ამოკითხვა დაიწყო: „რას ზრუნავთ სამოსისთვის? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არ შრომობენ, არც ართავენ. გეუბნებით თქვენ, რომ არც სოლომონი შემოსილა მთელი თავისი დიდებისას, როგორც ერთი ამათვანი... ნუ ზრუნავთ და ამბობთ: რა ვჭამოთ და რა შევიმოსოთ, რადგან ყოველივე ამას წარმართები ეძიებენ. იცის თქვენმა ზეციერმა მამამ, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს. ამიტომ ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და ეს ყოველივე მოგეცემათ თქვენ.“

ბერმა გაძანმა უპასუხა: „ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, გასხივოსნებული ადამიანია.“ სტუდენტმა კითხვა განაგრძო: „ითხოვეთ და მოგეცემათ, დააკაკუნეთ და გაგელებათ, ვინაიდან ყველა ვინც ითხოვს, მიეცემა და ვინც დააკაკუნებს, გაელება.“

ბერი გაძანი: „ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, შორს არ არის ბუდიზმისგან“

*Буддизм: Четыре Благородных Истины.
Сост. Я. Боцман. Москва-Харьков 2002, გვ. 211*

მაგრამ ყველა ზემოთჩამოთვლილ ქვეყანაში ბუდიზმს არ დაუკავებია დომინანტური პოზიცია. მაგალითად, საკუთარ სამშობლოში, – ინდოეთში, – ბუდიზმმა თანდათანობით კარგავს გავლენას, VII-VIII სს-ებში კი იგი სრულიად განიდევნა ერთგვარად რეფორმირებული ბრაჰმანიზმის მიერ. მეზობელი ქვეყნიდან, – ნეპალიდან, – ბუდიზმის განდევნას ინდუიზმმა შეუწყო ხელი. შუა აზიაში კი არაბთა დამპყრობლური ომების შედეგად, ბუდიზმი ახლად წარმოშობილმა რელიგიამ – ისლამმა განდევნა.

ჩინეთსა და კორეაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ბუდიზმის გავლენა ძალიან ძლიერი იყო, მან მაინც ვერ შეძლო გაბატონებული რელიგია გამხდარიყო. იაპონიაშიც ბუდიზმმა გავლენის სფერო ადგილობრივ იაპონურ რელიგიასთან – სინტოიზმთან ერთად გაიყო.

2. ბუდიზმის წერილობითი წყაროები

2. 1. ტრიპიტაკა

ბუდისტური სწავლების ძირითადი დებულებები გადმოცემულია ე. წ. კანონიკურ ლიტერატურაში. მათში დაფიქსირებულია თავად ბუდას ქადაგებები და გამოცხადებები, რომელიც შემდგომში მისი მოწაფეების მიერ ჩაიწერა. მასშივეა განთავსებული ბუდისტური დოგმების, წეს-ჩვეულებებისა და მორალური პრინციპების ახსნა-განმარტებები.

ეს ლიტერატურა ცნობილია სახელწოდებით „ტრიპიტაკა“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამმაგ კალათას“, უფრო ხშირად კი ითარგმნება როგორც „კანონთა სამი კალათა“. გადმოცემის მიხედვით, ბუდას გარდაცვალების შემდეგ, მისი მიმდევარი ბერები ერთად შეიკრიბნენ და ბუდას უახლოესი მოწაფეების მოწმობები მოისმინეს იმასთან დაკავშირებით თუ როგორი იყო ბუდას სწავლების ძირითადი პრინციპები. ერთმა ბუდას მიერ გამოთქმული ის პრინციპები გადმოსცა, რომლებიც ბერთა ცხოვრების წეს-განგებას ეხება. მეორემ საკუთრივ რელიგიური მოძღვრება, რომელიც ბუდას მიერ საუბრებისა და იგავების ფორმით იყო გადმოცემული. მესამემ კი მასწავლებლის ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობები გაიხსენა. სწორედ ამ მიზეზით დაიყო მისი სწავლება სამ ნაწილად: (1) „კალათა წესდებისა“, რომელშიც ჩაწერილია დისციპლინარული წესები ბერებისთვის, (2) „კალათა სწავლამოძღვრებისა“, რომელშიც ჩაწერილია ბუდას ქადაგებები და გამონათქვამები; (3) „კალათა კომენტარებისა“, რომელიც შეიცავს ახსნა-განმარტებებს ბუდისტური ფილოსოფიური დებულებებისა და ზოგადად დოქტრინისა.

ტრიპიტაკაში შემავალი სწავლება საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ფორმირებას, სანამ იგი საბოლოო სახით ჩამოყალიბდებოდა. იგი თავდაპირველად ზეპირი გზით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს სწავლება პირველად ჩაწერილ იქნა პალის ენაზე ძვ. წ. I ს-ში ცვილონის კუნძულზე (შრი-ლანკა). მოგვიანებით კი სხვადასხვა ბუდისტურმა სკოლამ და მიმდინარეობამ ტრიპიტაკის ბევრი ადგილი შეცვალა და გადააკეთა. ამიტომ 1871 წელს მანდალაში (ბირმა) მოიწვიეს საერთო ბუდისტური კრება, სადაც 2,400-მა ბუდისტმა ბერმა სხვადასხვა ხელნაწერისა და

თარგმანის შეჯერებით ერთიანი, უნიფიცირებული ტრიპიტაკის ტექსტი ჩამოაყალიბა. ეს ტექსტი ამოკვეთეს 729 მარმარილოს ფილაზე, რომელთაგან თითოეული მოათავსეს ცალკეულ მინი-ატურულ ტაძარში. ამრიგად, შეიქმნა პატარა ქალაქი-ბიბლიოთეკა, სახელწოდებით კუტოლო. მას შემდეგ ეს ქალაქი ბუდისტების თაყვანისცემის ადგილია.

2. 2. სუტრების კალათა

გარდა ტრიპიტაკისა, არსებობს სხვა ბუდისტური ტექსტებიც. მათი კრებითი სახელია „სუტრების¹⁰⁵ კალათა“, რომელიც ხუთ ნაწილად იყოფა. თითოეულ ამ ნაწილში სხვადასხვა ზომის ტექსტები შედის და ისინი აუცილებლად შემდეგი სიტყვებით იწყება: „ასე მოვისმინე მე...“ ამ ფრაზას მიაწერენ ანანდას, ბუდას საყვარელ მოწაფეს, რომელმაც ბუდას ნირვანაში გადასვლის შემდგომ მოძღვრის ქადაგებები პირველად ჩატარებულ ბუდისტურ კრებაზე გაიხსენა.

ზოგიერთმა სუტრამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და შესაბამისად მათზე მრავალი განმარტება დაიწერა. ასეთია, მაგალითად, „ალმასის სუტრა“, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბუდისტებზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს სუტრა მოწმობს, რომ ამ სამყაროში ყველაფერი არის მაია,¹⁰⁶ ანუ ილუზორულია და არარეალური. ამის გაცნობიერებით კი შესაძლებელია „სიცარიელის, განდგომილებისა და სიმშვიდის“ შენარჩუნება.

ჩინეთსა და იაპონიაში პოპულარულია „უზენაესი კანონის ლოტოსის სუტრა“. მასში საუბარია ბუდას ტრანსცენდენტურობის (მიღმურობის) შესახებ, რადგან იგი წარმოდგენილია არა როგორც ისტორიული პიროვნება, არამედ მთლიანად სამყაროს არსად. ამ სუტრას ბუდიზმის ამ ქვეყნებში გავრცელებული მიმდინარეების – მაჰაიანას სახელმძღვანელოსაც უწოდებენ. ამ სუტრაში ასევე წინა პლანზეა წამოწეული რწმენა საყოველთაო (ყველა ადამიანის) გადარჩენის შესაძლებლობის შესახებ.

105. სუტრა – სიტყვასიტყვით ნიშნავს „წარმმართველ ძაფს“.

106. მაია – (სანსკრ.) ნიშნავს მოჩვენებით, ილუზორულ სამყაროს.

იაპონური ბუდიზმისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს „ოქროსფერი სინათლის სუტრას“. მასში აღნიშნულია, რომ ბუდა ყველაში და ყველაფერში (მათ შორის ნივთებშიც) იმყოფება და რომ იგი თანაუგრძნობს ყველა ცოცხალ არსებას.

„რამდენი შვილიც არ უნდა ჰყავდეს მშობელს მისთვის ყველა თანაბრად ძვირფასია. მაგრამ თუ მათ შორის რომელიმე ავადმყოფობს, მშობელს ეს შვილი უფრო უყვარს და მასზე დანარჩენებზე მეტად ზრუნავს. სწორედ ამგვარია ბუდას უზენაესი თანაგრძნობაც: მას ყველა ადამიანი თანაბრად უყვარს, მაგრამ ყველაზე მეტად თავის სიყვარულსა და ზრუნვას იმ ადამიანებისადმი ავლენს, რომლებიც მძიმე ცოდვებს სჩადიან ან საკუთარი უგუნურების მსხვერპლნი არიან“.

Учение Будды. Токио 1985, გვ. 21

მრავალი სუტრა და მათი კომენტარები მხოლოდ ტიბეტური თარგმანებით არის შემონახული. ტიბეტში ყველა კანონიკური ბუდისტური ტექსტის კრებულები არსებობს, რომლებიც სანსკრიტულიდან ითარგმნა.

2. 3. სხვა წყაროები

ბუდისტური ლიტერატურა ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ცნობილი ბუდისტი ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და ლოგიკოსების ნაშრომებს. გარდა ამისა, თითოეულ ახლად აღმოცენებულ ბუდისტურ მიმდინარეობას საკუთარი თხზულებები გააჩნდა, რომელთა შექმნასაც მისი დამფუძნებელი იწყებდა, შემდეგ კი მისი მემკვიდრეები აგრძელებდნენ. მაგალითად, იაპონიაში ნიტირენის სკოლა „ლოტოსის სუტრასთან“ ერთად კანონიკურ ტექსტად მიიჩნევს ამ სკოლის დამფუძნებლის, ბერი ნიტირანის ნაშრომებსაც (XIII ს.).

ამრიგად, პალის ენაზე შექმნილი „ტრიპიტაკის“ გარდა არსებობს საკმაოდ ვრცელი ბუდისტური ლიტერატურა ასევე იმ ქვეყნების ენებზე, სადაც ბუდიზმი გავრცელდა (ჩინური, იაპონური,

მონღოლური, ტიბეტური და სხვ.). ამ ნაშრომებს შორის ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებია, თუმცა ბუდიზმის დოქტრინისა და კულტის მთავარი ნაწილი უშუალოდ ბუდას ნააზრევი უნდა იყოს, რომელიც ასევე, თავის მხრივ, ინდუიზმის რელიგიურ შეხედულებებს ეყრდნობა (მაგ., სანსარისა და კარმის ცნებები ინდუიზმშიც არსებობდა).

3. რელიგიური პრაქტიკა

3. 1. ბუდისტი ბერების ცხოვრების წესი

ბუდისტური წყაროების თანახმად, ბუდიზმს მხარი დაუჭირეს კშატრიებმა (მეომრებმა), ვაიშებმა (ვაჭრებმა) და ქალაქის მმართველებმა, რადგან მათ ამ ახალი რელიგიის ქადაგებაში ბრაჰმანთა ბატონობისგან განთავისუფლების შესაძლებლობა დაინახეს. ადამიანთა თანასწორობასთან, კეთილსინდისიერ მმართველობასთან და მოთმინებასთან დაკავშირებულმა ბუდისტურმა იდეებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის პოპულარობას.

ბუდიზმი განსაკუთრებული სიმპათიით განიმსჭვალა ინდოეთის იმპერატორი აშოკა (ძვ. წ. III ს.). მისი ხელშეწყობით ბუდიზმი არა მხოლოდ ინდოეთის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, არამედ მის საზღვრებსაც გასცდა.

ბუდიზმის ზნეობრივი და სოციალური იდეები მიმზიდველი აღმოჩნდა მთლიანად საზოგადოებისთვისაც (იხ. ქვემოთ პასაჟი). რაც შეეხება ნირვანას მისაღწევად შემუშავებულ პრაქტიკას: ის მხოლოდ ამ ქვეყნისგან განდგომილ ბერთა შორის იყო გავრცელებული. ამიტომ პირველი ბუდისტური თემები, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, ბერ-მონაზონთა თემები იყო.

„რა იყო ხალხისთვის მიმზიდველი ბუდას ქადაგებებში? რაში მდგომარეობს ბუდიზმის უპირატესობა და მომხიბვლელობა ბრაჰმანიზმთან შედარებით? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუდიზმი მართლაც ახალი აღმოჩენა იყო იმ აზრით, რომ მან პრაქტიკული მიზანი დაისახა, ანუ ადამიანებს ამ ტანჯული ცხოვრებისგან განთავისუფლებისათვის გასავლელი პრაქტიკული გზაზე მიუთითა.

ბრაჰმანიზმი, ერთის მხრივ, მთლიანად იდუმალი ყოფიერების შესახებ განყენებულ მსჯელობებში იყო „ჩაფლული“, მეორეს მხრივ კი, მშრალი წეს-ჩვეულებებითა და არაადამიანური ასკეტიზმით გამოირჩეოდა (განსხვავებით ბუდიზმისგან, რომელიც ზომიერ გზაზე მიუთითებდა). ეს კი ზოგადად ხალხის რელიგიურ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებელს ტოვებდა (...) ბუდიზმში მეტაფიზიკაზე¹⁰⁷ მეტად ეთიკური მომენტი იქნა წინ წამოწეული. თუკი ბრაჰმანიზმში გადარჩენის მსურველი თითოეული ადამიანი მხოლოდ საკუთარი პირადი გადარჩენისთვის ზრუნავდა ამ სამყაროს ბოროტებისგან, ბუდიზმში უფრო მეტად ალტრუიზმზე – მოყვასისადმი თანაგრძნობაზე და სხვათა ხსნაში თანამონაწილეობის პრინციპზე გაკეთდა აქცენტი. ეს თანაგრძნობა კი ვრცელდება არა მხოლოდ საკუთარი ერის წარმომადგენლებზე, არამედ დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე, უსულო არსებებზეც კი“

*А. В. Смирнов. Курс Истории Религии.
Казань 1908 (Пер. М., 2007), гл. 272*

ბუდას პირველი მიმდევრები ასკეტები იყვნენ, რომელიც ჯგუფებად (საშუალოდ ექვსი ადამიანი) იყვნენ დაყოფილნი. ამგვარ თემებში გასაწევრიანებლად ადამიანს უარი უნდა ეთქვა ყოველგვარ პირად ქონებაზე. რაც შეეხება გარეგნობას: იპარსავდნენ წვერს და თმას, იმოსებოდნენ ყვითელ ტანსაცმელში. დროის უმეტეს ნაწილს კი ისინი ხეტიალსა და მოწყალების მიღებაში ატარებდნენ.

საკვების მიღების უფლება მათ მხოლოდ შუადღემდე ჰქონდათ. ამასთან მიირთმევდნენ მხოლოდ ბოსტნეულს. ამის შემდეგ კი, გათენებამდე მათ არაფერი უნდა ეჭამათ. თანდათან მონასტრული ცხოვრების წესდებაც ჩამოყალიბდა. თუკი მანამდე ბუდისტი ბერები დიდ დროს ატარებდნენ ხეტიალში, ახლა უკვე მონასტრებში ცხოვრობდნენ.

107. მეტაფიზიკა – ბერძ. „ფიზიკის შემდეგ“ ანუ ხილული ბუნების მიღმიერი სამყარო, რომელშიც იგულისხმება მატერიალურის მიღმა არსებული სამყარო.

სწორედ მონასტრები გადაიქცნენ ბუდიზმის გავრცელების მნიშვნელოვან ცენტრებად, ასევე ერთგვარ ბუდისტურ სასწავლებლებად და ბიბლიოთეკებად. მონასტრების კედლებში შეიქმნა პირველი ბუდისტური წმინდა ტექსტები სანსკრიტულ და პალის (სანსკრიტულის დიალექტი) ენებზე. აქვე სწავლობდნენ ჩვეულებრივი ადამიანები წერა-კითხვასა და იღებდნენ ზოგად განათლებას.

თავდაპირველად ამ მონასტრებში ყველა მსურველს იღებდნენ, მაგრამ მოგვიანებით გარკვეული შეზღუდვები დაწესდა: უარს ამბობდნენ დამნაშავეების, მონების და მშობლების თანხმობის გარეშე მოსულ ადამიანების მიღებაზე.

მონასტერში მიღებულ ადამიანს მხოლოდ იმ ხუთი მცნების დაცვა ევალებოდა, რომელიც ყველა ბუდისტისთვის სავალდებულოა (იხ. ქვეთ. 4.2). თუმცა ამ პერიოდში ადამიანი ჯერ კიდევ არ ითვლებოდა მონასტრის სრულუფლებიან წევრად. მას ნებისმიერ მომენტში შეეძლო მონასტრულ ცხოვრებაზე უარის თქმა და ერში დაბრუნება.

მათ შორის კი ის ადამიანები, რომლებსაც მტკიცედ გადაეწყვიტათ ბერული ცხოვრება, ემზადებოდნენ ხელდასხმისთვის. ეს რიტუალი საკმაოდ რთულ პროცედურას წარმოადგენდა. ბერობის მსურველს მკაცრ გამოცდებს უწყობდნენ, ყველანაირად ცდიდნენ მის ნებას, თუ რამდენად მტკიცე და გულწრფელი იყო იგი (ასეთ ქმედებებს შორის იყო, მაგალითად, ბუდას ქანდაკების წინაშე ხელის თითის დაწვაც).

მსგავსი გამოცდების გავლის შემდგომ იგი დამატებით კიდევ ხუთ აღთქმას დებდა. ესენია: 1. სიმღერასა და ცეკვაზე; 2. რბილ საწოლში ძილზე; 3. აკრძალულ დროს საკვების მიღებაზე; 4. მომხვეჭელობაზე და 5. ძლიერი სურნელისა და ინტენსიური შეფერილობის ნივთების გამოყენებაზე უარის თქმა.

გარდა ამ ათი აღთქმისა მონასტრებში არსებობდა სხვა უამრავი, შედარებით წვრილმანი ხასიათის (250-მდე) აკრძალვაც. რასაკვირველია, ბერები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ყველა ამ წესის დაცვას და ზოგჯერ „სცოდავდნენ“ კიდევ. მათი განწმენდის მიზნით კი არსებობდა შესაბამისი რიტუალი, რომელიც ახალმთვარეობის და სავსემთვარეობისას აღესრულებოდა. ამ დღეებში ბერები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს აღსარებას ეუბნებოდნენ.

ცოდვის სიმძიმის შესაბამისად დაწესებული იყო სათანადო სასჯელებიც.

არსებობდა ასევე ქალთა მონასტრებიც, რომლებიც იგივე პრინციპებით იყო მოწყობილი (მონასტერში მიღება, ხელდასხმა, აღსარება, ქადაგება), ოღონდ ამ რიტუალების აღსასრულებლად და ზოგადად მონაზონთა სულიერ ხელმძღვანელად მახლობელ მამათა მონასტრებიდან იყვნენ დადგენილნი გამოცდილი ბერები.

3. 2. თაყვანისცემის პრაქტიკა

ადრეულ ბუდიზმს უბრალო და სადა წესები ახასიათებდა. ეს იყო ბუდას თაყვანისცემა, ქადაგება, იმ ადგილების მოლოცვა, რომლებიც ბუდას დაბადებას, გასხივოსნებასა და სიკვდილს უკავშირდებოდა. მათ რიცხვს განეკუთვნება ასევე ის ადგილებიც, სადაც ინახება ბუდიზმის რელიკვიები¹⁰⁸ – ბუდასა და მის უახლოეს მოწაფეებთან დაკავშირებული ნივთები, ასევე ბუდას ფერფლი, რომელიც მისი გვამის დაწვის შედეგად მოაგროვეს და რვა ნაწილად გაყვეს. თითოეული მათგანი სპეციალურ ტაძარში ინახება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბუდა „რიტუალიზმს“ საკმაოდ აღმაცერად უყურებდა, მას კარგად ესმოდა კულტისადმი ადამიანების ძლიერი შინაგანი მიდრეკილება და ამიტომაც გადაწყვიტა არ დაეტოვებინა თავისი მიმდევრები რელიგიური წესების გარეშე. საჭირო იყო რაიმეგვარი კულტის შემუშავება და მისი დანერგვა სანგჰის¹⁰⁹ საკმაოდ ერთფეროვან ცხოვრებაში...“

В. Кожевников. Буддизм в Сравнении с Христианством.

т. 2, М., 2002, გვ. 189

108. რელიკვია – ზოგადად: ძვირფასი სახსოვარი; რელიგიაში: თაყვანისცემის საგანი – წმინდანთა ნაწილები, მათი პირადი ნივთები და სხვ.

109. სანგჰა – ბუდისტური ბერმონაზვნური თემის სახელწოდება.

მოგვიანებით ბუდას კულტს დაემატა ბოდჰისატვების თაყვანისცემაც, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანიდან ბუდად გადაქცევის ზღვარზე მყოფებად ითვლებიან. ისინი სხვათა დახმარების მიზნით თავს იკავებდნენ ნირვანაში გადასვლისგან.

დროთა განმავლობაში ბუდისტური კულტიც თანდათან გართულდა: შემოღებულ იქნა ლოცვები და ასევე სხვადასხვა სახის მაგიური შელოცვები. დადგინდა მსხვერპლშეწირვისა და მორთულ-მოკაზმული რიტუალური ნადიმების წესებიც. ბუდისტურ რელიგიურ პრაქტიკაში ასევე ადგილი აქვს მთის სულებისადმი თაყვანისცემას, სხვადასხვა ცხოველთა გალმერთებას და სხვ.

3. 3. მედიტაცია

მედიტაციაში ჩაღრმავებული მჯდომარე ბუდას ქანდაკება ბუდიზმის ყველაზე პოპულარულ სიმბოლოს წარმოადგენს. იგი მიუთითებს უმჭიდროეს კავშირზე ამგვარ მდგომარეობასა და გასხივოსნებას შორის. ბუდიზმის თითქმის ყველა მიმდინარეობა მედიტაციას განიხილავს როგორც გასხივოსნებისკენ მიმავალ გზას.

მედიტაციის თეორია სხეულსა და გონებას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს აღიარებს. ამიტომ სრული სულიერი სიმშვიდის მისაღწევად აუცილებელია სხეულის დამშვიდებაც. მედიტაციის ტრადიციული პოზა შემდეგია: ადამიანი ჯდება მოხრილი და გადაჯვარედინებული ფეხებით, ხერხემალი გამართულია, ხელები მუხლებზეა დალაგებული და თავი ოდნავ წინ გადახრილი. ამგვარ ჯდომას უწოდებენ „ლოტოსის პოზას“.

შესაძლოა ამგვარ პოზაში ჯდომა დამწყებს არაბუნებრივად და მოუხერხებლად მოეჩვენოს, მაგრამ გარკვეული პერიოდის ვარჯიშის შემდგომ ადამიანს შეუძლია ასეთ მდგომარეობაში ხანგრძლივად დარჩენა. ამგვარი პოზა ადამიანს ღრმა და მოდუნებულ სუნთქვაში ეხმარება. თუმცა მედიტაციის დაწყება ნებისმიერ მოხერხებულ მდგომარეობაში შეიძლება.

„ვინაიდან ბუდას საკუთარი თავი არ მიაჩნდა ღმერთად და არც თაყვანისცემას ითხოვდა ადამიანებისგან, ამიტომ

ბუდასთვის ლოცვით მიმართვა შეუძლებელია. ადამიანებს შეიძლებოდა მიემართათ მისთვის მხოლოდ იმის შესამეცნებლად თუ რაში მდგომარეობდა ხსნა და როგორ უნდა ეაზროვნა და ეცხოვრა ადამიანს ამ ქვეყნად. ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე წარმატება კი მხოლოდ მაძიებელ ადამიანზე იყო დამოკიდებული, რომლის დროსაც გამოირიცხული იყო ბუდას მხრიდან რაიმეგვარი სასწაულებრივი ხასიათის შემწეობა...”

*В. Кожевников. Буддизм в Сравнении с Христианством.
т. 2, М., 2002, гл. 187*

მოხერხებული პოზის დაჭერის შემდგომ მედიტაციის შესაბამისი ობიექტის შერჩევა ხდება. ეს შეიძლება რაიმე საგანი იყოს: ჭურჭელი, ყვავილი და სხვა, რომელსაც ადამიანი (სუბიექტი) ყურადღებით აკვირდება და მის თითოეულ დეტალს სწავლობს ისე, რომ თვალების დახუჭვის შემდეგაც შეუძლია ამ საგნის მაქსიმალურად ზუსტი მოყვანილობის წარმოსახვა.

თუმცა მედიტაციის ათვისება არცთუ ისე ადვილია, რადგან ადამიანის გონება მუდმივად იფანტება სხვადასხვა მიმართულებით. ბუდისტური წყაროები გონებას ადარებენ მაიმუნს, რომელიც ერთი ხის ტოტიდან მეორეზე დახტის. ცნობიერების თანაბარი კონცენტრაციის მიღწევას საშუალოდ რამდენიმე თვის ვარჯიში მაინც სჭირდება. ამ პროცესში მიზანმიმართულობა და ნების სიმტკიცე აუცილებელი პირობაა.

მედიტირების შედეგად კი, როგორც აღნიშნავენ, ადამიანს კონცენტრაციის უნარი უვითარდება. მას ასევე უძლიერდება შინაგანი სიმშვიდისა და სტაბილურობის შეგრძნება. გაფანტულობა, ნერვოზები, ეჭვები და შიშები სამუდამოდ ქრება. თუმცა აქაც არის ხარისხები: მედიტაციაში უფრო მეტად წარმატებულ ბუდისტებს ეს თვისებები უფრო მეტად აქვთ განვითარებული, ვიდრე ნაკლებად წარმატებულებს. მედიტაციის საბოლოო საფეხურად კი გასხივოსნება ითვლება.

ამრიგად, თუკი, აბრაამისტული რელიგიების თანახმად, ლოცვა დიალოგია ადამიანსა და ღმერთს შორის, ბუდიზმის სწავლებით, მედიტაციის მიზანი მხოლოდ საკუთარ თავში ჩაღრმავე-

ბა და ამ გზით (წარმატების შემთხვევაში) „გასხივოსნების“ მიღწევაა.

3. 4. ბუდისტური დღესასწაულები

ბუდიზმს საკმაოდ მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებითი მხარე აქვს. ამ რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობა კულტის სხვადასხვა მხარეზე აკეთებს აქცენტს: ლოცვა, მასობრივი ცერემონიები, სატაძრო შესაწირავები, მედიტაციის პრაქტიკა და სხვ.

მაგრამ ბუდიზმის ყველა მიმდევრისთვის საერთო ვალდებულებას წარმოადგენს დღესასწაულების აღნიშვნა, რომლებიც მთვარის კალენდრის მიხედვით არის დადგენილი.

თებერვალ-მარტში აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ხოლო მარტი-აპრილში სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში აღინიშნება ახალი წლის დადგომა, რომელიც მართალია საკუთრივ ბუდისტურ დღესასწაულს არ წარმოადგენს, მაგრამ მის აღსანიშნავად მოწყობილ ცერემონიაში ბუდისტი ბერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

აპრილ-მაისში ყველა ბუდისტურ მონასტერსა და ტაძარში აღნიშნავენ სამმაგ დღესასწაულს: ბუდას შობას, მის გასხივოსნებას და ნირვანაში გადასვლას. ტაძრებში იკითხება ლოცვები, ეწყობა მსვლელობები, ერთმანეთს საჩუქრებს მიართმევენ.

სხვადასხვა ბუდისტურ ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება ამ ქვეყნიდან წასულთა მოსახსენიებელი დღე. ტაძრებში აღესრულება შესაბამისი რელიგიური რიტუალები. გარდაცვლილის ახლობლებს კი შესაწირავი მოაქვთ ბუდას ქანდაკებებთან, ეხმარებიან გლახაკებს და ა. შ.

ივნის-ივლისში აღინიშნება ამ ქვეყნად მომავალი ბუდას – მაიტრეიას მოსვლის დღე. ამ დღესასწაულს ასევე უწოდებენ მაიტრეიას წრებზუნვას.

ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე აღინიშნება წვიმის სეზონის დასასრული, ასევე ზეციური სამყაროდან ბუდას მოვლინება. ამ დროს ტაძრებიდან გამოაქვთ ბუდას ქანდაკებები და ქუჩებში დაატარებენ.

ბუდიზმში არსებობს სხვა დღესასწაულებიც, რომლებიც თითოეულ ბუდისტურ ქვეყანაში მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით აღესრულება.

4. დოქტრინა

4. 1. სანსარა და კარმა

ბუდიზმმა ბევრი რამ ისესხა მანამდე გავრცელებული ინდური რელიგიისგან – ბრაჰმანიზმისგან. მათ შორისაა სანსარის ¹¹⁰იდეა, რაც ნიშნავს ცოცხალ არსებათა მუდმივ რეინკარნაციულ ¹¹¹წრებრუნვას. სანსარა გულისხმობს ტანჯვით სავსე მიწიერ ცხოვრებას და გარდაცვლილთა სულების ხელახლა მოსვლას (დაბადებას) ამ სამყაროში სხვა სხეულებით. ადამიანის სულის განმეორებითი მოვლენა ამ სამყაროში ხდება მანამდე, სანამ მისი კარმა არ განიწმინდება სათანადოდ. ბუდიზმის თანახმად, ადამიანმა სანსარას თავი უნდა დააღწიოს რვა საფეხურიანი გზის გავლით და ნირვანაში გადასვლით. თუმცა მაჰაიანისტური ბუდიზმი ამტკიცებს, რომ სანსარისგან მსგავსი თავის დაღწევა სინამდვილეში შეუძლებელია, რადგან სანსარა და ნირვანა ერთი რეალობის ორი მხარეა. ეს საბოლოო რეალობის განუყოფელი, ორგვარი გამოვლინებაა.

ბუდიზმმა ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლებიდან ასევე ისესხა კარმის ¹¹²კანონი, რომელიც სანსარის პროცესში საზღაურის მიღების აუცილებლობაზე მიუთითებს ამ ქვეყნად ჩადენილი საქმეების შესაბამისად. მარტივად, რომ ვთქვათ, კარმა ეწოდება მიზეზშედეგობრიობის კანონს, რომლის თანახმადაც

110. სანსარა – (სანსკრ. „ხეტიალი“) ბუდიზმში, ბრაჰმანიზმში და ჯაინიზმში ეწოდება ცვალებად და წარმავალ სამყაროს, რუტინულ ყოველდღიურობას.

111. რეინკარნაცია – (რე – „ხელახლა“, „კვლავ“; ინ – „ში“, „კარნო“ – „სხეული“. სიტყვასიტყვითი თარგმანით: „კვლავ სხეულში“). ამგვარად ეწოდება ინდუისტურ სწავლებას, რომელიც ბუდამ სახეცვლილი ფორმით გადმოიღო.

112. კარმა – სანსკრიტულად ნიშნავს „ქმედებას“, „საქციელს“.

ადამიანი „იმკის იმას, რასაც თესავს“. ამ სწავლების მიხედვით, ადამიანი საკუთარი ქმედებებით აყალიბებს თავის ხასიათსა და ბედს. სწორედ საკუთარ კარმაზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობით განსხვავდებოდა კარმის ბუდისტური გაგება ბედის (უფრო სწორედ, ბედისწერის) ანტიკური გაგებისგან.

ბუდიზმის თანახმად, ადამიანის დადებით კარმას აყალიბებს არა რიტუალური განწმენდისა და მსხვერპლშეწირვის წესების აღსრულება, არამედ უზნეო ცხოვრების წესისგან თავშეკავება.

სულთა გადასახლების შესახებ სწავლების თანახმად, გარდაცვლილის სული ბრუნდება ამ ქვეყნად სრულიად სხვა სხეულით. ამ დაბრუნებას კი კარმა განაპირობებს, რომელსაც თითოეული ადამიანი ქმნის/აყალიბებს საკუთარ თავში. თითოეული სიცოცხლე კი კარმის საზღაურია ადამიანის სულისთვის, რათა მან ამჯერად მაინც (ამ ახალი ცხოვრების განმავლობაში) გაიაროს ხსენებული რვა საფეხური და განთავისუფლდეს ტანჯვის მიზეზისგან – სურვილებისგან.

ბუდიზმის მთავარი განსხვავება ინდუიზმის რელიგიური მოძღვრებისგან ის იყო, რომ ბუდიზმმა უარყო სამყაროს ქმნადობის (შექმნილობის) იდეა, რადგან ბუდისტები კოსმოგონიურ ფუნქციებს სწორედ კარმას მიაწერენ, რომელიც ამ სამყაროში ყველა ცოცხალ არსებას აქვს.

სანსარის კონცეფციის თანახმად, წინა ცხოვრებაში ჩადენილი კეთილი საქმეების წყალობით ცოცხალი არსების ახალი დაბადება შეიძლება მოხდეს (1) ადამიანის სახით ან (2) არამიწიერ სამყაროში, წმინდა ადამიანის სულებს შორის. თუ ადამიანი ბოროტ საქმეებს სჩადიოდა წინა ცხოვრებაში, მაშინ ის შეიძლება (3) რომელიმე ცხოველად ან ფრინველად მოველინოს ამ ქვეყანას, ან (4) ე. წ. „მშიერ სულთა“ შორის მოხედეს, რომლებიც როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწაზე მცხოვრებად მოიაზრებიან (ბუდისტური სწავლებით, ისინი ვერასოდეს იკმაყოფილებენ სულიერ შიშილს), ან (5) ჯოჯოხეთის მსგავს მტანჯველ ადგილას, რომელიც მიწის ქვეშ მდებარეობს. პირველი ორი სახეობის განმეორებითი მოვლენა ამ ქვეყნად ბედნიერ, ბოლო სამი სახეობის რეინკარნაცია კი უარყოფითი გარდასახვის შემთხვევებად ითვლება.

კარმული ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა რაიმე ქმედება ჩადენილია არა მექანიკურად, არა-

მედ შეგნებულად. აგრეთვე თუ ცნობიერებაში არსებულ განზრახვას არ მოჰყვება რაიმე ქმედება ან თუნდაც სიტყვიერი გამოხატულება, კარმა ამ შემთხვევაშიც არ განიცდის ცვლილებას, რადგან იგი (კარმა) აზრისა და ქმედების ერთობლიობით ყალიბდება.

ამრიგად, განსხეულებათა (გარდასახვათა) წრებრუნვა ამ ხუთი ფორმისგან შედგება, რომელშიც ჩაკეტილია ცნობიერება. სწორედ ამ წრებრუნვას ეწოდება სანსარა, რომლისგან თავის დაღწევაც ბუდისტური რელიგიური პრაქტიკის უმაღლეს მიზნად მიიჩნევა. სხვა სიტყვებით, სანსარას უწოდებენ „არასტაბილურობის ტანჯვას“, განსხვავებით ნირვანას მდგომარეობისგან.

„შევეცადოთ კარმის შესახებ ბუდისტურ სწავლებაზე დაყრდნობით, შევაფასოთ თანამედროვე საზოგადოებაში გავრცელებული კარმის „დიაგნოსტიკისა“ და „კორექციის“ პრაქტიკა (...) ამ საქმით დაკავებული ადამიანები ამტკიცებენ, რომ საკუთარ პაციენტებზე გარეგნული ენერგეტიკული ზემოქმედების შედეგად კარმის გაუმჯობესება შეუძლიათ, რის შედეგადაც შესაძლებელია ბედნიერი ქორწინების შენარჩუნება, ახალი სექსუალური პარტნიორების მიზიდვა, პირადი ბიზნესის გაუმჯობესება, მტრებისა და არაკეთილისმსურველთა წარუმატებლობა და სხვა.

ბუდისტური დოქტრინის თანახმად, კარმის ამგვარი „გაუმჯობესება“ სხვა არაფერია თუ არა ნეგატიური მაგიური ზემოქმედება, რომელსაც ადამიანი მიჰყავს სიხარბემდე, სიძულვილამდე და უმეცრებამდე. საკუთარი ქმედებების შედეგებით ჩამოყალიბებული ადამიანის კარმის გარედან შეცვლა შეუძლებელია...“

Т. Ермакова, Б. Островская. Классический Буддизм.

СПб., 2004, გვ. 218

ამასთან ერთად ბუდიზმის კიდევ ერთი სიახლე ის იყო, რომ, არ უარუყვია რა საზოგადოების კასტური მოწყობის პრინციპი, მან განაცხადა, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს კარმასა და ადამიანის წოდებრივ-კასტურ ან ეთნიკურ კუთვნილებას (წარმომავლობას) შორის. ამ თვალსაზრისით, დაბადებიდანვე ყველა ადამიანი თანასწორია. ამრიგად, ადამიანის კარმა ყალიბდება

მხოლოდ მის მიერ ჩადენილი კონკრეტული ქცევების, სიტყვებისა და აზრების გავლენის შედეგად. შესაბამისად ადამიანს კარგი კარმა აქვს, თუ იგი მორალური პრინციპების შესაბამისად ცხოვრობს.

დიდ სიყვარულს სამი მწვერვალი აქვს:

1. ადამიანებს შორის სიყვარული, დიდი თუ პატარა, გარეული თუ შინაური ცხოველებისადმი სიყვარული;
2. მეორე მწვერვალი, ესაა შემწყნარებლობა. ამბობენ, რომ არცერთი რელიგია არაა ისეთი ტოლერანტული, როგორც ბუდიზმი;
3. სიყვარულის მესამე მწვერვალია მტრის სიყვარული, რომელიც არ ცნობს საზღვრებს („მაშინაც კი როცა ყაჩაღები და მკვლელნი ვინმეს ალესილი ხერხით სხეულის ნაწილებს აჭრიან, თუ ის განრისხებით არის სავსე, იგი არაა ჩემი მოძღვრების მიმდევარი“, მაჯჯჰიმა-ნიკაია 21).

ბუდას ყველაზე ცნობილი გამონათქვამებიდან
(Kay Zumwinkel (Übers.): Majjhima Nikaya. Die Reden des Buddha aus der Mittleren Sammlung. Uttenbühl: Jhana 2001)

4. 2. ოთხი ქეშმარიტება

ტრიპიტაკის ტექსტთან გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ბუდისტური მოძღვრების ძირითად ბირთვს წარმოადგენს ე. წ. „ოთხი უზენაესი ქეშმარიტება“, რომელიც ბუდას გასხივოსნების შედეგად ეუწყა:

1. ამქვეყნად ყველაფერი ტანჯვაა. დაბადება – ტანჯვაა, სიბერე – ტანჯვაა, ავადმყოფობა – ტანჯვაა, სიკვდილი – ტანჯვაა; სიყვარული – ტანჯვაა; სიყვარულთან განშორება – ტანჯვაა; ნანატრის ვერმიღება – ტანჯვაა; ზოგადად, სურვილების დაუკმაყოფილებლობა – ტანჯვაა;
2. ტანჯვის მიზეზი სურვილებია. სურვილი არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ;

3. ამიტომ საჭიროა სრული განთავისუფლება სურვილებიდან, მათზე საბოლოო გამარჯვება და მათი განდევნა;
4. არსებობს გზა ხსნისა, რომელიც რეასაფეხურია: 1. მართალი სარწმუნოება, ანუ რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა; 2. მართალი (ჭეშმარიტი) გამბედაობა, რათა ამ გზაზე შედგომა შეძლოს ადამიანმა; 3. მართალი მეტყველება; 4. მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია; 5. მართალი ცხოვრება; 6. მართალი ფიქრები; 7. მართალი გულისთქმები და 8. მართალი ჭკრეტა;

ბუდიზმში ცენტრალური ადგილი უჭირავს ზნეობრივ პრინციპებსა და ადამიანის ქცევით ნორმებს. ამრიგად, ყველა ადამიანისთვის სავალდებულოა „ხუთი მორალური მოთხოვნა“ (ხუთი მცნება): 1. არ მოკლა არცერთი ცოცხალი არსება; 2. არ მოიპარო, არ მიითვისო, რაც შენი არ არის; 3. პატივი ეცი სხვას და დაიცავი ცოლქმრული ერთგულება; 4. არ იცრუო და ცილი არ დასწამო სხვას; 5. არ გაეკარო ალკოჰოლს.

„ბუდიზმის, როგორც რელიგიის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სპეციფიკური სწავლება ადამიანის გამოხსნის შესახებ. დასავლურ კულტურულ გარემოში აღზრდილი ადამიანისთვის საკუთარი ყოფიერება უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს სიკვდილის შემდგომ აზროვნების, შეგრძნებისა და სიამოვნების მიღების, ანუ ბედნიერების (ნეტარების) განცდის უნარის შენარჩუნების შესახებ რელიგიური წარმოდგენები.

ბუდიზმში კი ნებისმიერი ადამიანის არსებობის ბუდებრივ მდგომარეობად გამოცხადებულია ტანჯვა. თუკი ქრისტიანისთვის არსებობა უკვე თავისთავად სიკეთეა, ბუდისტისთვის ნებისმიერი სახის არსებობა თავის არსში ტანჯვა, ანუ ბოროტებაა. ტანჯვისგან (ე. ი. არსებობისგან) თავის დაღწევის ერთადერთ გზად კი მიჩნეულია სურვილების დაძლევა და ნირვანაში გადასვლა.“

Е. Томас. Будда. История и Легенды. М., 2003, გვ. 34

მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებსაც უფრო მეტი სრულყოფილების მიღწევა სურთ ბერული ცხოვრებით, მაშინ მათ ამ აკრძალვათა უფრო ვრცელი და მკაცრი სისტემის დაცვა მოუწევთ. მაგალითად, მკვლევლობის აკრძალვის მცნება მწერების მოკვლის აკრძალვასაც გულისხმობს. ამიტომ არ არის ნებადართული მიწაზე მუშაობა ბერებისთვის, რადგან ამ დროს შეიძლება რომელიმე მატლი მოკვდეს. სხვისი ნივთის აღების აკრძალვა კი იცვლება მთლიანად პირადი ქონებისათვის უარყოფის მოთხოვნით. ალკოჰოლის აკრძალვის მცნება იცვლება ზოგადად საკვების მიღებისას მკაცრი თავშეკავებით.

ამ რვასაფეხურიანი გზის გავლისა და მიწიერი არსებობის სურვილის დაძლევის მეშვეობით შესაძლებელია ხელახალი დაბადებებისგან (რეინკარნაცია) შემდგარი ჯაჭვის გარღვევა, ანუ სანსარის წრებრუნვიდან გაღწევა და უმაღლესი მდგომარეობის, ნირვანის მიღწევა. ნირვანის ცნება ბუდიზმში არცთუ ისე მკაფიოდ არის განსაზღვრული (იხ. ქვემოთ). ნათელია მხოლოდ ის, რომ ეს მდგომარეობა ჩვენთვის გაურკვეველი და ენით აღუწერელია. მას თანდათანობით იგებენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სულიერი განვითარების საბოლოო საფეხურამდე აღწევენ. ნირვანა ეს ერთდროულად ტანჯვისგან განთავისუფლებული გონების ნეტარი მდგომარეობა და არაყოფიერში გადასვლაა.

ბუდა ნირვანას შესახებ: „ჰოი, ბჰიკშუ, არსებობს ადგილი, სადაც არც მიწაა, არც წყალია, არც სინათლეა, არც ჰაერია, არც უსაზღვრო სივრცეა, არც ცნობიერება, არც განუსაზღვრელობა და არც განსაზღვრულობა, არც წარმოდგენების არარსებობა და არც მათი არსებობა, არც ეს სამყაროა და არც ის სამყაროა, არც მზეა და არც მთვარე. ჰოი, ბჰიკშუ, მე ამას არც წარმოქმნას ვუწოდებ და არც არწარმოქმნას, არც პროცესს, არც მდგომარეობას, არც სიკვდილს, არც შობას. იგი უსაფუძვლოა და უწყვეტი: ეს ტანჯვის დასასრულია.“

*В. Розин. Учение Раманы Махариши и Индийская
Эзотерическая Традиция // Наука и религия N 10,
1991, г. 40*

4.3. დჰარმა, ნაცვლად შემოქმედი ღმერთისა

ბუდიზმი უარყოფს სამყაროს შემოქმედი ღმერთის არსებობას. ამ იდეის ნაცვლად კი ბუდისტურ მოძღვრებაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა იმ დებულებას ენიჭება, რომლის თანახმადაც შემოქმედი ღმერთის არსებობის რწმენა გამორიცხავს ადამიანის მორალურ პასუხისმგებლობას, რადგან თუკი ეს სამყარო რომელიღაცა არსების შექმნილია, მაშინ ადამიანი მხოლოდ შედეგია ამ არსების ნებისა. ამიტომ მისი გზაც, შესაბამისად, განსაზღვრულია. ამიტომ რეასაფერუიანი სრულყოფილებისა და გასწივისნების გზის გავლაც აზრსმოკლებულია და ეწინააღმდეგება კარმის კანონსა და ბუდიზმის სხვა დოქტრინალურ დებულებებს.

„უგუნურია ადამიანი, რომელიც ლამაზ ყვავილს დაინახავს და იმის შიშით რომ მისი სული არ დაატყვევოს ამ სილამაზემ, საკუთარი თვალის ამოგდებას დააპირებს, რადგან აქ მთავარი სულია. როდესაც სული სათანადოდ არის აღზრდილი, მაშინ აღარც თვალი ცდუნდება, რადგან ემორჩილება სულს.“

Учение Будды. Токио 1985, გვ. 120

ყოვლისშემძლე შემოქმედის იდეის საპირისპიროდ ბუდიზმმა შეიმუშავა სწავლება დჰარმების შესახებ. დჰარმები¹¹³ – ეს უმცირესი ფიზიკური და სულიერი ნაწილაკებია. ყველაფერი ამ სამყაროში, მათ შორის ადამიანის სიცოცხლეც, დჰარმების სხვადასხვა კომბინაციების შედეგია. დჰარმები მუდმივად იცვლიან მდგომარეობას, ისინი მუდმივ და დაუსაბამო მოძრაობაში არიან და, შესაბამისად, ეს სამყაროც უწყვეტ ცვლილებას განიცდის. არაფერი არ არის მდგრადი, ხანგრძლივი, არ არსებობს არავითარი მარადიული სუბსტანცია. მაგრამ იმავდროულად ეს სამყარო არ არის უფორმო ქაოსი, რადგან ყოველი წინამორბედი მდგომარეობა მომდევნოს მიზეზია. ამგვარი კომბინაციის მოშლა იწვევს ცოცხალი არსებების (ადამიანის ჩათვლით) სიკვდილს.

სამყარო შემოქმედის გარეშე არსებობს და მას მიზეზშედეგობრივი კავშირები განაგებს. კარმის კანონი არა მხოლოდ

113. დჰარმა – სიტყვასიტყვით ნიშნავს „დასაყრდენს“.

ინდივიდუალურ დონეზე მოქმედებს, არამედ არსებობს სახელმწიფოების, ერების და ოჯახების კარმებიც. ცოცხალი არსებების საერთო კარმის მოქმედებით განისაზღვრება ამ სამყაროს სანსარა (ციკლური მოქმედება): დაბადებიდან სიკვდილამდე და ხელახალ დაბადებამდე. თითოეული ციკლის ხანგრძლივობა კი მილიონობით წელი გრძელდება.

ბუდიზმის ამგვარი პოზიციის გამო ღმერთისა და ადამიანის სულის არსებობასთან დაკავშირებით ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრამდე მივიდა, რომ ბუდიზმი ეს უბრალოდ ათეიზმის ერთ-ერთი ფორმაა.

4. 4. ბუდიზმის კოსმოლოგია

ბუდიზმის კოსმოლოგიური¹¹⁴ შეხედულებები ყველაზე სრულად მაჰაიანისტურ (იხ.) მიმდინარეობაშია წარმოდგენილი. ამ მოძღვრების თანახმად, არსებობს ათასობით ბუდა და ბოდჰისატვა.¹¹⁵ ჰინაიანისტური სწავლების მიხედვით კი წარსულში მხოლოდ მცირე რაოდენობის ბუდა და არჰატი¹¹⁶ არსებობდა.

ბუდისტური კოსმოლოგიის თანახმად, არსებობს ურიცხვი სამყარო, რომლებიც თავის მხრივ, გიგანტურ დაჯგუფებებში არიან გაერთიანებული – მათი რიცხვიც უსასრულოა. თითოეული სამყარო, ეს მიწის ბრტყელი ფიცარია, რომელიც ოკეანეში დაცურავს, თავად ეს ოკეანე კი ჰაერშია გამოკიდებული.

114. კოსმოლოგია – მოძღვრება სამყაროს შესახებ.

115. ბოდჰისატვა – (სანსკრ. „ბოდჰი“ – სიბრძნე) მაჰაიანაში ბოდჰისატვები მისაბაძი მაგალითები არიან რიგითი ბუდისტებისთვის. მათ უკვე მიაღწიეს იმ მდგომარეობას როდესაც უკვე ნირვანაში გადასვლაა შესაძლებელი, მაგრამ უარი თქვეს ამაზე, რათა სხვების დახმარებაც შეძლონ მსგავსი მდგომარეობის მიღწევაში.

116. არჰატი – (სანსკრ. ღირსეული) ადამიანი, რომელმაც გაიარა რვა საფეხური და რომელიც გარდაცვალების შემდგომ ნირვანაში გადავიდა (ითვლება, რომ მან სანსარას თავი დააღწია, ანუ მიწიერ სამყაროში აღარასოდეს დაბრუნდება).

ბუდისტურ კოსმოლოგიაში განსაკუთრებული გულმოდგინებით არის დამუშავებული უმაღლესი სფეროს შესახებ წარმოდგენა, რომელიც რამდენიმე ფენად იყოფა. აქ მკვიდრობენ სანსარისგან განთავისუფლებული ღვთაებები და ბოდჰისატვები.

სამყაროები არ არიან მარადიულნი. ისინი ნადგურდებიან და კვლავ წარმოიქმნებიან, რომლებშიც ბუდები (გასხივოსნებული ადამიანები) პერიოდულად ევლინება ხალხს. ისინი სასწაულმოქმედების ძალით არიან შემოსილნი, როგორც ფსიქიკური (სხვათა აზრების ამოცნობა, ყველა ცოცხალი არსების მომავალი და წარსული რეინკარნაციული გზის ცოდნა), ისე ფიზიკური (ფრენის, წყალზე სიარულის, უხილავად გახდომისა და სხვა უნარები). ბუდას ცხოვრებიდან ყველაზე მეტი სასწაულებრივი მოვლენა შეკრებილია ჯატაკების სახელით ცნობილ ტექსტებში, რომლებიც ასევე შეიცავს სხვადასხვა სამყაროში სხვადასხვა დროს მოვლენილი ბუდას ცხოვრებათა აღწერილობებს.

საკუთარი სულიერი ძალისხმევის შედეგად მხოლოდ ბუდებს შეუძლიათ სამყაროების შექმნა. რაც შეეხება ბოდჰისატვებს, ისინი მხოლოდ „წმინდანების“ როლს ასრულებენ, რომლებსაც რიგითმა ადამიანებმა თავყვანი უნდა სცენ.

5. მიმდინარეობები ბუდიზმში

ბუდიზმის წარმოშობიდან პირველივე საუკუნეებში რამდენიმე მიმართულება გაჩნდა. მათგან ყველაზე მსხვილი განშტოებებია „ჰინაიანა“ და „მაჰაიანა“. მათ შორის მთავარი განსხვავება გასხივოსნებისა და ნირვანას საკითხებს ეხება.

5. 1. ჰინაიანა

ჰინაიანა – ვიწრო გზა (გადარჩენისა). ბუდიზმის ორთოდოქსულ მიმდინარეობას წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ადრეული ბუდიზმის დოგმატიკასთან, თუმცა ამ მიმართულების სწავლებაც იცვლებოდა და ღრმავდებოდა დროთა განმავ-

ლობაში. მას ზოგჯერ სამხრეთულ ბუდიზმისა და უწოდებენ (გავრცელებულია შრი-ლანკაში, ბირმაში, ტაილანდში და სხვ.).

ჰინაიანას სწავლების მიხედვით, ბუდამ ამ სამყაროში გასხივოსნებას სხვადასხვა დროს განხორციელებული ხუთასზე მეტი რეინკარნაციის შემდეგ მიაღწია. იგი მეოთხე ბუდად ითვლება მიმდინარე (ამჟამინდელ) სანსარაში. მის გარდა, კიდევ 20 ბუდა არსებობდა წინა სანსარებში. ბუდა მაშინ ევლინება სამყაროს, როდესაც კაცობრიობა სულიერ-ზნეობრივ უფსკრულს უახლოვდება. მათი ფუნქციაა კაცობრიობას სიბნელიდან და ცდომილებიდან ამოსასვლელი გზა მიუთითონ.

ორნახევარი ათასწლეულის შემდგომ ქვეყნიერებას კვლავ ახალი ბუდა მოევლინება სახელად მაიტრეია. იგი უკანასკნელი ბუდა იქნება მიმდინარე სანსარაში. ჰინაიანას სწავლებით, დანარჩენ ადამიანებს შეუძლიათ ნირვანის მიღწევა, მაგრამ ყველას არ ძალუძს გახდეს ბუდა. ნირვანაში გადასულ ადამიანებს არჰატებს უწოდებენ. არჰატობა მხოლოდ მათთვის არის შესაძლებელი, ვინც ყოვლითურთ და სავსებით შეაქცია ზურგი ამ წარმავალ სამყაროს.

ჰინაიანა აღიარებს, რომ ბუდა იყო ადამიანი, რომელმაც ხსნის გზას მიაკვლია. ამ გზაზე დადგომა კი მხოლოდ წუთისოფლისგან განდგომით ანუ ბერული ცხოვრების არჩევით არის შესაძლებელი.

5. 2. მაჰაიანა

მაჰაიანა – ფართო გზა (გადარჩენისა). სხვაგვარად მას ბუდიზმის ჩრდილოეთ სკოლასაც უწოდებენ (გავრცელებულია ტიბეტში, მონღოლეთში, ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში). ჰინაიანასგან განსხვავებით მაჰაიანა სულის ხსნის/განთავისუფლების უნივერსალურ ხასიათზე მიუთითებს. ბუდას მდგომარეობის მიღწევა ყველა ადამიანს შეუძლია, რამდენადაც თითოეულ ადამიანში დაბადებიდანვე ჩადებულია ბუდას პოტენცია.

მაჰაიანასთვის სულიერი ხსნა მიიღწევა არა მხოლოდ განდეგილობაში, არამედ ერში ცხოვრების პირობებშიც. მაჰაიანაში აგრეთვე აქცენტი კეთდება სამქადაგებლო საქმიანობაზე, საზო-

გადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვაზე.

მაჰაიანას სწავლება უფრო მეტად ადამიანის გულისკენ და ინტუიციისკენ არის მიმართული, ვიდრე გონებისკენ. ეს მიმდინარეობა ბუდისტური სწავლების იმგვარი განმარტებისკენ მიისწრაფვის, რომ შესაძლებელი იყოს განსხვავებული ინტელექტუალური ყაიდისა და სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ადამიანის მოზიდვა.

მაჰაიანას მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ბუდები ერთგვარი კოსმიური ცნობიერების მატერიალიზაციის (განსხეულების) შედეგად იბადებიან. ისინი მისტიური ბუდები არიან, რომლებიც მარადიულად არსებობენ დროისა და სივრცის მიუხედავად. ეს მსოფლიო ბუდა ყოველივეს განჭოლავს და ყოველ ადამიანში არსებობს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ ამ კოსმიური ცნობიერების საკუთარ თავში გამოვლენა და გასხივოსნების მიღწევა. მაჰაიანაში ბუდების რიცხვი ძალიან ბევრია. ბუდიზმის ამ მიმდინარეობის ზოგიერთ მონასტერში 1000-მდე ბუდის გამოსახულებაა.

5. 3. ვაჯრაიანა

ბუდიზმის პირველსაწყისებს საკმაოდ დაშორდა ასევე მესამე მიმდინარეობა – ვაჯრაიანა (ალმასის ეტლი). ამ მიმდინარეობის სწავლების თანახმად, ბუდას მდგომარეობის მიღწევა რეინკარნაციათა ხანგრძლივი ჯაჭვის გარეშეც შესაძლებელია. ვაჯრაიანას სწავლებით, ეს მიღწევადია მაგიისა და იოგის ვარჯიშების საშუალებით გურუს¹¹⁷ ხელმძღვანელობით. გარდა მედიტაციისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე იდამის¹¹⁸ ჭვრეტას, მანტრების¹¹⁹ კითხვას და სხვა მაგიური წესების აღსრულებას (მათ შორის ეროტიული ხასიათისაც).

ვაჯრაიანასთვის დამახასიათებელია მისტიკური სწავლება, რომელიც ადამიანსა და სამყაროს ერთმანეთთან აიგივებს. ყველა

117. გურუ – სულიერი ხელმძღვანელი.

118. იდამი – ამგვარად უწოდებენ იმ ღვთაებას, რომელსაც მორწმუნე ბუდისტი ირჩევს თავის მფარველად.

119. მანტრა – ლოცვის სიტყვები.

გარეგნული პროცესი და მოვლენა დაკავშირებულია ადამიანის სხეულთან და მის ფსიქიკასთან. ამიტომ როდესაც ადამიანი საკუთარ თავს ცვლის, ის ამით სამყაროსაც ცვლის (აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ იგივე ხდება აქვს ქრისტიანულ ასკეტიკასაც აღნიშნულ კავშირზე, იხ. ქვემოთა პასაჟი).

„საკუთარი სულიერი სამყაროს განწმენდით ასკეტი თავის გარშემო არსებულ სამყაროსაც გარდაქმნის. თავისი ცოდვების გამო სინანულით განდევილი ბერი ასევე ცვლის ბევრი სხვა ადამიანის სულიერ მდგომარეობასაც, რადგან მისტიური თვალსაზრისით ყველა ადამიანი ერთ-მანეთის ნაწილია.“

Епископ Каллист Уэр. Путь Аскетов: Отрицание или Утверждение? // Альфа и Омега #3, 1999, გვ. 153

5. 4. ლამაიზმი

ბუდიზმის ვაჯრაიანისტულმა მიმართულებამ დიდი როლი შეასრულა ლამაიზმის¹²⁰ ფორმირების საქმეში, რომელმაც ასევე ბევრი ელემენტი შეითვისა ბუდიზმის სხვა მიმართულებებიდან. სწორედ ლამაისტებმა შეკრიბეს და განმარტეს ყველა მანამდე არსებული ბუდისტური ტექსტი. ამ კრებულის მოცულობამ კი ასტომამდე მიაღწია.

ლამაიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ლამებს.¹²¹ ლამაიზმი აცხადებს, რომ ლამების ხელმძღვანელობის გარეშე ჭეშმარიტ სულიერ გზაზე დადგომა შეუძლებელია. ლამას უფლება აქვს თავისი მოწაფის ყველა სულიერი მოძრაობა აკონტროლოს, ეს უკანასკნელი კი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს მას.

ლამაიზმში სასულიერო იერარქია მკაცრად ცენტრალიზებული სისტემას წარმოადგენს. მათი უმაღლეს ხელმძღვანელს კი

120. ლამაიზმი – ტიბეტური ბუდიზმის სახელწოდება.

121. ლამა – (ტიბ.) ეწოდება ბუდისტ მღვდელს ლამაისტურ ბუდიზმში.

ეწოდება დალაი-ლამა.¹²² ლამებს თაყვანს სცემენ როგორც ცოცხალ ღვთაებებს, რადგან ითვლება, რომ მათში განხორციელებულია რომელიმე ბოდჰისატვა და ზოგჯერ თავად ბუდაც.

„ამ ქვეყნად ბევრი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ბევრი სხვადასხვა წამალი არსებობს და ზუსტად ასევე არსებობს მრავალი რელიგიური სისტემა, რომლებიც ყველა ცოცხალი არსების ბედნიერების მისაღწევი საშუალებაა. თითოეული ეს სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი გამოხატვის ფორმებითა და პრაქტიკით. მაგრამ ჩემი აზრით, ყველა მათგანი ერთსულოვანია სხეულის, მეტყველებისა და აზროვნების მოწესრიგების აუცილებლობაში და ასევე იმაში, რომ თითოეულ მათგანს (რელიგიას) კეთილი მიზანი ამოძრავებს.

სამწუხაროდ, ისტორია იცნობს სხვადასხვა რელიგიების მიმდევრებს შორის მტრობისა და სიძულვილის მაგალითებს. კარგი იქნებოდა, თუ ყოველივე ეს წარსულში დარჩება და არასოდეს განმეორდება. სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს ნამდვილად შეუძლიათ თანხმობის მიღწევა.

საერთოდ ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან, ერთნი რელიგიურად ცხოვრობენ, მეორენი არა. ამიტომ საჭიროა ყველა მორწმუნემ უკუაგდოს სტერეოტიპები და გაერთიანდეს. ამგვარი თანხმობა ხომ არა მხოლოდ ჩვენთვის, მორწმუნეთათვის იქნება სასარგებლო, არამედ უპირვე-

122. დალაი-ლამა – (მონღ. დალაი – ოკეანე, ლამა – მოძღვარი) ანუ ოკეანის მსგავსი მოძღვარი. ტიბეტელების სულიერი და პოლიტიკური (1951 წლამდე) ლიდერი. ითვლება ერთ-ერთი ბოდჰისატვის განხორციელებად. სულ ამგვარი 14 მიწიერი განხორციელება აღირიცხება. ამჟამინდელი დალაი-ლამა მე-11-ე ტიბეტელი ლიდერია, რომელიც 1959 წლიდან ინდოეთში გადადის საცხოვრებლად. ტიბეტიდან მისი განდევნის მიზეზი კი ამ წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ტიბეტის დაპყრობა იყო.

ლეს ყოვლისა ურწმუნო ადამიანებს დაეხმარება როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ბედნიერების მიღწევაში“.

*დალაი-ლამა XIV. ტიბეტის ბუდიზმი (კრებულიდან:
Буддизм (Сост. Я. Бонман). М., 2002, 79-80)*

5. 5. ძენ-ბუდიზმი

ეს მიმართულება ჩამოყალიბდა ჩინეთში ახ. წ. VI ს-ში, შეითვისა რა ჩინური კულტურის მრავალი ელემენტი. ძენ-ბუდიზმი არ განასხვავებს ერთმანეთისგან სანსარასა და ნირვანას. მისი სწავლებით გასხივოსნების მიღწევა შესაძლებელია საერო ცხოვრების პირობებშიც, განსაკუთრებული მონასტრული გარემოს გარეშეც. არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს ბუდისტურ ტექსტებს. ბუდიზმის დაფარული ჭეშმარიტებები უშუალოდ გადაეცემა მასწავლებლისგან მოსწავლეს.

უკანასკნელ ათწლეულებში ბუდიზმი განსაკუთრებით გავრცელდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ ქვეყნებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ჩან-ბუდიზმის (ჩინურად), ანუ ძენ-ბუდიზმის (იაპონურად) მიმართულებამ.

ძენი – ეს არის ირაციონალური სწავლება, რომელიც არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს ლოგიკურ, გონებისმიერ აზროვნებას. ძენ-ბუდიზმში წერილობითი სწავლებას მხოლოდ გაცნობითი ფუნქცია ეკისრება, მაგრამ მას ადამიანის ჭეშმარიტებამდე მიყვანა არ შეუძლია. ძენ ბუდიზმი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მხოლოდ „წმინდა გამოცდილებას“ და „უმალეს ინტუიციას“.

„დავიწყე რა ძენ-ბუდიზმის პრაქტიკის (კერძოდ, მჯდომარე მედიტაციის) აღსრულება, შევამჩნიე, რომ ამ მომენტიდან ბიბლიის ტექსტის კითხვა ჩემთვის უფრო კონცენტრირებული და შინაარსიანი გახდა. თავიდან ვერ ვიგებდი თუ როგორ შეიძლებოდა ძენ-ბუდიზმის პრაქტიკული წესების აღსრულება ბიბლიის უკეთესად გაგებაში დახმარებოდა. დროთა განმავლობაში ამ თემაზე ფიქრი დავიწყე და მივედი შემდეგ ფსიქოლოგიურ ასხნამდე: ძენის ამ რიტუალის აღსრულების დროს ცნობიერება მშვიდ-

დება და ასევე წმ. წერილის სულიერი შინაარსი ადვილად პოულობს გზას ადამიანის გულისკენ.“

კათოლიკე მღვდელი კაკიჩი კადოვაკი
(*К. Кадоваки. Дзен и Библия. М., ББИ, 2004, გვ. 9*)

ძენ-ბუდიზმში ითვლება, რომ გასხივოსნება, ბუდას მდგომარეობის მიღწევა – ეს მყისიერი აქტია. ამისთვის კი სულაც არ არის საჭირო საკუთარ თავში მიწიერი სურვილებისა და ვნებების წინასწარი დათრგუნვა. ეს ერთგვარი ელვისებური ნახტომია უეცარი გასხივოსნებისკენ. ეს ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოხდეს, ადამიანისთვის სრულიად მოულოდნელადაც კი. მაგრამ ამისთვის საჭიროა ადამიანმა ზოგადი მისწრაფება გამოავლინოს, ანუ განუწყვეტლივ ემზადებოდეს ამისთვის.

„ის, ვინც ძენ-ბუდიზმს მხოლოდ წიგნებით იცნობს, ხშირად მცდარად ფიქრობენ, რომ ძენი გვერდს უვლის ისეთ გაგებას როგორიც ცოდვაა და რომ ადამიანის სულიერი განწმენდა და მოქცევა იგნორირებულია ამ რელიგიურ სწავლებაში. ალბათ, მათ ძალიან გაუკვირდებათ, როცა ჩემს სიტყვებს მოისმენენ, რომ მე სწორედ ძენ-ბუდიზმისგან ვისწავლე თუ რას ნიშნავს ცოდვებისგან განწმენდა. მათთვის, ვინც მთელი თავისი გულწრფელობით მიისწრაფვის ძენის პრაქტიკის აღსრულებისკენ, მოთხოვნა „არ ჩაიდინო ბოროტება“, უდავო კანონს წარმოადგენს, რომლის დაცვაც პირველი ნაბიჯია ძენის გზაზე.“

კათოლიკე მღვდელი კაკიჩი კადოვაკი
(*К. Кадоваки. Дзен и Библия. М., ББИ, 2004, გვ. 34*)

ძენის პრაქტიკა გულისხმობს ფიზიკური და ფსიქიკური წვრთნის მეთოდების დაუფლებას, რომელიც გასხივოსნების სტიმულირებისთვის არის შემუშავებული. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძნულ გამონათქვამებს, რომლებსაც ხშირად პარადოქსული და აბსურდული ხასიათი აქვს (იხ. ქვემოთ). ეს გამონათქვამები და იგავები ადამიანს აჩვენებს სრულიად ახლებურად გაიაზროს ჩვეულებრივი მოვლენები და გასცდეს ყოველდღიური უფერული გამოცდილების საზღვრებს.

ძენ-ბუდისტური გამონათქვამები:

„როცა ბაგეები მეტყველებას მოისურვებს, მეტყველება კვდება. როცა გონება მოისურვებს რაიმეს გაგებას – აზრი კვდება.“

„მეტყველება – ცილისწამებაა. დუმილი – ტყუილის თქმა. გამოსავალი კი მეტყველებისა და მდუმარების მიღმაა.“

„მტკიცებას არაფრის მტკიცება არ შეუძლია. უარყოფას კი არაფრის უარყოფა.“

К. Хамфриз. Дзэн-Буддизм. М., 2002, გვ. 55

გარდა ზემოთდასახელებული მსხვილი მიმდინარეობებისა, ბუდიზმში ასევე არსებობს უამრავი სხვა წვრილი განაყოფი, სკოლა და სექტა. მაგალითად, მხოლოდ იაპონიაში დარეგისტრირებულია 162 ბუდისტური მიმდინარეობა.

6. ბუდიზმი თანამედროვე სამყაროში

ბუდიზმმა თავისი არსებობის განმავლობაში ღრმა ფესვები მოიკიდა აზიურ ქვეყნებში, სადაც მას დღესაც ძლიერი გავლენა აქვს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აზიის მრავალ ქვეყანაში ბუდიზმს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი აქვს, ხოლო ლაოსში, კამბოჯაში და ტაილანდში სახელმწიფოს მეთაურები თავად არიან ბუდისტური ეკლესიის ხელმძღვანელები.

იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერია ბუდიზმის გავლენა, ბუდისტი ბერების რიცხვი საკმაოდ დიდია. მაგალითად, კამბოჯაში ყოველი მეოცე მამაკაცი ბუდისტი ბერია. ხოლო ბირმაში, ლაოსში, ტაილანდში ბუდისტური მონასტრები თითქმის ყველა სოფელშია. ბუდისტური ტაძრები შენდება როგორც მორწმუნეთა შემოწირულობებით, ასევე სახელმწიფოს ფინანსური დახმარებით.

ამ ქვეყნებში ბუდისტი ბერები ისეთი მაღალი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ, რომ, მაგალითად, სანამ იგი ტოგას¹²³ არ გაიხდის, სამართალდამცავს არ აქვს მისი და-

123. ტოგა – ბერული შესამოსლის სახელწოდება.

პატიმრების უფლება. ასევე არ შეიძლება ბუდისტი ბერი საერო სასამართლოში მოწმედ გამოვიდეს და არც თავად აქვს უფლება საჩივრით მიმართოს საერო სასამართლოს. არ შეიძლება მისი გამოძახება ჯარშიც. მას არ შეუძლია არჩევნებში და საერთოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.

ბუდისტი ბერები ოფიციალურად არ არიან ჩართულნი პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ისინი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ სახელმწიფო და საჯარო სფეროზე. მაგალითად, მონასტრებს უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს ხალხში, ვიდრე სახელმწიფო ორგანოებს.

„ბუდიზმი მრავალ მორწმუნეს სწორედ იმით იზიდავდა, რომ მათი ცხოვრების წესისა და ჩვევების რადიკალურ გარდაქმნას არ ითხოვდა, მათ შორის იმ რიტუალების აღსრულების შეწყვეტას, რომლებიც ადგილობრივი ღვთაებების მიმართ იყო დადგენილი. ბუდა არ უარყოფდა სხვა რელიგიების ღმერთებს და არც საკუთარ მიმდევრებს უკრძალავდა მათ თაყვანისცემას. ბუდა უბრალოდ მიუთითებდა, რომ ღმერთების თაყვანისცემა, როგორი ძალმოსილნიც არ უნდა იყვნენ ისინი, მხოლოდ დროებით შემსუბუქებას მოუტანდა მათ და არა საბოლოო გადარჩენას. ბუდისტური პანთეონის ფორმირების პროცესში მასში თანდათან ბრაჰმანიზმისა და სხვა რელიგიების ღვთაებებიც იმკვიდრებდა ადგილს.“

М. Зеленков. Мировые Религии: История и Современность. М., 2003, 12

ბუდისტურ სამყაროში მიჩნეულია, რომ იგი (ბუდიზმი) მთელს მსოფლიოში უნდა გავრცელდეს, რადგან ითვლება, რომ საზოგადოებრივი აზრის რადიკალური გარდაქმნა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი დასავლური მატერიალისტური ფასეულობები მაქსიმალურად განიდევნება ბუდისტური მსოფლმხედველობით. ამ მიზნით ყალიბდება ბუდიზმის პროპაგანდის მთელი პროგრამები აზიის ფარგლებს მიღმა, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო ბუდისტური ორგანიზაციების მიერ.

გავრცელების თვალსაზრისით, ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას სხვადასხვა მდგომარეობაშია. როგორც ცნობილია,

მაჰაიანისტურმა მიმდინარეობამ აშკარად დემოკრატიული სულისკვეთება გამოავლინა, რომელმაც განაცხადა, რომ ნირვანის მიღწევა არა მხოლოდ ბერებსა და განდევნილებს შეუძლიათ, არამედ ერის ადამიანებსაც. სწორედ ამ მიზეზით იგი უფრო ადვილად გავრცელდა როგორც აღმოსავლეთში (უფრო ჩრდილოეთით) ასევე დასავლეთში. ამასთანავე მაჰაიანისტური ბუდიზმის ექსპანსია უფრო ნაყოფიერი გამოდგა კულტურული თვალსაზრისითაც, რადგან სწორედ მან წარმოშვა ისეთი საინტერესო და თვითმყოფადი რელიგიურ-კულტურული მიმდინარეობები, როგორიცაა ლამაიზმი ტიბეტში, ჩან-ბუდიზმი ჩინეთში და ძენ-ბუდიზმი იაპონიაში. ნიშანდობლივია, რომ სწორედ აღნიშნული მიმდინარეობები (განსაკუთრებით კი ძენ-ბუდიზმი) გახდნენ აქტუალური XX ს-ის ევროპული კულტურისთვის. მაგალითად, პირველი ბუდისტური მონასტერი აზიის ფარგლებს მიღმა, რომელიც კალიფორნიაში დაფუძნდა, სწორედ ძენ-ბუდისტური მონასტერი იყო.

„როგორ მივალწიოთ ამქვეყნად სიწმინდეს? ყველამ ტყეს უნდა მივაშუროთ და გამოქვაბულში ვიცხოვროთ? რას გვარგებს ეს? თუ საკუთარ ფიქრს ვერ იმორჩილებთ, გამოქვაბულში ცხოვრებას აზრი არა აქვს, რადგან იქაც იგივე ფიქრი არ მოგასვენებთ. ყველა ეშმაკი ერთად დაგზავდებათ გამოქვაბულში, რადგან ყველა ეშმაკი თვით ჩვენშია. თუკი ფიქრს ვიმორჩილებთ, სადაც ჩვენ ვიქნებით, ჩვენი გამოქვაბულიც იქ იქნება“.

*სვამი ვივეკანანდა. ლექციები გიტას შესახებ //
ბჰაგავადგიტა. თარგმნა და განმარტებები დაურთო
ლევან რამიშვილმა. თბ., 2006, გვ. 143*

დასავლელი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ძენ-ბუდიზმი მიმზიდველია იმიტომ, რომ ეს რელიგია მათ ჰპირდება სრულ შინაგან თავისუფლებას ბერული ცხოვრებისა და სხვადასხვა სახის მკაცრი აკრძალვების გარეშე, რომელთა გამოც შესაძლოა დისკომფორტი იგრძნოს ადამიანმა მისთვის ჩვეული ცხოვრების წესის შეცვლის გამო. ამასთანავე ძენ-ბუდიზმი ადამიანს ჰპირდება „სულიერი სრულყოფის“ მიღწევას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე.

დასავლური საზოგადოების მხრიდან ბუდიზმისადმი ინტერესმა ჩვენს დროში მწვავედ დასვა საკითხი დასავლური (რაციონალური) და აღმოსავლური (ირაციონალური, მჭვრეტელობითი) კულტურული ტრადიციების სინთეზის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ საკითხის გადაჭრა სცადეს რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ნ. და ე. რერიხებმა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ რომ მათი სინთეზი სულიერად გაამდიდრებდა თანამედროვე კულტურას, გაანთავისუფლებდა რა მას როგორც დასავლური რაციონალიზმის, ასევე აღმოსავლური მისტიციზმის უკიდურესობებისგან.

ამჟამად, მსოფლიოში ბუდიზმის მიმდევართა რიცხვი სხვადასხვა წყაროებით 400-დან 700 მილიონამდეა. ციფრებში ამგვარი სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ბუდისტების აღწერას არასოდეს ჰქონია ადგილი, ხოლო ცალკეული ბუდისტური მიმდინარეობები, სკოლები თუ ორგანიზაციები მიდრეკილნი არიან საკუთარი მიმდევრების აღმნიშვნელი ციფრების გაზრდისკენ.

7. ბუდიზმი და საქართველო

ისტორიული წყაროები არაფერს გვუვზნება ძველ საქართველოში ბუდისტური თემების არსებობის თაობაზე, თუმცა შუა საუკუნეებში ქართველებს ამა თუ იმ ფორმით ჰქონდათ წარმოდგენა ბუდას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

V ს-ის მეორე ნახევარში ინდოეთამდე მეფე ვახტანგ გორგასალმაც ჩააღწია და, სავარაუდოა, რომ ბუდას და ბუდისტების შესახებაც მიიღო ინფორმაცია. ქართული კულტურის ბუდიზმთან კონტაქტის მაგალითია ასევე შუა საუკუნეების მსოფლიოში ცნობილი წიგნის – „ვარლაამისა და იოასაფის“ ისტორია. ესაა ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზირებული ვერსია, რომელშიც ინდოეთის გაქრისტიანების ამბავია მოთხრობილი. მეცნიერებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა თუ სად და რომელ ენაზე შეიქმნა ეს თხზულება.

მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ქართულ ვარიანტს, რომელსაც „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ან „ბალავარიანი“ ეწოდება. ეს ძეგლი (რედაქცია) საქართველოში არაბობის დროს,

VII-X სს-ებში ჩამოყალიბდა და, როგორც გიორგი მთაწმინდელი გვაუწყებს, X-XI სს-ებში ექვთიმე ათონელმა ბერძნულ ენაზე თარგმნა, ბერძნულიდან კი ლათინურად ითარგმნა და მთელს იმ დროინდელ საქრისტიანოში გავრცელდა.

ქართველები ინდუიზმითა და ბუდიზმით დაინტერესებულნი იყვნენ მომდევნო საუკუნეებშიც. ამას ადასტურებს XVII-XVIII სს-ების ანონიმი მოთხრობა „დაფნის ქალაქის ამბავი“ და ის ლიტერატურული წყაროები, რაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულსა და ამ ეპოქის სხვა სამოძღვრო-დიდაქტიკურ ნაწარმოებებს უდევს საფუძვლად. ბუდისტურ ლიტერატურაზე, ცხოვრების წესსა და ფილოსოფიაზე ბევრს წერდნენ და მის მიმართ სიმპათიებსაც გამოხატავდნენ XIX-XX სს-ების ცნობილი ქართველი მოაზროვნეები და პუბლიცისტები: არჩილ ჯორჯაძე, ივანე გომართელი და ივანე როსტომაშვილი.

დღეს საქართველოში, თბილისში, ბუდისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი არსებობს.

ინდუიზმი

1. ინდუიზმის წარმოშობა

ინდუიზმი მიმდევართა რაოდენობით მესამე რელიგიაა (ქრისტიანობისა და ისლამის შემდეგ). ამ ნიშნით იგი ბუდიზმს უსწრებს, რომელიც მსოფლიო რელიგიად მიიჩნევა. ინდუისტთა საერთო რაოდენობა ერთ მილიარდამდე აღწევს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აზიაში, ორ მილიონამდე ჰინდუსი აშშ-ში, ერთნახევარი მილიონი კი აფრიკასა და ევროპის ქვეყნებში ცხოვრობს. მცირე ჯგუფები არიან ასევე დანარჩენ კონტინენტებ-სა და ქვეყნებშიც.

ინდუისტური რელიგიის ისტორიული სახელწოდება სანსკრიტზე ულერს, როგორც „სანატანა დჰარმა“, რაც ნიშნავს „მარადიულ წესრიგს“. სიტყვა „ინდუიზმი“ კი წარმოიშვა სიტყვისგან „ჰინდუ“ (მდინარე „სინდჰუ“-ს სანსკრიტული სახელწოდების სპარსული ვარიანტი). ინდუიზმს გავლილი აქვს ჩამოყალიბების სამი ეტაპი (აქვე ავლნიშნავთ, რომ სიტყვით „ინდუიზმი“ არ მოიხსენიება ერთი კონკრეტული რელიგია, რადგან იგი კრებით სახელწოდებას წარმოადგენს აერთიანებს რა საკუთარ თავში სხვადასხვა ინდუისტურ რელიგიურ მიმდინარეობას, რომლებიც აღიარებენ ვედების ავტორიტეტს).

პირველ სტადიაზე მას ახასიათებდა ძვ. წ. II ათასწლეულში არიული ტომების¹²⁴ მიერ სამხრეთ აზიაში შეტანილი ვედური რწმენა-წარმოდგენები. ვედები ეწოდებოდა არიელთა რელიგიურ ტექსტებს (იხ. წერილობითი წყაროები). აღნიშნულ ვედურ რელიგიას პოლითეისტური ხასიათი ჰქონდა.

124. არიული ტომები – ინდო-ირანულ ტომთა ჯგუფები, რომლებიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულში დასახლდნენ ირანსა და ინდოეთში. სიტყვა „არი“ სანსკრიტულია და ნიშნავს „კეთილშობილს“. სიტყვა „ირანი“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვა „არიას“ და ნიშნავს „ღირსეულთა ქვეყანას“.

ინდუიზმის მეორე სტადია ბრაჰმანიზმია. მისი გაჩენა ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ვედური რელიგიის ძირფესვიანი ცვლილების შედეგია. ამ ეტაპზე ბრაჰმანიზმის მთავარ ღვთაებად გამოიკვეთა ბრაჰმა, ასევე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭათ ღვთაებებს ვიშნუ და შივა (იხ. ქვემოთ). ბრაჰმანიზმში გაჩნდა ისეთი რელიგიური შეხედულებები, რომლებიც არ ახასიათებდა ინდუიზმის განვითარების წინა ეტაპზე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს. მაგალითად, გარდაცვალების შემდგომ საზღაურის მიღებისა და რეინკარნაციის შესახებ იდეები. ასევე ბრაჰმანიზმის მიერ შემოღებულ განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა ინდოეთის საზოგადოების კასტებად დაყოფა (ამის შესახებ ვრცლად იხ. თავში „ბუდიზმი“).

მესამე სტადია: ბუდიზმმა, რომელიც ინდოეთში წარმოიშვა როგორც ბრაჰმანიზმის საწინააღმდეგო მოვლენა, აიძულა ბრაჰმანიზმის ქურუმები რაიმეგვარი პასუხი გაეცა იმ გამოწვევისთვის, რომელიც ბუდიზმმა დააყენა ბრაჰმანიზმის წინაშე. ამის შედეგად მოხდა გარკვეული ტრანსფორმაცია ბრაჰმანიზმისა და სწორედ ამ „რეფორმირებულ“ ბრაჰმანიზმს ეწოდება დღეს ინდუიზმი, რომელიც დღეს უამრავი ინდუისტური მიმდინარეობის კრებითი სახელია.

ბრაჰმანიზმისგან განსხვავებით, რომელშიც კულტს ჩაკეტილი ხასიათი ჰქონდა და მასში მხოლოდ არისტოკრატები მონაწილეობდნენ (ქურუმობა მემკვიდრეობითი იყო), ინდუიზმმა უფრო რელიგიური თაყვანისცემისა და მსხვერპლშეწირვის პრაქტიკა უბრალო ხალხს დაუკავშირა. ამის შემდეგ რელიგიური რიტუალები საჯაროდ აღესრულება, რომელში მონაწილეობის უფლებაც ყველა ადამიანს შეუძლია.

2. წარიღობითი წყაროები

ინდუიზმის წმ. წიგნები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა ადამიანთა მიერ. ისინი თავდაპირველად ზეპირად, რითმიანი ლექსების სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ასეთი გართმული ფორმები, მკვლევართა აზრით, ხელს უწყობდა ამ ინფორმაციის ადვილ დამახსოვრებას. მოგვიანებით ეს ტექსტები

წერილობითაც დაფიქსირდა, რომელიც თავის მხრივ, აგრეთვე ივრცობოდა საუკუნეების მანძილზე.

ინდუიზმის ზოგიერთ ტრადიციაში წმ. წიგნები არ განიმარტება პირდაპირი მნიშვნელობით, დიდი ყურადღება ექცევა ამ ტექსტების ეთიკურ და მეტაფორულ მნიშვნელობას. უმრავლესობა ამ წმ. ტექსტებისა დაწერილია ძველ ინდურ ენაზე – სანსკრიტზე. ისინი ორ კატეგორიად იყოფა, რომლებსაც ეწოდება შრუტი და სმრიტი.

2. 1. შრუტი

ტერმინი „შრუტი“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გაგონილს“, გამოიყენება ოთხნაწილედ ვედების მიმართ, რომლებიც უძველეს რელიგიურ ტექსტებად ითვლება (ვედების ნაწილებია: რიგვედა, სამავედა, იაჯურვედა და ათჰარვავედა). ინდუსთა უმრავლესობა ვედებს მიიჩნევს არა ადამიანთა მიერ დაწერილად, არამედ უშუალოდ ღვთაებების მიერ გამოცხადებულ ჭეშმარიტებას. მრავალი ინდუისტის რწმენით, რამდენადაც ვედებში გადმოცემული სულიერი სიბრძნე მარადიულია, ისტორიის მსვლელობისას იგი გამოითქმება და განიმარტება სხვადასხვაგვარად, ახალ-ახალი ფორმებით.

ვედებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად რიგვედა მიიჩნევა. იგი არა მხოლოდ ყველაზე ძველ ვედურ წერილად მიიჩნევა, არამედ ასევე უძველეს ინდოევროპულ ტექსტად. თავის მხრივ, ყოველი ვედა ასევე ოთხ ნაწილად იყოფა, რომელთაგან ყველაზე პოპულარული უპანიშადების სახელით ცნობილი ტრაქტატებია. თითოეული ვედის ძირითადი ნაწილი მანტრებისგან (ლოცვის სიტყვები) შედგება. დანარჩენი ნაწილები კი მის კომენტარებს წარმოადგენს, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, მოგვიანებით არის დაწერილი. მაშინ როცა ვედები უფრო რიტუალურ პრაქტიკაზეა კონცენტრირებული, უპანიშადები შეიცავს რელიგიურ-ფილოსოფიურ მსჯელობებს.

2. 2. სმრიტი

ინდუიზმის სხვა წმ. წიგნებს ეწოდება სმრიტი, რაც ნიშნავს „დამახსოვრებულს“. ამ კატეგორიის ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვანად ითვლება ინდური ეპიკური პოემები „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. ინდუიზმის სხვადასხვა წმ. წიგნთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული და, შესაბამისად, შესწავლადი ტექსტი არის „ბჰაგავტგიტა“. მასში გადმოცემულია კრიშნას (იხ. ქვემოთ) რელიგიური და ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობანი და დარიგებანი მეომარი აჯუნას მიმართ. როგორც თავად ინდუისტებს ასევე დასავლელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ბჰაგავტგიტაში გადმოცემულია ვედების ძირითადი არსი.

სმრიტის კატეგორიას მიეკუთვნება ასევე პურანები, რომლებშიც ინდუისტური რწმენა-წარმოდგენები და ფილოსოფია უფრო მსუბუქ და გამარტივებულ ენაზეა გადმოცემული, ვიდრე ვედებში. არსებობს ასევე სხვა წმ. წიგნები, რომლებიც არ სარგებლობენ საყოველთაო ავტორიტეტით და მათ ინდუიზმის მხოლოდ ზოგიერთი მიმდინარეობა აღიარებს. ასეთია, მაგალითად, „იოგასუტრა“, „ტანტრა“, „დევი-მაჰათმია“ და სხვა.

3. დოქტრინა

ინდუისტური რელიგიისთვის დამახასიათებელია მრავალ-ღმერთიანობა. ამ მრავალრიცხოვან ღვთაებათა შორის უმნიშვნელოვანეს ღმერთებად ითვლებიან ბრაჰმა, შივა და ვიშნუ. ინდუისტური სწავლებით, ამ ღმერთებმა ერთმანეთში შემდეგი ფუნქციები გაინაწილეს: შემოქმედებითი (ბრაჰმა), დამსჯელი (შივა) და მფარველობითი (ვიშნუ).

ინდუიზმის რელიგიური სწავლების თანახმად, ბრაჰმას შექმნილია როგორც ეს სამყარო (ადამიანების ჩათვლით), ასევე დანარჩენი ღვთაებებიც. ბრაჰმა არ არის პიროვნული ღმერთი, ამიტომ მორწმუნის მხრიდან შეუძლებელია მასთან პიროვნული ურთიერთობა ლოცვისა თუ სხვა რელიგიური ქმედებების საშუალებით. იგი სამყაროს სულია, გაბნეულია მასში.

ინდუიზმის დოქტრინაში ცენტრალური ადგილი უჭირავს შეხედულება სულთა გადასახლების შესახებ წინა ცხოვრებაში ჩადე-

ნილი ქცევების შესაბამისად. ნებისმიერი ინდუისტური კულტის თანახმად ადამიანის მიზანია თავისი ინდივიდუალური სულის (ატმანი) სამყაროს სულთან (ბრაჰმა) შერწყმა და მასში საბოლოო დანთქმა.

„უზენაესი მდგომარეობა ცნობიერებისა მოძრავია და ამავე დროს არ იძვრის, იგი მიუღწეველია თითქოსდა თავისი სიშორით, და ამავე დროს მიღწეულია უკვე, ვით მყოფი უზომოდ ახლოს. იგი სხეულის შიგნითაა და ამავე დროს მიღმაა სხეულის, ყველაფერშია და ამავე დროს მიღმაა ყველაფრის.“

*იმე უპანიშადი § 5 (თარგმანი სანსკრიტულიდან)
(აღმოსავლური კლასიკური რელიგიური ტექსტები და
ასკეტთა სწავლებები. თბ., 2002, გვ. 41)*

იმ მეთოდების ერთობლიობას, რომლის დახმარებითაც ინდუსმა სამყაროს სულთან შერწყმა უნდა მოახერხოს, ეწოდება იოგა. ინდუიზმმა შეიმუშავა ვარჯიშებისა და მედიტაციების საკმაოდ რთული სისტემა, რომელიც ადამიანს საკუთარი სხეულებრივი და სულიერი ძალების მართვის საშუალებას აძლევს.

ინდუიზმის თანახმად, ადამიანური საწყისის ღვთაებრივთან შესაერთებლად არ არის საკმარისი ადამიანის ერთი სიცოცხლე. საჭიროა რეინკარნაციის გრძელი ჯაჭვის გავლა. თანამედროვე ინდუიზმისთვის დამახასიათებელი სიახლე (ბრაჰმანიზმთან შედარებით, რომელიც მისი განვითარების მეორე ეტაპად ითვლება) არის ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის უმცირესი ზიანის არმიყენების იდეა (რის გამოც ინდუისტები, როგორც წესი, ვეგეტარიანულ დიეტას იცავენ) და აგრეთვე სწავლება ავატარის¹²⁵ შესახებ.

ინდუიზმის დოქტრინის უმთავრესი წყარო ვედებია. ვედებში ყველაზე ხშირად ქარიშხლის ღმერთის – ინდრას ღვაწლი მოიხსენიება, რომელიც უფორმო ურჩხულს ებრძოდა ელვისა და ჭექა-ქუხილის დახმარებით. ღვთაება ინდრას შემდეგ იხსენიება ასევე მზის ღმერთი – სურაია, ცეცხლის ღმერთი – აგნი და სხვები. ამ

125. ავატარა – ამ სახელწოდებით იხსენიება ინდუისტური სწავლება, რომლის მიხედვითაც ერთ ღვთაებას შეუძლია სხვა ღვთაებად (ან ადამიანად, ცხოველად) გადაქცევა, გარდასახვა.

ღვთაებათა ნიშან-თვისებების აღწერის მიხედვით ნათელია, რომ ინდუიზმი მნიშვნელოვნად ჩამოშორდა ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენებს და საკუთარი ღმერთების წარმოსახვა დაიწყო ანთროპომორფული (ადამიანის მსგავსი) სახეებით.

4. რელიგიური პრაქტიკა

ინდუიზმში დიდ როლს ასრულებენ ქურუმები. ძველად მათი რიგებიდან ირჩევდნენ მეფეები მრჩევლებს სხვადასხვა თანამდებობებზე. სწორედ ისინი კარნახობდნენ ამა თუ იმ ერს ცხოვრების წესს. ქურუმები იყვნენ ავტორიტეტული რელიგიური მსახურები – გურუები, რომლებიც ახალგაზრდა თაობას ინდუიზმის სწავლა-მოდვრებას გადასცემდნენ.

ინდუიზმის ადრეულ ეტაპზე (ვედურ პერიოდში) რელიგიური თაყვანისცემის საფუძველი მსხვერპლშეწირვა იყო. მსხვერპლშეწირვის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა: მოუწოდებდნენ ღვთაებებს ცეცხლის პირას წმ. ბალახზე დაბრძანებულიყვნენ და იქვე ალაგებდნენ საჭმელსა და სასმელს, როგორც მასპინძელი სტუმარს. ცეცხლში ასხამდნენ ზეთსა და ასევე ყრიდნენ მარცვლეულს. პარალელურად ლოცვით მიმართავდნენ ცეცხლის ღმერთს – აგნის. მათი რწმენის მიხედვით, ცეცხლის კვამლს ზეცაში ღმერთებთან მიჰქონდა გაღებული მსხვერპლი. ღმერთები კი სანაცვლოდ თავის წყალობას უგზავნიდნენ მიწაზე მყოფ ადამიანებს, რაც გულისხმობდა ჯანმრთელობის, წარმატებისა და ძალაუფლების მიღებას.

ინდუიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულებების აღსრულებასა და დღესასწაულების აღნიშვნას. გავრცელებული აზრის თანახმად, სწორედ ამ რიტუალთა ერთობლიობის აღსრულება აქცევს ინდოეთის მკვიდრს ინდუსად.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, უპანიშადებში წესებისა და რიტუალების აღსრულებაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ადამიანის შინაგან, სულიერ ცხოვრებას ენიჭება (იხ. ქვემოთ დამოწმებული პასაჟი).

„მრავალგვარ უვიცობაში მყოფნი, უბირნი, სთვლიან: „ჩვენ მივალწიეთ გადარჩენასო“, წესთა აღსრულებაზე დამედებული ვერ სწვდებიან ჭეშმარიტებას და ამიტომ მიკერძოებით შებოჭილნი კვდებიან როდესაც ელევათ ძალნი. თვლიან რა მსხვერპლშეწირვის წესებს და სხვა წესების აღსრულებას ყველაზე მთავარ რამედ, დაბრმავებული ვერ ხედავენ სხვა სიკეთეს, ტკბებიან რა ამ წესთა აღსრულებით, ისინი მიდიან ამდაგვარ (ამ წუთისოფლის მაგვარ) ან და კიდევ უფრო დაბალ სამყოფელში (არსებულიზე უფრო დაბალ სულიერ მდგომარეობაში), ხოლო ისინი ვინც რწმენით განდევილობაში იღვწიან ჭვრეტის ღვაწლში, დამშვიდებული, ცოდნით აღვსილნი, უპოვარების ღვაწლის მტვირთველნი მიემართებიან „მზის კარის“ (შინაგანი ხელთუქმნელი ნათელის) გავლით იქ, მკერდში, სადაც სუფევს აღმქმელი, აზროვნების საწყისი, ცნობიერება უკვდავი“.

კაუშიტაკა უპანიშადი (კრებულიდან: აღმოსავლური კლასიკური რელიგიური ტექსტები და ასკეტთა სწავლებები. თბ., 2002, გვ. 62)

„უპანიშადები გმობს რიტუალს, განსაკუთრებით იმას, ცხოველების კვლას რომ მოითხოვს. ყველაფერ ამას ის უაზრობად აცხადებს. ძველ ფილოსოფოსთა ერთი სკოლა ამბობს, რომ თუკი ამას შედეგი მოჰყვება გარკვეულ დროს ცხოველის მოკვლა დასაშვებია. შეგიძლიათ მათ შეედავოთ და უთხრათ, „კი მაგრამ ცხოველისთვის სიცოცხლის წართმევა ხომ ცოდვაა?“ მაგრამ ამაზე გიპასუხებენ, რომ ეს სისულელეა. რა იცით თქვენ, რა არის კარგი ან ცუდი? რა, გონება გკარნახობთ? თქვენ თქვენს გონებას წმ. წერილის (ანუ ვედების, მთარგ.) წინააღმდეგ ამხედრებთ. თუკი გონება ერთ რამეს გეუბნებათ, ვედებში კი სხვა რამე წერია, შეაჩერეთ გონება და დაუჯერეთ ვედებს. თუკი წერია, რომ კაცის კვლა სწორია, ესე იგი ასეცაა. თუკი ამბობთ: „არა ჩემი ცნობიერება სხვა რამეს მეუბნება“, არაფერი გამოვა. რა წამსაც იჯერებთ, რომ რომელიმე წიგნი

მარადისი სიტყვაა და წმინდაა, იმ წამსვე კარგავთ კითხვის დასმის უფლებას...”

*ბჰაგავადგიტა. თარგმნა და განმარტებები დაურთო
ლევან რამიშვილმა. თბ., 2006, გვ. 120*

ყველაზე მეტად საზეიმო ხასიათი რამასა და კრიშნასადმი მიძღვნილი დღესასწაულების აღნიშვნას აქვს. სწორედ ამ სადღესასწაულო დღეებში იგრძნობა ინდუიზმის ძალა, რომელსაც ძლიერი შემაკავშირებელი ფუნქცია აქვს ინდოეთისა როგორც ერთიანი რელიგიურ-კულტურული თემისა, რომლებიც სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და სხვადასხვა კასტისა და რასის წარმომადგენლები არიან.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პილიგრიმობას სხვადასხვა ადგილებში, რომლებიც წმინდად მიიჩნევა. ერთ-ერთ ასეთ ცნობილ ადგილად აღიარებულია ღვთაება ინდრას შვილის ამქვეყნად მოვლინების ადგილი, სადაც 12 წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული სადღესასწაულო რიტუალები აღესრულება. აქ მილიონობით პილიგრიმი ჩამოდის და წმინდა მდინარედ მიჩნეული განგის წყალში ჩადიან სულიერი განბანვის ნიშნად. ინდოეთის თითოეული მართლმორწმუნე მოსახლე თავს ვალდებულია თვლის 12 წელიწადში ერთხელ ეს წეს-ჩვეულება აღასრულოს.

5. მიმდინარეობები ინდუიზმში

5. 1. შივაიზმი

ინდუიზმი გაყოფილია შივაიზმად და ვიშნუიზმად, რომლებიც შესაბამისად თავყვანს სცემენ ღვთაებებს: შივას ან ვიშნუს.

შივას კულტი საკმაოდ წინააღმდეგობრივია. იგი აღიქმება როგორც დამსჯელ და დამანგრეველ ძალად (მას ხშირად სიკვდილის ღმერთსაც უწოდებენ), მაგრამ იგი იმავდროულად შემოქმედ და მაცოცხლებელ ღვთაებადაც ითვლება. შივაში ერთდროულად არის გაერთიანებული როგორც კეთილი, ასევე ბოროტი საწყისი. შივას მეუღლეს ეწოდება ქალღმერთი კალი, რომელიც დემონთა მბრძანებლად ითვლება. მას შეუძლია დემონებს აუკრძალოს ან უბრძანოს სხვადასხვა სახის უბედურებების, კატასტროფების,

ეპიდემიების მოვლენა დედამიწაზე. ღვთაება კალის კულტი გავრცელებულია ინდოეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში. მას განსაკუთრებით ქალები სცემენ თაყვანს. შივაიზმი თავის მხრივ იყოფა შაკტიზმად, ვამაჩარიზმად და ა.შ.

5. 2. ვიშნუიზმი

ინდუიზმის ამ მიმდინარეობაში, სხვა ღვთაებებთან შედარებით, ვიშნუს თაყვანისცემის კულტი იმდენად გაბატონებულია, რომ ინდუიზმის ეს ფორმა გარკვეული აზრით, მონოთეიზმსაც კი უახლოვდება. თუმცა, ვიშნუსთან ერთად, ამ მიმდინარეობაში თაყვანისცემება ასევე ვიშნუს მეუღლე, სახელად ლაკშმი, რომელიც სილამაზის, ბედნიერებისა და სიმდიდრის ღვთაებად ითვლება.

ვიშნუს, როგორც წესი გამოსახვენ ოთხი ხელით, თუმცა არსებობს ამ ღვთაების სხვადასხვაგვარი გამოსახვებიც. ვიშნუს მთავარი ფუნქცია შემოქმედებითია. იგი მორწმუნეებს სხვადასხვა სახით ევლინება, რომელთაგან უმთავრესი ათია. პირველი ოთხის შემთხვევაში მას სხვადასხვა ცხოველის ფორმა აქვს.

ინდუისტური მითოსის თანახმად, (1) თევზის სახით ვიშნუმ წარღვნის წყალში დაღრჩობისგან მეფე მანუ გადაარჩინა, (2) კუს სახით იგი უკვდავების წამლის შესახებ რჩევას იძლევა, (3) გარეული ღორის სახით მას წყლისგან მიწა გამოჰყავს, (4) ლომის სახით დემონებს მუსრავს. ამასვე აკეთებს იგი (5) გიგანტური ადამიანის მსგავსი არსების სახით.

ვიშნუს დანარჩენი ხუთი ინკარნაცია შემდეგია: (6) პარაშურამა, რომელმაც თავისი მეომრული ნიჭით გაითქვა სახელი; (7) რამა, რომელიც გმირად და მარჯვე მმართველად მიიჩნევა; (8) კრიშნა, რომელიც საკმაოდ მაღალი სტატუსის საერთოინდურ ღვთაებად მიიჩნევა; (9) ბუდა და (10) მესია, სახელწოდებით კალკა, რომლის გამოჩენასაც ჯერ კიდევ ელიან.

ვიშნუს ყველაზე საყვარელ ინკარნაციებად ითვლება რამა და კრიშნა. ამ უკანასკნელთა კულტმა კი ფაქტიურად ახალი მიმდინარეობები წარმოშვა თავად ვიშნუიზმის შიგნით – რამაიზმი და კრიშნაიზმი.

„კრიშნა ამბობს: „ისინიც კი, ვინც სხვა ღვთაებას ეთაყვანება, სინამდვილეში მე მომაგებს თაყვანს.“ როგორ ფიქრობთ, გაბრაზდება ღმერთი სხვა სახელი რომ უწოდოთ? ასე რომ იყოს, ის ღმერთიც არ იქნებოდა! ღმერთი ის არის, რაც ადამიანის გულშია (...) ყველას ჰგონია, რომ მისი მეთოდი საუკეთესოა. ძალიან კარგი! ოღონდ გახსოვდეთ, რომ თქვენი მეთოდი თქვენთვისაა საუკეთესო. საჭმელი, რომელსაც ერთი ადამიანი ვერ ინელებს, სხვისთვის შეიძლება სულ ადვილი მოსანელეხელი იყოს.“

*ბჰაგავადგიტა. თარგმნა და განმარტებები დაურთო
ლევან რამიშვილმა. თბ., 2006, გვ. 131, 133*

5. 3. სხვა მიმდინარეობები

ინდუიზმის აღნიშნული ორი მთავარი მიმდინარეობა ორთოდოქსულ ინდუიზმად ითვლება. თუმცა მათ გვერდით არსებობს ასევე ე. წ. სექტანტური ინდუიზმიც, რომელშიც ასევე ორი მთავარი მიმდინარეობაა: რეფორმირებული ინდუიზმი და ნეოინდუიზმი, რომელთაც, თავის მხრივ, უამრავი დანაყოფები აქვთ.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ინდუიზმის წიაღში გაჩნდა რეფორმისტული მოძრაობა არია სამაფის მეთაურობით, რომელიც ცდილობს ინდუიზმის რელიგიურ მოძღვრებას მონოთეისტური ხასიათი მიანიჭოს და თავი დააღწიოს პოლითეიზმის ტენდენციებს, კასტურ სისტემას, ქალთა და მამაკაცთა არათანასწორუფლებიანობას და სხვ.

რეფორმისტულმა მოძრაობამ გარკვეული გზა გაიარა და ამჟამად იგი წარმოდგენილია რამდენიმე რელიგიური გაერთიანებით.

6. კრიშნაიზმი საქართველოში

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში „კრიშნას ცნობიერების“ ერთგულები პირველად სოხუმში გამოჩნდნენ. ამგვარი ჯგუფის შექმნის ინიციატორი გახლდათ ბ-ნი ოთარ ნაჭყე-

ბია, რომელსაც საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი ინდუისტური სამლოცველო.

„...კრიშნას ცნობიერების წარმომადგენლებიდან ბევრს საქართველოს დატოვება მოუხდა. მიგრაციის მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი მოძრაობა „კრიშნას ცნობიერება“ აფხაზეთიდან გავრცელდა, თავდაპირველად იქ განვითარდა და მისი წარმომადგენლების დიდი ნაწილი საქართველოდან დევნილების სახით წავიდა. მეორე მიზეზი ეკონომიკურია – ბევრმა დატოვა საქართველო სიღარიბის გამო. დაბოლოს, საქართველოში, მისი სოციალური სტრუქტურიდან, მენტალობიდან გამომდინარე ძნელია ქადაგება. ქადაგება ვერ განვითარდა – შეგიძლიათ წარმოიდგინოთ კრიშნას მსახურები, რომლებიც ქუჩაში გალობენ და ლოცულობენ? ამავე დროს ეს სრულიად ჩვეულებრივი სურათია ევროპის დიდ ქალაქებში“.

*ინტერვიუ კრიშნაიზმის მიმდევართან, ალექო
შულაძესთან // ჟურნ. „არჩევანი“ #7-8, 2006, გვ. 36*

თანდათან კრიშნაიტთა მოძრაობამ თბილისში გადმოინაცვლა. „ვედური კულტურის ცენტრი“ თბილისში 1986 წელს შეიქმნა. ცენტრს აქვს საკუთარი ტაძარი და ასევე მცირე აშრამები (ოთახები) ღვთისმსახურთათვის და მათი მოწაფეებისთვის. ამჟამად „ვედური კულტურის ცენტრის“ პრეზიდენტია ანთიმოზ ნაცვლიშვილი, ინიციაციისეული¹²⁶ სახელით ბჰაქტი ბაჰუშანა დასი, რაც ნიშნავს: ერთგული მსახურების სამკაული.

საქართველოში ეს ორგანიზაცია ყველაზე მრავალრიცხოვანი 1990-იანი წლების პირველ ნახევარში იყო (500 მიმდევარი). ისინი რელიგიურ და საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად აქტიურ ქველმოქმედებასაც მისდევდნენ. ხსნიდნენ უფასო სასადილოებს, აფხაზეთში ომის დროს მეომრებთან საკვები მიჰქონდათ და ა.შ.

ამჟამად საქართველოს მოქალაქე კრიშნაიტთა რიცხვი 200-ს არ აღემატება.

126. ინიციაცია – (ლათ. „განდობა“) ხელდასხმა, რომლის დროსაც სახელს იცვლიან, როგორც ძველი ცხოვრების წესის უარყოფის სიმბოლო.

სხვა რელიგიები

1. კონფუციანობა

კონფუცი – ეს არის ლათინიზირებული ფორმა ჩინური სახელისა „კუნ ფუ-ცზი“ (მისი სახელი სხვა ფორმებითაც გვხვდება: კუნ-ცზი, კუნ-ციუ, კუნ-ჯუნი). კონფუციანობის სახელით ცნობილმა სწავლებამ საუკუნეების მანძილზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩინური კულტურისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ის ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა იაპონიის, ტაივანის, კორეის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას.

კონფუციანობა წარმოიშვა ძვ. წ. VI-V სს-ებში. მისი დამფუძნებელი გახლდათ ცნობილი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი. იგი დაიბადა მხედართმთავრის ოჯახში. მიიღო კარგი განათლება და გარკვეული პერიოდი სამეფო კარზე მინისტრად მუშაობდა, ამასთანავე იყო სამეფო მოხელეების მოძღვარი და მრჩეველი. ძვ. წ. 436 წლიდან იგი 13 წლის განმავლობაში მოგზაურობს ქვეყანაში, დადის სოფელ-სოფელ და ქადაგებს თავის სიბრძნეს, ადამიანებს მოუწოდებს უფრო მეტი ჰუმანურობის დაცვისკენ. მის მიერ შემუშავებული ფილოსოფიურ-ეთიკური სისტემა არ გახლდათ „მეამბოხე“, არამედ იყო საკმაოდ კონსერვატიული ხასიათისა. მისი სწავლება არსებული ეთიკური ნორმების კეთილსინდისიერ დაცვას გულისხმობდა.

თავიდან კონფუციანობა არ წარმოადგენდა რელიგიას, არამედ მხოლოდ ფილოსოფიურ-ეთიკურ სწავლებას, რომელიც მხოლოდ ათას წელზე მეტი ხნის შემდგომ გარდაიქმნა რელიგიად. კერძოდ, ახ. წ. VI ს-თვის შეითვისა რა ეროვნული (ანუ ჩინური) რელიგიური წარმოდგენები, განსაკუთრებით წინაპართა და ბუნების თაყვანისცემის კულტი, კონფუციანობა რელიგიად გადაიქცა. პირველ რიგში, კონფუციანობაში ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა ზნეობრივი პრინციპების დაცვას.

დაოიზმისგან განსხვავებით (იხ. ქვემოთ), კონფუციანობას არ ჰყავს სასულიერო პირები (თუმცა არსებობს კონფუციანური

ტაძრები). ყველა რელიგიურ რიტუალს ოჯახის მამები აღასრულებენ. კონფუციანობა პოლითეისტურ რელიგიად ითვლება. მის პანთეონში უმაღლეს ღვთაებად ცას თვლიან. გაღმერთებულია ასევე თავად კონფუცი და მისი მოწაფეები. უნდა აღინიშნოს, რომ კონფუცის არ სწამდა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისა.

კონფუციანობა საკმაოდ გავლენიანი რელიგიაა ჩინეთში, მაგრამ ამ ქვეყანაში მორწმუნეებს შეუძლიათ ერთდროულად ორი ან სამი რელიგიის (ბუდიზმი, დაოიზმი, კონფუციანობა) მიმდევრად მიიჩნიონ თავი. ამიტომ კონფუციანობის მიმდევართა რიცხვის განსაზღვრა აგრეთვე საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ ჩინეთში იმ ადამიანთა საერთო რაოდენობას აღრიცხავენ, რომლებიც (ჩინური) ეროვნული რელიგიების მიმდევრებად თვლიან თავს. მათი რიცხვი კი დაახლ. 230 მილიონია.

- „რაც მეტ ცოდნას იძენ, მით უფრო იღბლიანი ხდები“;
- „ნუ იღარდებ იმაზე, რომ არ გაქვს მაღალი ჩინი. იღარდე იმაზე, იმსახურებ თუ არა მაღალ ჩინს...“
- „მას ვინც არ ფიქრობს შორეულ სიძნელებებზე, აუცილებლად მოელის ახლო უსიამოვნებები“;
- „სწავლა ფიქრის გარეშე უშედეგოა, ფიქრი სწავლის გარეშე – სახიფათო“;
- „შეეცადეთ ოდნავ კეთილი იყოს და თქვენ დაინახავთ, რომ ცუდის გაკეთებას ვეღარ შეძლებთ“;
- „მხოლოდ ძალზე სულელი და ძალზე ჭკვიანი ადამიანები არ იცვლებიან“.

კონფუცის გამონათქვამები

2. დაოიზმი

დაოიზმი (კონფუციანობასთან და ბუდიზმთან ერთად) წარმოადგენს ჩინეთის ერთ-ერთ რელიგიას. მისი წარმოშობის თარიღად ასახელებენ ძვ. წ. დაახლ. VI-III სს.-ებს. მის მთავარ დამფუძნებლად კი მიჩნეულია ძველი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი (ჩინურ. „მოხუცი ყრმა“). მას ეკუთვნის ტრაქტატი „დაო დე ძინი“; რაც თარგმანში ნიშნავს „კანონი გზისა და სათნოებისა“. ეს თხზულება ძირითად ბირთვს წარმოადგენს დაოისტური მოძღვრებისა.

დაოიზში თავდაპირველად წარმოიშვა როგორც ფილოსოფიური სისტემა და მხოლოდ მოგვიანებით გარდაიქმნა რელიგიად. დაოიზმის ფილოსოფიური სწავლების ცენტრში დგას მოძღვრება დაო-ს შესახებ, რომელიც სამყაროს წარმოშობის, მისი განვითარებისა და დასასრულის მიზეზად ითვლება. ლაო-ძის ფილოსოფიის ძირითად პრინციპს უმოქმედობა წარმოადგენს. მას ბოროტებასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდად მასთან (ბოროტებასთან) არშეწინააღმდეგება მიაჩნდა.

დაოიზმის თანახმად, სრული ჰარმონიის მისაღწევად საჭიროა ადამიანის დაო-სთან შერწყმა. ამის მისაღწევად კი რეკომენდირებულია უმოქმედობა, მდუმარება და სიმშვიდე. ლაო-ძის აზრით, მეფე ეს წმინდა და უმოქმედო მმართველი უნდა იყოს. თავისი დროის სამეფო ძალაუფლებისადმი კი ლაო-ძი უარყოფითად იყო განწყობილი.

- „სახელმწიფოს „წმინდა მმართველი“ ცდილობს, რათა ბრძენმა ადამიანებმა რაიმეს გაკეთება არ გაბედონ. როდესაც ყველა უმოქმედო იქნება, მაშინ ამ ქვეყნად სრული სიმშვიდე დამყარდება.“
- „ის, ვინც ცოდნას ფლობს, არ საუბრობს და ვინც საუბრობს, მან არაფერი იცის.“
- „ვინც თავისუფალია ყოველგვარი ცოდნისგან, ის არასოდეს დაავადდება.“
- მიეცი ადამიანს თევზი და მას ერთი დღე ექნება საკვები. ასწავლე მას თევზის ჭერა და მას მთელი სიცოცხლე ექნება საკვები

ლაო-ძის გამონათქვამებიდან
(სტატია Lao-Tszu // www.wikipedia.org)

თავისი უმოქმედობის კონცეფციით ტრადიციულად დაოიზმი დაპირისპირებაში იყო კონფუციანობასთან, რომელიც ხელმწიფისა და საზოგადოების აქტიური მსახურებას ქადაგებდა. თუმცა მოგვიანებით შესაძლებელი გახდა დაოიზმისა და კონფუციანობის დებულებების „მორიგება“, რომელსაც ნეოკონფუციანობა ეწოდა.

ახ. წ. I-II სს-ებში დაოიზმი ფილოსოფიური სწავლებიდან რელიგიად გადაიქცა, როდესაც მან (კონფუციანობის მსგავსად) ჩინეთში გავრცელებული სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენები შეითვისა.

დაოიზმში არსებობს ღვთისმსახურთა ინსტიტუტი, რომელთა უმრავლესობა დაუქორწინებლობის აღთქმას დებს. სასულიერო იერარქიას ჰყავს თავისი პატრიარქიც, რომელიც „ტიანშად“ იხსენიება (ნიშნავს „ზეციურ მასწავლებელს“). დაოიზმი დაყოფილია უამრავ მიმდინარეობად.

3. ზოროასტრიზმი

უძველეს რელიგიად ითვლება ასევე ზოროასტრიზმი, რომელიც წარმოიშვა ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში სპარსეთის ტერიტორიაზე. მის დამფუძნებლად მიჩნეულია პიროვნება, სახელად ზარათუშტრა (ბერძნ. „ზოროასტრი“). მას შემდეგ, რაც ზოროასტრიზმი სპარსეთის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ეს რელიგია ასევე ვრცელდებოდა იმ ქვეყნების ტერიტორიებზეც, რომლებსაც სპარსეთის იმპერია იპყრობდა: შუა აზია, კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილი, ამჟამინდელი ავღანეთის ტერიტორია და სხვა. თუმცა არაბთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ ზოროასტრიზმის პოზიციებიც თანდათან შესუსტდა. მუსლიმი არაბების მხრიდან დევნის გამო ზოროასტრიზმის მიმდევრები VII ს-დან ინდოეთში გადავიდნენ.

ზოროასტრიზმს მკვეთრად გამოხატული დუალისტური¹²⁷ ხასიათი აქვს: მისი დოქტრინის მიხედვით, ნათელ (კეთილ) და ბნელ (ბოროტ) საწყისებს თანაბარი ძალა აქვთ და ისინი გამუდმებულ ჭიდილში არიან, რაც მიწიერ სამყაროშიც აისახება. კეთილ ღმერთს ეწოდება აჰურა მაზდა, რომელმაც ეს სამყარო შექმნა: მოსავლიანი მიწა, სასარგებლო მცენარეები და ცხოველები, ადამიანები და ყოველივე კეთილი ამ ქვეყნად. ბოროტი ღმერთს კი ეწოდება აჰრიმანი, რომლის შექმნილია სხვადასხვა სახის დაავადება, სიკვდილი, უდაბნოები, გვალვა, მაგნე ცხოველები და ყოველივე ბოროტი ამ ქვეყანაზე. სწორედ აჰურა მაზდას სახელის მიხედვით ერქვა სპარსეთის იმპერიის უძველეს რელიგიას სახელი მაზდეიზმი, რომლის რეფორმატორადაც მიიჩნევა წინასწარმეტყველი ზარათუშტრა.

127. დუალიზმი – ორი თანაბრად ძალმოსილი სულიერი საწყისის (კეთილისა და ბოროტის) არსებობის აღიარება.

ზოროასტრიზმის მიმდევრები განსაკუთრებულ პატივს სცემენ ცეცხლს, რომელსაც, მათი აზრით, განმწმენდი ძალა აქვს. ამის გამო მათ ზოგჯერ ცეცხლთაყვანისმცემლებსაც უწოდებენ. მათ ტაძრებში ყოველთვის ანთია ცეცხლი. ზოროასტრელებს სწამთ სულის უკვდავება და სიკვდილის შემდგომი არსებობა. ზოროასტრიზმის წმ. წიგნს ეწოდება ავესტა, რომლის ზოგიერთი ნაწილი თავად ზარათუსტრას დაწერილად ითვლება.

ზოროასტრიზმის კიდევ ერთ სპეციფიურ ნიშანს წარმოადგენს მისი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ადამიანის გვამების მიმართ. ისინი გვამებს არც მიწაში მარხავენ, არც მდინარეში აგდებენ და არც ცეცხლზე წვავენ, რადგან ეს, მათი აზრით, შეურაცხყოფს (აუწმინდურებს, ბღალავს) მიწას, წყალსა და ცეცხლს, რომლებსაც ზოროასტრელები თაყვანს სცემენ. ამიტომ მათ გვამები გააქვთ განსაკუთრებულ ადგილებში, რომლებსაც „მღუმარების კოშკებს“ უწოდებენ. იქ კი გვამებს ლეშის მჭამელი ფრინველები ჭამენ.

ირანთან ურთიერთობების შედეგად ზოროასტრიზმი საქართველოშიც გავრცელდა. ქრისტიანობისა და მაზდეანობის ბრძოლის კვალი კარგად იგრძნობა ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში (იხ. შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის წამებანი).

ქართული ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ მცხეთაში ცეცხლთაყვანისმცემლებით დასახლებული ცალკე უბანიც კი არსებობდა. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, არმაზის კერპის სახელწოდებაც მაზდეანური ღვთაების – აჰურა მაზდას სახელს უკავშირდება. ზოროასტრული ტაძრის (სპარსულად ატროშანი) ნანგრევები არსებობს თბილისშიც, სოლოლაკის ტერიტორიაზე.

4. სინტოიზმი

თუ კონფუციანობა და დაოიზმი ფილოსოფიური სისტემებიდან აღმოცენდნენ, იაპონიის ადგილობრივი რელიგია, სინტოიზმი (სინტო – „ღმერთების გზა“) იაპონელთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიდან ამოიზარდა. ამ პოლითეისტური რელიგიის საბოლოო ფორმირება VII-VIII სს-ებში მოხდა. სინტოს მიმდევართა რწმენით მთელი სამყარო დასახლებულია უამრავი

ღვთაებით. ამ ღვთაებათა პანთეონის მეთაურად კი მიჩნეულია მზის ღმერთი.

იაპონელთა რწმენით, მზის ღმერთის მიერ არის დაფუძნებული იაპონური საიმპერატორო დინასტია, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონურმა პარლამენტმა გააუქმა კანონი იმპერატორთა ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ.

სინტოიზმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია ასევე ომში გარდაცვლილ მეომართა კულტი (იხ. შესაბამისი პასაჟები „კამიკაძე“, „სამურაი“ და „ჰარაკირის“ ფენომენებზე).

„კამიკაძე“ (იაპ. „კამი“ – ღვთაება, „კაძე“ – ქარი) ნიშნავს „ღვთაებრივ ქარს“. ასე უწოდეს ქარიშხალს, რომელმაც ორჯერ (1274 და 1281 წწ.) გაანადგურა მონღოლთა ხომალდები იაპონიის ნაპირებთან. მე-20 ს-ში „კამიკაძე“ მოიხსენიებდნენ იაპონელ მფრინავებს, რომლებიც მზად იყვნენ მათზე დაკისრებული ოპერაციების (მტრის ხომალდების დაბომბვის) შესრულებისას საკუთარი სიცოცხლეც შეგნებულად გაეწირათ. დღეს ამ სიტყვით იხსენიებენ ზოგადად თვითმკვლელ ტერორისტებს. იაპონური ავიაცია არასოდეს განიცდიდა მფრინავი-კამიკაძეების უკმარისობას, პირიქით, მოხალისენი, როგორც წესი, სამჯერ მეტი იყო, ვიდრე თვითმფრინავების რაოდენობა. კამიკაძეთა ძირითადი შემადგენლობა 20-22 წლის სტუდენტები იყვნენ. მათი მოტივაცია ძირითადად პატრიოტიზმი ან საკუთარი საგვარეულოს სახელის უკვდავყოფა იყო. ამ მოვლენის სიღრმისეული მიზეზები კი, ალბათ, თავად იაპონურ კულტურაში უნდა ვეძებოთ, შუასაუკუნეების სამურაებსა და მათი ქცევის კოდექსში („ბუსიდო“), ასევე იაპონელთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში სიკვდილთან. კამიკაძეები იაპონიაში გმირებად ითვლებიან, რომლებზეც ტაძრებში ლოცულობენ როგორც წმინდანებზე, მათი ნათესავები კი პატივდებულ ადამიანებად ითვლებოდნენ მთელს ქალაქში.

*ონ-ლაინ ენციკლოპედიებიდან:
Wikipedia, Кръзосвет.*

„სამურაი“ (იაპ. „მსახური“) – ასე იხსენიებოდნენ შუა საუკუნეებში იაპონელი რაინდები, რომლებიც დაახლ. მე-8 ს-დან არსებობენ. ისინი, ძირითადად, საკუთარი ბატონის პირადი მცველები და იმავდროულად მათი მსახურებიც იყვნენ. ამ მხრივ ყველაზე საპატიო თანამდებობა შეიძლება ყოფილიყო ბატონის ხმალის მეთვალყურეობა. ზოგიერთი მათგანი ასევე იყვნენ ქოლგის მცველნი თუ დილით ჭიქა წყლის მიმწოდებელნი ახალგაღვიძებული ბატონისთვის. სამურაებს არ გააჩნდათ საკუთარი მამული და ეკონომიკურად მთლიანად ბატონზე იყვნენ დამოკიდებულნი.

სამურაის ქცევის კოდექსი, „ბუსიდო“ ბატონისადმი უსიტყვო მორჩილებასა და საკუთარი სიცოცხლის არად მიჩნევას ითხოვდა. მათ ჩვეულებრივ მეომრებადაც იყენებდნენ. როდესაც იაპონიაში შიდა-ფეოდალური ომები შეწყდა, სამურაების რაზმები, ძირითადად, აჯანყებული გლეხების ჩასახშობად იყენებდნენ.

დროთა განმავლობაში ბატონებს აღარ ესაჭიროებოდათ სამურაების ამდენი რაზმები და შესაბამისად მათი რიცხვი მცირდებოდა. სამურაების ნაწილი „რონინებად“ გადაიქცა. ასე ეწოდებოდათ ყოფილ სამურაებს, რომლებიც ჩვეულებრივი მოქალაქეების სტატუსს იღებდნენ და იწყებდნენ ხელოსნობას, ვაჭრობას და სხვა. სხვა სამურაები კი „ნინძებად“ ანუ დაქირავებული მკვლელები გახდნენ.

მე-19 ს-ში სამურაების ინსტიტუტი სრულიად გაქრა, როცა გაუქმდა იაპონიის მოსახლეობის წოდებრივი სხვაობები. ასევე მას შემდეგ, რაც იაპონია ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან და ამერიკასთან საგარეო ვაჭრობისთვის „გაიხსნა“, ნატურალური მეურნეობის სისტემა თითქმის მთლიანად მოიშალა. ამრიგად, თუკი ადრეულ შუასაუკუნეებში წარმოქმნილი სამურაების ინსტიტუტი ფეოდალიზმის განვითარების ახალ ძალას წარმოადგენდა, ბოლო დროს იაპონიის გადასვლამ კაპიტალისტურ წყობაზე გამოიწვია სამურაების წოდების უწინდებური მნიშვნელობის დაკარგვა.

პორტალიდან „ისტორია“

<http://history.rin.ru/text/tree/3630.html>

„ჰარაკირის“ (იაპ. „ჰარა“ – მუცელი, „კირი“ – გაფატვრა) წეს-ჩვეულება მჭიდროდაა დაკავშირებული სამურაების ქცევის კოდექსთან „ბუსიდო“. ჰარაკირის აღსრულება იმის მანიშნებლად ითვლებოდა, რომ სამურაები მამაცი მეომრები იყვნენ, რომ თავის სიცოცხლეს საკუთარი ნებისამებრ განაგებდნენ და არ ეშინოდათ სიკვდილის. ჰარაკირი ანუ ხმლით საკუთარი მუცლის გაფატვრა, ადამიანისგან დიდ გაზედულებასა და გამძლეობას/ამტანობას ითხოვდა, რადგან მუცლის ღრუ ადამიანის სხეულის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ადგილია.

იაპონიაში სამურაები, და არა მხოლოდ ისინი, სწორედ ამ მეთოდით აღასრულებდნენ თვითმკვლელობის აქტს. ამას მაშინ აკეთებდნენ, როდესაც რაიმე უღირს საქციელს ჩაიდენდნენ და უხუცესთა საბჭო ამგვარ განაჩენს გამოუტანდა. ჰარაკირს მიმართავდა სამურაი საკუთარი ღირსების შენარჩუნების მიზნითაც, მაგ., მის მიერ „სისხლის ალების“ (სვანების მსგავსად, ამგვარი წესი მათთანაც არსებობდა) შეუძლებლობის დროს, სხვადასხვა სახის უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საკუთარი მეომრული ფუნქციის აღსრულების შესაძლებლობის წართმევისას და მაშინაც კი, როცა საკუთარი ბატონი გარდაეცვლებოდათ. ერთი სიტყვით, ჰარაკირი ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენდა.

ხშირად სამურაები ჰარაკირს სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამოც მიმართავდნენ. მაგ., ცნობილია ორი სამურაის მიერ ჰარაკირის ჩატარების ფაქტი მცირე დავის შემდგომ თუ როგორ და რატომ წამოედო თუ შეეხო მათი ხმლები ერთმანეთს (ხმალი სამურაისთვის სიწმინდის ტოლფასი იყო).

ასეთი სიადვილე საკუთარი სიცოცხლის განადგურებისა, განპირობებული იყო ზოგადად აღმოსავლური და, კერძოდ, ბუდისტური სწავლების გავლენით, რომლის მიხედვითაც საჭირო იყო მიწიერი სურვილებისა და მთლიანად ამქვეყნიური ცხოვრების ჩახშობა, მისი დაოკება, „შეწყვეტა“. აქედან გამომდინარეობდა სიცოცხლისადმი

ამგვარი უდიერი დამოკიდებულება და მისი არაფრად მიჩნევა.

ჰარაკირი კანონით აიკრძალა 1868 წელს, თუმცა თვითმკვლელობის პრაქტიკა მაინც შენარჩუნდა: ამას მოწმობს მეორე მსოფლიო ომის დროს სამშობლოსთვის საკუთარი სიცოცხლის შეგნებული გაწირვის უამრავი ფაქტი იაპონელ კამიკაძე-მფრინავთა მიერ.

*ენციკლოპედია Kpyzocbem და პორტალ „ისტორიის“
მიხედვით: <http://history.rin.ru/cgi-bin/history.pl?num=3998>*

ჩინეთის მსგავსად, იაპონიაშიც აქვს ადგილი შერეული რელიგიურობის (პოლიკონფესიურობის) ფენომენს: ერთი და იგივე მორწმუნეს შეუძლია როგორც სინტოისტურ, ასევე ბუდისტურ ტაძრებში რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღება. მაგალითად, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალებს იაპონელები სინტოისტურ ტაძრებში აღასრულებენ, ხოლო დაკრძალვის რიტუალებს ბუდისტურ ტაძრებში. საქორწინო ცერემონიებს ზოგჯერ ბუდისტურ, უფრო ხშირად კი სინტოისტურ ტაძრებში აღასრულებენ.

იაპონიაში გავრცელებული ორი მთავარი რელიგიის (სინტოიზმი და ბუდიზმი) მიმდევართა რაოდენობის დადგენა ისევე რთულია, როგორც ჩინეთის რელიგიების შემთხვევაში. სინტოიზმის წყაროებით, იაპონიის მოსახლეობის უმრავლესობა სინტოიზმის მიმდევარია, მაგრამ იგივეს მოწმობს ბუდისტური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის უმრავლესობა ბუდიზმის მიმდევარია. ეს არ არის გასაკვირი, თუკი მხედველობაში მივიღებთ პოლიკონფესიურობის ფაქტორს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეკითხვაზე, თუ რომელ მათგანს ანიჭებს უპირატესობას, იაპონელთა 98%-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, თავს ბუდისტად მიიჩნევს.

ზემოთწარმოდგენილი რელიგიების მსგავსად, სინტოიზმშიც უამრავი მიმართულება არსებობს.

ბიბლიოგრაფია

შესავალი

1. დიურკჰეიმი, ე. რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები. თბ., 2004
2. მიქელაძე, მ. ტოტემი და ძველი სამყარო. თბ., 2001
3. ქეშიკაშვილი, ი. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბ., 1990
4. Борунков, et al. Основы Религиоведения М., 1994
5. Кабо, В. Р. Первоначальные Формы Религии // Религий Мира. История и Современность. М., 1987
6. Осипов, А. Путь разума в поисках истины. М., 2004
7. Пупар, П. Религии. М., „Весь Мир“, 2003
8. Тейлор, Э. Первобытная культура. М , 1980
9. Parrinder, G. The Faiths of Mankind: A guide to the World's Living Religions. N.Y.: Crowell 1964
10. Voss, C.H. In Search of Meaning: Living Religions of the World. N.Y., Gleveland 1968

იუდაიზმი

1. ბათოშვილი, ა. ებრაელი ხალხის ისტორიიდან. თბ., 1991
2. ბაჩელორი, მ. ბიბლიის კარი. თბ., გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა, 1999
3. ვადაჭკორია, შ. ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), თბ., 2005
4. კიკნაძე, ზ. საუბრები ბიბლიაზე. თბ., 1989
5. ჩოჩიშვილი, დ. ებრაულ-ქართული ურთიერთობების ისტორია ძვ. წ. VI ს-დან ახ. წ. IV ს-მდე. თბ., 2002
6. Васильев, Л. С. История Религии Востока. М., 1999
7. Вейнберг, Й. Введение в Танах. Часть 3: Пророки. М., Bibliotheca Judaica, 2003
8. Вук, Г. Это Б-О-Г Мой. Еврейский Образ Жизни. Пер. с Англ., Иерусалим, 1997
9. Вихнович, В. Иудаизм. СПб., 2006
10. Гусейнов, Р. Иудаизм на Кавказе // ცივილიზაციური ძიებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, #6, 2009

11. Еттингер, Ш. (Ред.). Очерк Истории Еврейского Народа. Библиотека-Алия, 1979
12. Кленицкий, Л. и Вайгодер, Дж. (Ред.). Иудейско-Христианский Диалог. Словарь-Справочник. М., ББИ, 2004
13. Курбатов, В. Великие Пророки и Прорицатели Мира. М., 2006
14. Львов, А. Иудаизм. Краткий очерк. СПб., 2002
15. Мень, А. Магизм и Единобожие. М., 2004
16. Мендес-Флор П., Рейнхарц, И. (Состав.). Евреи в Современном Мире. т. 1, М., Bibliotheca Judaica, 2003
17. Пилкингтон, С. Иудаизм. М., 2002
18. Ригнер Г. Иудаизм и Вызовы Современного Мира // Христианство, Иудаизм и Ислам. Под Редакцией Ж. Доре. М., ББИ, 2004
19. Телушкин, И., Рабби. Еврейский Мир. М., 1995
20. Уко, Х. Иудей и Христиане: Общие корни и новые горизонты. М., 2000
21. Фрай, Х. (Сост.). Христианско-Иудейский Диалог. Хрестоматия. М., ББИ, 2002
22. Чилтон, М. Иудаизм // სტატია ენციკლოპედიური ლექსიკონიდან: Иисус и Евангелия. Словарь М., ББИ, 2003 (თარგმნილია გამოცემიდან: Dictionary of Jesus and the Gospels. Ed. Joel B. Green et al. Inter Varsity Press, USA, 1992).
23. Шиффман, Л. От Текста к Традиции. История Иудаизма в Эпоху Второго Храма и Период Мишны и Талмуда. М., Bibliotheca Judaica, 2002
24. Энциклопедия „Кругосвет“, статья: „Иудаизм“.
25. Энциклопедия Иудаизма. Пер. с Иврита. Иерусалим, 1983
26. Ястребов, Г. Введение в Иудаизм. Учебное Пособие. М., ББИ, 2005
27. Bright, J. A History of Israel. London: SCM Press, 1972
28. Hvidt, N. C. Christian Prophecy: The Post-Biblical Tradition. Oxford University Press, 2007
29. Hawkins, B. K. Asian Religions. N.Y.: Longman 2004
30. Neusner, J. The Way of Torah: An Introduction to Judaism. London 2002

31. Ochs, Peter. The Renewal of Jewish Theology Today: Under the Sign of Three // The Blackwell Companion to Postmodern Theology. Oxford 2005.

ქრისტიანობა

1. ალექსიძე, ზ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია // რელიგიები საქართველოში. რედ. ზურაბ კიკნაძე. თბ., 2008
2. ბარდაველიძე, ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 2006
3. ბიბლია. საქართველოს ბიბლიური საზოგადოება. თბილისი 2001
4. დიასამიძე, ბ. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს.). ბათუმი 2001
5. თამარაშვილი, მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ., 1995
6. თინიკაშვილი, დ. (რედ.). აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. სტატიათა კრებული. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, 2009 (კრებული ელ-ვერსია ხელმისაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000693/>);
7. იოანე დამასკელი. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000
8. კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო. ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია ამიერკავკასიაში, თარგმანი იტალიურიდან, თბ., 1997
9. კიკნაძე, ვ. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან // საისტორიო შტუდიები. 2002, ტ. III;
10. კუტალია, გ. მარტინ ლუთერის თეზისები. თბ., 1998
11. ლომინაძე, ბ. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია // ჟურნ. „რელიგია“ # 1-2, 1992
12. პაპუაშვილი, ნ. წმ. კირიონ II-ის წერილი პაპ ბენედიქტე XV-ს // ჟურნ. „დილოგი“ #1, 2004

13. როგავა, გ. რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.). თბ., 2002
14. ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში. მოხსენებათა კრებული. თბ., ლოგოსი 2004
15. ჭელიძე, ედიშერ. კონსტანტინეს მოქცევა: ისტორიული წყაროები (თარგმანი ლათინურიდან და ძველი ბერძნულიდან) // ჟურნ. „ემაოსი“ #2, 2004
16. Алфеев, И. (Состав.). Восточные Отцы и Учители Церкви IV века. т. 3, М., 1999
17. Анжель, Жан-Мари. Римская Империя. М., 2004
18. Васечко, В. Сравнительное Богословие. М., 2000
19. Дудченко, А. Эсхатологические воззрения современности и их богословское осмысление. Киев, 2002
20. Карташев, А. Вселенские Соборы. Клин, 2004
21. Клеман, О. Беседы с Патриархом Афинагором. Брюссель, 1993
22. Лебедев, А. Очерки внутренней истории византийско-восточной церкви в IX, X и XI веках. СПб., 2003
23. Лепяхин, В. Иконопочитание и иконоборство // www.portal-slovo.ru
24. Мейендорф, И. Единство Империи и Разделения Христиан. М., 2003
25. Поснов, М. История Христианской Церкви. Брюссель, 1964
26. Рансимэн, С. Великая Церковь в Пленении. СПб., 2006
27. Тареев, М. Христос. Основы Христианства. т. 4, Сергиев Посад, 1908
28. Шёнборн, К. Икона Христа. Богословские основы // www.krotov.info
29. Уэр, Каллист. Внутреннее Царство. Киев, „Дух и Литера“ 2004 (თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Bishop Kallistos Ware. The Inner Kingdom. New-York, SVS Press, 2000).
30. Янг, Дж. Христианство. М., 2001
31. Bahr, A. Christianity. New-York, 2004
32. Buckley, J. et al (Ed.). Blackwell Companion to Catholicism. Blackwell Publishing Ltd, 2007
33. Chadwick, H. The Church in Ancient Society. Oxford 2001

34. Cunningham, M. et al (Ed.). Cambridge Companion to Orthodox Christian Theology. Cambridge University Press, 2009
35. Dvornik, F. The Photian Schism. History and Legend. Cambridge, 1970
36. Fouyas, M. Orthodoxy, Roman Catholicism and Anglicanism. Brookline 1984
37. Gonzalez, J., Perez Z. An Introduction to Christian Theology. Abingdon Press 2002
38. Grdzeldze, T. Witness Through Troubled Times: A History of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present. London 2006
39. Ioseliani, P. A Short History of the Georgian Church. N-Y., 1983
40. Markham, I. Christianity and Other Religions // Modern Theology (Blackwell Companion). 2004
41. McGiffert, A. A History of Christian Thought. v. 1, 1947
42. McGrath, A. et al. (Ed.). Blackwell Companion to Protestantism. Blackwell Publishing Ltd, 2004
43. Meyendorff, J. Christ in Eastern Christian Thought. SVS Press, 1975
44. Mannion, G., Mudge Z. (Ed.). Routledge Companion to Christian Church. New York 2008
45. Parry, K. (Ed.). Blackwell Companion to Eastern Christianity. Blackwell Publishing Ltd, 2007
46. Robertson, J. History of the Christian Thought. v. 8, London 1875
47. Staniloae, D. Theology and the Church. Crestwood 1980
48. Swidler, L. (Ed.). Toward a Universal Theology of Religion. New-York, 1988
49. Urban, L. A Short History of Christian Thought. Oxford University Press, 1986
50. Walker, W. A History of the Christian Church. New-York 1945
51. Wilkinson, P. Eyewitness Christianity. London 2006

ისლამი

1. ისლამი: ენციკლოპედიური ცნობარი. თბ., ნეკერი 1999
2. ევროპელ მუსლიმთა დეკლარაცია, 2006 წ. // ჟურნ. სოლიდარობა #2, 2006

3. იოანე საბანისძე. აბოს წამება // ქართული პროზა. ტ. 1, თბ., 1981
4. ირანული პოეზია. თბ., 1977
5. კომახია, მ. მუსლიმები დასავლეთ ევროპაში // ჟურნ. სოლიდარობა #8, 2006
6. მირსკი, გ. პოლიტიკური ისლამი და დასავლური საზოგადოება // ჟურნ. არჩევანი #2, 2007
7. სენი, ამარტია. კულტურა და ადამიანის უფლებები // ჟურნ. „სოლიდარობა“ #6, 2008
8. სოლოვიოვი, ვ. მუჰამედი: ცხოვრება და რელიგიური მოძღვრება. თბ., ინტელექტი. 2005
9. სანიკიძე, გ. შიიზმი და სახელმწიფო ისლამში. თბ., 2005
10. ხათამი, მ. ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი. თბილისი 2005
11. ფანჯიკიძე, თ. მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები. თბ., 1999
12. ყურანი. არაბულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო პროფესორმა გიორგი ლობჯანიძემ. თბ., კავკასიური სახლი 2006
13. შაჰიდი, ს. ცხოვრება მუჰამადისა. სპარსულიდან თარგმნა ნ. ბართაიამ. თბ., 2008
14. Аль-Хашими, М. Личность Мусульманина. М., 2003
15. Журавский, А. Ислам. М., „Весь Мир“, 2004
16. Мудрость Суфиев. Пер. с Персид., СПб., 2001
17. Мюллер, А. История Ислама. М., 2004
18. Родионов, М. Ислам Классический. СПб., 2004
19. Саййид, М. М. Л. Основные Положения Ислама. Баку, 1999
20. Сурдель, Д. Ислам. М., 2004
21. Сурдель, Д., Сурдель Ж. Цивилизация Классического Ислама. Екатеринбург, 2006
22. Brill's E. J. First Encyclopedia of Islam. v. 1. Leiden 1993
23. Holliday, F. Islam and the Myth of Confrontation. London 1996
24. Jomier, J. How to Understand Islam. London 1993
25. Rahman, F. Islam. Chicago 1979
26. Waines, D. An Introduction to Islam. Cambridge 1996

აღმოსავლური რელიგიები

1. კენჭოშვილი, ნ. ინდოეთი ქართულ წყაროებში. თბ., დედაენა, 1999
2. ჭელიძე, მ. ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია. თბ., 2001
3. Буддизм. Государство и Общество. Сборник статей. М., 1982
4. Боцман, Я. (Сост.). Буддизм. Четыре Благородных Истины. М., 2002
5. Васильев, Л. С. История Религии Востока. М., 1999
6. Гийон, Э. Философия Буддизма. Пер с фран. М., 2004
7. Дюмулен, Г. История Дзен-Буддизма. Пер с англ. М., 2003
8. Ермакова, Т., Островская Б., Классический Буддизм. СПб., 2004
9. Кадоваки, К. Дзен и Библия. Пер с англ. М., ББИ, 2004
10. Кеон Д. Буддизм. М., Весь Мир, 2001
11. Кожевников, В. Буддизм в Сравнении с Христианством. т. 1-2, М., 2002
12. Луц, У. Михаэльс, А. Иисус или Будда. Пер с англ. М., ББИ, 2003
13. Томас, Е. Будда. История и Легенды. Пер с англ. М., 2003
14. Пишель, Р. Будда. Его Жизнь и Учение. Пер с нем., М., 2004
15. Сидоров, С. Буддизм: История, Каноны, Культура. М., 2005
16. Учение Будды. Общество по проповедованию Буддизма. Токио 1985
17. Хамфриз, К. Дзэн-Буддизм. Пер с англ. М., 2002
18. Wangu, Madhu Bazaz. Hinduism. Fourth edition, Chelsea House Publishers, 2009

დაგაბებითი საკითხავი

1. ანასტასიოსი, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი. მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან // ჟურნ. „სოლიდარობა“ საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა, #7, 2006 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
2. ბართლომეოსი, მსოფლიო პატრიარქი. სიტყვა წარმოთქმული ევროპის ეკლესიათა კონფერენციაზე // ჟურნ. „ემოსი“ #2 (5), 2005
3. ბართლომეოსი, მსოფლიო პატრიარქი. სიტყვა წარმოთქმული ევროსაბჭოში (ინტერ-რელიგიურ დიალოგზე) // ჟურნ. „სოლიდარობა“ #2, 2007 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
4. ბრაგანტინი, გაბრიელე, მღვდელი. რელიგიური პლურალიზმი და რელიგიათშორისი დიალოგი // მოხსენებათა კრებული „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი“ #1-2, 2009
5. გრეგორიოსი, პავლე. ინტერ-რელიგიური შეხვედრები რეალური უნდა გახდეს // ჟურნ. „არჩევანი“ #9-10, 2006 (სტატია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
http://tengos-ideabox.blogspot.com/2010/01/blog-post_09.html)
6. ეკლესიები ევროპის გაერთიანების პროცესში. ევროპის ეკლესიათა კონფერენციის ანგარიში (ინგლისურიდან თარგმნა დ. თინიკაშვილმა) // ჟურნ. „ზღვარი“ #1, 2005
7. ეკუმენური ქარტია. ევროპის ეკლესიათა შორის მზარდი თანამშრომლობის პრინციპები (ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დ. თინიკაშვილმა) // ემოსი #2, 2007 (სამწუხაროდ ჟურნალში მთარგმნელის შენიშვნები გამოტოვებულია. პუბლიკაცია სრული სახით იხ. ვებ-გვერდზე:
http://lib.ge/body_text.php?9350).
8. თინიკაშვილი, დავით. ვის და რატომ ვებრძვით? ანუ რა ამოძრავებთ რელიგიურ მოშურნეებს? // ჟურნ. „სოლიდარობა“ #2 (35) 2010 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);

9. თინიკაშვილი, დავით. ევანგელური ეკლესია საქართველოში // ჟურნ. სოლიდარობა #3, 2006 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
10. თინიკაშვილი, დავით. ევანგელურ-ორმოცდაათიანელთა ეკლესია საქართველოში // სოლიდარობა #5, 2006 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
11. თინიკაშვილი, დავით. ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა“ საქართველოში // სოლიდარობა #8, 2006 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
12. თინიკაშვილი, დავით. მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია საქართველოში // სოლიდარობა #2, 2007 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
13. თინიკაშვილი, დავით. ხსნის არმია საქართველოში // სოლიდარობა #3, 2007 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
14. თინიკაშვილი, დავით. კალვინისტური ეკლესია „ურყევი საფუძველი“ საქართველოში // სოლიდარობა #6, 2007 (ჟურნალი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>);
15. კიუნგი, ჰანს. მსოფლიო მშვიდობა – გამოწვევა რელიგიებისთვის (გერმანულიდან თარგმნა თ. დალალიშვილმა) // ჟურნ. „არჩევანი“ #1, 2006
16. კიუნგი, ჰანს. როგორ დავამყაროთ ნდობა რელიგიებს შორის (გერმანულიდან თარგმნა თ. დალალიშვილმა) // ჟურნ. „არჩევანი“ #1, 2007
17. კლაპსისი, ემანუელ, პროტოპრესვიტერი. მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში (ინგლისურიდან თარგმნა დ. თინიკაშვილმა) // სოლიდარობა #1 (28), 2009 (ჟურნალის პდფ ვერსია იხ.:
<http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>).
18. მენი, ალექსანდრე. რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო (რუსულიდან თარგმნა დ. თინიკაშ-

- ვილმა) // სოლიდარობა #6 (39), 2010 (ჟურნალის პდფ ვერსია იხ.:
- <http://ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25>)
19. უერი, კალისტოსი, ეპისკოპოსი. მართლმადიდებელი ეკლესია და ქრისტიანების გაერთიანება (რუსულიდან თარგმნა ზაზა იმერლიშვილმა) // ჟურნ. „დიალოგი“ #3 (4), 2006
 20. შახოვსკოი, იოანე, სან-ფრანცისკელი მთავარეპისკოპოსი. სექტანტობა მართლმადიდებლობაში და მართლმადიდებლობა სექტანტობაში // ზღვარი #2, 2004
 21. ჩისტიაკოვი, გიორგი. ქრისტიანობა და თანამედროვე ჰუმანიტარული ცნობიერება: რელიგიათმცოდნეობის საგნის არსი // სტატიათა კრებული „რელიგია, საზოგადოება და სახელმწიფო“ თბილისი 2005.
 22. პაპუაშვილი, ნუგზარ. საქართველოსა და რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობები // თინიკაშვილი, დ. (რედ.). აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. სტატიათა კრებული. სულხან-საბას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თბილისი 2009 (კრებულის ელ-ვერსია ხელმისაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000693/>);
 23. Безант, А. Братство Религий. Перев с англ., М., 2008
 24. Джемс, Вильям. Многообразие Религиозного Опыта. Пер. с Англ. М., 1910
 25. Полкинхорн, Джон. Альтернативы (ქვეთავი ეხება ინტერ-რელიგიურ დიალოგს, დ.თ.) // მისივე წიგნიდან: Вера Глазами Физика. М., ББИ 1997
 26. Хардинг, Дуглас. Религии Мира. Руководство для Непредвзятых. М., 1999
 27. Abu-rabi, Ibrahim (Ed.). Contemporary Islamic Thought. Blackwell Companion, 2006
 28. Bromley, D., Melton, J. (Ed.). Cults, Religion and Violence. Cambridge 2004
 29. Clarke, Peter (Ed.). Encyclopedia of New Religious Movements, 2006
 30. D'Costa, Gavin. Christianity and World Religions. Disputed Questions in the Theology of Religions, 2009

31. Frankenberry, N. (Ed.). Radical Interpretation in Religion. Cambridge 2004
32. Kimball, Charles. When Religion Becomes Evil: Five Warning Signs. HarperCollins E-books, 2008
33. McGuckin, John. Religious Pluralism in the Global Village // მისივე წიგნიდან: The Orthodox Church: An Introduction to the History, Doctrine, and Spiritual Culture. Utopia Press Pte Ltd, 2008
34. Pyysiainen, I. How Religion Works. Leiden-Boston 2003
35. Segal, R. (Ed.). Blackwell Companion to Study of Religion, 2006
36. Hinnels, J. (Ed.). Routledge Companion to Study of Religion, 2005

ავტორთა შესახებ

დავით თინიკაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (2004) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა „ქრისტიანული თეოლოგიის“ მიმართულებით (2011). 2010 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის სახელობის სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებული. 2006-8 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს „შედარებით თეოლოგიაში“; 2010 წელს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში ასწავლიდა საგანს „რელიგიის ისტორია“. 2010 წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანში „მსოფლიო რელიგიები“. არის ავტორი წიგნისა „შესაქმის განმარტება“ (2004), თანაავტორი სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამოცემული ენციკლოპედიური ცნობარისა „რელიგიები საქართველოში“ (2008) და მთავარი რედაქტორი კრებულია „აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“ (2009). გამოქვეყნებული აქვს 40 საავტორო სტატია და 25 თარგმანი სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივ-შემეცნებით ჟურნალებში: „ცივილიზაციური ძიებანი“, „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, „სემიოტიკა“, „ტაბულა“, „ლიბერალი“, „სოლიდარობა“, „მასწავლებელი“, „დიالოგი“, „ემაოსი“ „არჩევანი“.

ზურაბ ჯაში – ლაიპციგის (გერმანია) უნივერსიტეტის დოქტორანტი. სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიასა (2007) და დარემის (ინგლისი) უნივერსიტეტის თეოლოგიურ მაგისტრატურაში (2010). ძველი ბერძნულიდან თარგმნილი აქვს ევსები კესარიელის, ნეტ. თეოდორიტე კვირელის, ჰერმias სოძომენეს და სოკრატ სქოლასტიკოსის ისტორიოგრაფიული ნაშრომები. გამოქვეყნებული აქვს სტატიები და თარგმანები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში (ჟურნალებში „ზღვარი“, „დიالოგი“ და „ემაოსი“). კითხულობდა ლექციებს „დოგმატურ თეოლოგიაში“ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (2008-2009).

